თამარ ჩიკვილაძე, მადონა ჯორჯიკია,
ლუიზა კუჭულია, ჰილდა იორამაშვილი,
თამარ ოთარაშვილი

ფარმაცევტული ქიმიის პრაქტიკული კურსი

თბილისი 2017

ბიბლიოთეკა
COMMUNITY COLLEGE PANACEA LTD

ეძღვნება პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის ხსოვნას

სახელმძღვანელო მოწოდებულია სამედიცინო
უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის
საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის

რედაქტორი:
დავით ჯინჭარაძე
ფარმაციის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-162-5

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნა“

წინათქმა

სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსია, სახელწოდებით „ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოების სახელმძღვანელო“, შეიქმნა პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ათეული წლების მანძილზე უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრას. ავტორთა ჯგუფი ქედს იხრის მისი უზარმაზარი დამსახურების წინაშე ქართული მეცნიერული და პრაქტიკული ფარმაციის განვითარებისთვის და გთავაზობთ სახელმძღვანელოს ახალ, გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემას.

„ფარმაცევტული ქიმიის პრაქტიკული კურსის“ მიზანია სტუდენტს ათვისებინოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის სფეროში. ეფექტური, ხარისხიანი და უვნებელი სამკურნალო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ GMP-ის, ISO-სა და GLP - ის სტანდარტისადმი შესაბამისი პროდუქციის წარმოებით, რაც უცილობლად გულისხმობს ფარმაცევტიული ანალიზის პრინციპებისა და მეთოდების მცოდნე ანალიტიკოსთა კვალიფიციური კადრების მომზადებას.

სახელმძღვანელოში მოცემულია ფარმაცევტული ანალიზის ლაბორატორიაში მუშაობის წესები, პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანამედროვე ფარმაკოპეული მეთოდების, ფარმაცევტული სუბსტანციების და წამლის ფორმების სტანდარტების დახასიათებას. აღწერილია ფარმაცევტული ანალიზისთვის საჭირო რეაქტივები, ინდიკატორები, ეთალონური და ტიტრიანი ხსნარები, მათი მომზადება და გამოყენება.

სახელმძღვანელო ქმედით დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს, არამედ საერთოდ, ფარმაცევტულ ანალიზში მომუშავე სპეციალისტებს.

ფარმაკოპეის სტატიებით სარგებლობის წესები

ტემპერატურა: სიმკვრივისა და ხსნადობის განსაზღვრისას, აგრეთვე სხვა შემთხვევაში, როდესაც ტემპერატურას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მითითებული არ არის სტატიაში, იგულისხმება 20^0C.

„გრილი" - გულისხმობს ტემპერატურას 12^0C-15^0C, „თბილი" - 40^0C - 50^0C, „ცხელი" - 80^0C – 90^0C, „ოთახის ტემპერატურა" – 15^0C – 25^0C, „წყლის აბაზანის" ტემპერატურად იგულისხმება 98^0 - 100^0 C.

გამხსნელები: ხსნარის მოსამზადებლად, თუ გამხსნელი არ არის მითითებული, იგულისხმება წყალი.

„წყალი" - თუ მითითებული არ არის, იგულისხმება გამოხდილი წყალი.

„სპირტი" - თუ განსაკუთრებული მითითება არ არის, იგულისხმება ეთილის სპირტი.

„ეთერი" - დიეთილის ეთერი.

სამკურნალო პრეპარატებში სპირტის განსაზღვრისას, პროცენტში იგულისხმება წონა-მოცულობითი პროცენტი.

ხსნარები: როდესაც მითითებულია ხსნარის კონცენტრაცია 1:10, 1:2 და ა.შ. იგულისხმება ნივთიერების წონითი ნაწილის რაოდენობა მითითებულ მოცულობაში. მაგ. 1:10 ხსნარის მოსამზადებლად აღებულ უნდა იქნას ნივთიერების 1გ და გამხსნელი, 10მლ ხსნარის მიღებამდე.

ფარმაცევტული ანალიზის ჩატარების პროცესში ხსნარების მომზადების დროს კონცენტრაცია პროცენტებში იგულისხმება წონა-მოცულობით.

მოლეკულური მასა: ფარმაკოპეის სტატიებში მითითებული მოლეკულური მასები გამოთვლილია თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის (IUPAC) მიერ 1975 წელს მიღებულ ფარდობით ატომურ მასათა ცხრილის მიხედვით და დაფუძნებულია ნახშირბადის შკალაზე – 12.

თუ მოლეკულური მასა 400-ზე ნაკლებია, მიეთითება მეასედი სიზუსტით და თუ 400-ზე მეტია – მეათედი სიზუსტით.

ზუსტი წონა: „ზუსტი წონა" გულისხმობს ანალიზურ სასწორზე 0,0002გ სიზუსტით აწონვას. თუ „ზუსტი წონა" არ მიეთითება, წონაკი აიღება 0,01გ სიზუსტით.

მუდმივი მასა: ტერმინი „მუდმივი მასა" გამოიყენება გამოშრობისას ან სულფატური ნაცრის განსაზღვრისას და ნიშნავს, რომ ორ ბოლო აწონვას შორის განსხვავება არ აღემატება 0,0005გ; განმეორებით წონიან 1 საათის განმავლობაში გამოშრობის, ან შესაბამისად, გავარვარების შემდეგ.

სუნი: სუნს საზღვრავენ შეფუთვის გახსნისთანავე. ნივთიერების 1-2 გ თანაბრად გაანაწილებენ 6-8 სმ დიამეტრის მქონე საათის მინაზე და 2 წუთის შემდეგ საზღვრავენ სუნს 4-6სმ მანძილიდან.

წვეთმზომი: წვეთების დასათვლელად გამოყენებულ უნდა იქნას სტანდარტული წვეთმზომი, რომელიც 1 მლ წყლიდან იძლევა 20 წვეთს 20^0C ტემპერატურაზე.

შემცველობის ზღვრები: თუ პუნქტში „რაოდენობრივი განსაზღვრა", ინდივიდუალური ნივთიერებებისათვის მითითებული არ არის შემცველობის ზედა ზღვარი, იგულისხმება განსასაზღვრავი ნივთიერების არა უმეტეს 100,5%.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთიერების შემცველობა გამოისახება მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, იგულისხმება, რომ მასის დანაკარგი გამოშრობისას განსაზღვრულია იმ მეთოდით, რომელიც აღწერილია შესაბამის კერძო სტატიაში.

სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში მოქმედ ნივთიერებას რაოდენობრივად საზღვრავენ აბსოლუტურად მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით.

საკონტროლო ცდა: საკონტროლო ცდად იგულისხმება განსაზღვრა, რომელიც ტარდება იმავე რაოდენობა რეაქტივებით და ისეთივე პირობებში, როგორც ძირითადი, მაგრამ საკვლევი ნივთიერების გარეშე.

სტანდარტული ნიმუშები

სტანდარტული ნიმუში – ეს შესადარი ნივთიერებაა, რომლითაც სარგებლობენ გამოსაკვლევ სამკურნალო საშუალებათა ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდებით ანალიზის ჩატარებისას.

სტანდარტული ნიმუშები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: ქიმიური და ბიოლოგიური. ერთი და იგივე ნიმუში, კერძო სტატიის შესაბამისად, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ფიზიკურ-ქიმიური, აგრეთვე ბიოლოგიური ანალიზისათვის.

სტანდარტული ნიმუშები სხვადასხვა კატეგორიისაა: საერთაშორისო სტანდარტი, სახელმწიფო, სამუშაო და სტანდარტ-ნივთიერება-მოწმე.

სტანდარტული ნივთიერების გამოშვებას ახორციელებენ ფარმაკოპეის სტატიის შესაბამისად. ნიმუშებს ადგენენ სათანადო ფარმაცევტული საწარმოები, განიხილება და თანხმდება სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსტიტუტთან და ფარმაკოპეის კომიტეტთან. სახელმწიფო სტანდარტული ნიმუშების ეტიკეტზე უნდა მიეთითოს მისი აქტივობა ან სუბსტანციის პროცენტული შემადგენლობა.

სამუშაო სტანდარტულ ნიმუშად გამოყენებულია სამკურნალო საშუალებათა სერიული ნიმუშები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტს. ბიოლოგიური შეფასებისათვის გამოყენებული სტანდარტული ნიმუშების ატესტაცია ხდება სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის სახელმწიფოინსტიტუტში.

სტანდარტული ნიმუშები, მოწმე-ნივთიერება გამოყენებულია სამკურნალო საშუალებათა იდენტიფიკაციისათვის, სიწმინდის განსაზღვრისა და კომპონენტების შემცველობის დადგენისათვის. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სახელმწიფო სტანდარტები და, ცხადია, საერთაშორისო სტანდარტები.

სახელმწიფო სტანდარტული ნიმუშების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტებს.

ეს სტატია არ ვრცელდება სამედიცინო იმუნობიოლოგიურ პრეპარატებზე და აგრეთვე რადიოფარმაცევტული პრეპარატების სტანდარტულ ნიმუშებზე.

გამზომი ჭურჭლები

ფარმაკოპეული კვლევების დროს სითხეთა მოცულობის გასაზომად გამოიყენება მინის ჭურჭლები: გამზომი კოლბები, გამზომი ცილინდრები, ბიურეტები და პიპეტები.

გამზომ ჭურჭლებს აკალიბრებენ სითხით შევსების მიხედვით (კოლბები) ან სითხისაგან დაცლის მიხედვით (პიპეტები, ბიურეტები, ცილინდრები). პირველ შემთხვევაში ჭურჭელში უნდა მოთავსდეს სითხის ნომინალური მოცულობა ე.ი. იმდენი მილილიტრი, რამდენიც მითითებულია მის მარკაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში გადმოსხმისას უნდა გადმოვიდეს სითხის ნომინალური მოცულობა.

პიპეტების და ბიურეტების შევსება და დაცლა

პიპეტები გამოყენებულია სითხის გადასატანად ერთი ჭურჭლიდან მეორეში. პიპეტს მარჯვენა მხარეს ხელის სამი თითით იჭერენ ზედა ნაწილში. ქვედა ბოლოს უშვებენ ხსნარში და შეწოვით ავსებენ სითხით ისე, რომ სითხე ჭდეს აცდეს დაახლოებით 1 სმ-ით. ზედა ბოლოს სწრაფად, ოდნავ სველი საჩვენებელი თითით ხურავენ. ამის შემდეგ სავსე პიპეტს ხსნარიდან იღებენ, ხოლო მისი ბოლო ჭურჭელში უნდა დარჩეს, თავალს ჭდეს უკვესწორებენ, საჩვენებელი თითის დაჭერას ისე შეასუსტებენ, რომ სითხე პიპეტიდან წვეთ-წვეთობით გამოდიოდეს. ღიდესაც სითხის ქვედა ჭდეს გაუსწორდება, თითს მაგრად დააჭერენ, პიპეტს ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაიტანენ მეორე ჭურჭელში, ისე, რომ პიპეტის წვერი ჭურჭლის შიგნითა კედელს ეხებოდეს. პიპეტის

ბოლოდან თითს აწევენ და სითხეს უშვებენ. დაახლოვებით ნახევარი წუთით პიპეტს ტოვებენ ამ მდგომარეობაში. დაუშვებელია პიპეტის ჩაბერვა წვერში დარჩენილი სითხის ჩამოსაშვებად.

ბიურეტები. ბიურეტები გამოიყენება ხსნარის მოცულობის ზუსტი გაზომვისათვის. ბიურეტებს სითხით ავსებენ ზემოდან ძაბრის გამოყენებით (ძაბრი ისე უნდა მოთავსდეს ბიურეტში, რომ ჰაერი თავისუფლად გამოვიდეს). სითხეს ბიურეტში უშვებენ, ისე რომ შეივსოს მინის ონკანი და ბიურეტის წვერი სითხით (ბიურეტები მინის ონკანით) ან ბიურეტის წვერი და რეზინის მილი (ბიურეტი დამჭერით). ბიურეტის წვერიდან ჰაერის ბუშტუკების გამოსადევნად, ბიურეტის წვერს ჩამოაცმევენ რეზინის მილს, ხსნიან ონკანს და ფრთხილად გადადენიან ჰაერის ბუშტუკებს ბიურეტში. შემდეგ ონკანს ან მომჭერს დაკეტავენ, ბიურეტს სითხით შეავსებენ ჭდეზე მაღლა, ძაბრს ააცლიან და ბიურეტიდან უშვებენ სითხეს ზუსტად ჭდემდე – ნულოვან დანაყოფამდე.

ბიურეტში სითხის გაზომვა ყოველთვის იწება ნულიდან. ასევე დაკალიბრებაც ნულოვანი დანაყოფიდან უნდა მოხდეს. ე.ი. 0-დან 10 მლ-მდე; 0-დან 20 მლ-მდე და ა.შ. 0-დან 50 მლ-მდე.

განსაზღვრის დროს ხსნარი სწრაფად არ უნდა ჩამოვუშვათ, რადგან ხსნარი შეიძლება დარჩეს ბიურეტის კედლებზე და ათვლის დროს ჩამოედინოს, ამიტომ ანათვალი ზუსტი არ იქნება. ამის თავიდან ასაცილებლად ათვლა უნდა მოხდეს ხსნარის ჩამოშვებიდან 1-2 წუთის შემდეგ. ათვლის დროს თვალი ხსნარის მენისკის დონეზე უნდა იყოს. გამჭვირვალე ხსნარების გამოყენების დროს ათვლა ქვედა მენისკის მიხედვით ხდება, ხოლო არაგამჭვირვალე და მუქი ხსნარების გამოყენებისას ათვლა ხდება ზედა მენისკიდან. მინის ონკანებს უნდა წაესვას თხლად ვაზელინი ან ცვილისა და ლანოლინის ნალდობი.ტუტეთა ხსნარები უნდა მოთავსდეს მომჭერიან ბიურეტებში, რადგან მინის ონკანიან ბიურეტში მათი შენახვისას ხდება ონკანის „შეჭმა“.

იმისათვის, რომ ხსნარები არ გაჭუჭყიანდეს მტვრით ან არ მოხდეს მათი აორთქლება, ბიურეტებს სინჯარით ხურავენ. ბიურეტები ტუტიანი ხსნარებით უნდა იყოს მჭიდროდ დახურული

(ჰაერიდან ნახშირორჟანგის შთანთქმის თავიდან ასაცილებლად) ნატრიუმის ჰიდროქსიდიანი მილით.

ბამზომი ჭურჭლის დაკალიბრება

ტევადობის ერთეულად მიღებულია ჭეშმარიტი ლიტრი, ე.ი. მოცულობა, რომელსაც იკავებს 1 კგ წყლის მასა 3,98°C ტემპერატურაზე და ნორმალურ ბარომეტრულ წნევაზე (760 მმ. ვერცხლის-წყლის სვეტი), 1 ლიტრი ტოლია 1000,028 სმ³.

პრაქტიკაში გამზომი ჭურჭლის დაკალიბრებისა და შემოწმებისათვის გამოყენებულია ცხრილები, რომლებიც უჩვენებს, თუ განსაზღვრული ტემპერატურის რა რაოდენობის წყალი უნდა აიწონოს ჰაერზე იგივე ტემპერატურაზე, რომ მისი მოცულობა 20°-ზე 1 ლ-ს შეესაბამებოდეს.

ცხრილი №1.1 ლ წყლის წონა ჰაერზე სხვადასხვა ტემპერატურის დროს

წყლისა და ჰაერის ტემპერატურა °C	1 ლ წყლის წონა გ-ში	შესწორება ბარომეტრულ წნევაზე
9	998,437	0,00144
10	998,386	0,00144
11	998,315	0,00144
12	998,234	0,00143
13	998,143	0,00143
14	998,042	0,00142
15	997,925	0,00142
16	997,798	0,00141
17	997,659	0,00141
18	997,510	0,00140
19	997,349	0,00140
20	997,177	0,00140
21	996,995	0,00139
22	996,802	0,00139

23	996,599	0,00138
24	996,386	0,00138
25	996,164	0,00137
26	995,930	0,00137
27	995,689	0,00136
28	995,438	0,00136
29	995,177	0,00136
30	994,908	0,00135
31	994,630	0,00135
32	994,343	0,00134
33	994,048	0,00134
34	993,744	0,00133
35	993,433	0,00133

ცხრილი გათვალისწინებულია ნორმალურ ბარომეტრულ წნევაზე (760 მმ. ვერცხლ.წყ. სვეტ.) და წყლისა და გარემომცველი ჰაერის ერთი და იგივე ტემპერატურაზე.

თუ ბარომეტრული წნევა ნორმალურზე დაბალია, მაშინ, თითოეულ მილიმეტრ სხვაობაზე უმატებენ შესწორებას, რომელიც მოცემულია ცხრილში, ხოლო თუ ბარომეტრული წნევა ნორმალურზე მაღალია, მაშინ, პირიქით, აკლებენ.

გამზომი კოლბის დაკალიბრება

კარგად გარეცხილ, მშრალ კოლბას წონიან ანალიზურ სასწორზე და შეავსებენ წყლით ჭდემდე ისე, რომ სითხის ქვედა მენისკი იყოს ჭდის დონეზე. კოლბის ყელს შიგნიდან აშრობენ ფილტრის ქაღალდით, ზედმეტი წყლის წვეთის მოსაცილებლად. კოლბას წყლით წონიან და მასში არსებული წყლის მასის დასადგენად კოლბის წყლიან მასას ადგენენ, აკლებენ ცარიელი კოლბის მასას. სხვაობის მიხედვით ადგენენ წყლის მასას, ხოლო წყლის ტემპერატურას საზღვრავენ თერმომეტრით. მოცემული

მონაცემებით ადგენენ სიმკვრივეს და გამოთვლიან კოლბის ფაქტიურ ტევადობას ფორმულით:

$$V_{\text{ფაქტ}} = \frac{m}{P'_{H_2O}}$$

სადაც m – წყლის მასაა კოლბის მოცულობაში, გ-ში;

P'_{H_2O} – წყლის სიმკვრივე მოცემულ ტემპერატურაზე გ/სმ³-ში;

ბიურეტების დაკალიბრება

ბიურეტის სიზუსტის შესამოწმებლად წონიან წყალს, რომელიც ჩამოშვებულია ნულიდან სხვადასხვა დანაყოფამდე, მაგალითად 0-დან 50-მდე, 0-დან 20-მდე, 0-დან 10-მდე და ა.შ. სიმკვრივის მიხედვით კი ანგარიშობენ თითოეული უბნის ფაქტობრივ ტევადობას. ცდას იმეორებენ სამჯერ. გამოსაანგარიშებლად იღებენ საშუალო არითმეტიკულს სამი წონაკიდან. ფაქტობრივ ტევადობას კი საზღვრავენ ზემოთ მოცემული ფორმულით.

პიპეტის დაკალიბრება

პიპეტის დაკალიბრებისათვის პიპეტს შეავსებენ წყლით ჭდემდე, შემდეგ კი წყალს გადმოასხამენ წინასწარ აწონილ მშრალ ბიუქსში და წონიან ანალიზურ სასწორზე. წყლის მასას პიპეტის მოცულობაში საზღვრავენ სხვაობით წყლიანი ბიუქსის წონასა და ცარიელი ბიუქსის წონას შორის. ცდას იმეორებენ სამჯერ, ანგარიშობენ წყლის საშუალო წონას. ცდომილება ორ წონას შორის ±0,005 გ-ს არ უნდა აღემატებოდეს. პიპეტის ფაქტიურ მოცულობას გამოითვლიან წყლის საშუალო მასის სიმკვრივეში გაყოფით მოცემულ ტემპერატურაზე.

გამზომი ჭურჭლის გასუფთავება

გამზომ ჭურჭლებს რეცხავენ ჭურჭლის სარეცხი სპეციალური ქილეთი, ტუტისა და მჟავას სპირტიანი ხსნარით, შემდეგ

კი გამოხდილი წყლით. კარგ შედეგს იძლევა კალიუმის ან ნატრიუმის ბიქრომატის 10%-იანი ხსნარი კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. ჭურჭელს ავსებენ ამ ხსნარით, აყოვნებენ 20-30 წუთით, შემდეგ ათავისუფლებენ სითხისაგან და რეცხავენ ჯერ ჩვეულებრივი, შემდეგ კი გამოხდილი წყლით. ზოგჯერ კი ჭურჭელში ყრიან ქაღალდის პატარა ნაჭრებს, ასხამენ წყალს და ანჯღრევენ, შემდეგ კი გამორეცხავენ ჭურჭლის სარეცხი სპეციალური ჟელეთი და ბოლოს წყლით. სუფთა ჭურჭლიდან სითხე თანაბრად უნდა გამოდიოდეს ისე, რომ ჭურჭლის კედლებზე არ უნდა რჩებოდეს წვეთები.

სამკურნალო საშუალებათა საანალიზო ნიმუშების აღება (შერჩევა)

სამკურნალო საშუალებათა ხარისხის შესახებ დასკვნა კეთდება ნიმუშების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც შერჩეულია ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნათა (წესები) შესაბამისად, თუ არ არის სპეციალური მითითებები კერძო სტატიაში.

სინჯებს იღებენ სამკურნალო საშუალებათა ცალკეული სერიებიდან (პარტიიდან).

შეფუთვას (ყუთი, ბალონი, ბოთლი, კოლოფი და სხვა) გარეგნულად ამოწმებენ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისობაზე.

ნიმუშებს იღებენ მხოლოდ იმ წამლებიდან, რომელთაც არ აქვთ დაზიანებული შეფუთვა.

ნიმუშების აღების დროს აუცილებელია სიფრთხილე და ყურადღება, უნდა გავითვალისწინოთ სამკურნალო საშუალებათა ტოქსიკურობა, ფეთქებადობა, აალებადობა, ჰიგროსკოპულობა და სხვა თვისებები, აგრეთვე უნდა დავიცვათ სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

შხამების და ნარკოტიკების ნიმუშების აღების დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს

სათანადო ბრძანებებით, ინსტრუქციებით და დებულებებით, აგრეთვე სამკურნალო საშუალებათა კერძო სტატიებით.

სამკურნალო საშუალებათა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებისადმი შესაბამისობის გამოკვლევების ჩასატარებლად ახდენენ ნიმუშების მრავალსაფეხურიან არჩევას (შერჩევას).

ნიმუშების მრავალსაფეხურიანი არჩევისას (შერჩევისას) ქმნიან საფეხურებრივ სისტემას და თითოეული საფეხურიდან პროდუქტს იღებენ წინა საფეხურიდან აღებული პროდუქტის დაახლოვებით პროპორციული ოდენობით.

საფეხურების რიცხვი განისაზღვრება შეფუთვის სახეობით.

I საფეხური: შეფუთული ტარის ერთეულების შერჩევა (ყუთები, კოლოფები, ტომრები და სხვა);

II საფეხური: შეფუთვის ერთეულის შერჩევა, რომლებიც მოთავსებულია შეფუთულ ტარაში (კოლოფები, ფლაკონები, ქილები და სხვა).

III საფეხური: პირველად შეფუთვაში მყოფი პროდუქციის ნიმუშების აღება (ამპულა, ფლაკონი, ტუბები, ტაბლეტები და სხვა.)

თითოეულ საფეხურზე ასაღები პროდუქციის რაოდენობას ანგარიშობენ ფორმულით

$$0{,}4\sqrt{n},$$

სადაც *n*– შეფუთვის ერთეული რაოდენობაა, მოცემული საფეხურის ერთი სერიისათვის (პარტია).

გამოთვლის შედეგად მიღებულ წილადურ ციფრს ამრგვალებენ მეტობით მთელ რიცხვამდე, ეს ციფრი უნდა იყოს არა ნაკლები 3 და არა უმეტეს 30.

თუ შეფუთვათა რაოდენობა არასაკმარისია ანალიზების ჩასატარებლად, განმეორებით იღებენ შეფუთვათა ერთეულებს, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოთ. უკანასკნელ საფეხურზე აღებული შეფუთვების ერთეულები გარეგანი დათვალიერებით გაკონტროლების შემდეგ იგზავნება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებისადმი შესაბამისობის გამოკვლევაზე. საანალიზო ობიექტების რაოდენობა, რომელიც აიღება ლაბორატორიის მიერ (ან გაეგზა-

ენება მას), საკმარისი უნდა იყოს 4 სრული ანალიზისათვის (ნორმატიული დოკუმენტის შესაბამისად), ხოლო მაკონტროლებელი ორგანიზაციისათვის – 6 სრული ანალიზისათვის.სტერილობაზე, პიროგენობაზე, ტოქსიკურობაზე, ჰისტამინური ნივთიერების შემცველობაზე კონტროლისათვის, სინჯის აღების წესები მითითებულია ფარმაკოპეის ზოგად სტატიაში.

შერჩეულ ნიმუშებს ფუთავენ და ინახავენ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამკურნალო საშუალებათა ნიმუშების აღება (შერჩევა) შეფუთვაში „ანგრო"

სამკურნალო საშუალების ნიმუში დაფასოებიდან „ანგრო" უნდა წარმოადგენდეს გაერთიანებულ წერტილოვან ნიმუშს, აღებულს თანაბარი ოდენობით.

წერტილოვანი ნიმუშების აღება ხდება თითოეული შეფუთვის ზედა, შუა და ქვედა ფენებიდან. დათვალიერებით უნდა დავრწმუნდეთ წერტილოვანი ნიმუშების ერთგვაროვნებაში და შემდეგ შევურიოთ ისინი.

ცალკეული წერტილოვანი ნიმუშებით უნდა ვისარგებლოთ, როდესაც ვამოწმებთ ბლანტ და ჰეტეროგენულ პრეპარატებს.

ფხვიერ და ბლანტ ნივთიერებათა წერტილოვანი ნიმუშების ასაღებად სარგებლობენ ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი, რომელიც ინერტული მასალისაგან უნდა იყოს დამზადებული.

თხევადი სამკურნალო საშუალების ნიმუშის აღებამდე ის წინასწარ კარგად უნდა შევურიოთ. წერტილოვან ნიმუშებს იღებენ წვრილი მილებით, რომელიც ნეიტრალური მასალისგანაა დამზადებული.

თუ სითხის შერევა გაძნელებულია (დიდი ტკივადობები), წერტილოვან ნიმუშებს იღებენ სხვადასხვა ფენიდან.

მზა სამკურნალო საშუალებების ნიმუშის აღება

მზა სამკურნალო საშუალებების ნიმუშების აღება უნდა მოხდეს ისე, რომ არ დაირღვეს ქარხნის შეფუთვა. საინიექციო მზა სამკურნალო საშუალებათა ნიმუშების აღება ხდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დოკუმენტების შესაბამისად.

აეროზოლების და აზოტის (I) ოქსიდის ნიმუშების აღება სდება კერძო სტატიების მოთხოვნათა შესაბამისად.

შენიშვნა: სერია (პარტია) – ერთი დასახელების პროდუქციის ოდენობა, რომელიც წარმოებულია ერთ ტექნოლოგიურ ციკლში. სერიის (პარტიის) ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს ერთი დოკუმენტით (სერთიფიკატით).

წერტილოვანი ნიმუში – დაუფასოებელი (არა საცალო) პროდუქცია აღებული ერთ მომენტში.

ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის წესები

ფარმაცევტულ ქიმიაში პრაქტიკული მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს სპეციალურად მოწყობილ ლაბორატორიაში. სტუდენტმა ზეპირად უნდა იცოდეს ყველა ის ელემენტარული საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ფარმაცევტული ანალიზის სპეციფიკასთან, შრომის უსაფრთხოების ტექნიკასა და საჭირო შემთხვევაში შეეძლოს პირველი დახმარების გაწევა.

ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორიაში მომუშავე სტუდენტი აუცილებლად უნდა იცავდეს შემდეგ წესებს:

1. პედაგოგის მიერ მითითებული სახელმძღვანელოების მიხედვით წინასწარ დაამუშავოს გეგმით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაო და მასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები;
2. პრაქტიკულ მეცადინეობაზე მიეიდეს ხალათით;
3. მეცადინეობის დაწყებისას ჩათვალოს თეორიული კურსის ის მასალა, რომელიც ეხება პრაქტიკული მუშაობის თემას,

მიიღოს პრაქტიკული სამუშაო და ჩაატაროს ანალიზი დამოუკიდებლად;

4. იქონიოს სამუშაო რვეული, რომელიშიც ჩაიწერს ანალიზის მსვლელობას შესაბამისი ქიმიური რეაქციებით, კვლევის შედეგებს, გააკეთებს დასკვნებს;

5. მუშაობის დაწყების წინ დარწმუნდეს ჭურჭლის, გამოხდილი წყლის, რეაქტივების, გამხსნელის სისუფთავის კვალიფიკაციასა და სტანდარტულობაში.

6. სამუშაო ადგილას დაიცვას სისუფთავე, იქონიოს საჭირო ჭურჭელი და რეაქტივები.

არ შეიძლება ტანსაცმლის, ჩანთის ან სხვა ზედმეტი ნივთების დაწყობა სამუშაო მაგიდაზე.

7. სარეაქტივო ჭურჭელი ხმარებისთანავე დადგას თაროზე, მისთვის განკუთვნილ ადგილას.

8. მუშაობის დამთავრებისთანავე გარეცხოს გამოყენებული ჭურჭელი, წესრიგში მოიყვანოს სამუშაო მაგიდა და ჩააბაროს მასწავლებელს.

9. სამუშაოს დასრულების შემდეგ გააფორმოს ჩატარებული ანალიზის ოქმი ან დღიური და ჩათვალოს მასწავლებელთან;

10. დაუშვებელია სარეაქტივო ჭურჭლიდან პიპეტით ამოწოვა;

11. დაუშვებელია ჭარბად აღებული რეაქტივის უკანვე ჩაბრუნება რეაქტივიან შუშაში;

12. დაუშვებელია ჭურჭლის ნამსხვრევების ან ჭაღალდის ნაგლეჯების ჩაყრა წყალსადენის ნიჟარაში;

13. დაუშვებელია რეაქტივის ან საანალიზო ობიექტის გემოს გასინჯვა, მომწამვლელი აირების შესუნთქვა. სუნის გასაგებად, ჭურჭელს, რომელშიც მოთავსებულია აქროლადი ნივთიერება, მოხსნიან საცობს, ჭურჭლის ხელთან აამოძრავებენ ხელს ისე, რომ ჰაერს აძლევენ მიმართულებას მკვლევარის ცხვირისკენ. შესუნთქვა უნდა ხდებოდეს ფრთხილად და ზერელედ, რაც ნაკლებად სახიფათოა.

14. ცდები, რომლის დროსაც გამოიყოფა შხამიანი აირები (ა'ხოტის ოქსიდები, გოგირდწყალბადი და სხვა), უნდა ტარდებოდეს ამწოვ კარადაში;

15. შხამიან, ტოქსიკურ, ცეცხლსა'შიშ და ფეთქებად ნივთიერებებთან, აგრეთვე კონცენტრირებულ მჟავებთან და ტუტეებთან მუშაობა უნდა წარმოებდეს ამწოვ კარადაში, სათანადო წესების დაცვით. ამწოვი კარადის ფანჯარა უნდა აიწიოს მუშაობისათვის მოსახერხებელ დონეზე, მაგრამ არა უმეტეს 1/3-ზე. არ შეიძლება ამწოვ კარადა'ში თავის შეყოფა;

16. კონცენტრირებული გოგირდმჟავა, ქლორწყალბადმჟავა, აზარმჟავა, 25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდი უნდა განთავსდეს ამწოვ კარადაში მათთვის განკუთვნილ ადგილას;

17. ორგანული გამხსნელები (სპირტი, აცეტონი, ქლოროფორმი, ჰექსანი, ეთილაცეტატი და სხვა) აქროლადი და აალებადი ნივთიერებები, ფენოლი, ბრომიანი წყალი უნდა ინახებოდეს გამწოვი სისტემით აღჭურვილ სპეციალურ კარადაში.

18. მაგიდაზე დაღვრილი სითხე უნდა გაიწმინდოს დაუყოვნებლივ, ლაბორანტის კონსულტაციის შესაბამისად. მაგიდის ჩვრით არ შეიძლება ხელების ან ჭურჭლის გაწმენდა;

19. საჭიროა სიფრთხილე კონცენტრირებულ მჟავებთან მუშაობისას, განსაკუთრებით მათი გაცხელების დროს;

20. კონცენტრირებული გოგირდმჟავის წყლით განზავებისათვის, მჟავის საჭირო რაოდენობას მცირე ულუფებით ასხამენ წყალში და ფრთხილად ურევენ. ყოველი ახალი ულუფის დასხმამდე სითხეს აცდიან გაცივებას. უმჯობესია კოლბა ჩაიდგას ცივ წყალში;

21. კონცენტრირებული გოგირდმჟავისა და აზოტმჟავის ნარევის მომზადების დროს, აზოტმჟავას ასხამენ გოგირდმჟავაში მცირე ულუფობით (აცდიან გაცივებას).

22. ნივთიერებების შერევა კონცენტრირებულ მჟავასთან არ უნდა ხდებოდეს დახრილ სინჯარაში, ხოლო გაცხელებისას სინჯარის პირი ისე უნდა იყოს მიმართული, რომ სითხის შხეფარავის მოხვდეს და არ დააზიანოს;

COMMUNITY COLLEGE · PANACEA LTD

23. მუავათა ხსნარების ნიჟარაში ჩასხმის შემდეგ, საჭიროა ნიჟარა ჩაირეცხოს წყლის დიდი რაოდენობით;

24. კონცენტრირებული მჟავით გამოწვეულ სიდამწვრეზე, საჭიროა დავასხათ დიდი რაოდენობის წყალი, შემდეგ მოვბანოთ ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარით, წავუსვათ მალამო და თუ საჭიროა, დაზარალებული გავგზავნოთ ექიმთან;

25. მჟავით თვალის დაზიანებისას, დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს;

26. შემთხვევით, მჟავის ხსნარის პერორალური მიღებისას, დაზარალებულს უნდა მიეცეს მაგნიუმის ოქსიდის სუსპენზია, დაუშვებელია ამ დროს ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარის მიღება, ვინაიდან რეაქციის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი გაზრდის წნევას ნაწლავებში და ხელს შეუწყობს პერფორაციას.

27. მწვავე ტუტეების კანზე მოხვედრისას საჭიროა დაზიანებული ადგილის მობანვა წყლით, ვიდრე აღნიშნული ადგილი, თითით შეხებისას, არ შეწყვეტს სრიალს.

28. ტუჩზე ტუტის კონცენტრირებული ხსნარის მოხვედრისას (რაც ხდება ხოლმე ზოგჯერ პიპეტით ტუტის ხსნარის ამოწოვისას), საჭიროა ტუჩის მობანვა წყლით, შემდეგ ლიმონმჟავის ან ძმარმჟავის 2%-იანი ხსნარით;

29. ტუტის ხსნარის შემთხვევით ჩაყლაპვისას საჭიროა დაზარალებულმა მიიღოს ლიმონმჟავას 2%-იანი ხსნარი ან ლიმონი;

30. ამონიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრირებული ხსნარის კანზე მოხვედრისას საჭიაროა დაზიანებული ადგილის მობანვა ძმარმჟავის ან ლიმონმჟავის განზავებული ხსნარით;

31. მაგიდაზე ან იატაკზე შემთხვევით დაღვრილი ამიაკის ხსნარი უნდა მოიწმინდოს განზავებულ გოგირდმჟავაში ან ძმარმჟავაში დასველებული ჩვრით და შემდეგ მოირეცხოს წყლით;

32. ეთილის ეთერზე მუშაობისას ჭურჭელი, რომელშიც ეთერის შემცველი სითხეა, მოვაცილოთ ღია ცეცხლს. ეთერიანი გამონაწვლილის აორთქლება უნდა ხდებოდეს ამწოვ კარადაში;

33. ეთერის ასაორთქლებლად ფაიფურის ფიალა ან კოლბა უნდა დაიდგას თბილი წყლის აბაზანაზე და არა ქურაზე. წყლის

აბაზანაც არ უნდა იდგეს ცხელ ქურაზე, თუნდაც ელექტროქსელიდან გამოთიშულზე, რადგან ეთერის ორთქლი ჰაერზე მძიმეა და ჭურჭლიდან გადმოსვლისას ქვეით ეშვება, ცხელი ქურა კი მის აორთქლებას გამოიწვევს;

34. ფიალაში ან სინჯარაში ეთერი თუ ქროლდება და არის საშიშროება აალების ან აფეთქებისა, ეთერიან ჭურჭელს სწრაფად უსდა დავახუროთ მინის ნაჭერი, ფაიფურის ან ხის ხუფი, ან რაიმე სხვანი, რითაც ალს ჩავაქრობთ;

35. ეთერით გაჩენილი ხანძარი ჩავაქროთ მშრალი ქვიშით ან ცეცხლმაქრობი საშუალებით. ხანძრის ჩაქრობის საუკეთესო საშუალებაა მშრალი ნატრიუმის ჰიდროკარბონატი, რომელიც გაცხელებისას გამოყოფს ნახშირორჟანგს. ჩაქრობა წყლით მაშინ შეიძლება, თუ ცეცხლი ხის ნაწილებს მოედო;

36. თუ ხანძარი გაჩნდა სამუშაო მაგიდაზე, სასწრაფოდ მოვაშოროთ აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებები, ჩავაქროთ ნათურები, გამოვრთოთ ელექტროხელსაწყოები;

37. აალების შედეგად კანის დაწვის შემთხვევაში, დამწვარი ადგილი მოვბანოთ ეთილის სპირტით ან წყლით, შემდგ დავაფინოთ კალიუმის პერმანგანატის 5-10%-იან ან ტანინის ხსნარში დასველებული ბამბა, შემდეგ კი წავუსვათ მალამო;

38. ქლოროფორმის გამოხდა ან აორთქლება აუცილებლად უნდა მოხდეს ამწოვ კარადაში, რადგან გახურებითა და ჰაერის ჟანგბადის ზეგავლენით წარმოიქმნება მხუთავი მომწამვლელი ნივთიერება – ფოსგენი;

39. ბრომით ან ფენოლით დაზიანებული კანი სწრაფად უნდა იქნას მობანილი დიდი რაოდენობით ორგანული გამხსნელით (ეთილის სპირტით) შემდეგ წაესვას გლიცერინი ან დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო;

40. ლაბორატორიაში მუშაობისას აუცილებელია ელექტრო ხელსაწყოების ექსპლუატაციის წესების მკაცრი დაცვა;

ფარმაკოპეაში გამოყენებული საზომი ერთეულები და შემოკლებები

მოცემული საზომი ერთეულების სახელწოდებები და სიმბოლოები შეესაბამება საერთაშორისოს:

გიგა (გ)	10^9
მეგა (მ)	10^6
კილო (კ)	10^3
ჰექტო (ჰ)	10^2
დეცი (დ)	10^{-1}
სანტი (ს)	10^{-2}

<u>სიგრძის ერთეულები</u>

მ – მეტრი
სმ – სანტიმეტრი
მმ – მილიმეტრი
მკმ – მიკრომეტრი
ნმ – ნანომეტრი

<u>მოცულობის ერთეულები</u>

ლ – ლიტრი 1000 სმ^3
მლ – მილილიტრი 1 სმ^3
მკლ – მიკროლიტრი 0,001სმ^3

<u>ტემპერატურის ერთეულები</u>

K – კელვინი
^{0}C ცელსიუსის გრადუსი

<u>ელექტრონულიპოტენციალის ერთეულები</u>

V – ვოლტი
mV – მილივოლტი

<u>მასის ერთეულები</u>

კგ – კილოგრამი
გ – გრამი
მგ – მილიგრამი
მკგ – მიკროგრამი
ნგ – ნანოგრამი

<u>დროის ერთეულები</u>

დღ – დღე-ღამე
სთ – საათი
წთ – წუთი
ს (წმ) – სეკუნდი (წამი)
მს – მილისეკუნდი

<u>წნევის ერთეულები</u>

კპა – კილოპასკალი
პა – პასკალი
მმ ვწ. სვ – მილიმეტრი ვცხ, სვეტი≈ 133 პა

<u>ელექტრონული დენის ძალის ერთეულები</u>

A – ამპერი
mA – მილიამპერი
nA – ნანოამპერი

<u>ელელქტრონული წინაღობის ერთეულები</u>

Om – ომი

<u>რადიოაქტივობის ერთეულები</u>

კკ – კიგაბეკერელი = 27,03 მკი
მკ – მეგაბეკერელი = 27,03 მკი
ბკ – ბეკერელი = 27,03 ნკი
კი – კიური = 37 გბკ
მკი – მილიკიური = 37 მბკ
მკკი – მიკროკიური = 38 კბკ
მმ – მოლეკულური მასა

ანალიზის ფიზიკური მეთოდები
ლღობის ტემპერატურის განსაზღვრა

ნივთიერების ლღობის ტემპერატურად იგულისხმება ტემპერატურის ინტერვალი ლღობის დაწყებასა (სითხის პირველი წვეთის წარმოქმნა) და დასასრულს (ნივთიერების მთლიანად თხევად მდგომარეობაში გადასვლა) შორის.

ფარმაკოპეის კერძო სტატიებში მითითებული ლღობის ტემპერატურის ინტერვალები მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული ნივთიერების ლღობის ტემპერატურა უნდა იყოს აღნიშნულ ზღვრებში, ამასთან, ლღობის დასაწყისსა და დასასრულს შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს 2^{0}C. აღნიშნული წესიდან ცალკეული გადახრები აღნიშნული უნდა იყოს კერძო სტატიებში.

თუ ცალკეული ნივთიერების ლღობის დასაწყისი ან დასასრული მკვეთრი არ არის, ლღობის ტემპერატურის ინტერვალის საცვლად შეიძლება განისაზღვროს ლღობის მხოლოდ დასაწყისი ან დასასრული. მაშინ, კერძო სტატიაში ლღობის ტემპერატურის ინტერვალი მიუთითებს იმაზე, რომ ლღობის დასაწყისი (ან დასასრული) უნდა იყოს ზედა ზღვარში.

გაცხელების მიმართ არამდგრადი ნივთიერებებისათვის საზღვრავენ დაშლის ტემპერატურას. დაშლის ტემპერატურად მიჩნეულია ის ტემპერატურა, რომელზეც ხდება ნივთიერების მკვეთრი ცვლილება (აქაფება).

ნივთიერების ფიზიკური თვისებების გათვალისწინებით, ლღობის ტემპარატურას საზღვრავენ ერთ-ერთი ქვემოთ აღწერილი მეთოდით.

მეთოდები 1 და 1ა. – მყარი ნივთიერებებისათვის, რომლებიც ადვილად იქცევიან ფხვნილად: თერმომდგრადი (მეთოდი 1), უმდგრადი (მეთოდი 1ა).

მეთოდები 2 და 3. – მყარი ნივთიერებებისათვის, რომლებიც მოსრესვით ფხვნილად არ გადაიქცევა – როგორიცაა ცხიმები, ცვილი, პარაფინი, ვაზელინი, ფისები.

1, 1ა და2 მეთოდებით ლღობის ტემპერატურის განსაზღვრა დასაშვებია ორი ხელსაწყოთი.

„ლღობის ტემპერატურის განმსაზღვრავი“ ხელსაწყო 20-დან 230^{0}C დიაპაზონის ფარგლებში – ელექტროგამაცხელებლით. ხელსაწყო შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. სადგამი, სამართავი ფართით და ნომოგრამა;
2. მინის ბლოკი – გამაცხელებელი, რომლის გაცხელება ხდება ბიფილარულად დახვეული კონსტანტანის მავთულით;
3. ოპტიკური ნაწილი;
4. თერმომეტრების დასამაგრებელი;
5. კაპილარების დასამაგრებელი;
6. დამოკლებული თერმომეტრი 0,5^{0}C დანაყოფებით;
7. სითბოს წყარო (ელექტროგამაცხელებელი);
8. კაპილარები;

მეორე ხელსაწყო შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. მრგვალძირიანი კოლბა თერმომდგრადი მინისაგან 100-დან 150 მლმოცულობის; კოლბის ყელის სიგრძე 20 სმ; ყელის დიამეტრი 3-დან 4 სმ-მდე;



2. სინჯარა თერმომდგრადი მინისაგან, რომელიც ჩადგმულია კოლბაში და ფსკერიდან დაცილებულია 1 სმ-ით; სინჯარის დიამეტრი 2-დან 2,5 სმ-მდე;
3. მინის სინდიყიანი თერმომეტრი;
4. კაპილარები;

სურათი№ 1.1, 1ა, 2 მეთოდებით ლღობის ტემპერატურის განსასაზღვრი ხელსაწყო

1. მრგვალძირიანი კოლბი;
2. სინჯარა თერმომდგრადი მინისაგან;
3. მინის სინდიყიანი თერმომეტრი;
4. კაპილარი;

კოლბის 3/4-ს შეავსებენ შესაბამისი სითხით;

1. ვაზელინის ზეთი ან თხევადი სილიკონები;
2. კონცენტრირებული გოგირდმჟავა – ნივთიერებისათვის, რომელთა ლღობის ტემპერატურა 80-დან 260^0 C ფარგლებშია;
3. ხსნარი, რომელიც შედგება 3 ნაწილი კალიუმის სულფატის და 7 ნაწილი (მასური) კონცენტრირებული გოგირდმჟავისაგან – ნივთიერებებისათვის, რომელთა ლღობის ტემპარატურა 260^0 C – ზე მეტია.
4. გამოხდილი წყალი – ნივთიერებებისათვის, რომელთა ლღობის ტემპერატურა 80^0 C-ზე ნაკლებია;

შენიშვნა:

1.მინის მილები, რომლითაც ამზადებენ კაპილარებს, უნდა იყოს გარეცხილი და გამშრალი. კაპილარებს ინახავენ ექსიკატორში.

2. კალიუმის სულფატის გოგირდმჟავიანი ხსნარის მოსამზადებლად ინგრედიენტთა ნარევს ადუღებენ 5 წუთის განმავლობაში და თან ენერგიულად ურევენ. არასაკმარისი შერევისას შეიძლება წარმოიქმნას ორი შრე, რაც გამოიწვევს ნარევის შელეოებას და აფეთქებას.

3.ლღობის ტემპერატურის განსაზღვრისას კოლბა და სინჯარა უნდა იყოს თავღია.

განსაზღვრის მეთოდი. მეთოდი 1 და 1ა. : თუ კერძო სტატიებში არ არის სხვა მითითებები, კარგად დაწერილმანებულ ნივთიერებას აშრობენ 100-დან 105^0 C -მდე 2 საათის განმავლობაში ან აცივნებენ გოგირდმჟავიან ექსიკატორში 24 საათის განმავლობაში. ასეთისა განსხვავებული პირობა მითითებული უნდა იყოს კერძო სტატიებში. გამომშრალ ნივთიერებას ათავსებენ კაპილარში, რომელსაც აქვს 0,9-დან 1 მმ-მდე დიამეტრი, კედლის სისქე 0,1-დან 0,15 მმ-მდე და ერთი ბოლო შელღობილია.

„ლღობის ტემპერატურის განსასაზღვრავ“ ხელსაწყოში გალღობისას კაპილარის სიგრძე უნდა იყოს 20 მმ, მეორე ხელსაწყოს შემთხვევაში – 6-დან 8 სმ-მდე. ნივთიერების კარგად ჩასატუმბად, კაპილარის რამდენჯერმე ჩააგდებენ არა უმცირეს 50 სმ სიგრძის მქონე მინის მილში, რომელიც მინაზე ვერტიკალურად არის დამაგრებული.

ნივთიერების ფენის სიმაღლე კაპილარში უნდა იყოს დაახლოებით 3 მმ. კაპილარს ნივთიერებით განსაზღვრის დაწყებამდე ინახავენ ექსიკატორში.

მეორე ხელსაწყოს შიდა სინჯარაში ათავსებენ თერმომეტრს ისე, რომ მისი ბოლო სინჯარის ფსკერიდან დაცილებული იყოს 1 სმ-ით.ორივე ხელსაწყოში თავიდან გაცხელებას ახდენენ სწრაფად, შემდეგ კი არეგულირებენ ისე, რომ ლღობის დაწყებამდე 10^0C -ით ქვევით ტემპერატურის აწევის სიჩქარე იყოს დაბალი.

ლღობის სავარაუდო ტემპერატურის 10^0C-ით დაბლა, კაპილარით საკვლევი ნივთიერება შეაქვთ ხელსაწყოში (პირველში ან მეორეში) ისე, რომ მისი შელღობილი (მირჩილული) ბოლო მოთავსდეს თერმომეტრის ვერცხლისწყლის ბურთულის შუა ნაწილში.

გაცხელებას აგრძელებენ სიჩქარით:

– ნივთიერებებისათვის, რომელიც ლღვება 1 მეთოდით და ლღობის ტემპერატურა 100^0C ნაკლებია – 0,5-დან 1^0C-მდე 1 წუთში; თუ ლღობის ტემპერატურა 100-დან 150^0C -მდეა – 1 დან $1,5^0C$/წთ. თუ ლღობის ტემპერატურა 150^0C ზევითაა – 1,5 დან -2^0C/წთ. ნივთიერებებისათვის, რომლებიც ლღვება 1ა მეთოდით– 2,5-დან $3,5^0C$ /წთ.


განსაზღვრას ახდენენ არა უმცირეს ორჯერ; ლღობის ტემპერატურად მიიჩნევენ ერთნაირ პირობებში ჩატარებული რამდენიმე განსაზღვრის (რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება არა უმეტეს 1^0C-ით) საშუალო არითმეტიკულს.თუ სხვადასხვა ხელსაწყოზე ლღობის ტემპერატურის სხვადასხვა მაჩვენებლები მიიღება, კერძო სტატიაში აღნიშნული უნდა იყოს ლღობის ტემპერატურის მაჩვენებლები სხვადასხვა ხელსაწყოსათვის.

მეთოდი 2. ა) რბილი ნივთიერებისათვის: პირველი ხელსაწყოს გამოცდებისას – 20 სმ სიგრძის კაპილარს და მეორე ხელსაწყოს გამოცდების შემთხვევაში 6-დან 8 სმ სიგრძის და 1-დან 2 მმ-მდე შიდა დიამეტრის მქონე კაპილარს, რომელთა ორივე ბოლო ღიაა, ამზადებენ საკვლევ ნივთიერებაში ისე, რომ გაიჭედოს კაპილარის ქვედა ნაწილი და წარმოიქმნას დაახლოებით 10 სმ სიმაღლის ფენა.

ბ) მყარი ნივთიერებებისათვის: საკვლევ ნივთიერებას ალღოტის აბაზანაზე, რაც შეიძლება დაბალ ტემპერატურაზე, კარგად აშრობენ, ათავსებენ კაპილარში (იხ. მეთოდი 2ა) და ტოვებენ 0^0C ტემპერატურაზე 1-2 საათის განმავლობაში.

შევსებული კაპილარით განსაზღვრავენ ლღობის ტემპერატურას 1 მეთოდით. ლღობის ტემპერატურად მიიჩნევენ იმ ტემპერატურას, რომელზეც ნივთიერების სვეტი თხევადი ხდება და ზოგ შემთხვევაში კაპილარში მაღლა იწევს. ატარებენ არა უმცირეს 2 ცდას და იღებენ საშუალო არითმეტიკულს. ორ განსაზღვრას შორის განსხვავება არ უნდა იყოს 1^0C -ზე მეტი.

მეთოდი 3. ამ მეთოდით განსაზღვრისას იყენებენ *უბელოდეს* ტიპის თერმომეტრს. განსაზღვრას ახდენენ შემდეგნაირად: ფიალას (1) შეავსებენ საკვლევი ნივთიერებით, ამასთან ცდილობენ, რომ არ მოხვდეს ჰაერის ბუშტუკები, მას ათავსებენ გილზის (2) ქვედა ნაწილში. თერმომეტრის ვერცხლისწყლის ბურთულა (3) ამ დროს იმყოფება ნივთიერებასთან (4). ამ უკანასკნელს კარგად გაწმენდენ და თერმომეტრს ათავსებენ 19-დან 21 სმ სიგრძის და 4-დან 4,5 სმ დიამეტრის სინჯარაში (5) საცობის საშუალებით, რომელსაც იმგვარი განაკვეთი აქვს, რომ ფიალის ქვედა ნაწილი სინჯარის ფსკერიდან დაცილებულია 2,5 სმ-ით. სინჯარას ვერტიკალურად ჩაამაგრებენ ჭიქაში (6) ისე, რომ მისი 2/3 ჩაშვებული იყოს წყალში და ქვედა ბოლო ჭიქის ფსკერიდან დაცილებული იყოს 2,5 სმ-ით.



სურათი №2 მე-3 მეთოდით ლღობის ტემპერატურის განსასაზღვრი ხელსაწყო

იწყებენ ხელსაწყოს გაცხელებას და თან სარეველას (7) საშუალებით სითხეს მუდმივად ურევენ. როდესაც ტემპერატურა სავარაუდო ლღობის ტემპერატურაზე 15-20^{0}C-ით დაბლა იქნება, გაცხელებას არეგულირებენ ისე, რომ ტემპერატურამ აიწიოს წუთში 1^{0}C-ით. ლღობის ტემპერატურად მიიჩნევა ის ტემპერატურა, რომლის დროსაც მილიდან ჩამოვარდება გამლღვალი ნივთიერების ერთი წვეთი

ᲓᲣᲦᲘᲚᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ

დუღილის ტემპერატურად მიჩნეულია ნორმალური წნევის პირობებში 101,3 კპა (760 მმ ვწ.სვ.) დუღილის საწყის და საბოლოო ტემპერატურებს შორის ინტერვალი.

დუღილის საწყის ტემპერატურად მიჩნეულია ტემპერატურა, რომელზეც მიმღებში გადავა საკვლევი სითხის პირველი 5 წვეთი. დუღილის საბოლოო ტემპერატურად მიჩნეულია ტემპერატურა, რომელზეც მიმღებში გადასულია საკვლევი სითხის 95%.

განსაზღვრას ახდენენ ხელსაწყოში, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. 100მლ მოცულობის თერმომდგრადი მინის გადასადენი კოლბი, რომლის ყელის შუა ნაწილიდან კოლბის ყელის ქვედა ნაწილის მიმართ 75 ± 2^0-იანი კუთხით გამოდის გადამყვანი მილი.

სფეროს გარეთა დიამეტრი მმ – 65 ± 2;

ყელის შიდა დიამეტრი მმ – 16 ± 1;

კოლბის საერთო სიმაღლე მმ – 215 ± 3;

ყელის სიმაღლე მმ – 150 ± 3;

გადამყვანი მილის სიგრძე მმ – 100 ± 3;

2. თერმომდგრადი მინის ღრუ მაცივარი

ჩასადგმელი მილის საერთო სიგრძე მმ – 530 ±15;

ქურანგის სიგრძე მმ – 400 ± 10;

ჩასადგმელი მილის სიგრძე მმ – 60 ± 5;

ძაბრის შიდა დიამეტრი მმ – 14,5 ± 1;

ჩასადგმელი მილის გარეთა დიამეტრი მმ – 17 ±1;

ჩასადგმელი მილის ჭრის კუთხე მმ – 45 ± 3^0;

ჩასადგმელი მინის ბოლო, რომელიც მიმღებს უკავშირდება, უნდა იყოს მოხრილი; დასაშვებია ალონჟეს გამოყენებაც. იმ სითხეებზეც მუშაობისას, რომელთა დუღილის ტემპერატურა 150^0 C დაბალია, იყენებენ წყლით გაციებას. სითხეებისათვის, რომლებიც 150^0 C -ზე მაღლა დუღს, საკმარისია ჰაერით გაცივებაც.

3. მიმღები, რომლის მოვალეობა შეიძლება ცილინდრმაც შეასრულოს, უნდა იყოს 50 მლ ჩამტეობის 1 მლ-იანი დანაყოფებით;

4. დამოკლებული თერმომეტრი 0,5^{0}C-ზე დანაყოფებიანი შკალით;

5. სითბოს წყარო: გაზის სანათური ან სხვა წყარო, რომელიც განაპირობებს აუცილებელ ტემპერატურას, უსაფრთხოებას და გადადენაზე კონტროლს;

6. ორი შტატივი: ერთი კოლბის დასამაგრებელი თათით და რგოლით, მეორე – მაცივრის დასამაგრებელი თათით.

განსაზღვრის მეთოდი. კოლბის ყელში ათავსებენ თერმომეტრს კარგად მორგებული კორპის საცობით იმგვარად, რომ ვერცხლისწყლის ბურთულას ზედა ნაწილი იყოს გადამყვანი მილის ღრუს ქვედა ნაწილზე 1 სმ-ით დაბლა. შემდეგ კოლბას თათით მიამაგრებენ შტატივზე.

კოლბის გადამყვან მილზე მილესილი ან კორპის საცობით შეაერთებენ მაცივარს (რომელიც შტატივზე თათითაა დამაგრე-

ბული) ისე, რომ გადამყვანი მილის ბოლო მაცივრის ღრუში შეეხოდეს არა უმცირეს 3-4 სმ-ზე, მაგრამ არ მიადწიოს შევიწროებულ ადგილს. ამგვარად აწყობილ ხელსაწყოს უსაფრთხოების მიზნით ათავსებენ ქვიშიან სადგარზე.

ცილინდრით არწყავენ საკვლევი სითხის 50 მლ და ძაბრის საშუალებით ჩაასხამენ კოლბში (ძაბრის გამოყენება აუცილებელია, რომ სითხე არ მოხვდეს კოლბის კედელზე და განსაკუთრებით გადამყვან მილში). კოლბში ჩაუშვებენ რამდენიმე წვრილ, ერთი ბოლოდან მირჩილულ კაპილარს. მიმღებს ისე ათავსებენ, რომ მაცივრის მოხრილი ბოლო შედიოდეს მასში 2,5 სმ-ზე.

იწყებენ კოლბის გაცხელებას და ჩაინიშნავენ დუღილის საწყის ტემპერატურას; შემდგ მიმღებს მისწყვეტენ მაცივრის ბოლოსთან ისე, რომ ეს უკანასკნელი ეხებოდეს მის კედლებს და გაცხელებას აგრძელებენ იმგვარად, რომ წუთში გადაიდენოს სითხის 3-4 მლ. გადადენიან სითხის საჭირო რაოდენობას და ჩაინიშნავენ დუღილის საბოლოო ტემპერატურას.

ჩანიშნულ ტემპერატურულ ზღვრებს გადაიანგარიშებენ ნორმალური წნევისათვის (T შესწ.) 101,3 კპა (760 მმ.ვწ. სვ.) შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{შესწ}} = T + K(P - P_1)$$

სადაც:

T – ჩანიშნული ტემპერატურაა;


P – ნორმალური ბარომეტრული წნევა (760 მმ.ვწყ.სვ);

P_1 – ბარომეტრული წნევა ცდის დროს, რომელსაც აითვლიან სინდიყიან ბარომეტრზე ან ანეროიდზე, ექსპლოატაციისათვის განკუთვნილ ინსტრუქციაში მითითებული შესწორების გათვალისწინებით.

K – მილიმეტრ წნევაზე დუღილის ტემპერატურის ინკრემენტი;

K-ს მნიშვნელობა დამოკიდებულია გადასადენი სითხის დუღილის ტემპერატურაზე.

ჩანიშნული დუღილის ტემპერატურა, 0^0C	K მნიშვნელობა
100-ზე დაბლა	0,04
100 – 140	0,045
141-190	0,05
191- 240	0,055
240-ზე მაღლა	0,06



სურათი №3.დუღილის ტემპერატურის განსაზღვრის ხელსაწყო: 1. ბადასადენი კოლბა; 2 თერმომეტრი; 3. მაცივარი; 4. მიმღები;

შენიშვნები:

1.თუ ცდის წნევა იზომებოდა სინდიყიანი ბარომეტრით, ბარომეტრის საექსპლოატაციო ინსტრუქციაში მუტანის შემდეგ, ის გადაყვანილ უნდა იქნეს 0^0C-სთვის, რისთვისაც ბარომეტრის წვენებას გამოაკლებენ 0,27 კპა (2მმ. ვც.სვ) თუ ტემპერატურა 13-დან 20^0C-მდეა; 0,4 კპა (3 მმ.ვწ.სვ) – 21-დან 28^0C; 0,53 კპა (4 მმ.ვწ.სვ) – 29-35^0 C;

2. ეთერის გადადენა უნდა მოხდეს წინასწარ გაცხელებულ წყლის აბაზანაზე, 45-58^0C. კოლბს ათავსებენ აზბესტის ფირფიტაზე იმგვარად, რომ მისი ფსკერი ფარავდეს აზბესტის ხვრელს და ჩაყურსული იყოს წყალში.

3.ორ პარალელურ ცდას შორის დასაშვებია 1^0C განსხვავება.

ნივთიერებათა იდენტიფიკაციისათვის შეიძლება დუღილის ტემპერატურის განსაზღვრის მიკრომეთოდის გამოყენება.

ერთი მხრიდან მირჩილულ თხელკედლიან 3 მმ დიამეტრის და 8 სმ სიგრძის მინის მილში ათავსებენ საკვლევი სითხის

რამდენიმე წვეთს ისე, რომ წარმოიქმნას 1-დან 1,5 სმ სიმაღლის ფენა. მილში ჩადგამენ ქვემოდან დია ბოლოიან, ცალ მხარეს მირჩილულ 10 სმ სიგრძისა და 1 მმ დიამეტრის კაპილარს. მილს დამოკლებულ თერმომეტრზე მიამაგრებენ რეზინის რგოლით ან წვრილი მავთულით ისე, რომ მისი ქვედა ბოლო იყოს სინდიყის ბურთულას შუა ნაწილში და თერმომეტრს ათავსებენ დულილის ტემპერატურის განსასაზღვრავ ხელსაწყოში. აცხელებენ ისე, რომ ტემპერატურამ აიწიოს 2-3^0-ით წუთში იმ მომენტამდე, სანამ კაპილარიდან გაზის ბუშტუკების შემდეგ გამოყოფას დაიწყებს ორთქლის ბუშტუკების უწყვეტი ჯაჭვი. შემდეგ გაცხელებას ამცირებენ ან წყვეტენ იმ მომენტში, როდესაც შეწყდება ბუშტუკების გამოყოფა და სითხე დაიწყებს აწევას კაპილარებში, ჩაინიშნავენ ტემპერატურას, რომელსაც მიიჩნევენ დულილის ტემპერატურად.

ჩანიშნულ დულილის ტემპერატურას გადაიანგარიშებენ ნორმალური წნევისათვის ისე, როგორც ზემოთ არის მითითებული.

შენიშვნა: თუ ტემპერატურული ინტერვალის განსაზღვრისას დამოკლებულ თერმომეტრს არ იყენებენ, საჭიროა სინდიყის წაგრძელებული სვეტისთვის შესწორების შეტანა, ამისათვის იყენებენ დამხმარე თერმომეტრს, რომელსაც ათავსებენ ძირითადი თერმომეტრის წაგრძელებულ ნაწილზე ისე, რომ დამხმარე თერმომეტრის ბურთულა იყოს სინდიყის ზედა და ქვედა ბოლოების შუაში. შესწორებულ ტემპერატურას გამოითვლიან ფორმულით:

$$T_{შეს.} = T + 0{,}00016 \cdot (T - t) \cdot N$$

სადაც,

T – ძირითადი თერმომეტრის მაჩვენებელია;

t – დამხმარე თერმომეტრის მაჩვენებელი;

0,00016 – მინაში სინდიყის გაფართოების ხილვადი კოეფიციენტი;

N – სინდიყის სვეტის სიმაღლე თერმომეტრის წაგრძელებულ ნაწილში გრადუსებში გამოსახული.

სიმკვრივის განსაზღვრა

სიმკვრივეს უწოდებენ მასის ერთეულს ნივთიერების მოცულობაში:

$$p = \frac{m}{V}$$

თუ მასას (m) განვსაზღვრავთ გრამებით, მოცულობას (V) კუბური სანტიმეტრებით, მაშინ სიმკვრივე წარმოადგენს 1 სმ^3 ნივთიერების მასას:

$$p = \text{გ/სმ}^3$$

სიმკვრივეს ვსაზღვრავთ პიკნომეტრის ან არეომეტრის საშუალებით.



სურათი№ 4. პიკნომეტრი

სურათი № 5. არეომეტრი

განსაზღვრის მეთოდი

მეთოდი 1. ეს მეთოდი გამოიყენება სითხის სიმკვრივის 0,001 სიზუსტით განსაზღვრისას. პატარა ძაბრის საშუალებით გამოხეთილი წყლით შეავსებენ ჭდეზე ოდნავ მეტად, ახურავენ საცობს და თერმოსტატში აყოვნებენ 20 წუთის განმავლობაში 20^{0}C-ზე (0,1^{0}C სიზუსტით). ამ ტემპერატურაზე წყლის დონე დაჰყავთ ჭდემდე პიპეტის ან მილაკად დახვეული ფილტრის ქაღალდის საშუალებით. კვლავ ახურავენ საცობს და თერმოსტატში აყოვნებენ კიდევ 10 წუთით. ამოწმებენ მენისკის მდებარეობას ჭდის მიმართ. შემდეგ პიკნომეტრს გამოილებენ თერმოსტატიდან. მის ყელს შიგნიდან გაამშრალებენ ფილტრის ქაღალდით, ათავსებენ ანალიზური

სასწორის მინის უკან 10 წუთის განმავლობაში და შემდეგ წონიან იმავე სიზუსტით.

პიკნომეტრიდან წყალს გადმოღვრიან, გამოაშრობენ, გამოავლებენ სპირტს და ეთერს (პიკნომეტრის გაცხელებით გამოშრობა დაუშვებელია), ეთერის ნაშთს მოაცილებენ ჰაერის ჩაბერვით, შეავსებენ პიკნომეტრს საკვლევი სითხით და კვლავ ატარებენ ოპერაციებს, რასაც გამოხდილი წყლის დროს.

სიმკვრივეს P_{20}(გრ/სმ³) გამოითვლიან ფორმულით:

$$P_{20} = \frac{(m_2 - m)\cdot 0{,}99703}{m_1 - m} + 0{,}0012$$

სადაც:

m - ცარიელი პიკნომეტრის მასაა გრამებში;

m_1- პიკნომეტრის მასა გამოხდილი წყლით გრამეში;

m_2- პიკნომეტრის მასა საკვლევი სითხით გრამებში;

0,99703 – წყლის სიმკვრივის მიშვნელობა 20^0 C (გ/სმ³-ში ჰაერის სიმკვრივის გათვალისწინებით);

0,0012-ჰაერის სიმკვრივე 20^0C 1011 კპა (760მმ. ვწ. სვ) ბარომეტრული წნევის პირობებში).

მეთოდი 2. მეორე მეთოდსგამოიყენებენ სითხის სიმკვრივის 0,01 სიზუსტით განსაზღვრისას. საკვლევ სითხეს ათავსებენ ცილინდრში (სითხის ტემპერატურა უნდა იყოს 20^0 C), მასში ფრთხილად ჩაუშვებენ სუფთა, მშრალ არეომეტრს, ხელს არ უშვებენ მანამ, სანამ ცხადი არ გახდება, რომ ის ცურავს. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არეომეტრი არ ეხებოდეს ცილინდრის კედლებსა და ფსკერს. არეომეტრის შკალაზე ათვლას დაიწყებენ ჩაყურსვიდან 3-4 წუთის შემდეგ. ათვლისას თვალი უნდა იყოს მენისკის დონეზე (მონაცემებს იღებენ ქვედა მენისკით).

შენიშვნა:

1. სწრაფადმქროლავი ნივთიერებების სიმკვრივის არეომეტრით განსაზღვრა დაუშვებელია.

2. მუქი ფერის სითხეების სიმკვრივის განსაზღვრისას ათვლა ხდება ზედა მენისკით.

მეთოდი 3. გამოიყენება მყარი ცხიმებისა და ცვილების სიმკვრივის განსაზღვრისას. ზუსტად წონიან ცარიელ პიკნომეტრს, შემდეგ – გამოხდილი წყლით (რომლის ტემპერატურა 20^0 C-ია) შეავსებენ იმავე პიკნომეტრს. წყალს გადმოღვრიან და პიკნომეტრს გააშრობენ. ყველა ოპერაციებს ასრულებენ მეთოდი 1-ში მოცემული წესების გათვალისწინებით.

პიკნომეტრში პიპეტის ან პატარა ძაბრის საშუალებით ჩაასხამენ გამდნარ ცხიმს ან ცვილს ისეთი რაოდენობით, რომ დაიკავოს პიკნომეტრის მოცულობის 1/3-1/2. პიკნომეტრს საცობის გარეშე 1 საათით დგამენ ცხელ წყალში, შემდეგ აცივებენ 20^0 C–მდე და წონიან; ჭდემდე შეავსებენ 20^0 C ტემპერატურის მქონე გამოხდილი წყლით. გააშრალებენ და კვლავ წონიან. არც ერთ ფაზაში და ფაზათა გამყოფ ზედაპირზე არ უნდა იყოს გაზის ბუშტები.

სიმკვრივის სიდიდეს გამოითვლიან შემდეგი ფორმულით:

$$P_{20} = \frac{(m_2 - m)\cdot 0{,}99703}{(m_1 + m_2) - (m + m_3)} + 0{,}0012$$

სადაც:

m – ცარიელი პიკნომეტრის მასაა გრამებში;

m_1 – პიკნომეტრის მასა გამოხდილი წყლით გრამებში;

m_2– პიკნომეტრის მასა საკვლევი სითხით გრამებში;

m_3– პიკნომეტრის მასა ცხიმითა და წყლით გრამებში;

ეთილის სპირტის რაოდენობრივი განსაზღვრა პრეპარატებში

200-250 მლ მოცულობის მრგვალძირიან კოლბაში არწყავენ სითხის ზუსტ რაოდენობას. თუ სპირტის შემცველობა სითხეში 20%-მდეა, განსაზღვრისათვის იყენებენ სითხის 75 მლ, თუ სითხე შეიცავს 20-დან 50% სპირტს – 50 მლ, 50% და მეტი – 25 მლ; სითხეს გამოხდის წინ განაზავებენ წყლით 75 მლ-მდე.

თანაბარი დუღილისათვის კოლბაში ათავსებენ კაპილარებს, პემზას ან ფაიფურის ნატეხებს. თუ სითხე გამოხდისას ძლიერად ქაფდება, მაშინ უმატებენ ფოსფორმჟავას ან გოგირდმჟავას (2-3 მლ), კალციუმის ქლორიდს, პარაფინს ან ცვილს (2-3 გრ).

მიმღებს (50 მლ ჩამტეობის გამზომი კოლბა) ათავსებენ ცივ წყლიან ჭურჭელში. აგროვებენ დაახლოებით 48 მლ გამონახადს, მისი ტემპერატურა მიყავთ 20°C-მდე და წყლით შეავსებენ ჭდემდე. გადანადენი უნდა იყოს გამჭვირვალე ან ოდნავ შემღვრეული.

გადანადენის სიმკვრივეს საზღვრავენ პიკნომეტრით და ალკოჰოლომეტრული ცხრილის მიხედვით პოულობენ სპირტის შესაბამის შემცველობას მოცულობით პროცენტებში.

პრეპარატში ეთილის სპირტის შემცველობას (X) მოცულობით პროცენტებში გამოითვლიან ფორმულით:

$$x = \frac{50 \cdot a}{\delta}$$

სადაც:

50 – გადანადენის მოცულობაა მილილიტრებში;


a – სპირტის შემცველობა მოცულობით პროცენტებში;

δ – გადასადენად აღებული საკვლევი პრეპარატის მოცულობა მლ-ში;

თუ საკვლევი სითხე შეიცავს აქროლად ნივთიერებებს – ეთერი, ეთერზეთები, ქლოროფორმი, ქაფური, აქროლადი მჟავები ან ფუძეები, თაბისუფალი იოდი და სხვა, მას წინასწარ ამუშავებენ.

სითხეში ეთერის, ეთერზეთების, ქაფურის, ქლოროფორმის შემცველობის შემთხვევაში, მას გამყოფ ძაბრში უმატებენ თანაბარ მოცულობა ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერ ხსნარს და იმავე რაოდენობა პეტროლეინის ეთერს. ნარევს ანჯღრევენ 3 წუთის განმავლობაში. ფენების დაყოფის შემდეგ სპირტ-წყლიან შრეს გადაიტანენ მეორე ძაბრში და იმგვარადვე ამუშავებენ ნახევარი რაოდენობა პეტროლეინის ეთერით. სპირტ-წყლიანი შრე გადააქვთ გადასადენ კოლბაში. ეთერიან სითხეებს შეაერთებენ და შეანჯღრევენ ნახევარი რაოდენობა ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერ ხსნართან. შემდეგ უმატებენ გადასადენ კოლბაში ჩასხმულ სითხეს.

თუ სითხე 30%-ზე ნაკლებ სპირტს შეიცავს, გამომარილებას ახდენენ არა ხსნარით, არამედ 10გ მშრალი ნატრიუმის ქლორიდით.



სურათი № 6 ნაყენებში სპირტის განსაზღვრის ხელსაწყო

აქროლადი მჟავების შემცველობის შემთხვევაში, მათ ანეიტრალებენ ტუტის ხსნარით, აქროლადი ფუძეების შემცველობისას – ფოსფორმჟავით ან გოგირდმჟავით.

სითხეს, რომელიც შეიცავს თავისუფალ იოდს, გამოხდის წინ ამუშავებენ თუთიის მტვერით ან გამოთვლილი რაოდენობა მშრალი ნატრიუმის თიოსულფატით გაუფერულებამდე. აქროლადი გოგირდოვანი ნაერთების შესახვეჭად უმატებენ რამდენიმე წვეთ ნატრიუმის პიდროქსიდის ხსნარს.ნაყენებში სპირტის შემცველობას საზღვრავენ ასევე დუღილის ტემპერატურის მიხედვით.ნაყენებში სპირტის განსასაზღვრავი ხელსაწყოშედგება კოლბისაგან (1), გვერდით-გამონაზარდიანი მილის (2), მაცივრის (3) და 0,1°C – დანაყოფებიანი სინდიყის თერმომეტრისაგან (4), რომლის შკალის ზღვრები აროს 50-დან 100°C -დე.

კოლბაში ასხამენ 40 მლ ნაყენს და თანაბარი დუღილისათვის ყრიან მასში კაპილარებს, პემზას ან გამოწრთობილი ფაიფურის ნატეხებს. თერმომეტრს ხელსაწყოში ათავსებენ იმგვარად, რომ სინდიყის ბურთულა იყოს სითხის ზედაპირიდან 2-3 მმ სიმაღლეზე.აცხელებენ ცხაურზე 200 ვტ-იან ელექტროქურის ან გაზის სანათურის საშუალებით. როდესაც კოლბაში სითხე დაიწყებს დუღილს, რეოსტატის საშუალებით 2-ჯერ ამცირებენ ქურისათვის მიწოდებულ ძაბვას. დუღილის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ, როდესაც ტემპერატურა მუდმივი ხდება ან მისი გადახრა არ აღემატება 0,1°C ჩაინიშნავენ თერმო-

მეტრის ჩვენებას. მიღებული შედეგი გადაყავთ ნორმალურ წნევაზე. თუ ბარომეტრის ჩვენება განსხვავდება 1011 კპა (760 მმ. ვწ. სვ) – საგან შეაქვთ შესწორება ათვლილი და ნორმალური წნევის სხვაობისათვის $0,04^0C$ ყოველ 1,3 კპა (1 მმ.ვწ.სვ) თუ წნევა 1011 კპა-ზე მეტია – აკლებენ.

ნაყენში სპირტის შემცველობას საზღვრავენ ცხრილის საშუალებით.

მაგალითი: ნაყენის დუღილის ტემპერატურა არის $80,9^0C$ ატმოსფერული წნევა 1000 კპა (752 მმ.ვწ. სვ.) წნევათა სხვაობა: 1011 – 1000 =11 კპა (760-752=8 მმ.ვწ.სვ.) შესწორება შეადგენს: $0,04^0C \times 8 = 0,32^0C$.

დუღილის ათვლილ ტემპერატურას უმატებენ შესწორებას: $(80,9+0,32)^0C$. ცხრილის მიხედვით, დუღილის მიღებულტემპერატურას შეესაბამება 66% სპირტი.

ცხრილი №2სპირტ-წყლიან ნარევებში სპირტის კონცენტრაციის განსაზღვრა დუღილის ტემპერატურის მიხედვით (760 მმ. ვწ. სვ.) წნევის პირობებში

დუღილის ტემპერატურა °C	სპირტის % მოცულობითი შემცველობა	დუღილის ტემპერატურა °C	სპირტის % მოცულობითი შემცველობა	დუღილის ტემპერატურა °C	სპირტის % მოცულობითი შემცველობა	დუღილის ტემპერატურა °C	სპირტის % მოცულობითი შემცველობა	დუღილის ტემპერატურა °C	სპირტის % მოცულობითი შემცველობა
99,3	1	88,5	20	84,2	39	82,0	58	80,1	77
98,3	2	88,1	21	84,1	40	81,9	59	80,0	78
97,4	3	87,8	22	83,9	41	81,8	60	79,9	79
96,6	4	87,5	23	83,8	42	81,7	61	79,8	80
96,0	5	87,2	24	83,7	43	81,6	62	79,7	81
95,1	6	87,1	25	83,5	44	81,5	63	79,6	82
94,3	7	86,8	26	83,3	45	81,4	64	79,5	83
93,7	8	86,6	27	83,2	46	81,3	65	79,45	84
93,0	9	86,4	28	83,1	47	81,2	66	79,4	85
92,5	10	86,1	29	83,0	48	81,1	67	79,3	86
92,0	11	85,9	30	82,9	49	81,0	68	79,2	87

91,5	12	85,6	31	82,8	50	80,9	69	79,1	88
91,1	13	85,4	32	82,7	51	80,8	70	79,0	89
90,7	14	85,2	33	82,6	52	80,7	71	78,85	90
90,5	15	85,0	34	82,5	53	80,6	72	78,8	91
90,0	16	84,9	35	82,4	54	80,5	73	78,7	92
89,5	17	84,6	36	82,3	55	80,4	74		
89,1	18	84,4	37	82,2	56	80,3	75		
88,8	19	84,3	38	82,1	57	80,2	76		

სასმელში ეთილის სპირტს რაოდენობის განსაზღვრა ბარდატეხის მაჩვენებლისა და სიმკვრივის სიდიდეთა მიხედვით

ბარდატეხის მაჩვენებლისა და სიმკვრივის სიდიდეთა გათვალისწინებით, ნაყენებში ეთანოლის პროცენტულ შემცველობას გამოითვლიან ფორმულით:

$$X = 963(n-n_0)+353(p_0-p),$$

სადაც,

963 და 353 – ემპირიული კოეფიციენტებია;

n - ნაყენის გარდატეხის მაჩვენებელი;

n_0 - წყლის გარდატეხის მაჩვენებელი;

p - ნაყენის სიმკვრივე, გ/სმ^3;

p_0 - წყლის სიმკვრივე, გ/სმ^3;

წყლის და ნაყენის გარდატეხის მაჩვენებელს საზღვრავენ რეფრაქტომეტრულად.

ნაყენის სიმკვრივეს გამოითვლიან ფორმულით:

$$p_{20}^{\circ} = \frac{(m_2 - m) * 0,99703}{(m_1 - m)} + 0,0012$$

სადაც,

m - ცარიელი პიკნომეტრის მასაა, გ;

m_1 -პიკნომეტრის მასა გამოხდილი წყლით,გ;

m_2 - პიკნომეტრის მასა საკვლევი ხსნარით, გ;

0,99703 - წყლის სიმკვრივე 20^0C-ზე, გ/სმ^3

0,0012 - ჰაერის სიმკვრივე 20^0C-ზე, გ/სმ^3

ანალიზის ოპტიკური მეთოდები

გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრა(რეფრაქტომეტრია)

გარდატეხის მაჩვენებელს (n) უწოდებენ ვაკუუმში სინათლის გავრცელების სიჩქარის შეფარდებას საკვლევ ნივთიერებაში სინათლის გავრცელების სიჩქარესთან. ეს არის გარდატეხის აბსოლუტური მაჩვენებელი. პრაქტიკაში განსაზღვრავენ ე.წ. გარდატეხის ფარდობით მაჩვენებელს, ე.ი. ჰაერში სინათლის გავრცელების სიჩქარის შეფარდებას საკვლევ ნივთიერებაში სინათლის გავრცელების სიჩქარესთან.

გარდატეხი სმაჩვენებელი დამოკიდებულია ტემპერატურაზე, სინათლის ტალღის სიგრძეზე. ხსნარებში გარდატეხის მაჩვენებელი დამოკიდებულია აგრეთვე ნივთიერებების კონცენტრაციაზე და გამხსნელის ბუნებაზე.

რეფრაქტომეტრია გამოიყენება ნივთიერების სიწმინდისა და იგივეობის დასადგენად. მეთოდს იყენებენ ასევე ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრისათვის, რომელსაც ანგარიშობენ გარდატეხის მაჩვენებლის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკის მიხედვით. გრაფიკზე ირჩევენ კონცენტრაციის იმ ინტერვალს, რომელშიც გარდატეხის კოეფიციენტსა და კონცენტრაციას შორის დამოკიდებულება სწორხაზოვანია. ამ ინტერვალში კონცენტრაცია შეიძლება გამოვითვალოთ ფორმულით:

$$X = \frac{n - n_0}{F}$$

სადაც, X – ხსნარის კონცენტრაციაა;

n – ხსნარის გარდატეხის მაჩვენებელი;

n_0 – გამხსნელის გარდატეხის მაჩვენებელია იმავე ტემპერატურაზე;

F-ფაქტორი, რომელიც გვიჩვენებს გარდატეხის მაჩვენებლის ზრდას, კონცენტრაციის 1%-ით გაზრდისას. (ადგენენ ექსპერიმენტულად).

გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის გამოყენებულ ხელსაწყოებს ეწოდება რეფრაქტომეტრები. განსაზღვრა წარმოების (20±0,3)^0 C –ზე, ნატრიუმის სპექტრის (589,3ნმ) სიგრძის ტალღაზე. ასეთ პირობებში განსაზღვრული გარდატეხის მაჩვენებელი აღინიშნება ინდექსით n_D^{20}. თანამედროვე ხელსაწყოები დაკალიბრებულია ისე, რომ მათ შკალაზე ანათვალი შეესაბამება ნატრიუმის D ხაზის გარდატეხის მაჩვენებელს, ამიტომ ანალიზის ჩატარებისდროს აუცილებელია ხელსაწყოს ინსტრუქციაში სინათლის წყაროს შესახებ მოცემული მითითებების გათვალისწინება.

გასაზომი გარდატეხის მაჩვენებლების დიაპაზონი გამავალ სინათლეში არის 1,3–1,7.

გარდატეხის მაჩვენებლების გაზომვის სიზუსტე უნდა იყოს არა ნაკლებ $\pm 2 \cdot 10^{-4}$.

რეფრაქტომეტრების დაკალიბრებას (იუსტირებას) ახდენენ ეტალონური სითხეების მიხედვით, რომელიც მოყვება ხელსაწყოს, ან გამოხდილი წყლის მიხედვით, რომლისთვისაც

$$n_D^{20} = 1{,}3330$$

ოპტიკური აქტივობის განსაზღვრა (პოლარიმეტრია)

ოპტიკური აქტივობა ნივთიერებების უნარია, აბრუნოს პოლარიზაციის სიბრტყე მასში სწორხაზოვანი პოლარიზებული სხივის გავრცელებისას. ოპტიკურად აქტიური ნივთიერებების ბუნებაზე დამოკიდებულების მიხედვით პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიმართულება და სიდიდე. თუ დამკვირებლიდან, რომელზედაც მიმართულია ოპტიკურად აქტიურ ნივთიერებაში გამავალი სინათლე, პოლარიზაციის სიბრტყე ბრუნავს საათის ისრის მიმართულებით, (მაშინ) ნივთიერებას უწოდებენ მარჯვნივ მბრუნავს და მის წინ სვამენ ნიშანს "+", ხოლო თუ პოლარიზაციის სიბრტყე ბრუნავს საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ, ნივთიერებას უწოდებენ მარცხნივ მბრუნავს და მის წინ სვამენ ნიშანს "–".

პოლარიზაციის სიბრტყის საწყისი მდგომარეობიდან გადახრის სიდიდეს, გამოხატულს კუთხის გრადუსებში, უწოდებენ ბრუნვის კუთხეს და აღნიშნავენ ბერძნული ასოთი α. ბრუნვის კუთხის სიდიდე დამოკიდებულია ოპტიკურად აქტიური ნივთიერების ბუნებაზე, ოპტიკურად აქტიურ არეში (სუფთა ნივთიერებაში ან ხსნარში) პოლარიზებული სინათლის ტალღის სიგრძეზე. ხსნარებისთვის ბრუნვის კუთხის სიდიდე დამოკიდებულია გამხსნელის ბუნებაზე და ოპტიკურად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციაზე. ბრუნვის კუთხის სიდიდე პირდაპირპროპორციულია ოპტიკურად აქტიურ არეში სინათლის გზის სიგრძისა, ე.ი. ოპტიკურად აქტიური ნივთიერების ან მისი ხსნარის ფენის სისქის. ტემპერატურის ზემოქმედება უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელოა.

სხვადასხვა ნივთიერების უნარის, აბრუნოს სინათლის პოლარიზაციის სიბრტყე, შედარებით შესაფასებლად გამოითვლიან ხვედრითი ბუნვის სიდიდეს [α]. ხვედრითი ბრუნვა – ოპტიკურად აქტიური ნივთიერების კონსტანტაა. ხვედრით ბრუნვას $[\alpha]_D^{20^0}$ განსაზღვრავენ გამოთვლით, როგორც მონოქრომატული სინათლის პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვის კუთხეს 1 დმ სიგრძის მანძილზე, არეში, რომელიც შეიცავს ოპტიკურად აქტიურ ნივთიერებას, პირობითად 1გ/მლ კონცენტრაციამდე მიყვანის შემთხვევაში.

თუ არ არის სპეციალური მითითებები, ოპტიკური ბრუნვის განსაზღვრას ახდენენ 20^0 C-ზე და ნატრიუმის Dსპექტრის (589,3ნმ) სიგრძის ტალღაზე. ხვედრითი ბრუნვის შესაბამის სიდიდეს აღნიშნავენ $[\alpha]_D^{20^0}$. ზოგჯერ გასაზომად იყენებენ ვერცხლისწყლის სპექტრის მწვანე ხაზს, 546,1ნმ. ტალღის სიგრძით.

ოპტიკურად აქტიური ნივთიერების ხსნარის [α] განსაზღვრისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მოძებნილი სიდიდე შეიძლება დამოკიდებული იყოს გამხსნელის ბუნებაზედა ოპტიკურად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციაზე. გამხსნელის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო [α] სიდიდის არამედ მისი ნიშნის ცვლილებაც. ამიტომ, ხვედრითი ბრუნვის სიდიდეს უნდა

მიეთითოს გამხსნელი და გაზომვისათვის შერჩეული ხსნარის კონცენტრაცია.

ხვედრითი ბრუნვის სიდიდეს გამოითვლიან შემდეგი ფორმულებიდან ერთ-ერთით:

ნივთიერებისათვის – ხსნარის სახით:

$$[\alpha]_D^{20^0} = \frac{a \cdot 100}{l \cdot c} (1)$$

სადაც, α– გაზომილი ბრუნვის კუთხეა გრადუსებში, L– ფენის სისქე დეციმეტრებში; c – ხსნარის კონცენტრაციაა გ/100მლ.

თხევადი ნივთიერებებისათვის:

$$[\alpha]_D^{20^0} = \frac{a}{l \cdot p} (2)$$

სადაც, α– გაზომილი ბრუნვის კუთხეა გრადუსებში, L – ფენის სისქე დეციმეტრებში; p– ნივთიერების სიმკვრივე გ/მლ

ხვედრით ბრუნვას განსაზღვრავენ მშრალ ნივთიერებაზე ჩატარებული ანგარიშებით, ან მშრალი წონაკიდან, რის შესახებაც კერძო სტატიებში უნდა იყოს მითითება.

ბრუნვის კუთხის სიდიდეს ზომავენ ოპტიკურად აქტიური ნივთიერების სიწმინდის შესაფასებლად ან ხსნარში მისი კონცენტრაციის განსაზღვრისათვის. ნივთიერების სიწმინდის შესაფასებლად (1) და (2)ტოლობის მიხედვით გამოითვლიან მათი ხვედრითი ბრუნვის $[\alpha]_D^{20^0}$ სიდიდეს. ხსნარში ოპტიკურად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციას გამოითვლიან ფორმულით:

$$C = \frac{a \cdot 100}{[\alpha]_D^{20^0} \cdot l} (3)$$

ვინაიდან, $[\alpha]_D^{20^0}$-ს სიდიდე მუდმივია კონცენტრაციის მხოლოდ გარკვეულ ინტერვალში, უკანასკნელი ფორმულის გამოყენება შემოისაზღვრება სწორედ ინტერვალით.

ბრუნვის კუთხეს ზომავენ პოლარიმეტრით, რომლის სიზუსტეა $\pm 0{,}02^0$. ხსნარები ან თხევადი ნივთიერებები, რომელთა ბრუნვის კუთხესაც ზომავენ, უნდა იყოს გამჭვირვალე. გაზომვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაყენდეს ხელსაწყოს ნულოვანი წერტილი ან შესწორების სიდიდე განისაზღვროს მილით,რომელიც შეესებულია სუფთა გამხსნელით (ხსნარებთან მუშაობისას) ან ცარიელი მილით (თხევად ნივთიერებებთან მუშაობისას). ხელსაწყოს ნულოვან წერტილზე დაყენების ან შესწორების სიდიდის განსაზღვრის მერე ატარებენძირითად გაზომვას, რომელსაც იმეორებენ არა ნაკლებ 3-ჯერ.

ბრუნვის კუთხის სიდიდის მისაღებად, გაზომვისას მიღებულ ხელსაწყოს მაჩვენებელს შეაჯამებენ ადრე მიღებულ შესწორების მაჩვენებელთან.

ანალიზის ფოტომეტრიული მეთოდები

ანალიზის ფოტომეტრიული მეთოდები დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების მიერ ელექტრომაგნიტური გამოსხივების (შერჩევით) შთანთქმაზე და ემსახურება სინათლის მშთანმთქმელი შენაერთების აგებულების გამოკვლევას, იდენტიფიკაციას და რაოდენობრივ განსაზღვრას. გამოყენებული აპარატურის მიხედვით ფოტომეტრიულ ანალიზში არჩევენ სპექტროფოტომეტრულ მეთოდებს – ანალიზი ნივთიერების მიერ მონოქრომატული გამოსხივების შთანთქმის მიხედვით; კოლორიმეტრიული და ფოტოკოლორიმეტრიული – ანალიზი ნივთიერების მიერ არამონოქრომატული გამოსხივების შთანთქმის მიხედვით.

განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია ელექტრომაგნიტური გამოსხივების შთანთქმის გაზომვასთან, დაფუძნებულია ორ კანონზე. ბუგერ-ლამბერტის კანონი, რომელიც შთანთქმას აკავშირებს მშთანთქმელი ნივთიერების ფენის სისქესთან და გამოისახება ფარდობით:

$$\frac{J}{J_0} = 10^{-kb} \quad (1)$$

$$\lg \frac{J_0}{J} = kb \quad (2)$$

სადაც J_0 – ნივთიერებაზე დაცემული გამოსხივების ინტენსივობაა; J – გამოსხივების ინტენსივობა, რომელიც გაივლის ნივთიერებაში; b – ნივთიერების ფენის სისქეა სანტიმეტრებში; k – შთანთქმის მაჩვენებელი, ეს არის იმ ფენის სისქის უკუსიდიდე, რომელშიც გავლილი გამოსხივების ნაკადი სუსტდება 10-ჯერ.

ბერის კანონი შთანთქმას აკავშირებს მშთანთქმელი ნივთიერების კონცენტრაციასთან და გამოიყენება ხსნარებისათვის:

$$k = \chi \cdot c \quad (3)$$

სადაც c – ხსნარის კონცენტრაციაა; χ – ხსნარის შთანთქმის მაჩვენებელი, რომლის კონცენტრაცია ტოლია ერთის.

პრაქტიკაში ძირითადად იყენებენ ბუგერ-ლამბერტ-ბერის გაერთიანებულ კანონს შემდეგი სახით:

$$\lg \frac{J_0}{J} = \chi \cdot c \cdot b \quad (4)$$

სადაც $\lg \frac{J_0}{J}$ იწოდება ოპტიკურ სიმკვრივედ და აღინიშნება D-ასოთი.

სიდიდე χ წარმოადგენს სპეციფიურ ფიზიკურ კონსტანტას ნივთიერებისათვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს იდენტიფიკაციისათვის. χ სიდიდის მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს უცნობი კონცენტრაციის ხსნარში განვსაზღვროთ მოცემული ნივთიერების შემცველობა ოპტიკური სიმკვრივის D გაზომვის საფუძველზე.

გაერთიანებული ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი ჭეშმარიტია მხოლოდ მონოქრომატული გამოსხივებისათვის, ამიტომ მისი გამოყენება აუცილებელია სპექტროფოტომეტრიაში. ფოტოკოლორიმეტრიაში, სადაც გაზომვა ხორციელდება შუქფილტრების მეშვეობით, ეს კანონი გამოიყენება მხოლოდ მეტ-ნაკლები მიახლოებით,

ტალღების სიგრძის მოცემულ ინტერვალში Dსიდიდის მუდმივობის ხარისხზე დამოკიდებულების მიხედვით.

სპექტროფოტომეტრია

სპექტროფოტომეტრიას იყენებენ ნაერთების იდენტიფიკაციის, შემადგენლობის გამოკვლევის, ინდივიდუალური ნივთიერებების აგებულების, რაოდენობრივი ანალიზისა და მრავალკომპონენტიანი სისტემებისათვის. ტალღის სიგრძეზე ან ტალღის რიცხვზე დამოკიდებულებების შთანთქმის მრუდს (შთანთქმის ფუნქცია) ეწოდება ნივთიერების შთანთქმის სპექტრი და ის წარმოადგენს კონკრეტული ნივთიერების სპეციფიურ მახასიათებელს.

სპექტროფოტომეტრიულ მეთოდებში იყენებენ სპექტროფოტომეტრიულ ხელსაწყოებს, რომელთა საშუალებით ატარებენ ანალიზს, როგორც შეფერილ, ისე უფერო ნაერთებში სპექტრის ხილულ, ულტრაიისფერ და ინფრაწითელ უბანში მონოქრომატული გამოსხივების შერჩევითი შთანთქმის მიხედვით.

სპექტრის ულტრაიისფერ და ხილულ უბნებში შთანთქმის ზოლის ბუნება დაკავშირებულია მშთანთქმელ მოლეკულებსა და იონებზე ელექტრონების სხვადასხვა გადასვლებთან (ელექტრონული სპექტრები); ინფრაწითელ უბანში ის დაკავშირებულია მშთანთმქმელი ნივთიერებების მოლეკულების ბირთვების რხევითი მდგომარეობის ცვლილებასა და რხევით გადასვლებთან.

ამჟამად არსებული ხელსაწყოები საშუალებას იძლევა, ულტრაიისფერი სპექტრები გაიზომოს 190-დან – 380 ნმ-მდე, ხილული – 380-დან – 780 ნმ-მდე, ინფრაწითელი სპექტრები – 780-დან 40 000 ნმ-მდე (40 მკმ) უბნებში.

სპექტროფოტომეტრია ულტრაიისფერ და ხილულ უბნებში

ულტრაიისფერ და ხილულ უბნებში სპექტროფოტომეტრიულ გაზომვას აწარმოებენ უმთავრესად ხსნარებისათვის, თუმცა ასეთი

ანალიზი შეიძლება ჩატარდეს აირადი, თხევადი და მყარი ნივთიერებებისთვისაც.

სპექტროფოტომეტრიული განსაზღვრისას საანალიზო ნივთიერების ნიმუშს ხსნიან შესაბამის გამხსნელში. ამისათვის გამოიყენება მრავალი გამხსნელი, მათ შორის წყალი, სპირტი, ქლოროფორმი, უდაბლესი ნახშირწყალბადები, ეთერები, ამონიუმის ჰიდროქსიდი, ქლორწყალბადმჟავა და გოგირდმჟავა, სპექტროფოტომეტრიისათვის გამოდის სპეციალური გამხსნელები, რომლებიც არ შეიცავს მინარევებს.

სპექტროფოტომეტრიული ანალიზი ოპტიკური სიმკვრივის უშუალოდ გაზომვის მიხედვით შეიძლება ჩატარდეს იმ ნივთიერებისთვის, რომელთაც აქვთ სპეციფიური აგებულება (არომატული ნაერთები, π-ბმები მოლეკულაში, რიგი ლითონების ნაერთები და სხვა).

ზოგჯერ საჭიროა ზოგიერთი საანალიზო ნივთიერების წინასწარ გადაყვანა ისეთ ნაერთებში, რომელიც შთანთქავს გამოსხივებას.

ხსნარების კონცენტრაციების სპექტროფოტომეტრიული განსაზღვრისათვის გამოიყენება ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი შემდეგი ფორმულით:

$$C = \frac{1}{\chi \cdot b} \cdot 100 \qquad (5)$$

რიგ შემთხვევებში, მონოქრომატული გამოსხივების გამოყენების დროსაც კი შეიძლება მოხდეს გადახრა ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონიდან, რასაც განაპირობებს დისოციაციის, ასოციაციის და კომპლექსწარმოქმნის პროცესები. ასეთი გადახრების შემთხვევაში უმჯობესია არა (5) ფორმულის, არამედ ექსპერიმენტულად დადგენილი სიმკვრივის – კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკის გამოყენება.

ოპტიკური სიმკვრივის (D) გაზომვა ულტრაიისფერ და ხილულ უბნებში წარმოებს ფოტოელექტრულ სპექტროფოტომეტრებზე. ამ ხელსაწყოების უმთავრესი ნაწილებია: გამოსხივების

წყარო (ვარვარების ნათურა) – ხილული უბნისათვის, აირგანმმუხტავი ან დეიტერიუმის ნათურა, ულტრაიისფერი უბნის მონოქრომატორი, რომლის მადისპერსირებელი სისტემა დამყარებულია კვარცის პრიზმის ან დიფრაქციული მესერის გამოყენებაზე, საკუვეტო განყოფილება, რომელშიც თავსდება კიუვეტები საკვლევი ნივთიერებებით, მიმღები, ფოტოელექტრული მოწყობილობა J_0 და J სინათლის ნაკადის ინტენსივობის შედარებითი შეფასებისათვის, რომელიც დაფუძნებულია ფოტოელემენტების გამოყენებაზე.

სპექტროფოტომეტრიის გამზომი შკალა დაგრადუირებულია გატარების პროცენტებში T და ოპტიკური $\left(\text{ე.ი. } \frac{J}{J_0}\cdot 100\right)$ სიმკვრივის სიდიდეებში $D\left(\text{ე.ი. } \lg\frac{J}{J_0}\right)$ ხოლო ტალღის სიგრძის ან ტალღის რიცხვის შკალა – ნანომეტრებში ან $სმ^{-1}$ შესაბამისად.

გაზომვისას მონოქრომატორიდან გამომავალი განსაზღვრული სიგრძის ტალღის კონების გამოსხივების გზაზე მორიგეობით აყენებენ ნულოვან ხსნარს (გამხსნელი ან ხსნარი, რომელიც შეიცავს იმავე ნივთიერებებს, საკვლევი ხსნარი, გარდა საანალიზო კომპონენტისა), რომლისთვისაც $T=100\%$, $D=0$ და საკელევ ხსნარს.

ცდომილების შესამცირებლად D განსაზღვრისას ხსნარის კონცენტრაციას და მისი ფენის სისქეს ისე შეარჩევენ, რომ D საკვლევ სპექტრალურ უბანში იმყოფებოდეს 0,2-დან 0,7-მდე ფარგლებში.

ნივთიერების შთანთქმის უნარის მიხედვით ეს უმთავრესად მიიღწევა 0,01-დან 0.00001% (კიუვეტები ფენის სისქით 10მმ) კონცენტრაციების გამოყენებისას.

შთანთქმის მაჩვენებელს χ ცნობილი კონცენტრაციის ხსნარებისათვის გამოითვლიან ფორმულით:

$$\chi = \frac{1}{c\cdot b}\cdot D \qquad (6)$$

კონცენტრაცია C შეიძლება იყოს გამოსახული მოლებით 1ლ-ზე ან გრამებში 100მლ ხსნარზე. აღნიშნულის მიხედვით ფორმულიდან (6) გამოითვლიან შთანთქმის მოლურ მაჩვენებელს ან შთანთქმის ხვედრით მაჩვენებელს.

შთანთქმის მოლური მაჩვენებელი (ε) წარმოადგენს ნივთიერების ერთმოლური ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს 10 მმ ფენის სისქის დროს.

შთანთქმის ხვედრით მაჩვენებელი $\left(E^{1\%}_{1см}\right)$ 1გ ნივთიერების შემცველი 100 მლ ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეა. იმავე ფენის სისქის შემთხვევაში.

ხვედრითი მაჩვენებლიდან მოლური მაჩვენებლზე გადასვლა ხორციელდება ფორმულით:

$$\varepsilon = E^{1\%}_{1см}\frac{M}{10} \qquad (7)$$

სადაც, M– მოლური მასაა.

თუ ცნობილია χ მნიშვნელობა (ε ან $\left(E^{1\%}_{1см}\right)$ ფორმით), განსაზღვრავენ საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას D ოპტიკური სიმკვრივის მიხედვით, (5) ფორმულის გამოყენებით (ბერის კანონის საფუძველზე).

სპექტრის ულტრაიისფერი უბანში ნივთიერებების იდენტიფიკაციისათვის რეკომენდებულია მარეგისტრირებელი სპექტროფოტომეტრის გამოყენება.

სხვადასხვა სპექტროფოტომეტრებზე გაზომვისას ტალღათა დამახასიათებელი სიგრძე შეიძლება სხვადასხვა აღმოჩნდეს და ეს განსხვავება იყოს ±2 ნმ. თუ განსხვავება აჭარბებს მითითებულ ნორმას (ზღვარს), საჭიროა ჩატარდეს ტალღის სიგრძის შკალის კალიბრება.

რაოდენობრივი განსაზღვრისას უმჯობესია შთანთქმის ისეთი უბნების გამოყენება, რომლებიც პასუხობენ შემდეგ პირობებს:

1) მოცემული უბანი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად თავისუფალი საანალიზო სისტემის სხვა კომპონენტების შთანთქმის უბნებისაგან.

2) ამორჩეულ უბანს უნდა ჰქონდეს საკმარისად მაღალი შთანთქმის მაჩვენებელი (χ).

ასეთ უბანს უწოდებენ საანალიზოს.

ანალიზისას იყენებენ შთანთქმის მაქსიმუმ ან მინიმუმ უბნებს; არ უნდა მოხდეს გაზომვა ძლიერი ვარდნის ან ძლიერი აღმართის უბნებში.

მრავალკომპონენტიან სისტემებში საანალიზო უბნების გამოყოფა ყოველი ცალკეული კომპონენტისათვის საკმაოდ რთულია, ამიტომ რაოდენობრივი განსაზღვრა შეიძლება ჩატარდეს ოპტიკური სიმკვრივის რამოდენიმე სიგრძის ტალღაზე გაზომვით და იმ სისტემის სწორხაზოვანი ტოლობის ამოხსნით, რომელიც მოცემული სიგრძის ტალღაზე ნარევისჯამური ოპტიკური სიდიდის მნიშვნელობას აკავშირებს თითოეული კომპონენტის ინდივიდუალურ ოპტიკურ სიმკვრივესთან.

მაგალითად, ორი შეფერილი ნივთიერების სისტემისათვის, რომელთა შთანთქმის სპექტრები ეწყობა ერთმანეთზე, ხსნარის კონცენტრაციების C_1 და C_2განსაზღვრა ხდება ტალღის ორ სიგრძეზე შემდეგი ტოლობების მიხედვით:

$$D_{\lambda_1} = \varepsilon_{1\lambda_1} \cdot C_1 b + \varepsilon_{1\lambda_1} C_2 b$$
$$D_{\lambda_2} = \varepsilon_{1\lambda_2} \cdot C_1 b + \varepsilon_{2\lambda 2} C_2 b \qquad (8)$$

სადაც, $D_{\lambda 1}$ და $D_{\lambda 2}$ ორი ნივთიერების ნარევის ექსპერიმენტულად გაზომილი ოპტიკური სიმკვრივეებია λ_1 და λ_2 ტალღის სიგრძეზე;

$\varepsilon_{1\lambda_1}$ და $\varepsilon_{1\lambda_2}$ ერთი ნივთიერების შთანთქმის მოლური კოეფიციენტებია λ_1 და λ_2 ტალღის სიგრძეზე;

$\varepsilon_{2\lambda_1}$ და $\varepsilon_{2\lambda_2}$ მეორე ნივთიერების შთანთქმის მოლური კოეფიციენტებია λ_1 და λ_2 ტალღის სიგრძეზე; b – ნივთიერების ფენის სისქე სანტიმეტრებით.

შთანთქმის მოლური კოეფიციენტების მნიშვნელობას ადგენენ ექსპერიმენტულად λ_1 და λ_2 ტალღის სიგრძეზე ყოველი ნივთიერების სტანდარტული ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის გაზომვით. ტოლობათა სისტემას (8) ხსნიან ორი უცნობი კონცენტრაციის c_1 და c_2 მიმართ.

ინდივიდუალური ნაერთების სპექტროფოტომეტრიულ განსაზღვრისას ფარდობითი ცდომილება არ აჭარბებს 2%-ს; ნარევის ანალიზისას ცდომილება იზრდება.

რიგ შემთხვევაში სპექტროფოტომეტრიული მეთოდით ნივთიერების იდენტიფიკაციისა და რაოდენობრივი განსაზღვრისას საკმარო ხდება ქიმიურ სტანდარტულ ნიმუშებთან შედარება.

სპექტროფოტომეტრების შკალის შესამოწმებლად იყენებენ კალიუმის დიქრომატის სტანდარტულ ნიმუშს. ქვემოთ მოყვანილია დასაშვები ოპტიკური სიმკვრივეები კალიუმის დიქრომატის სტანდარტული ნიმუშის ხსნარებისათვის, რომელიც შეიცავს 60,06 მგ-ს 1000 მლ გოგირდმჟავას ხსნარში (0.005 მოლ/ლ), 10 მმ ფენის სისქისას

ტალღის სიგრძე (λ), ნმ	235	257	313	350
ოპტიკური სიმკვრივე	0,748	0,845	0,292	0.640

სპექტროფოტომეტრია ინფრაწითელ უბანში

ინფრაწითელ უბანში შთანთქმის უნარი გააჩნიათ მოლეკულებს, რომელთა დიპოლური მომენტი იცვლება ბირთვების რხევით მოძრაობაში მოყვანისას. ინფრაწითელი სპექტრები მიიღება ნივთიერებათა სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობის დროს და გამოიყენება იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი ანალიზის, ასევე მოლეკულის აღნაგობის გამოკვლევისას.

გაზომვას აწარმოებენ ერთსხივიან ინფრაწითელ სპექტროფოტომეტრებზე, რომელიც აღჭურვილია პრიზმული და დიფრაქციულ მესერიანი მადისპერსირებელი სისტემებით.

შედარებით ხშირად გამოიყენება სპექტრული უბანი 2,5 *და 20* მკმ-მდე (4000 – 500სმ$^{-1}$).

ყოველი ინფრაწითელი სპექტრი ხასიათდება შთანთქმის ზოლების სერიით, რომელთა მაქსიმუმი განისაზღვრება ტალღური რიცხვით ν ან ტალღის სიგრძით λ-ა შთანთქმის მაქსიმუმების ინტენსივობით.

ტალღური რიცხვი ν, რომელიც იზომება უკუსანტიმეტრებში (სმ$^{-1}$), განისაზღვრა შემდეგი ფარდობიდან $\nu = \frac{10^4}{\lambda}$

სადაც λ – ტალღის სიგრძეა მიკრომეტრებში(მკმ).

სპექტრის ჩაწერისას აბსცისთა ღერძზე აღნიშნავენ ტალღური რიცხვის ν (სმ$^{-1}$-ში), სიდიდეს ხაზური შკალით, ორდინატთა ღერძზე კი – გატარების სიდიდეს $T(\%)$.

ინფრაწითელი სპექტრების გადასაღებად ნიმუშებს ამზადებენ შემდეგი მეთოდით.

1)მყარი ნივთიერებებისათვის.

ა) **პასტები:** 10-20 მგ მყარ ნივთიერებას გულმოდგინედ შეურევენ 1-2 წვეთ იმერსიულ სითხეს (ვაზელინის ზეთი, პოლიფტორნახშირწყალბადები,ჰექსაქლორბუთადიენი და სხვა), მომზადებულ პასტას ათავსებენ NaCl- ის (ან KBr - ის) ფირფიტებს შორის.

ბ) **ფირფიტები KBr-ით;** მყარი ნივთიერების წონაკს (1-3 მგ) ვიბრაციულ წისქვილში ან როდინში ურევენ სპექტროსკოპულად სუფთა კალიუმის ბრომიდთან (150 – 200 მგ) და ნარევს წნეხავენ 7,5 – 10 ტ/სმ^2 წნევის პირობებში 2-5 წუთით 2-3მმ ვ.წ.სვ. ვაკუუმის ქვეშ. მიღებული ნიმუშის სპექტრს იღებენ ჰაერის ან დისკის მიმართ რომელიც მომზადებულია ხელსაწყოს მეორე არხში.

2) თხევადი ნივთიერებისათვის.სითხის თხელ აფსკს ათავსებენ NaCL-ის (ან KBr - ის) ფირფიტებს შორის ან იყენებენ მცირე ფენის სისქის მქონე(0,01 – 0,05 მმ) კიუვეტებს. ხელსაწყოს მეორე არხში ათავსებენ NaCl–ის (ან KBr-ის) სუფთა ფირფიტას გაორმაგებული სისქით ან შესაბამის ცარიელ კიუვეტებს.

3) ხსნარები.შესაბამის ორგანულ გამხსნელში გახსნილ საკვლევ ნიმუშს (ძირითადად გამოიყენება თხევადი ან მყარი 0,5 – 1,0% კონცენტრაციები) ათავსებენ 0,1-1მმ ფენის სისქის კიუვეტში. ხსნარის სპექტრს გადაიღებენ სუფთა გამხსნელის მიმართ. გამხსნელის სახით უმეტესად იყენებენ ოთხქლორნახშირბადს და ქლოროფორმს.

ნივთიერებათა აგებულების გამოსაკვლევად (შესასწავლად) ინფრაწითელ სპექტრების გამოყენება დაფუძნებულია ძირითადად დამახასიათებელი შთანთქმის ზოლების გამოყენებაზე (ხაზები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციური ჯგუფების რხევაზე ან მის მოლეკულაში) ასეთ დამახასიათებელ შთანთქმის ზოლებს ქმნიან ჯგუფები **–OH, - NH_2, NO_2, =C=O, -C ≡ N** და სხვა.

სამკურნალო ნივთიერებათა იდენტიფიკაცია შეიძლება საკვლევი ნივთიერების ინფრაწითელი სპექტრის შედარებით მისი სტანდარტული ნიმუშის ანალოგიურ სპექტრთან ან მის სტანდარტულ სპექტრთან. პირველ შემთხვევაში ინფრაწითელი სპექტრებს გადაიღებენ ერთ და იმავე ხელსაწყოზე ერთნაირ პირობებში (ნიმუშის აგრეგატული მდგომარეობა, ნივთიერების კონცენტრაცია, რეგისტრაციის სიჩქარე და სხვა). მეორე შემთხვევაში სტანდარტული სპექტრისათვის და სხვა).

უმთავრესად იყენებენ კალიუმის ბრომიდის ტაბლეტებში ან საცხებზე (სუსპენზიები) – ვაზელინის ზეთში გადაღებულ ინფრაწითელ სპექტრებს.

ინფრაწითელი სპექტრის შედარება რეკომენდებულია დაიწყოს დამახასიათებელი უბნების ანალიზით, რომელიც უმთავრესად კარგად მეორდება სპექტრებზე და მხოლოდ მათი დამთხვევის შემთხვევაში შეაპირისპირებენ დაბალსიხშირიან უბნებს.

დაბალსიხშირიანი ინტერვალისათვის 1350-400სმ$^{-1}$ დამახასიათებელია ზოლების სპეციფიკური ნაკრები, რომელსაც უწოდებენ „თითების ანაბეჭდების" უბანს.

ინფრაწითელ სპექტრებში შთანთქმის უბნების სრული დამთხვევა მიგვანიშნებს ნივთიერებათა იდენტურობაზე. ერთი და იმავე ნივთიერების პოლიმორფულმა მოდიფიკაციებმა შეიძლება

მოგვცეს სხვადასხვა სპექტრები. ამ შემთხვევაში იდენტურობის შესამოწმებლად ადარებენ მათი ხსნარების სპექტრებს ან ხსნიან თითოეულ ნივთიერებას ერთსა და იმავე გამხსნელში, აორთქლებენ გამხსნელს და ადარებენ მყარი ნაშთის სპექტრებს.

შთანთქმის უბნებთან ერთად ნივთიერებათა არსებითი მახასიათებელი არის შთანთქმის ზოლის ინტენსიურობა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ სპექტრებში შთანთქმის მაჩვენებლის (χ) სიდიდით ან შთანთქმის ინტეგრალური ინტენსიურობის (**A**) სიდიდით, რომელიც შთანთქმის მრუდის თანმხლები ფართის ტოლია. შთანთქმის ინტენსიურობების გამოყენება შეიძლება ნივთიერების აგებულების დასადგენად და რაოდენობრივი ანალიზისათვის.

კ ო ლ ო რ ი მ ე ტ რ ი ა

კოლორიმეტრიული მეთოდი დაფუძნებულია მარტივი ხელსაწყოების საშუალებით სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარების შეფერილობის ინტენსიურობის ვიზუალურ შედარებაზე. ეს ხელსაწყოებია: კოლორიმეტრიული სინჯარები, ცილინდრები ონკანებითურთ, კოლორიმეტრები და ფოტომეტრები. კოლორიმეტრიაარ მოითხოვს ბერის კანონის დაცვას. გაზომვას აწარმოებენ შემდეგნაირად:

ა) შეფერილ ნიმუშს და სტანდარტს განაზავებენ ერთნაირი დიამეტრის ჭურჭელში მათი შეფერილობის დამთხვევამდე (გატოლების მეთოდი).

ბ) საკვლევი შეფერილი ხსნარის ფერს ადარებენ იმ ხსნარს, რომელიც შეიცავს ყველა ნივთიერებას საანალიზო ნივთიერების გარდა, მას უმატებენ ამ ნივთიერების ცნობილი კონცენტრაციის ხსნარს (კოლორიმეტრიული ტიტრა).

გ) ამზადებენ სხვადასხვა კონცენტრაციის ნივთიერებებით სტანდარტების კრებულს და შეარჩევენ ნიმუშის ერთ-ერთ სტანდარტთან თანხვედრას (სტანდარტთა სერიების მეთოდი).

ფ ო ტ ო კ ო ლ ო რ ი მ ე ტ რ ი ა

ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდი დაფუძნებულია საკვლევი ნივთიერებების მონოქრომატული სინათლის შთანთქმის ხარისხის გაზომვაზე ფოტოკოლორიმეტრის საშუალებით. ფოტოელექტროკოლორიმეტრიული მეთოდით ხსნარების კონცენტრაციის დასახასიათებლად იყენებენ ფორმულას (5).

შთანთქმის მაჩვენებლის (χ) სიდიდეებს განსაზღვრავენ საკვლევი ნივთიერების ცნობილი კონცენტრაციის ხსნარებისათვის წინასწარ განსაზღვრათა სერიის მიხედვით.

თუ $\overline{C}$ და D-ს შორის არ არის სწორხაზოვანი დამოკიდებულება, C-ს განსაზღვრისათვის უმჯობესია, ყოველი განსასაზღვრავი ნივთიერებისათვის ცალკე აგებული საკალიბრო გრაფიკის გამოყენება.

უმეტესად გავრცელებულია ფოტოელექტროკოლორიმეტრების ორი პრინციპული სქემა:

1) პირდაპირი ქმედების სქემა ერთი ფოტოელემენტით, რომელიც ითვალისწინებს ოპტიკური სიმკვრივის გაზომვას გალვანომეტრით რეგისტრირებული ფოტოდენის ძალის მიხედვით.

2) ორი ფოტოელემენტიანი დიფერენციული სქემა, რომელიც გათვლილია საკვლევ და ნულოვან ხსნარებში გამავალი სინათლის კონების ორ სხვადასხვა ფოტოელემენტზე მოხვედრაზე. ფოტოდენებს ათანაბრებენ პოტენციომეტრის (ელექტრული კომპენსაცია) ან ერთ – ერთი სინათლის კონის ინტენსიურობის შემასუსტებელი დიაფრაგმით (ოპტიკური კომპენსაცია).

პოტენციომეტრის ან დიაფრაგმის შკალაზე აითვლიან ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოდენების ტოლობის მომენტში, როცა არეგისტრირებელი გალვანომეტრის ისარი ნულზე იმყოფება.

ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდების ფარდობითი ცდომილება უმეტესად არ აჭარბებს 3%-ს, კოლორიმეტრიულის – 5%.

დიფერენციული სპექტროფოტომეტრია და ფოტოკოლორიმეტრია

ანალიზის დიფერენციულ მეთოდს იყენებენ ფოტოკოლორიმეტრიული გაზომვების სიზუსტის გასაზრდელად ნივთიერებათა მაღალი კონცენტრაციის (10 დან 100% – მდე) დროს. მეთოდის არსი მდგომარეობს საანალიზო ხსნარის მიერ შთანთქმული სინათლის გაზომვაში შესადარებელი ხსნარის მიერ ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს განსაზღვრული რაოდენობის საკვლევ ნივთიერებებს; ამას მივყავართ ხელსაწყოს შკალის სამუშაო უბნის შეცვლამდე და ანალიზის ფარდობითი შეცდომის 0,5 – 1%-მდე შემცირებამდე.

თუ განვიხილავთ ერთნაირი ინტენსიობის სინათლის სხივების გავლას სამ კიუვეტში, რომლებშიც მოთავსებულია გამხსნელი C_0 და საკვლევი ნივთიერებები C_1 და C_2, (სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები) ამასთან $C_1 < C_2$, მაშინ სინათლის ინტენსივობა C_1 კონცენტრაციის ხსნარების მიმართ შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$J_1 = J_0 \cdot 10^{-kbc_1} \quad (9)$$

ხოლო ხსნარისათვის, კონცენტრაციის C_2:

$$J_2 = J_0 \cdot 10^{-kbc_2}, \quad (10)$$

C_1 და C_2 კონცენტრაციის ხსნარებში გამავალი სინათლის ინტენსივობის დამოკიდებულება, რომელსაც "ფარდობით გამტარობას" უწოდებენ ტოლი იქნება:

$$\frac{J_2}{J_1} = \frac{J_0 \cdot 10^{-kbc_2}}{J_0 \cdot 10^{-kbc_1}} = 10^{-kb(C_2 - C_1)} = 10^{-kb\Delta c} \quad (11)$$

$$\lg \frac{J_1}{J_2} = D = kb\Delta c \quad (12)$$

ფარდობითი გამტარობა განისაზღვრება საანალიზო ხსნარებში (ΔC)ნივთიერებათა კონცენტრაციების სხვაობით.

ნივთიერებათა ოპტიმალური პირობების შერჩევა ხდება სხვადასხვა მეთოდით: მათგან ყველაზე მარტივია –საკალიბრო გრაფი-

კების სერიათა წინასწარი აგება. შესადარებელ ხსნარებში პრეპარატების კონცენტრაციას შეარჩევენ ისე, რომ ოპტიკური სიმკვრივე ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს 0,2-0,4-ით. ყოველ აგებულ გრაფიკზე ადგენენ ფარდობითი ცდომილების სიდიდეს, რისთვისაც იყენებენ 0,4–0,5 ფარდობითი ოპტიკური სიმკვრივის საანალიზო ხსნარებს. ოპტიმალურად მიიჩნევენ შესადარებელი და საანალიზო ხსნარების იმ კონცენტრაციებს, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა უმცირესი ფარდობითი ცდომილება.

ანალიზისათვის ამზადებენ შესადარ ხსნარს საკვლევი ნივთიერების ცნობილი რაოდენობით; შესადარი ხსნარებით შევსებული ორი კიუვეტის მეშვეობით ხელსაწყოს ოპტიკური სიმკვრივის შკალას აყენებენ ნულზე. შემდეგ ერთ-ერთ კიუვეტს შეავსებენ საანალიზო ხსნარით და ზომავენ ოპტიკურ სიმკვრივეს შესადარი ხსნარის მიმართ. სპექტროფოტომეტრში სინათლის ნაკადის ინტენსივობას არეგულირებენ მხოლოდ ნაპრალის სისქით, ფოტოკოლორიმეტრზე– სინათლის ზოლით.

საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციას პოულობენ საკალიბრო გრაფიკზე, ან გამოითვლიან ფორმულით:

$$C_x = C_0 + D_x \cdot \overline{F} \quad (13)$$

სადაც C_0–შესადარ ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციაა; D_x საანალიზო ხსნარის ფარდობითი ოპტიკური $\overline{F} - F$ სიმკვრივეა; ფაქტორის საშუალო მნიშვნელობაა, რომელიც გამოთვლილია რამდენიმე სტანდარტული ხსნარიდან და წარმოადგენს ორი სტანდარტული ხსნარის კონცენტრაციათა სხვაობის ფარდობას ფარდობითი ოპტიკური სიმკვრივის სიდიდესთან.

ემისიური და ატომურ – აბსორბციული ალიანი სპექტრომეტრია

ემისიური და ატომურ – აბსორბციული ალიანი სპექტრომეტრია გამოიყენება სხვადასხვა ობიექტებში ქიმიური ელემენტების რაოდენობრივი და თვისობრივი განსაზღვრისათვის: (სამკურ-

ნალო საშუალებებში, რეაქტივებში, წყალში, ბიოლოგიურ სითხეებში და სხვა).

ემისიურ ალიან სპექტრომეტრიას საფუძვლად უდევს განსაზღვრავი ელემენტების აღგზნებული ატომების ან მოლეკულების გამოსხივების სპექტრების გამოყენება. ალში ატომური ღრუბლის შექმნისას ზოგი ატომი აღიგზნება და გადადის უფრო მაღალ ენერგეტიკულ დონეებზე. როდესაც ეს ატომები უბრუნდება ქვედა (ძირითად) ენერგეტიკულ დონეებს, მაშინ ენერგია თავისუფლდება.

ემისიური ალიანი სპექტრომეტრიის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: საანალიზო ხსნარი განიბნევა აეროზოლის სახით სანათურის ალში, რომელიც მუშაობს ცხელ აირზე. ალის ტემპერატურის ზემოქმედებისას ადგილი აქვს მთელ რიგ რთულ ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს, როგორიცაა: აეროზოლის წვეთებიდან გამხსნელის აორთქლება, მყარი ნაწილაკების აორთქლება, მოლეკულების დისოციაცია, ატომების აღგზნება და ატომების დამახასიათებელი გამოსხივების წარმოქმნა.

განსასაზღვრავი ელემენტის გამოსხივება სინათლის ფილტრის ან მონოქრომატორის მეშვეობით გამოიყოფა, ხვდება ფოტოელემენტზე და იწვევს ფოტოდენს, რომელსაც საზღვრავენ გალვანომეტრის, ელექტრონული პოტენციომეტრის და სხვა ხელსაწყოების საშუალებით.

ემისიური ალიანი სპექტრომეტრიით ელემენტის რაოდენობრივი განსაზღვრა დაფუძნებულია სპექტრული ხაზის ინტენსივობის (*J*) და ელემენტის კონცენტრაციის (*C*) ფუნქციურ დამოკიდებულებაზე.

J და *C*-ს შორის პირდაპირპროპორციულობას ადგილი აქვს მოცემული ელემენტის მხოლოდ განსაზღვრული კონცენტრაციის ფარგლებში, ამასთან *J*-ს *C*-ზე წრფივი დამოკიდებულება შეიძლება დაარღვიოს თვითშთანქმამ, იონიზაციამ, აირწარმომქმნელი და ალში ძნელადდისოცირებადი ნაერთების წარმოქმნამ.

ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრიის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ღრუ კათოდიანი ნათურის რეზონანსული გამოსხივება გადის ალში, რომელშიც განიბნევა სინჯის საანალიზო

ხსნარი. გამოსხივება ხვდება მონოქრომატორში შემავალ ნაპრალზე, რომელიც დაყენებულია ისე, რომ სპექტრიდან გამოიყოფა განსასაზღვრავი ელემენტის მხოლოდ რეზონანსული ხაზი; განსასაზღვრავი ელემენტის ინტენსივობა იზომება ფოტოელექტრული მეთოდით. ზომავენ განსასაზღვრავი ელემენტის ატომების მიერ შთანთქმით გამოწვეული რეზონანსული ხაზის შემცირების სიდიდეს. შესუსტებული ხაზის ინტენსივობას მიიჩნევენ 100%-ად. რეზონანსული გამოსხივების შთანთქმის სიდიდე მშთანთქმელ ფენაში მყოფი ატომების რიცხვის პროპორციულია. სინათლის წყაროს *(I)* გამოსხივების ინტენსივობის შესუსტებასა და ნივთიერების კონცენტრაციას (C) შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს შემდეგი ტოლობით:

$$I = I_0 \ell^{-kc\ell}$$

სადაც, I_0–რეზონანსული გამოსხივების ინტენსივობაა; I–მშთანთქმელ ფენაში გასული გამოსხივების ინტენსივობა, *k*–შთანთქმის ხაზის ცენტრში სინათლის ℓშთანთქმის კოეფიციენტი; c – მშთანთქმელი კომპონენტის კონცენტრაცია; ℓ – მშთანთქმელი ფენის სისქე.

ატომურ-აბსორბციული ალიანი სპექტრომეტრიული მეთოდით განსაზღვრისას ცდომილება შეიძლება გამოიწვიოს: ალის ტემპერატურაზე საკვლევი ატომების იონიზაციამ, სინათლის არასელექციურმა შთანთქმამ და სხვა ფაქტორებმა.

აღგზნებული ატომების რიცხვი იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად.

ფოტომეტრულ მეთოდებში გამოიყენება ძირითადად შემდეგი აირთა ნარევების ალი:

აირთა ნარევის შემადგენლობა	*ტემპერატურა* ^0C
მანათობელი აირი + ჰაერი	1840
აცეტილენი + ჰაერი	2250
აცეტილენი + ჟანგბადი	3050
წყალბადი + ჟანგბადი	2680

აცეტილენი + აზოტის ქვეჟანგი 2955

განსაზღვრის მგრძნობელობა შეიძლება გაიზარდოს უფრო ცხელი ალის ან სინჯის ატომიზაციის უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენებით, მაგალითად ლაზერის, გრაფიკული კიუვეტების ხმარებისას.

განსასაზღვრავი ელემენტების სპექტრული ხაზების გამოსხივების ინტენსივობის გაზომვა შეიძლება ალიან ფოტომეტრებზე, ხოლო რეზონანსული ხაზების შთანთქმა შეიძლება გაიზომოს ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრებზე.

მარეგისტრირებელ სისტემად იყენებენ ვოლტმეტრებსა და პოტენციომეტრებს, რომლებიც აღჭურვილია ციფრული ან საბეჭდი მოწყობილობებით. ალიანი ფოტომეტრიისა და ატომური აბსორბციის მეთოდების სიზუსტე, ნივთიერების კონცენტრაციის მიხედვით, შეადგენს 1-4%–ს, მგრძნობელობა განისაზღვრება საანალიზო ხაზის თავისებურებებით, სინჯის შემადგენლობით, აპარატურის ხარისხის კლასით (მგრძნობელობამ შეიძლება მიაღწიოს 0,001 მკგ/მლ).

რეაქტივები და ეთალონური ხსნარები: წყალი უნდა იყოს გამოხდილი და უშუალოდ გამოყენების წინ დეიონიზირებული.

ქვემოთ მოყვანილია მარილთა ხსნარები, რომელთა კათიონები აღნიშნულია ელემენტთა სახელწოდებით:

კალციუმი: 1,001 გ კალციუმის კარბონატს, რომელიც 105°C-ზეგამომშრალია მუდმივ წონამდე, ხსნიან 25 მლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარში (1 მოლ/ლ) და ხსნარის მოცულობას წყლით შეაესებენ 1000 მლ-მდე. კალციუმის ხსნარი შეიცავს 400 მკგ Ca-ის იონებს 1 მლ-ში.

ხსნარის ვარგისიანობის ვადაა 1 თვე, ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

კალიუმი: 1,1440გ კალიუმის ქლორიდს, რომელიც 105°C- ზე გამომშრალია მუდმივ წონამდე, ხსნიან მცირე რაოდენობა წყალში და ხსნარის მოცულობას წყლით შეაესებენ 1000 მლ-მდე. კალიუმის ხსნარი შეიცავს 600 მკგ K-ის იონებს 1 მლ-ში.

ხსნარის ვარგისობის ვადაა 2 თვე, ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

თუთია. 2,5გ გრანულირებულ თუთიას ხსნიან 20 მლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარში (5 მოლ/ლ) და ხსნარის მოცულობას შეაესებენ წყლით 500 მლ-მდე. თუთიის ხსნარი შეიცავს 5 მგ Z_n-ის იონებს 1 მლ-ში.

ხსნარის ვარგისობის ვადაა 2 თვე, ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

ტყვია. 1,1600გ ტყვიის ნიტრატს ხსნიან 5 მლ აზოტმჟავას ხსნარში (1მოლ/ლ) და ხსნარის მოცულობას შეავსებენ წყლით 1000 მლ-მდე. ტყვიის ხსნარი შეიცავს 100 მგ Pb-ის იონებს 1 მლ-ში.

ხსნარის ვარგისობის ვადაა 1 თვე, ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

სპილენძი. 1,000გ ელექტროლიზურ სპილენძს ხსნიან მცირე რაოდენობა 50% აზოტმჟავაში და ხსნარის მოცულობა 1% აზოტმჟავით მიჰყავთ 1000 მლ-მდე. სპილენძის ხსნარი შეიცავს 1 მგ C_u-ის იონებს 1 მლ-ში.

ხსნარის ვარგისობის ვადაა 1 თვე, ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

ეთალონურ ხსნარში ქიმიური ელემენტის შენაერთის რაოდენობას (X) გრამებში გამოითვლიან ფორმულით:

$$X = ab \cdot \frac{M}{n \cdot A}$$

სადაც *a*- ხსნარში შესატანი ელემენტის მასაა (გრამებში) 1გ მ³ხა ეთალონურ ხსნარზე; *b*- მზა ეთალონური ხსნარის მასაა გრამებში; *M*-შენაერთის მოლეკულური მასაა, რომელშიც შედის ეთალონურ ხსნარში შესატანი ელემენტი; *n*- შესატანი ელემენტის ატომების რიცხვი ეთალონური ხსნარის მოსამზადებლად გამოყენებულ შენაერთში; *A*-ეთალონურ ხსნარში შესატანი ელემენტის ატომური მასა.

ეთალონურ, ასევე მათ ფუძეზე მომზადებულ სამუშაო ხსნარებს ინახავენ გამლღვალი კვარცის, სუფთა პოლიეთილენის ან ტეფლონის ჭურჭელში. ჭიქები და ტიგელები უნდა იყოს კვარცისაგან დამზადებული.

ფ ლ უ ო რ ი მ ე ტ რ ი ა

ფლუორიმეტრია – ფლუორიმეტრია ანალიზის მეთოდია, რომელიც დაფუძნებულია საკვლევი ნივთიერების ფლუორესცენციის ინტენსივობის გაზომვაზე. ფლუორესცენციის ინტენსივობა განზავებულ ხსნარებში შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ტოლობით:

$$F = J_0 \cdot 2{,}3 \cdot \varepsilon c b \varphi$$

სადაც, F – ფლუორესცენციის საერთო ინტენსივობაა, კვანტ/c; J_0 –აღგზნები სინათლის ინტენსივობა, კვანტ/c; c – ხსნარის კონცენტრაცია, მოლ/ლ; ε – შთანთქმის მოლური კოეფიციენტი; b– ფენის სისქე სმ; φ –ფლუორესცენციის კვანტური გამოსავალი, რომელიც დამოკიდებულია ნივთიერების ბუნებაზე.

ეს ტოლობა შეიძლება გამოყენებული იქნას ხსნარებისათვის, რომელთა ოპტიკური სიმკვრივე D აღგზნების ტალღის სიგრძე არ აღემატება 0,05 (როცა D=0,05, ფლუორესცენციის ინტენსივობის განსაზღვრის ცდომილება არის დაახლოებით 5%).

პრაქტიკულად ფლუორესცენციას განსაზღვრავენ ხსნარებში, რომელთა კონცენტრაციაა 10^{-5}-10^{-6} მოლ/ლ ან ნაკლები, როცა ფლუორესცენციის ინტენსივობასა და ნივთიერების კონცენტრაციას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა. უფრო მაღალი კონცენტრაციის დროს სწორხაზოვანი დამოკიდებულება ირღვევა, და შეინიშნება ფლუორესცენციის კონცენტრაციული ჩაქრობა.

ფლუორესცენციის ინტენსივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღმგზნები სინათლის ტალღის სიგრძეზე, საკვლევი ხსნარის pH-ის მნიშვნელობაზე, გამხსნელის ბუნებაზე და ხსნარში უცხო ნივთიერებების არსებობაზე, რომლებიც ნაწილობრივ შთანთქავს აღმგზნები ენერგიის ნაწილს (ეკრანული ეფექტი). ამრიგად, ხარისუმის ქლორიდის დამატება ამცირებს ქინაქინის ფლუორესცენციას, ფენოლურიან ჰიდროქსილურჯგუფებიანი ნივთიერებების მიმატება აქრობს რიბოფლავინის ფლუორესცენციას, ნატრიუმის ჰიდროქსიდის მიმატება – ფტერინების ფლუორესცენციას და სხვა.

ფლუორესცენციული გამოკვლევისას ხშირად მთავარია ტემპერატურის რეგულირება და ჟანგბადის მოცილება, რამდენადაც ისიცი ფლუორესცენციის ძლიერი ჩამქრობი ფაქტორებია. სტანდარტული და საკვლევი ნიმუშების ერთდროული განსაზღვრისას აუცილებელი არ არის თერმოსტატირება და ჟანგბადის განდევნა, მაგრამ უნდა ჩატარდეს საკმაოდ ჩქარა, რომ არ მოხდეს გამოსხივების წყაროსთან ნიმუშის გაცხელება.

ფლუორესცენციის სპექტრი შთანთქმის სპექტრთან შედარებით უფრო გრძელტალღიან უბანშია (50-100 ნმ-ზე)დაიძლევა გამოსხივების ფართო ზოლებს 100-დან 200 ნმ-ის ფარგლებში.

ფლუორესცენციის სპექტრის ბუნება, ასევე გამოსხივებული სინათლის ფერი სპეციფიკურია ფლუორესცირებადი ნივთიერებისათვის (ფლუოროქრომი), ამიტომ ფლუორესცენცია შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ანალიზისათვის.

ფლუორიმეტრიული ანალიზისათვის იყენებენ სპექტრო-ფლუორიმეტრებს, რომელთა მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: სინათლე სინდიყ-კვარცის ნათურიდან პირველადი სინათლის ფილტრისა და კონდენსორის გაელით მოხვდება კიუვეტზე, რომელშიც საკვლევი ნივთიერების ხსნარია მოთავსებული; ეს უკანასკნელი იწყებს ფლუორესცირებას. აღგზნებული სინათლის კვანტები გაივლის მეორად სინათლის ფილტრებში და მოხვდება ფოტოელემენტზე, რომელიც მიერთებულია მგრძნობიარე გალვანომეტრთან. ამ უკანასკნელზე კი აღინიშნება ფოტოელემენტზე მოხვედრილი სინათლის რაოდენობა. რაოდენობრივი ანალიზისას შესადარი ხსნარის სახით იყენებენ ცნობილი კონცენტრაციის

ფლუორესცირებადი ნივთიერების სტანდარტული ნიმუშის ხსნარს გაანგარიშებას ახდენენ შემდეგი ფორმულით:

$$X = \frac{(n_1 - n_2) \cdot c}{n - n_2}$$

სადაც n_1-n_2–საკვლევი ხსნარისათვის სპექტროფოტომეტრის ჩვენებას გამოკლებული საკონტროლო ცდისათვის სპექტროფოტომეტრის ჩვენებაა; n-n_2– იგივეა მხოლოდ სტანდარტული ნიმუშისათვის; c – სტანდარტული ნიმუშის ხსნარის კონცენტრაციაა შერჩეული ათვლის სისტემის მიხედვით.

ანგარიშობენ საკალიბრო გრაფიკების ან სტანდარტული ხსნარების შკალათა საშუალებით.

ვინაიდან ფლუორესცენციის ინტენსივობა ნივთიერების კონცენტრაციის პროპორციული ძირითადად ვიწრო უბანშია, თანაფარდობა n_1-n_2 /n-n_2 უნდა იყოს არა 0,4-2,5-ის ფარგლებში

მეთოდის ფარდობითი ცდომილებაა – არა უმეტეს 5%.

ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპია

ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპია – ფიზიკური მეთოდია, რომელიც დაფუძნებულია მუდმივ მაგნიტურ ველში მოთავსებული მოლეკულების ბირთვულ-მაგნიტურ ენერგეტიკულ დონეებზე რადიოსიხშირის ველით ინდუცირებულ გადასვლათა რეგისტრაციაზე. ბირთვულ-მაგნიტურ დონეებს შორის გადასვლები შესაძლებელია იმ ბირთვებისათვის, რომელთაც აქვთ მაგნიტური მომენტი ანუ სპინური ქვანტური რიცხვი 1, რომელიც არ უდრის 0-ს. ასეთი თვისებები აქვს ^1H, ^{13}C, ^{19}F, ^{31}P ბირთვებს, რომელთათვისაც $I = ½$ და სხვა.

ენერგეტიკულ დონეებს შორის გადასვლათა სიგნალების ერთობლიობა წარმოადგენს ბირთვულ-მაგნიტურირეზონანსისსპექტრს.

ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის თითოეული ცალკეული სპექტრი რეგისტრირდება ბირთვის ერთი ტიპისათვის და ამდენად სპეციფიურია თითოეული ნივთიერებისათვის. ორგანული სამკურნალო ნივთიერებების გამოკვლევისათვის უმეტესად იყენებენ პრო-

ტონური რეზონანსის სპექტროსკოპიას და ბირთვულმაგნიტური ^{13}C რეზონანსის სპექტროსკოპიას.

ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) სპექტრის ძირითადი მახასიათებლებია: ქიმიური წანაცვლება, სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტა და რეზონანსის სიგნალის ფართობი.

ქიმიური წანაცვლება (δ) განსაზღვრავს რეზონანსის სიგნალის მდებარეობას ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტრში და დამოკიდებულია მოცემული ბირთვის ან ბირთვთა ჯგუფების ქიმიურ შემომსაზღვრელებზე. ქიმიური წანაცვლება გამოისახება მილიონედ ნაწილებში და იზომება საანალიზო ხსნარზე დამატებული (1%-ზე ნაკლები) ეთალონური შენაერთის (ქიმიური წანაცვლების გაზომვის ეთალონი) რეზონანსის სიგნალის მიმართ. ტეტრონური ხსნარის სახით იყენებენ ტეტრამეთილსილანს (TMC), რომლის ^1H და ^{13}C სიგნალების ქიმიური წანაცვლება მიღებულია ათვლის საწყისად, $\delta_{TMS}(^1H,^{13}C)=0,00$(δ–ქიმიური წანაცვლების შკალაა). წყლიანი ხსნარებისათვის ბმრ ^1H ქიმიური წანაცვლების გასაზომად ეთალონის სახით იყენებენ 2,3 - დიმეთილ – 2 – სილაპენტან – 5 – სულფონატ ნატრიუმს, რომლის მეთილის პროტონების ქიმიური წანაცვლებაა $\delta_{TMC}(^1H)= 0,015$, ხოლო ბმრ ^{13}C წანაცვლების გასაზომად – დიოქსანს, $\delta(^{13}C)=67,4$. ქიმიური წანაცვლებები შეიძლება გაიზომოს სხვა ეთალონების რეზონანსის სიგნალების მიმართაც და გადაითვალოს შკალაზე ფორმულით:

$$\delta = \delta_x + \delta_{st}$$

სადაც **δ**–საანალიზო ნივთიერების სიგნალის ქიმიური წანაცვლებაა **δ**-შკალაზე; δ_x - საანალიზო ნივთიერების სიგნალის ქიმიური წანაცვლებაა გამოყენებული ეთალონის სიგნალის მიმართ; δ_{st} -ეთალონის სიგნალის ქიმიური წანაცვლებაა**δ**-შკალაზე.

ორგანულ ნივთიერებათა უმრავლესობისათვის პროტონულ მაგნიტური (ბმრ) სიგნალები რეგისტრირდება δ=0,0-დან, δ=14,0–მდე დიაპაზონში. ქიმიური წანაცვლების მნიშვნელობას ათვლიან აბსცისთა ღერძზე მარჯვნიდან მარცხნივ.

სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტა (J). გამოისახება ჰერცებში და განისაზღვრება პირველი რიგის სპექტრების კომპონენტებს შორის მანძილით. უმაღლესი რიგის სპექტრებში სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტის განსაზღვრა რიგ შემთხვევებში ძნელია და მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას. სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტების მნიშვნელობა დამოკიდებულია ძირითადად შემცველელების ელექტროუარყოფითობაზე და ურთიერთქმედი ბირთვების ჯგუფების ურთიერთსივრცით განლაგებაზე, კერძოდ ქიმიური ბმების რიცხვზე. რგანული ნივთიერებათა უმრავლესობისათვის პროტონ-პროტონული სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტებს აქვთ 0 დან 16 ჰერცამდე მნიშვნელობა.

რეზონანსული სიგნალის ფართობი (s). ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტრის რეზონანსის სიგნალის ფართობი პროპორციულია ბირთვების რიცხვისა, რომლებიც განაპირობებენ მოცემულ სიგნალს. პროტონ - მაგნიტური სპექტრის სიგნალების ფართობებს იყენებენ მოლეკულების შესაბამის ჯგუფებში პროტონების რიცხვის განსაზღვრისათვის, საანალიზო შენაერთის ან მინარევების კონცენტრაციების გასაზომად.

რადიოაქტივობა

რადიოაქტივობა არასტაბილური, ცვალებადი, ქიმიური ელემენტის ატომგულის უნარია, თავისუფლად გარდაიქმნას სხვა, უცვლელ სტაბილურ ატომგულად. ატომგულის ასეთ გარდაქმნას რადიოაქტიული გარდაქმნა ეწოდება, ხოლო თვით ატომს რადიოაქტიური ანუ რადიოიზოტოპი.

რადიოაქტიური პრეპარატი გამოყენებულია მედიცინაში სხვადასხვა დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. ისინი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საჭიროებენ, რათა გამოკვლევისას სწორი შედეგები მივიღოთ და ამასთან მინიმუმამდე დავიყვანოთ პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის საფრთხე.

რადიოიზოტოპებთან ყველა სამუშაო უნდა ტარდებოდეს შესაბამისი სანიტარული წესების დაცვით; პერსონალი, რომელიც

მუშაობს რადიოაქტიურ ნივთიერებებთან, ამისათვის სპეციალურად მომზადებული.

რადიოაქტიური და რადიოფარმაცევტული პრეპარატი გამოსაყენებლად მიეწოდება დაწესებულებებს, რომელთაც გააჩნიათ აუცილებელი პირობები მათთან სწორი და უსაფრთხო მუშაობისათვის. რადიოაქტიურ ნივთიერებებთან მუშაობის ნებას იძლევა სახელმწიფო კონტროლის და შინაგან საქმეთა ორგანოები.

ტერმინები და განსაზღვრებები

რადიოაქტივობა – ზოგიერთი ნუკლიდების უნარია, სპონტანური გარდაქმნებისას გამოსცეს მაიონიზირებელი გამოსხივება.

ნუკლიდი – ატომების სახეობაა ბირთვში პროტონებისა და ნეიტრონების მოცემული რიცხვით (და შესაბამისად ხასიათდება მისი ატომური ნორმითა და მასური რიცხვით).

რადიონუკლიდი – ნუკლიდია, რომელიც იჩენს რადიოაქტივობას.

იზოტოპები – ნუკლიდებია პროტონების ერთნაირი და ნეიტრონების განსხვავებული რიცხვით.

რადიოიზოტოპები – იზოტოპებია, რომლებიც იჩენენ რადიოაქტივობას.

ბირთვული იზომერი – ნუკლიდია, რომლის ბირთვი იმყოფება განსაზღვრულ (აღგზნებულ) ენერგეტიკულ მდგომარეობაში. ასეთ მდგომარეობას სიცოცხლის ხანგრძლივ დროში უწოდებენ მეტასტაბილურს.

ბირთვული იზომერები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. მაგალითად: ^{99m}Tc, ^{113m}In.

პრეპარატში (ნიმუშში) რადიონუკლიდების აქტივობა – რადიონუკლიდის განსაზღვრული ბირთვულ-ენერგეტიკული მდგომარეობიდან სპონტანური გარდაქმნების dN რიცხვის ფარდობაა იმ დროის ინტერვალთან (dt), რა დროშიც ხდება ეს გარდაქმნები მოცემულ პრეპარატში (ნიმუშში).

$$A = \frac{dN}{dt} \qquad (1)$$

ხვედრითი აქტივობა (Am) – პრეპარატში (ნიმუშში) რადიონუკლიდის აქტივობის დამოკიდებულებაა პრეპარატის (ნიმუშის) ან ელემენტის (ნაერთის) მასასთან.

მოლური აქტივობა (Am ol) - პრეპარატში (ნიმუშში) რადიონუკლიდის აქტივობის დამოკიდებულებაა მასში რადიოაქტიური ნივთიერების (ნაერთის) რაოდენობასთან, გამოხატულია მოლებში.

მოცულობითი აქტივობა (Av) - პრეპარატში (ნიმუშში) რადიონუკლიდის აქტივობის დამოკიდებულებაა პრეპარატის (ნიმუშის) მოცულობასთან.

ნახევრადდაშლის პერიოდი - ნახევრადდაშლის პერიოდს აღნიშნულს $T_{1/2}$-ით, უწოდებენ იმ დროს, რომლის განმავლობაშიც რადიონუკლიდის აქტივობა მცირდება 2-ჯერ.

რადიოაქტიური გახლეჩის მუდმივა - რადიოაქტიური გახლეჩის ძირითადი კანონი აქტივობას (A) აკავშირებს რადიონუკლიდების ატომების რაოდენობასთან (N) ან ბირთვულ იზომერთან თანაფარდობით:

$$A = \lambda N \quad (2)$$

პროპორციულობის კოეფიციენტს λ უწოდებენ „რადიოაქტიური გახლეჩის მუდმივას“. ის დაკავშირებულია ნახევრადდაშლის პერიოდთან თანაფარდობით:

$$\lambda = \frac{\ln 2}{T_{1/2}} \approx \frac{0{,}683}{T_{1/2}} \quad (3)$$

$$A_t = A_0 e^{-\lambda t} = A_0 e^{-\frac{0{,}693t}{T_{1/2}}} \quad (4)$$

სადაც, A_t და A_0 – აქტივობაა შესაბამისად t და 0 დროში.

რადიონუკლიდური ანალიზი – რადიონუკლიდური პრეპარატების და რადიონუკლიდური შემადგენლობის გამოკვლევა სხვადასხვა რადიონუკლიდების აღმოჩენისა და რაოდენობრივი განსაზღვრის მიზნით.

რადიონუკლიდური სისუფთავე – ძირითადი რადიონუკლიდის აქტივობის დამოკიდებულებაა პრეპარატის საერთო აქტივობასთან, გამოსახული პროცენტებში, იგი არ არის პრეპარატის მუდმივი მახასიათებელი და იცვლება დროის განმავლობაში.

რადიონუკლიდური მინარევები – სხვა რადიოაქტიური ნუკლიდების მინარევები (როგორც იმავე, ისე სხვა ელემენტების). ღადიონუკლიდური მინარევების სიდიდეს გამოსახავენ პროცენტებში.

რადიონუკლიდები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი რადიონუკლიდების რადიოაქტიური გახლეჩის შედეგად, არ ითვლებიან რადიონუკლიდურ მინარევებად. მაგალითად: ქსენონ ^{131m}Xe არა განიხილება როგორც ^{131}J –ის რადიონუკლიდური მინარევი.

რადიოქიმიური სისუფთავე – ესაა ძირითადად ქიმიურ სისუფთავეში, (რომელიც შეადგენს პრეპარატს), რადიონუკლიდის აქტივობის დამოკიდებულება პრეპარატში რადიონუკლიდის საერთო აქტივობასთან, გამოსახული პროცენტებში.

რადიოქიმიური მინარევები – ქიმიური ნივთიერების მინარევები (ძირითადი ნივთიერებებისაგან განსხვავებული), რომელიც შეიცავს პრეპარატს, მაგრამ შეიცავს იმავე რადიონუკლიდს. რადიოქიმიური მინარევების სიდიდეს, ანუ მათში შემავალი რადიონუკლიდის აქტივობას გამოსახავენ პროცენტებში.

რადიონუკლიდის პრეპარატი მატარებლის გარეშე – პრეპარატი, რომელიც არ შეიცავს იმ ელემენტის სტაბილურ იზოტოპებს, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული რადიონუკლიდი. ზოგიერ პრეპარატები, რომელთაც უწოდებენ რადიონუკლიდის პრეპარატებს, შეიცავენ იმავე ელემენტს ან მის ქიმიურ ანალოგს უმნიშვნელო რაოდენობით. მათი წყარო შეიძლება გახდეს ბირთვული ბირთვული რეაქციები, ქიმიური ელემენტების მინარევები, რომელთაც შეიცავს ქიმიურ ოპერაციებში გამოყენებული რეაქტივები და სხვა.

რადიოაქტიურ პრეპარატს, რომელშიც არის მოცემული ელემენტის ან ქიმიური ანალოგის, როგორც რადიოაქტიური ისე

სტაბილური იზოტოპები, ეწოდება პრეპარატი მატარებლით (მიხა
რევით).

აქტივობისა და ენერგიის ერთეულები

ერთეულების საერთაშორისო სისტემის (SI) მიხედვით პრეპა
რატში ნუკლიდის აქტივობა გამოისახება გახლეჩის რიცხვით
წმ-ში. აქტივობის ერთეული არის ბეკერელი (ბკ). (ბკ) ნუკლიდის
აქტივობაა, რომელიც ტოლია 1 წმ-ში 1 ბირთვული გარდაქმნისა.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური პრეპარატების აქტივობის გამო
სახატავად გამოიყენება მეგაბეკერელის მბკ და გიგაბეკერელის
გბკ მცირე ათეულები: 1 მბკ = 10^6 ბკ; 1 გბკ = 10^9 ბკ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სანამ ერთეულების
საერთაშორისო სისტემას (SI) შემოიღებდნენ, გამოიყენებოდა
კიური, აქტივობის სპეციალური ერთეული და მისი მოკლე და
წილობრივი ერთეულები.

რადიოფარმაცევტული პრეპარატების მახასიათებლად უფრო
ფართოდ გამოყენებული აქტივობის წილური ერთეულია მილიკი-
ური 1 კი = 3,7 × 10^{10} ბკ; მაიონიზირებელი გამოსხივების ენერგი-
ის საზომი ერთეული საერთაშორისო სისტემაში (SI) არის ჯოული.

ცალკეული ნაწილებისა და ფოტონების ენერგიისათვს გამო-
იყენება ელექტროვოლტის არასისტემური ერთეული და ათეული
ქვანტური ერთეულები. 1 ევ = 1,60219 10^{-19} ჯოული.

გამოსხივებისაგან დაცვა

რადიოაქტიური პრეპარატის სპეციფიკური თვისებები განა-
პირობებს მათი შენახვის, შეფუთვის და ტრანსპორტირების განსა-
კუთრებული პირობების დაცვას, რომელიც მოცემულია ჯანდაცვის
მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციებში.

რადიოაქტიური ნივთიერებები, რომლებსაც არ იყენებენ მუშა-
ობის პროცესში, უნდა ინახებოდეს გამოსხივებისაგან დამცველ
სპეციალურ სათავსოებში. შესაბამისად გათვალისწინებულია ნიშე-
ბი, ჭები, სეიფები, რომლებიც დაცულია ბეტონით, ფოლადის ან

ტყვიის ფილებით. დამცავი საშუალებები ამცირებს გამოსხივების
ინტენსივობას დასაშვებ ზღვრამდე.

ტყვია და რბილ-ბეტა გამომსხივებელ ნივთიერებებს ინახავენ
ბიოლოგიისაგან დაცულ კონტეინერ-პანელებში. ძლიერი ბეტა
გამოსხივებლების შესანახად კონტეინერებს დამატებით უკეთებენ
ტყვიის დამცავ ეკრანს. გამა-გამომსხივებლებს ინახავენ ტყვიის ან
ფოლადის კონტეინერებში. იმავე კონტეინერებით ხდება რადიოაქტი-
ური პრეპარატების ტრანსპორტირება. ღია მდგომარეობაში
მყოფობა შევინახოთ მხოლოდ და მხოლოდ ზუსტად დადგენილი
მცირე ოდენობა რადიოაქტიური პრეპარატები.

რადიოფარმაცევტული პრეპარატების ტრანსპორტირებისას
აუცილებლად უნდა იყოს დაცული ეტიკეტებზე და თანმხლებ დოკუმენ-
ტაციაში მითითებული პირობები (ტემპერატურა, ატმოსფერული
წნევა, მოწოდების ვადები). რადიაციული შეფუთვის დაზიანების
შემთხვევაში, დამცველი კონტეინერის გაუხსნელად კომისიამ უნდა
შეადგინოს აქტი დადგენილი წესის შესაბამისად, აგრეთვე
დაუყოვნებლივ აცნობონ ტვირთის გამომგზავნს და ადგილობრივ
სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს. თუ შემოწმებისას
დადასტურდა რადიოაქტიური ნივთიერებების დანაკლისი, უნდა მიი-
ღოს გადაუდებელი ზომები ამ ნივთიერებების ადგილმდებარეობის
დასადგენად, გამოიკვლიონ დანაკლისის მიზეზები და რადიო-
აქტიური ნივთიერებებით შესაძლო დაბინძურების ადგილები.

რადიონუკლიდების იმიტომობის და აქტივობის განსაზღვრა

თითოეული რადიონუკლიდი და ბირთვული იზომერი ხასიათ-
დება თავისი ნახევარდაშლის პერიოდით და სპეციფიკური, მხო-
ლოდ მისთვის დამახასიათებელი მაიონიზირებელი გამოსხივების
სპექტრით. მათ მიეკუთვნება ალფა, ბეტა, გამა-გამოსხივება,
კონვერსიული და ოჟე-ელექტრონები, რენტგენის სხივები და სხვა.

თითოეული სპექტრის ფორმა და რაოდენობრივი მაჩვენებ-
ლები, აგრეთვე $T_{1/2}$ მნიშვნელობა გამოყენებულია რადიონუკლიდე-
ბის იდენტობის დასადგენად.

რადიონუკლიდური პრეპარატების თვისობრივი და რაოდ
ნობრივი განსაზღვრისათვის გამოყენებულია როგორც ქიმიური დ
ფიზიკურ-ქიმიური, ისე რადიომეტრული ანალიზის მეთოდებ
ღადიომეტრული ანალიზის მეთოდები დაფუძნებულია გამოსხივე
ბული ნაწილაკების თვისებაზე, იმოქმედონ ატომური გარსები
ელექტრონებზე და წარმოქმნან დადებითად და უარყოფითად დამუ
ხტული იონები. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს რადიომეტრულ
ანალიზისათვის გამოყენებულ ხელსაწყოებს (სიონიზაციო კამერე
ბი, გეიგერმიულერის მთვლელი, სცინტილაციური სპექტრომეტრი).

საიონიზაციო კამერა – ხელსაწყოა, რომელშიც ერთ
ელექტროდი დამაგრებულია იზოლატორზე, მეორე ელექტროდის
როლს კი კამერის კედლები ასრულებს. კამერა ავსებულია ინერ
ტული აირით (ჰაზოტი, არგონი), ელექტროდებს შორის შენარ
ჩუნებულია პოტენციალთა სხვაობა 300 ვ-ის სიდიდით. თუ კამე
რასთან მივიტანთ რადიოაქტიურ იზოტოპს, იონიზაციის შედეგად
ელექტროდებს შორის აღიძვრება დენის იმპულსი, რომელიც
რეგისტრირდება ელექტრომაგნიტური ნუმერატორით.

სცინტილაციური სპექტრომეტრები - შედგება სპეციალური
ნივთიერებისაგან, რომელიც შეიცავს ფოსფორს და ნატრიუმის ან
ცეზიუმის იოდიდისაგან დამზადებულ კრისტალს. გამა-გამოსხი
ვების მოქმედებით ხელსაწყოში აღიძვრება ნათება-სცინტილაცია,
რომელიც მოხვდება ფოტოგამამმრავლებელში, გარდაიქმნება
ელექტრულ დენად და შემდეგ ხდება ელექტრული დენის რეგისტ
რაცია. სხვა ხელსაწყოებთან შედარებით, სცინტილაციური სპექტ
რომეტრებით ზუსტად ხდება რადიოაქტიური ნივთიერების იდენტი
ფიკაცია და რაოდენობრივი განსაზღვრა.

პრეპარატში რადიოაქტიური ელემენტების შემცველობის
გამოთვლა საკმაოდ რთულია, ამიტომ რადიოფარმაცევტული პრე
პარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის გამო
ყენებულია იდენტურ პირობებში საკვლევი პრეპარატის და
ნიმუშად მიღებული გამოსხივების წყაროს (ეთალონი) აქტიურობის

[illegible] შედარების მეთოდი. ასე საზღვრავენ პრეპარატების [illegible] ფარდობით აქტივობას ეთალონთან შედარებით.

რადიოფარმაცევტულ პრეპარატების კეთილხარისხოვნების [illegible] დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის რადიოქიმიურ [illegible] ფულობას, რასაც საზღვრავენ ორი მეთოდით: *ქაღალდზე [illegible] ქრომატოგრაფიის და რადიომეტრული ანალიზის შერწყმით.*

პრეპარატი რადიოქიმიურად სუფთად არის მიჩნეული, თუ [illegible] არსებული რადიოაქტიური მინარევები არ იწვევს თანამო [illegible] ცესებს.

რადიონუკლიდების ხვედრითი აქტივობას საზღვრავენ ბეტა [illegible] გამა-გამოსხივების მიხედვით. გამზომი მოწყობილობებისათვის (სიონიზაციო კამერა ან მთვლელი) ჩვენების მიხედვით ადგენენ [illegible] სასურველი სხნარისა და ეთალონის ხვედრით აქტივობას.

ვარგისობის ვადა

რადიოფარმაცევტული პრეპარატების ვარგისობის ვადა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების ერთობლიობით:

1.პრეპარატის შემადგენლობის ქიმიური და რადიოქიმიური სტაბილურობა;

2. დროსთან დაკავშირებით პრეპარატის აქტივობის შემცირება;

3.ძირითადი რადიონუკლიდის დაშლის შედეგად უფრო დიდი [illegible] ხანგრძლივობის პერიოდის მქონე მინარევების ზრდა;

ოპტიკური პრეპარატის ვარგისობის ვადა მოყვანილია [illegible] ფარმაკოპეის შესაბამის კერძო სტატიაში.

შენახვა

რადიოფარმაცევტული პრეპარატი ინახება მოქმედი ინსტრუქციის - *„რადიოაქტიურ ნივთიერებებთან და მაიონიზირებელ გამოსხივებასთან მუშაობის სანიტარული წესები“* მიხედვით. ამ წესებს შეიცავს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. კონკრეტული

პრეპარატის შენახვის წესები მითითებულია ფარმაკოპეის კერძო სტატიაში. შენახვის პირობები უნდა განაპირობებდნენ გამოსხივების ინტენსივობის შემცირებას დასაშვებ ნორმამდე.

ფხვნილის სითეთრის ხარისხის განსაზღვრა

მყარი სუბსტანციების შემთხვევაში, ნიმუშიდან არეკლილი სინათლის სპექტრული დახასიათებიდან გამომდინარე, სითეთრის ხარისხის შეფასება შეიძლება ინსტრუმენტული მეთოდებით. მარტივ შემთხვევაში, სითეთრის ხარისხი შეიძლება შეფასდეს არეკვლის კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც გაზომილია ნიმუშის თეთრი სინათლით განათების დროს (წყარო სპექტრული განაწილებით, რომელიც შეესაბამება A ტიპის წყაროს სპექტრულ განაწილებას), ასევე წითელ ან ცისფერ ფილტრში (გაშვების ეფექტური მაქსიმუმებით შესაბამისად 614 და 459 ნმ-ზე) გამავალი თეთრი სინათლით. სითეთრის ხარისხი შეფერილობის განსაზღვრისას, თეთრი სინათლის არეკვლის კოეფიციენტი (r_s) შეიძლება შეიცვალოს სინათლის არეკვლის კოეფიციენტით, რომელიც გაივლის მწვანე შუქ-ფილტრში გატარების მაქსიმუმებით 522 ნმ-ზე.

არეკვლის კოეფიციენტი წარმოადგენს არეკლილი სინათლის ნაკადის სიდიდის ფარდობას დაცემული სინათლის ნაკადის სიდიდესთან.

არეკვლის კოეფიციენტის გაზომვას ახორციელებენ ლეიკომეტრის ან სპექტრული ფოტომეტრიის ხელსაწყოებზე. სპექტრის 0,85 ხილულ უბანში ეტალონის არეკვლის კოეფიციენტთან, სამკურნალო ნივთიერებების (r) ნიმუშების არეკვლის კოეფიციენტების ფარდობის გაზომვა საშუალებას გვაძლევს გავნსაზღვროთ მათი ფერადი ან ნაცრისფერი ტონის სიჭარბე ან უქონლობა სითეთრის ხარისხის სიდიდის (α) და კაშკაშა სინათლის (β) მიმართ.

სითეთრის ხარისხის სიდიდეს (α) მოყვითალო, კრემისფერი ან ვარდისფერი ტონის სამკურნალო ნივთიერებებისათვის, განსაზღვრავენ როგორც ფარდობას $\frac{r_{459}}{r_{614}}$, ხოლო ცისფერი ტონის

სამკურნალო ნივთიერებებისათვის, როგორც ფარდობას $\frac{r_{614}}{r_{459}}$.

კაშკაშის ხარისხს ახასიათებენ r_{522}-ან r_s სიდიდეებით. (ინდექსში მითითებულია შუქფილტრში გამავალი სინათლის ტალღის მაქსიმუმი).

თეთრი და ნაცრისფერი ტონის მქონე სამკურნალო ნივთიერებებისათვის სიდიდე α თეორიულად უდრის 1. თუ α<1, მაშინ სამკურნალო ნივთიერებას აქვს ტონი. სამკურნალო ნივთიერებებს, რომლებისთვისაც β<0,85 და α არის 0,95-1,00 ინტერვალში აქვთ ნაცრისფერი ტონი.

სამკურნალო ნივთიერებების სითეთრის ზუსტი შეფასება, შეფერილობის და ნაცრისფერი ტონის ინტენსივობის მითითებით, შესაძლებელია არეკვლის აბსოლუტური კოეფიციენტების გამოყენებით (R), რომლებიც განისაზღვრება არეკვლის სპექტროფოტომეტრებით.

შეფერილობის და ნაცრისფერი ტონების ინტენსივობას აფასებს სითეთრის ხარისხის (α′) და კაშკაშის ხარისხის (β′) მიხედვით. სითეთრის ხარისხის სიდიდეს (α′) განსაზღვრავენ მოყვითალო, კრემისფერ ან ვარდისფერი ტონის სამკურნალო ნივთიერებებისათვის, როგორც ფარდობას $\frac{r_{459}}{r_{614}}$, ხოლო ცისფერი ტონის სამკურნალო ნივთიერებებისათვის $\frac{r_{614}}{r_{459}}$ – როგორც ფარდობას. კაშკაშის ხარისხს (β′) ახასიათებენ ხილულ უბანში სამკურნალო ნივთიერებების ნიმუშის არეკვლის მაქსიმალური კოეფიციენტის R_{max} სიდიდით.

ფერადი და ნებისმიერი ტონების ინტენსივობის შეფასება ხდება შესაბამისად ცხრილი 1 ან 2-ის მიხედვით.

ცხრილი №3ფერადი ტონის ინტენსივობის შეფასება სითეთრის ხარისხის α′ მიხედვით

№	მნიშვნელობის ზღვრები α′	ფერადი ტონის ინტენსივობის შეფასება
	1,00-0,96	ტონი არ შეინიშნება
	0,96-0,94	ოდნავ შესამჩნევი ტონი
	0,94-0,90	სუსტი ტონი
	0,90-0,86	მკვეთრი ტონი

მითითება: α′< 0,86 სიდიდისას სამკურნალო ნივთიერება არ უნდა შეფასდეს, როგორც თეთრი.

სითეთრის (α და α′) და სიკაშკაშის ხარისხის (β და β′) მნიშვნელობა წარმოადგენს თეთრი და ტონის მქონე სამკურნალო საშუალებათა ხარისხის ოპტიკურ მახასიათებელს.

განსაზღვრის მეთოდი: სინჯის მომზადება.

სითეთრისა და სიკაშკაშის ხარისხის განსაზღვრა კვლევის მიზნისგან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს ფხვნილის წარმომქმნელ სამკურნალო ნივთიერებათა ნიმუშებზე მათი წინასწარი დამუშავების გარეშე ან ლაბორატორიულ-ელექტრულ წისქვილზე 2 წთ-ის განმავლობაში მათი დაწვრილმანების შემდგომ. გაზომვის ჩასატარებლად, საჭირო სინჯის მასა შეადგენს 2-3 გ.

ცხრილი №4ნაცრისფერი ტონის ინტენსივობის შეფასება სიკაშკაშის ხარისხის β′ მიხედვით

№	მნიშვნელობის ზღვრები β′	ფერადი ტონის ინტენსივობის შეფასება
1	1,00-0,98	ტონი არ შეინიშნება
2	0,98-0,97	ოდნავ შესამჩნევი ტონი
3	0,97-0,95	სუსტი ტონი
4	0,95-0,92	მკვეთრი ტონი

მითითება: როცა β′<0,92 სამკურნალო ნივთიერება არ უნდა შეფასდეს, როგორც თეთრი.

სამკურნალო ნივთიერების ფხვნილს ათავსებენ კიუვეტში და სინჯის მსუბუქი დარტყმით ამკვრივებენ. შემდეგ მინის სარეველით ამ ზედაპირებენ ფხვნილის ზედაპირს. საჭიროების შემთხვევაში კიუვეტის დაიფარებენ უფერო მინას (უმჯობესია კვარცის).

გაზომვა ლეიკომეტრის ტიპის ხელსაწყოებზე. სინჯების არეკვლის კოეფიციენტების გაზომვას ატარებენ ხელსაწყოთა ინსტრუქციების შესაბამისად. ყოველი გაზომვის წინ ხელსაწყოს კალიბრებენ ეტალონზე, რომლის არეკვლის კოეფიციენტი სპექტრის უბანში არის ≈ 0,85. ყოველ გაზომვას იმეორებენ არა ნაკლებ ორჯერ.

არეკვლის კოეფიციენტის გაზომვის შედეგებს წარმოადგენენ ფორმულით არითმეტიკულის $\overline{r_x}$ სახით და გამოითვლიან α–ს მნიშვნელობას. ჩათვლიან, რომ $\beta = r_{\sigma}$ ან $\beta = r_{522}$.

სამკურნალო ნივთიერება	ლეიკომეტრის ჩვენება						α′	β′
	r_{σ}	$\overline{r_{\sigma}}$	r_{459}	$\overline{r_{459}}$	r_{614}	$\overline{r_{614}}$		
ეთაზოლი	92,10	92,20	91,49	91,39	92,87	92,97	0,98	0,92
	92,35		01,28		93,11			
	92,15		91,43		92,93			

რამდენადაც α< 1, ხოლო β< 0,85 ეთაზოლს აქვს ფერადი და ნაცრისფერი ტონი.

გაზომვა სპექტროფოტომეტრზე. არეკვლის კოეფიციენტების გაზომვას ატარებენ სპექტროფოტომეტრის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად შემდეგი თანმიმდევრობით: მარჯვენა და მარცხენა კიუვეტში ათავსებენ ბარიუმის სულფატის სითეთრის ეთალონის კვალიფიკაციით - „არეკვლითი სპექტროფოტომეტრისათვის" და აკალიბრებენ ხელსაწყოს. არეგისტრირებენ საკვლევი სამკურნალო ნივთიერების არეკვლის სპექტრს. მიღებული სპექტროგრამიდან გამომდინარე განსაზღვრავენ მნიშვნელობებს R_{459}, R_{614} და R_{max}.

ყოველ გაზომვას იმეორებენ არა ნაკლებ ორჯერ. არეკვლის კოეფიციენტის გაზომვის შედეგებს წარმოადგენენ საშუალო არით-

მეტიკულის R_{459}, R_{614} და R_{max} სახით. მითითებული არეკვლის კოეფიციენტების მიხედვით გამოითვლიან მნიშვნელობას α′, სიდიდეს β′ მიიჩნევენ R_{max} –ის ტოლად.

სამკურნალო ნივთიერება	სპექტროფოტომეტრის ჩვენება						α′	β′
	R_{459}	$\overline{R_{459}}$	R_{614}	$\overline{R_{614}}$	R_{max}	R_{max}		
ეთაზოლი	0,802	0,800	0,853	0,853	0,980	0,980	0,93	0,98
	0,798		0,853		0,980			

მოძებნილი მნიშვნელობა α′ არის 0,94-0,90 ზღვრებში, შესაბამისად, ნიმუშს აქვს სუსტი შეფერილი ტონი *(იხ ცხრილი 1)* მოძებნილი მნიშვნელობა β′ არის 0,98 ე.ი. ნიმუშს არ აქვს ნაცრისფერი ტონი *(იხ ცხრილი 2)*.

ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდები

ქრომატოგრაფია ეწოდება ნივთიერებათა ნარევის დაყოფის მეთოდს, რომლის საფუძველია განსხვავებანი დასაყოფი კომპონენტების თვისებებსა და ქცევაში მათი უწყვეტი გადანაწილებისას ორ საკონტაქტო ფაზას შორის, რომელთაგან ერთი უძრავია, ხოლო მეორეს აქვს მოძრაობის მუდმივი მიმართულება.

დაყოფის მექანიზმის მიხედვით არჩევენ ადსორბციულ, განაწილებით, იონცვლით და სხვა ქრომატოგრაფიას.

ადსორბციული ქრომატოგრაფია

ადსორბციულ ქრომატოგრაფიას საფუძვლად უდევს ქრომატოგრაფირებადი ნივთიერების უწყვეტი ცვლა უძრავ (მყარი და თხევადი) და მოძრავ ფაზებს შორის, რომელიც განპირობებულია ფაზათა გამყოფ ზედაპირზე ქრომატოგრაფირებადი ნივთიერების, ადსორბციის და დესორბციის პროცესებს შორის დინამიკური წონასწორობის არსებობით.

ეფექტური დაყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უძრავი და მოძრავი ფაზების შერჩევას. ადსორბციული ქრომატოგრაფიისათვის უმეტესად ერთი ფაზის სახით გამოიყენებენ მყარ სორბენტებს: დიატომიტი, სილიციუმის მჟავა, კიზელგური, სილიკაგელი, ალუმინის ოქსიდი, გააქტიურებული ნახშირი, მოლეკულური საცერი და სხვადასხვა პოლიმერები.

თხევადი მოძრავი ფაზის შერჩევისას ხელმძღვანელობენ გამსხნელების ელუოტროპული რიგით (შტალის მიხედვით). ჰექსანი, ციკლოჰექსანი, ეთერი, ოთხქლორნახშირბადი, ბენზოლი, ქლოროფორმი, ეთილაცეტატი, პირიდინი, აცეტონი, ეთანოლი, მეთანოლი, წყალი. ელუოტროპულ რიგში გამხსნელები განლაგებულია პოლარობის (დიელექტრული შეღწევადობა) ზრდის მიხედვით.

განაწილებითი ქრომატოგრაფია

განაწილებით ქრომატოგრაფიას საფუძვლად უდევს ქრომატოგრაფირებადი ნივთიერების უწყვეტი განაწილების პროცესი ორ ფაზას შორის (მოძრავი და უძრავი), ამასთან ეს ნივთიერებები უნდა იხსნებოდეს ორივე ფაზაში.

ქრომატოგრაფიულ პროცესებში გამოყენებულ განაწილების კოეფიციენტს გამოითვლიან ქრომატოგრაფირებადი ნივთიერების კონცენტრაციათა დამოკიდებულებით მეტად პოლარულ ფაზასა და ნაკლებად პოლარულ ფაზას შორის.

თუ უფრო მეტად პოლარულია უძრავი ფაზა, მაშინ განაწილების კოეფიციენტის ზრდას მივყავართ ნივთიერების ქრომატოგრაფიული მდგრადობის შემცირებამდე.

იონცვლითი ქრომატოგრაფია

იონცვლით ქრომატოგრაფიას საფუძვლად უდევს საანალიზო ნივთიერის იონების შექცევადი ქიმიოსორბცია სორბენტის იონოგენურ ჯგუფებთან. სორბენტ-გამხსნელის სისტემაში იონების ცვლა სტექიომეტრიულია.

იონოგენური ჯგუფების თვისებების მიხედვით იონცვლითი სორბენტები (იონიტები) იყოფა კათიონცვლითად (კათიონიტები) და ანიონცვლითად (ანიონიტები).

კათიონიტების მაკრომოლეკულები შეიცავენ სხვადასხვა ხასიათის მჟავურ ჯგუფებს, როგორიცაა: სულფოჯგუფი, კარბოქსილი და ოქსიფენოლური ჯგუფი.

ანიონიტების მაკრომოლეკულებს კი პირიქით – თავის სტრუქტურაში აქვთ ალიფატური ან არომატული ამინოჯგუფები ჩანაცვლების სხვადასხვა ხარისხით.

H- ფორმაში კათიონიტები და **OH-** ფორმაში ანიონიტები შესაბამისად შეიცავენ მხოლოდ წყალბადის ან ჰიდროქსილის იონებს, მარილოვან ფორმებში წყალბადის იონები შეცვლილია კათიონებით ან ორგანული ფუძეებით, ხოლო ჰიდროქსილის იონები კი – ანიონებით.

ქრომატოგრაფიულ ანალიზში იონიტების გამოყენება შეიძლება როგორც მარილოვანი ისე **HდაOH** – ფორმებით.

პრაქტიკაში შედარებით ხშირად გამოიყენება ძლიერმჟავა კათიონიტები КУ-2; СДВ-3; სუსტ მჟავა კათიონიტები КБ-4; КБ-4П-2; ძლიერი ფუძის ანიონიტები АВ-16; АВ-17 და სუსტ ფუძე ანიონიტები АН-2Ф; ТМდა სხვა.

ქრომატოგრაფიული დაყოფის მეთოდები

თხევადი მოძრავი ფაზის გამოყენებისას ქრომატოგრაფიულ დაყოფას ახდენენ კალონკაში, ქაღალდზე ან სორბენტის თხელ ფენაზე. გაზური მოძრავი ფაზის გამოყენებისას ქრომატოგრაფიულ დაყოფას ატარებენ კალონკაში.

კალონკური ქრომატოგრაფია

ქრომატოგრაფიულ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ცილინდრულ კალონკაში მოთავსებული სორბენტის გამოყენებით, ეწოდება კალონკური ქრომატოგრაფია. კალონკაზე შეიძლება იქნეს რეალიზებული ქრომატოგრაფიულ დაყოფის ზემოთ მითითებულიდან ნებისმიერი.

ქრომატოგრაფიული კალონკა წარმოადგენს მინის მილს, რომელსაც გამოსასვლელთან აქვს ონკანი.

საანალიზო ნივთიერება ხსნარის სახით მცირე რაოდენობით შეაქვთ ქრომატოგრაფიულ კალონკაში. ამის შემდეგ, კალონკაში განსაზღვრული სიჩქარით (დაახლოებით 20 წვეთი 1 წუთში) გაატარებენ მოძრავ ფაზას, რის შედეგადაც ნარევი დაიყოფა

ქრომატოგრამაში მთელ სიგრძეზე ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად დაშორებულ ზონებად, რომლებიც შეიცავენ ინდივიდუალურ ნივთიერებას. ეს ზონები გადაადგილდება სორბენტზე მოძრავი ფაზის ფენების სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარით. ეს კი საშუალებას იძლევა საანალიზო ნარევიდან ცალკეული კომპონენტების გამოყოფისათვის გამოვიყენოთ ელუენტური მეთოდი, ე. ი. ავატაროთ მოძრავი ფაზა კალონკაში მანამ, სანამ დაყოფილი ნივთიერებები არ იქნება ელუირებული. ელუატს აგროვებენ ფრაქციებად. საჭიროების შემთხვევაში ელუირებისას მოძრავი ფაზის შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს მისი პოლარობის ზრდით. ნივთიერებები, რომლებიც იმყოფება ელუატის სხვადასხვა ფრაქციებში, შეიძლება გამოიყოს და განისაზღვროს რაოდენობრივად და თვისობრივად ნებისმიერი პრეპარატული ან ანალიზური მეთოდით. ელუენტური მეთოდი იძლევა ქრომატოგრაფიული კალონკის მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობას.

იონცვლითი ქრომატოგრაფიის ჩასატარებლად კალონკას შეავსებენ წინასწარ მომზადებული იონიტით. თუ კერძო სტატიაში არ არის რაიმე სხვა მითითება, 5-10 გ იონიტს (ნაწილაკების ზომით 0,2-0,5 მმ) ათავსებენ ჭიქაში და 2-3-ჯერ გარეცხავენ წყლით, დაასხამენ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას, აყოვნებენ 12 სთ და პერიოდულად ურევენ. ამის შემდეგ წყლით რეცხავენ ქლორიდებზე უარყოფითი რეაქციის მიღებამდე.

ანიონიტთან მუშაობის შემთხვევაში, ჰიდროქსი ფორმაში გადაყვანის მიზნით, ქლორწყალბადმჟავით და წყლით ჩარეცხვის შემდეგ მას ასხამენ 5% ნატრიუმის კარბონატის ხსნარს ან 2% ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და აყოვნებენ 2 სთ (დაყოვნებისას აუცილებელია დროდადრო მორევა). ამ ოპერაციას იმეორებენ, სანამ არ მიიღებენ ქლორიდებზე უარყოფით რეაქციას. გადარეცხვა ტუტის ხსნარით უნდა მოხდეს ისეთ პირობებში, როდესაც გამორიცხულია ნახშირორჟანგის შთანთქმა ჰაერიდან.

მომზადებულ იონიტებს ჩარეცხავენ წყლით და გადააქვთ კალონკაში, რომელიც შევსებულია წყლით. წყალს ჩამოასხამენ კალონკიდან ონკანის მეშვეობით. იონიტის ფენიდან ჰაერის

ბუშტუკებს გამოდევნიან კალონკის ფრთხილი შეჯდრევით ან წყლის უკუდენით. შევსებულ კალონკას რეცხავენ ნეიტრალური რეაქციის მიღებამდე. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სორბენტი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სითხის ფენის ქვეშ. თუ იონიტი ამოტივტივდა ფენის ზემოთ, მაშინ აუცილებელია ტამპონის მოთავსება, რომელიც დამზადებულია მინის ბამბისაგან.

ქრომატოგრაფირებას ატარებენ საანალიზო ხსნარის კალონკაში გატარებით. პროცესი მთავრდება კალონკის გარეცხვით.

იონცვლითი პროდუქტების რაოდენობა, რომელსაც შეიცავს კალონკაში გამავალი საანალიზო ხსნარი და ჩანარეცხი სითხე, ექვივალენტურია კალონკაში სორბენტზე ადსორბირებული კათიონების ან ანიონებისა. ეს საშუალებას იძლევა, რომ ჩატარდეს რაოდენობრივი განსაზღვრა იონცვლითი პროდუქტების პირდაპირი გატიტვრით. H-ან OH-ფორმაში მყოფ იონიტზე ქრომატოგრაფირების შემთხვევაში, იონცვლით პროდუქტებს ტიტრავენ შესაბამისად ფუძე ან მჟავა ტიტრანტით.

როგორც წესი, შეიძლება იონცვლითი ქრომატოგრაფიული კალონკის მრავალჯერადი გამოყენება. თუ კერძო სტატიაში არ არის რაიმე სხვა მითითება, მაშინ კათიონიტებისა და ანიონიტების რეგენერაციას, მთელი რიგი განსაზღვრების ჩატარების შემდეგ ანხორციელებენ შემდეგნაირად: კალონკაში გაატარებენ 4% ქლორწყალბადმჟავას ხსნარს ან 5% ნატრიუმის კარბონატის ხსნარს (2% ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი) პროცესის დასრულებისას, როდესაც რეგენირებული ხსნარის კონცენტრაცია კალონკაში შესელის წინ და მისგან გამოსვლის შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება, მას ჩარეცხავენ წყლით; ნეიტრალური რეაქციის მიღებამდე.

ქრომატოგრაფია ქაღალდზე

ქრომატოგრაფიულ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ქრომატოგრაფიულ ქაღალდზე მოძრავი თხევადი ფაზის გადაადგილებისას, ეწოდება ქაღალდზე ქრომატოგრაფია.

უძრავ ფაზას წარმოადგენს თვითონ ქაღალდი, ან ნივთიერება, რომელიც არის შეტანილი მის ზედაპირზე. ქაღალდზე ქრომატოგრაფიის მექანიზმი არის განაწილებითი ან ადსორბციული.

მოძრავი ფაზის გადაადგილება ხორციელდება კაპილარული ძალების მოქმედებით (აღმავალი ქრომატოგრაფია), ან კაპილარული ძალებისა და სიმძიმის ძალის მოქმედებით (დაღმავალი ქრომატოგრაფია).

ქრომატოგრაფირებისას საანალიზო ნივთიერებები ქაღალდზე ლაქებს მრგვალ ან ოვალურ ლაქებს (ზონებს). ლაქების ის, რომელიც მიღებულია მოცემული საანალიზო ნიმუშის ქრომატოგრაფირებისას, ეწოდება ქრომატოგრამა.

ქრომატოგრაფირებადი ნივთიერების ძვრადობა ხასიათდება სიდიდით R_f, რომელიც წარმოადგენს ნივთიერებისა და მოძრავი ფაზის გადაადგილების საშუალო სიჩქარეების ფარდობას ქრომატოგრამის მიღების დროში. ექსპერიმენტულად განსაზღვრულ R_f ის მნიშვნელობაზე შესამჩნევად მოქმედებს ქრომატოგრაფიის პირობები. ქრომატოგრაფიული ძვრადობის უფრო ზუსტ შეფასებას იძლევა სიდიდე R_s, რომელიც წარმოადგენს ერთი ნივთიერების R_f სიდიდის შეფარდებას მეორე ნივთიერების (სტანდარტის) R_f სიდიდესთან.

სტანდარტს შეარჩევენ ისე, რომ R_s იმყოფებოდეს 0,5-2 ფარგლებში. R_f და R_s სიდიდეებს იყენებენ ნივთიერებათა ორიენტირებული იდენტიფიკაციისთვის. იგივეობა განისაზღვრება ერთი და იმავე ნივთიერების საანალიზო და აუტენტური ნიმუშების ქაღალდის ერთ ფურცელზე ერთდროული ქრომატოგრაფირებისას. თუ ნიმუშები იდენტურია, მაშინ მათ შესაბამის ლაქებს ქრომატოგრამაზე აქვთ ერთნაირი სახე და R_f - ის ერთი და იგივე მნიშვნელობა. იდენტიფიკაციისათვის ზოგჯერ მიზანშეწონილია მოცემული ნივთიერების ერთნაირი რაოდენობით საანალიზო და აუტენტური ნიმუშების ნარევის ქრომატოგრაფირება. ქრომატოგრამაზე უნდა შეინიშნებოდეს ერთი ლაქა. ქრომატოგრაფიის

პირობები უნდა შეირჩეს ისე, რომ Rf-ის მნიშვნელობა იყოს 0-დან 1- მდე.

სისუფთავეზე გამოკვლევისას მინარევებსა და ძირითად ნივთიერებებს უნდა ჰქონდეთ Rf-ის სხვადასხვა სიდიდე. ამ პირობებში საანალიზო ნივთიერების სისუფთავის ხარისხი შეიძლება განისაზღვროს მიახლოებით რაოდენობრივად. ამისათვის, ერთ ფურცელზე, ერთდროულად მიიღებენ განსაზღვრული რაოდენობის საანალიზო ნივთიერების ქრომატოგრამას და განსასაზღვრავი მინარევის (მოწმე) ნიმუშის რამოდენიმე ქრომატოგრამას. საანალიზო ნიმუშში მინარევების შემცველობას აფასებენ ქრომატოგრამაზე მისი ლაქების, შეფერილობის ინტენსივობისა და სიდიდის მიხედვით, მოწმის ლაქებთან შედარებით, ფორმისა და შეფერილობის მიხედვით. მინარევების ლაქების იმავე რაოდენობით აღებული ძირითადი ნივთიერების ლაქებთან მსგავსებისას შესაძლებელია ძირითადი ნივთიერების და მინარევების იდენტიფიკაცია. ნივთიერებათა რაოდენობრივი განსაზღვრა ქრომატოგრაფიული დაყოფის შემდეგ ხორციელდება დენსიტომეტრულად უშუალოდ ქრომატოგრამაზე ან ელუირების შემდეგ. ამ შემთხვევაში ლაქებს ამოჭრიან და დაჭუცმაცების შემდეგ ქაღალდიდან გამოწვლილავენ განსასაზღვრავ ნივთიერებას შესაბამისი გამხსნელით. გამონაწვლილში ან მშრალ ნაშთში საანალიზო ნივთიერების შემცველობას, გამხსნელის მოცილების შემდეგ, ადგენენ ნებისმიერი მეთოდით, რომელიც გამოსადეგია მცირე რაოდენობების განსაზღვრისათვის (სპექტროფოტომეტრია, პოლაროგრაფია და სხვა).

ქაღალდზე ქრომატოგრაფიის ჩატარებისას იყენებენ ჰერმეტულ კამერებს, რომლებიც დამზადებულია ინერტული მასალისგან. ხშირად კამერის სახით იყენებენ მინის ჭილებს, რომლებსაც აქვთ მილესილი თავსახური. კამერის შიგნით, მის ქვედა ან ზედა ნაწილში, ათავსებენ ჭურჭელს მოძრავი ფაზისათვის (ნავი).

ნავმა უნდა ჩაიტიოს მოძრავი ფაზის ის მოცულობა, რომელიც საკმარისია ერთჯერადი ქრომატოგრაფიის ჩატარებისთვის. ნავის სიგრძემ უნდა გადააჭარბოს ქრომატოგრაფიული ქაღალდის ფურცლის სიგანეს. კამერა აღჭურვილი უნდა იყოს ქრომატოგრაფიული ქაღალდის ფურცლის მუშა მდგომარეობაში დასამაგრებელი და ნავში მოძრავი ფაზის შემყვანი მოწყობილობებით.

კამერის შიდა კედლებზე ამოფუნილია ფილტრის ქაღალდი, რაც საშუალებას უწყობს მის უფრო ჩქარ და სრულ გაჟღენთას იმ გამხსნელთა ორთქლით, რომლებიც გამოიყენება ქრომატოგრამის დროს.

ფაზების და ქაღალდის მომზადება

შეურევადი გამხსნელთა სისტემების მომზადებისას, აუცილებელია მათი ურთიერთგაჯერების უზრუნველყოფა, მაგალითად, გაშუქებით ძაბრში შენჯღრევის გზით.

ქაღალდს, რომელსაც აქვს საჭირო სიმკვრივე, კვალიფიკაციით "ქრომატოგრაფიისათვის", ჭრიან პერპენდიკულარული ან პარალელური ბოჭკოების მიმართ ფურცლად (ზოლებად), რომელთა სიგრძე მიახლოებით კამერის სიმაღლის ტოლია. ამ ზოლების სიგრძე შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ფორმულით: A (K+1), სადაც A-ზოლის სიგანეა (სმ), K-ზოლამდე ქრომატოგრამების რაოდენობა.

ფურცლის თითოეულ ზოლზე გრაფიტის ფანქრით გაატარებენ სწორ ხაზს, რომელსაც ეწოდება სტარტის ხაზი. ქაღალდის ნაჭრის ბოლოდან სტარტის ხაზამდე დაშორება შეირჩევა ისე, რომ ქაღალდის ნავში ჩაყურსვისას გამოირიცხოს სტარტის ხაზზე შეტანილი ნივთიერების უშუალო შეხება ნავში არსებულ სითხესთან.

ასე მომზადებულ ქრომატოგრაფიულ ქაღალდის ფურცელზე, თუ არის მითითებული კერძო სტატიაში, შეიტანენ უძრავ ფაზას. ამისათვის შესაბამის ძნელადაქროლად გამხსნელებს (ფორმამიდი, ტრიეთილენგლიკოლი და სხვა) შეურევენ ადვილად აქროლად გამხსნელებთან (უმთავრესად მეთილის სპირტთან) და მიღებულ ხსნარში 1-2 წამით ჩაყურსავენ ქაღალდის ფურცლებს. ჭარბ ხსნარს ფურცლის ზედაპირიდან მოხსნიან ფილტრის ქაღალდთან შეხებით, რის შედეგად ნარევის აქროლად კომპონენტს მოაცილებენ ჰაერზე გამოშრობით 15-20 წუთით.

თუ უძრავი ფაზის სახით რეკომენდებულია არააქროლადი ნივთიერებების წყალხსნარის გამოყენება, მაშინ ქაღალდს დაამუ-

შავებენ ამ ხსნარით, აშრობენ, როგორც მითითებულია ზემოთ, ხოლო ქრომატოგრაფირების წინ აჩერებენ კამერაში, რომელშიც არის წყლის ორთქლი. ქაღალდზე უძრავი ფაზების ადვილად აქროლადი კომპონენტების შეტანა ხორციელდება ქრომატოგრაფირების წინ მისი კამერის ფაზათა ორთქლში გაჩერებით.

ქრომატოგრამების დამუშავება

ქრომატოგრაფირების დამთავრების შემდეგ, ნივთიერებათა ლაქებს ქრომატოგრამაზე ამჟღავნებენ ხილულ ან ულტრაიისფერ შუქზე დათვალიერებით. საჭიროების შემთხვევაში ქრომატოგრამას წინასწარ ამუშავებენ (ჩაყურსვით ან შესხურებით) რეაქტივის ხსნარით, რომელიც იძლევა ფერად რეაქციებს ქრომატოგრაფირებად ნივთიერებებთან.

ცალკეულ შემთხვევებში ლაქებს ამჟღავნებენ ულტრაიისფერი შუქით, რეაქტივის შესხურებით ან სხვა გზით. გამოვლენილი ლაქებისათვის R_f-ის სიდიდეს გამოითვლიან შემდეგი ტოლობით:

$$R_f = \frac{a}{b}$$

სადაც a– სტარტის ხაზიდან ლაქის ცენტრამდე მანძილია;
b- სტარტის ხაზიდან მოძრავი ფაზის ფრონტამდე მანძილი.

სორბენტის თხელ ფენაზე ქრომატოგრაფია

ქრომატოგრაფიულ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ინერტულ ზედაპირზე შეტანილი სორბენტის თხელ ფენაზე მოძრავი ფაზის მოძრაობისას, ეწოდება ქრომატოგრაფია სორბენტის თხელ ფენაზე.

უძრავ ფაზას, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს თვით მყარი სორბენტი ან ნივთიერება, რომელიც წინასწარ არის მასზე შეტანილი. ქრომატოგრაფიული დაყოფის მექანიზმი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ ძირითადად ის არის ადსორბციული. მოძრავი ფაზის გადაადგილება სორბენტის ფენაზე, ქრომატოგრაფიის პროცესის აპარატული გაფორმების გაადვილების მიზნით,

რეალიზდება წესი, ხორციელდება ადმავალი მეთოდით ანუ კაპილარული ძალების მოქმედებით.

ქაღალდზე ქრომატოგრაფიასთან შედარებით სორბენტის თხელ ფენაზე ქრომატოგრაფიას აქვს მთელი რიგი უპირატესობანი, რომელთაგანაც უმთავრესია: ქრომატოგრაფიული პროცესის მაღალი სიჩქარე და მგრძნობელობა, შესაძლებლობა იმისა, რომ უძრავი ფაზის სახით გამოყენებული იქნეს სხვადასხვაგვარი სორბენტები, ლაქების აღმოჩენისათვის შესაძლებელია მკაცრი რეაქტივების გამოყენება – აგრესიული რეაგენტებით ქრომატოგრამის დამუშავება მაღალი ტემპერატურის პირობებში და სხვა. ქრომატოგრაფირებისათვის გამოიყენება მზა ფირფიტები თხელფენოვანი ქრომატოგრამისათვის, ლაბორატორიულ პირობებში შეიძლება დამზადდეს ფირფიტა დამაგრებული სორბენტის თხელი ფენით.

სორბენტის თხელფენიანი ფირფიტების მომზადება

სორბენტის ფენა (უმეტესად სილიკაგელით ან ალუმინის ჟანგით, კვალიფიკაციით „ქრომატოგრაფიისათვის“) ნაწილაკების ზომით 150-200 მეში (საცერი №61) შეაქვთ შესაბამისი ზომის მინის ფირფიტაზე. ფენის დასამაგრებლად იყენებენ კალციუმის სულფატის ($CaSO_4=1/2H_2O$ - თაბაშირი) ან სახამებელს. ფენის შეტანა ფირფიტაზე განხორციელდეს შემდეგი მეთოდებით:

მეთოდი 1. სორბენტის დამაგრებული ფენის მისაღებად, რომლის სისქე რამდენიმე ათეული მიკრონია, 2-3 გ თაბაშირის ცხრესვის დროს ამატებენ 40 გ სილიკაგელს ან ალუმინის ჟანგს (200-400 მეში) და 0,1 გ თაბაშირს ფაიფურის როდინში მოსრესენ 5 მლ წყალთან ერთგვაროვანი თხევადი მასის მიღებამდე, რომელსაც ამ შინაარს დაასხამენ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფ წინასწარ გარეცხილ, შკრჩეული ზომის ფირფიტებზე. მასის ფენას ათანაბრებენ შპადელით და ასეთი გზით მიღებულ ფენას აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე, იცავენ მექანიკური და ქიმიური დაბინძურებისაგან. თუ კერძო სტატიაში არ არის მითითებული რაიმე სხვა ინფორმაცია, ფირფიტების გააქტივებას ახდენენ მაშრობ კარადაში 120°C-ზე 1 საათის განმავლობაში. მზა ფირფიტების

სორბენტის თხელი ფენით, ინახავენ ექსიკატორში, რომელშიც მოთავსებულია სილიკაგელი ან კალციუმის ქლორიდი.

შენიშვნა. 100-150 მკმ სისქის ფენის მისაღებად ზემოთ მითითებული რაოდენობის მასას შეტანას ახდენენ ფირფიტებზე, რომელთა საერთო ფართობია 200 სმ^2.

მეთოდი 2. სორბენტის დამაგრებული ფენის მისაღებად, რომლის სისქე რამდენიმე ათეული მიკრონია, 2-3გ თაბაშირს მოსრესვის დროს ამატებენ 40გ სილიკაგელს ან ალუმინის ჟანგს და 140 მლ ქლოროფორმს. მიღებული სორბენტის სუსპენზიის 4,5 მლ დაასხამენ 100 სმ^2 ზედაპირზე კარგად გარეცხილ, მშრალ მინის ფირფიტებზე, რომლებიც განლაგებულია ჰორიზონტალურად.

ფირფიტებს, თუ არ არის მითითებული კერძო სტატიაში, აშრობენ ჰაერზე 10-15 წთ-ის განმავლობაში.

სორბენტის სუსპენზიას ინახავენ მილესილსაცობიან კოლბში; გამოყენების წინ კარგად შეანჯღრევენ.

მეთოდი 3. დაუმაგრებელი სორბენტის ფენის მოსამზადებლად სორბენტს მოაფრქვევენ ჰორიზონტალურად მდებარე მინაზე და ასწორებენ უჟანგავი ლითონის გორგოლით, რომლის დიამეტრია 6-8 მმ, ხოლო ორივე ბოლო ცილინდრულადაა გამსხვილებული, მანამ სანამ არ მიიღებენ 1-2 მმ სისქის ფენას. გორგოლის გამსხვილებული ცილინდრული ნაწილის დიამეტრს 2-4 მმ-ით (შესაბამისად შემოთავაზებული ფენის სისქეს). გორგოლის შუა ნაწილის სიგრძე უნდა იყოს მინის სისქეზე 20-30 მმ-ით ნაკლები; ლითონის გორგოლას ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ მინის ჩხირი, რომლის ბოლოებზე დაცობილია რეზინის ან პოლიეთილენის მილის ნაჭრები შესაბამისი სისქით და დიამეტრით.

ქრომატოგრაფიული დაყოფის მეთოდი

სორბენტის თხელ ფენაზე ქრომატოგრაფიული მეთოდით ნივთიერებათა დაყოფისათვის იყენებენ შესაბამისი ზომის ქრომატოგრაფიულ კამერებს. მათ ფსკერზე დაასხამენ მოძრავ ფაზას იმ რაოდენობით, რომელიც საკმარისია 0,5სმ სიღრმის ფენის წარმოსაქმნელად. კამერას ახურავენ თავსახურს და გამხსნელების ორთქლით გაჯერების მიზნით აყოვნებენ 30-60 წთ-ით. გაჯერების სრულყოფისათვის კამერის კედლებს ამოაფენენ ფილტრის ქაღალდს. საანალიზო ხსნარს მიკროპიპეტით ან მიკროშპრიცით შეიტანენ სტარტის ხაზზე, რომელიც გატარებულია ფირფიტის ქვედა კიდიდან 2-3 სმ-ის დაშორებით ისე, რომ ნიმუშების ლაქები ერთმანეთისა და სორბენტის ფენის კიდეებს დაშორდეს არა ნაკლებ 2სმ-ით. საანალიზო სინჯების ლაქების არასასურველ განთხევას თავიდან იცილებენ შეჩანინას პერიოდული გაშრობით.

სტარტის ხაზზე შეტანილი ლაქის გამოშრობის შემდეგ ფირფიტა შეაქვთ კამერაში ისე, რომ ფირფიტის ქვედა კიდე მოძრავ ფაზაში ჩაიყურსოს 0,5-1 სმ-ზე.

ფირფიტებს, რომლებზეც დამაგრებულია სორბენტის ფენა, თავსებენ სითხის ზედაპირისადმი 60-90^0-იანი კუთხით, ხოლო იმ ფირფიტებს, რომლებზეც არ არის დამაგრებული სორბენტის ფენა, თავსებენ სითხის ზედაპირისადმი 15-20^0 კუთხით. როდესაც გამხსნელთა ფრონტი გაივლის 10-15 სმ-ს, ფირფიტას ამოიღებენ, აღნიშნავენ ფრონტის მდებარეობას. და ამუღავნებენ ქრომატოგრამაზე ნივთიერებების ლაქებს ისე, როგორც მითითებულია შესაბამისის კერძო სტატიაში. სორბენტის დაუმაგრებელი ფენის შესხურებას ქრომატოგრაფიის პროცესის დასრულების შემდეგ ახდენენ ნელა, ისე, რომ ქრომატოგრამა არ გამოშრეს. ქრომატოგრაფირების შედეგებს აფასებენ ისე, როგორც აღწერილია კერძო სტატიაში - „ქრომატოგრაფია ქაღალდზე".

ქაღალდზე და სორბენტის თხელ ფენაზე ქრომატოგრაფიის ვარიანტები

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ქრომატოგრაფიის მეთოდებით ქაღალდზე და სორბენტის თხელ ფენაზე ნივთიერებათა საანალიზო ნარევების საუკეთესო დაყოფას, შეიძლება გამოვიყენოთ ქრომატოგრაფირების სპეციალური ვარიანტები – განმეორებითი და ორჯერადი.

განმეორებითი ქრომატოგრაფირება მდგომარეობს იმაში, რომ ნარევი ქრომატოგრაფირების დასრულების შემდეგ, ფირფიტას ან

ქაღალდს აშრობენ და კვლავ ჩაუშვებენ იგივე ან სხვა მოძრავ ფაზაში იმავე მიმართულებით.

ორჯერადი – ქრომატოგრაფირებისას ფირფიტას ან ქაღალდს მეორედ ჩაუშვებენ იგივე ან სხვა მოძრავ ფაზაში მხოლოდ არა იმავე მიმართულებით, არამედ პირველადი ჩაშვების პერპენდიკულარული მიმართულებით. ორჯერადი ქრომატოგრაფირება მიზანშეწონილია განხორციელდეს კვადრატულ ფირფიტაზე ან ქაღალდის ფურცლებზე. ამ დროს საანალიზო სინჯს შეიტანენ კვადრატის დიაგონალზე, მის ერთ-ერთ კუთხესთან ახლოს.

ორჯერად ქრომატოგრაფიას ერთი და იმავე მოძრავი ფაზის გამოყენებით ხშირად იყენებენ ქრომატოგრაფირების პირობებში ნივთიერებათა მდგომარეობის შესამოწმებლად. მდგრადი ნივთიერებები წარმოქმნიან ლაქებს, რომლებიც მდებარეობენ ფირფიტის ან ქაღალდის ფურცლის მხოლოდ დიაგონალზე.

ბაზური ქრომატოგრაფია

გაზური ქრომატოგრაფია ეწოდება ქრომატოგრაფიის მეთოდს, როდესაც მოძრავი ფაზა იმყოფება აირის ან ორთქლის მდგომარეობაში. ფარმაცევტულ ანალიზში გამოიყენება როგორც გაზურსითხოვანი (აირსითხოვანი) ისე გაზურადსორბციული (აირადსორბციული) ქრომატოგრაფია. გაზურსითხოვანი (აირსითხოვანი) ქრომატოგრაფიისას უძრავ ფაზას წარმოადგენს სითხე, რომელიც დატანილია მყარ სორბენტზე, ხოლო გაზურადსორბციული (აირადსორბციული) ქრომატოგრაფიის დროს უძრავ ფაზას წარმოადგენს მყარი ადსორბენტი. შემდგომში გაზურსითხოვანი და გაზურადსორბციული უძრავი ფაზები აღნიშნული იქნება ტერმინით „სორბენტი“.

საანალიზო ნივთიერებები შეჰყავთ აირ-მატარებლის ნაკადში სადაც ისინი ორთქლდება, აირადი სახით გაივლის კალონკაში და გადანაწილდება აირად და თხევად და მყარ ფაზებს შორის. ადსორბციისა და დესორბციის აქტების მრავალჯერადი განმეორების შედეგად, უძრავ ფაზაში ნივთიერების რაოდენობის დამოკიდებულება ნივთიერებათა რაოდენობასთან მოძრავ ფაზაში, წარმოადგენს განაწილების კოეფიციენტს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია გახსნილი ნივთიერების ბუნებაზე და უძრავი ფაზის რაოდენობაზე.

დაყოფილი ნივთიერებები ქრომატოგრაფიული კალონკიდან გამოდის გაზ-მატარებლის ნაკადით, რეგისტრირდება დეტექტორით და ქრომატოგრამაზე ფიქსირდება პიკების სახით. მიღებული ქრომატოგრამა ასახავს ძირითად ნივთიერებათა ნარევის რაოდენობრივ და თვისებითი ანალიზის შედეგებს. გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდი გამოიყენება აქროლადი და იმ ნივთიერებების საანალიზოდ, რომელიც შეიძლება გადავიყვანოთ აქროლად მდგომარეობაში სპეციალური მოწყობილობებისა და მეთოდების გამოყენებით.

გაზური ქრომატოგრაფია შედგება სტადიებისაგან: გაზ-მატარებლის და დამხმარე გაზების (დეტექტორისათვის) ნაკადის სიჩქარის შეცვლა და რეგულირება, საანალიზო ნიმუშის სინჯის შეყვანა, გაზქრომატოგრაფიული კალონკებიდან და დეტექტორის სისტემიდან მიღებული ქრომატოგრაფიული ინფორმაციის რეგისტრაცია; თერმოსტატირება, კალონკის და დეტექტორის ტემპერატურის კონტროლი და სინჯის შეყვანა.

გაზ-მატარებელი შედის ქრომატოგრაფში ბალონიდან, რედუქტორის გავლით. გაზ-მატარებლის სახით უმთავრესად იყენებენ ჰელიუმს, აზოტს, არგონს დეტექტორთან თბოგამტარობაზე მუშაობისას უმჯობესია ჰელიუმის გამოყენება, ვინაიდან ის უზრუნველყოფს დეტექტორის მაქსიმალურ მგრძნობელობას, უმრავლესობა ორგანულ ნაერთებთან შედარებით მაღალი თბოგამტარობის გამო.

საანალიზო ნიმუშის სინჯის შეყვანის სისტემა შედგება აორთქლებლის და რკინის მემბრანისაგან. ზოგიერთი ქრომატოგრაფი აღჭურვილია ასევე სპეციალური დოზატორით, რომელთა გამოყენებითაც ხდება გაზწარმოქმნელი და მყარი ნივთიერებების შეყვანა. საანალიზო ნივთიერებები კალონკაში ხვდება აირად მდგომარეობაში, ამიტომ ამაორთქლებლის ტემპერატურამ უნდა უზრუნველყოს ნიმუშის კომპონენტის ჩქარი აორთქლება. თხევადი

სინჯები ქრომატოგრაფ'ში შეჰყავთ მიკროშპრიცით. უძრავი თხევადი ფაზის რაოდენობაზე და კალონკის დიამეტრზე საანალიზო სითხის სინჯის მოცულობა უნდა იყოს 0.1-1 მკლ, ხოლო გაზსინჯის მოცულობა კი – 0,5-დან 5 მლ-მდე.

გაზურქრომატოგრაფიული კალონკა წარმოადგენს სწორ, ან U-ს ფორმის მილს, რომელიც დამზადებულია უჟანგავი ლითონის ან მინისაგან. მილის დიამეტრით 0.6-დან 5 მმ – მდე. უმეტესად გამოიყენება კალონკები სიმაღლით 1-3 მ.

გაზურქრომატოგრაფიული კალონკის ეფექტურობა *(n)* განისაზღვრება ფორმულით:

$$n = 5.545\left(\frac{l}{\mu_{0.5}}\right)^2$$

სადაც,

l - ნივთიერების დაკავების დროა, გამოსახული ლენტის დიაგრამის სიგრძის ერთეულებში (მმ);

$\mu_{0.5}$ - ქრომატოგრაფიული პიკის სიგანეა და გამოითვლება ფორმულით:

$$R = \frac{\Delta l}{\mu_{0.5(1)} + \mu_{0.5(2)}}$$

სადაც,

Δl -1 და 2 დასაყოფ ნივთიერებათა დაკავების დროთა სხვაობაა.

კალონკის ტემპერატურამ უნდა განსაზღვროს ნარევის კომპონენტების ოპტიმალური დაყოფა ანალიზის მოკლე დროში.

იმ ნარევების ანალიზისათვის, რომელთა კომპონენტების დუღილის ტემპერატურა ფართო დიაპაზონშია მოქცეული, მიზანშეწონილია გაზური ქრომატოგრაფის გამოყენება ტემპერატურის დაპროგრამებით, გაზური ქრომატოგრაფიის გამოყენება გაზ-მატარებლის გასავალის დაპროგრამებით ან გაზური ქრომატოგრაფიის ამ ორივე სახის მეთოდების ერთდროული გამოყენება. მყარი სორბენტის ზედაპირმა უნდა უზრუნველყოს დაყოფა. მას უნდა

ჰქონდეს საკმაო მექანიკური სიმტკიცე, უნდა იყოს ინერტული, როგორც საანალიზო ნივთიერებებთან, ისე თხევად ფაზასთან დამოკიდებულებაშიც. მყარი სორბენტის სახით იყენებენ სილიკაგელს, ორგანგზე დამზადებულ მასალებს - დიატომიტს ან კიზელგურს (მაგალითად, სფეროქრომები, ქრომატონები, ქემოსორბები, ცელიტები) ფთორნახშირბადიან პოლიმერებს (მაგალითად: ტეფლონი, პოლიქრომი); პოლისტიროლს, სტიროლსა და დივინილბენზოლის თანაპოლიმერებს (პოლისორბები). ცალკეულ შემთხვევებში მყარი სორბენტის სახით იყენებენ ზოგიერთ მარილთა კრისტალებს (მაგალითად: ნატრიუმის ქლორიდი), მინის ბურთულებს და კარბოქრომის მყარი სორბენტის ნაწილაკებს. უფრო ხშირად გამოყენებული ნაწილაკების ზომები ვარირებს 0,1-დან 0.5 მმ-მდე, მოცემული საანალიზო ამოცანის მიხედვით სორბენტის თვისებები შეიძლება შეიცვალოს.

უძრავი ფაზა წარმოადგენს მაღალი დუღილის ტემპერატურის მქონე სითხეს (ვაზელინის ზეთი, ნეიტრალური პოლიგლიკოლი, ცხიმოვანი მჟავა და სხვა).

როგორც წესი, უძრავი თხევადი ფაზა ვლება მყარ სორბენტს 1-20% ოდენობით. სორბენტის ფაზის დადების რამდენიმე მეთოდია ცნობილი, რომელთაგანაც ყველაზე ხშირად მიმართავენ ფაიფურის ფიალაზე შერევას ან როტაციული გაკუმშამაორთქლებელის გამოყენებას.

დაყოფის ეფექტურობის გაზრდის მიზნით იყენებენ კაპილარულ კალონკებს, რომელშიც უძრავი ფაზა შეტანილია კალონკის ზედაპირზე თხელი აფსკის სახით; კაპილარის სიგრძე ჩვეულებრივ 10-100მ ფარგლებში მერყეობს, შიდა დიამეტრი 0,1-0,6მმ.

გაზქრომატოგრაფიული აპარატების ავტომატურ სისტემაში შედის დეტექტორი, გამაძლიერებელი, თვითჩამწერი ხელსაწყო და ინტეგრატორი.

საკმაოდ ხშირად იყენებენ დეტექტორს თბოგამტარობის მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია გაზ-მატარებელის თბოგამტარობის გაზომვაზე სხვა ნივთიერებების თანაარსებობის დროს.

ის ხასიათდება უნივერსალობით, რამდენადაც მგრძნობიარეა პრაქტიკულად ყველა აქრილატი ორგანული ნაერთის მიმართ.

ალიან-იონიზაციური დეტექტორი მგრძნობიარეა ორგანული ნაერთების მიმართ და არ არის მგრძნობიარე წყლის ორთქლის მიმართ. გარდა ამ ორი დეტექტორისა, სამკურნალო ნივთიერებების გაზურქრომატოგრაფიულ ანალიზში, მაღალი მგრძნობელობის საჭიროებისას შეიძლება გამოვიყენოთ სელექციური დეტექტორები

სისტემებში სინჯის შეყვანისას, ანალიზის და ტემპერატურული რეჟიმის უპირველესაობად აუცილებელია თერმოსტატირება, ტემპერატურის კონტროლი (კალონკაში, დეტექტორში).

თვისებრივი ანალიზი. სამკურნალო ნივთიერებათა იდენტიფიკაციისათვის უმეტესად გამოიყენება - მოწმენების (სტანდარტული ნიმუშები) და ფარდობითი შეკავებაზე დაფუძნებული მეთოდები.

ნივთიერება-მოწმის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საკვლევი სინჯის ანალიზის შემდეგ იდენტურ პირობებში ანალიზებენ იმ ნივთიერებათა ქრომატოგრაფირებას, რომელნიც შედიან საკვლევ სინჯში. საანალიზო სინჯის კომპონენტის და ნივთიერება-მოწმის შეკავების დროის თანხვედრა არის იმის დასტური, რომ ესორი ნივთიერება იდენტურია. ნივთიერება-მოწმე შეიძლება შეყვანილი იქნას პირდაპირ საანალიზო ნიმუშში. ამ შემთხვევაში იდენტურობის კრიტერიუმს წარმოადგენს ქრომატოგრამაზე შესაბამისი პიკის გაზრდა. სხვა სტრუქტურის ნაერთს ექნება შეკავების განსხვავებული დრო. კიდევ უფრო დადასტურებულად საჭიროა საანალიზო ნიმუშის და ნივთიერება-მოწმის ქრომატოგრამების გადაფენა მინიმუმ ორ კალონკაზე-უპრავი თხევადი ფაზებით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება პოლარობით.

ფარდობითი შეკავების მეთოდით ნივთიერებათა იდენტიფიკაციისათვის ატარებენ ნიმუშის ანალიზს იმ პირობებში, რომელიც მითითებულია კონკრეტულ მეთოდში, ამასთან, სინჯს წინასწარ უმატებენ განსაზღვრული რაოდენობებით (მითითებულ მეთოდში) შესადარ ნივთიერებას. ფარდობითი შეკავება (μ) განისაზღვრება ფორმულით:

92

$$\mu = \frac{t_R - t_0}{t_{R_{ст}} - t_0}$$

სადაც

t_R - საანალიზო ნივთიერების გახურქრომატოგრაფიული შეკავების დროა;

$t_{R\,ст}$ - შესადარი ნივთიერების შეკავების დრო;

t_0 - არასორბენტირებული ნივთიერების შეკავების დრო;

რაოდენობრივი ანალიზი. რაოდენობრივ ანალიზს ატარებენ ქრომატოგრამაზე ნივთიერებათა პიკების გაზომვით. პრაქტიკულად იყენებენ პიკების ორ პარამეტრს: ფართობს ან სიმაღლეს. შედარებით ფართოდ გამოიყენება პიკის ფართობის პარამეტრი.

ქრომატოგრამაზე პიკების ფართობებს განსაზღვრავენ შემდეგი მეთოდებით: პიკის სიმაღლის (h) გამრავლებით მის სიგანეზე ($\mu_{0,5}$) რომელიც გაზომილია მისი სიმაღლის ნახევარზე ვლანიტრიულად, ინტეგრატორის მეშვეობით. ვინაიდან დეტექტორის ასახვობელობა დასაყოფი ნივთიერების მიმართ, როგორც წესი, ოპერონიალია, საჭირო შემთხვევაში რაოდენობრივ განსაზღვრას ამ უძლვის ხელსაწყოს დიგრადუირება.

არსებობს რაოდენობრივი ანალიზის სამი ძირითადი მეთოდი: აბსოლიტური გრადუირების, შიდა ნორმალიზაციის და შიდა სტანდარტის მეთოდი.

აბსოლიტური გრადუირების მეთოდი გულისხმობს ქრომატოგრამაში შეყვანილი ნივთიერების რაოდენობასა და პიკის ფართობს, ან პიკის სიმაღლეს შორის დამოკიდებულების წინასწარ განსაზღვრას. ქრომატოგრაფში შეჰყავთ სუსტი რაოდენობის გრადუირებული ნარევი და განსაზღვრავენ მიღებული პიკების ფართობებს ან სიმაღლეს. აგებენ გრაფიკს, რომელიც წარმოადგენს შეყვანილი ნივთიერებების რაოდენობის დამოკიდებულებას პიკის ფართობთან ან სიმაღლესთან. ახდენენ საკვლევი ნიმუშის ანალიზს, ზომავენ განსაზღვრული კომპონენტის ფართობს ან სიმაღლეს და გრადუირებული გრაფიკის საფუძველზე განსაზღვრავენ მის რაოდენობას.

93

შიდა სტანდარტის მეთოდი ემყარება საანალიზო ნივთიერე ბების პიკის შედარებას შესადარი ნივთიერებების ერთი და იმავე პარამეტრთან. საკვლევ ხსნარში შესადარებლად შეჰყავთ ცნობილი რაოდენობის ის ნივთიერება, რომლის პიკი საკმაოდ კარგად არის გამოყოფილი საკვლევი ნივთიერების კომპონენტებისაგან. ატარებენ ხსნარის ანალიზს და გამოითვლიან განსახილველი ნივთიერების რაოდენობას.

აღნიშნული ორი მეთოდი მოითხოვს შესწორების კოეფიციენტების შემოტანას, რომელიც ახასიათებს გამოყენებული ტიპების დეტექტორების მგრძნობელობას საანალიზო ნივთიერებებისადმი სხვადასხვა ტიპის დეტექტორებისათვის და სხვადასხვა ნივთიერებებისათვის მგრძნობელობის კოეფიციენტი განისაზღვრება ექსპერიმენტულად.

ქრომატოგრაფიული ანალიზის პროგრამა

მეთოდში რეკომენდირებულია ანალიზის შემდეგი პირობები. მოცემულია გაზქრომატოგრაფიული კალონკის სიმები, უმრავი სხვადასხვა ტიპები და მისი რაოდენობა; სორბენტის ტიპი; კალონკის ამოთრთლებლის და დეტექტორის ტემპერატურა, გაზ-მატარებელი და მისი ხარჯვა. დეტექტორის ტიპი.

საკითხების შემოხვევაში კერძო სტატიებში შეიძლება მეთოდის ქრომატოგრაფიული ანალიზის ჩატარების დამატებითი პირობები.

მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფია (მაღალი წნევის სითხოვანი ქრომატოგრაფია)

მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფია (მაღალი წნევის პირობებში სითხოვანი ქრომატოგრაფია) წარმოადგენს კალონკური სითხოვანი ქრომატოგრაფიის ვარიანტს, რომელშიც მოძრავი ფაზა ელუენტი გაივლის სორბენტის კალონკას დიდი სიჩქარით მაღალი წნევის ხარჯზე.

მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფია წარმოადგენს არაქრომატოგრაფიული ნაერთების (როგორც მცირე, ისე

ისე მოლეკულური მასის) რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის და პრეპარატული გამოყოფის მოხერხებულ მეთოდს.

თანამედროვე სითხოვანი ქრომატოგრაფიის ძირითადი კვანძია: მაღალი წნევის ტუმბო, დოზატორი, მაღალეფექტური კოლონკა, დეტექტორი მარეგისტრირებელი მოწყობილობით.

თანამედროვე სითხოვანი ქრომატოგრაფები აღჭურვილია მიკროპროცესორით და მოწყობილობებით, რომელთა მეშვეობითაც ავტომატურად ხდება ხსნარის შეყვანა, ქრომატოგრაფიული პროცესის პირობების შენარჩუნება მოცემული პროგრამის მიხედვით, მოცემის პირობების ავტომატური ოპტიმიზაცია, ხარეგის რაოდენობრივი ანალიზი.

მაღალი წნევის ტუმბო (200-300 ატმ) უზრუნველყოფს ელუენტის გადასხრილას კალონკაში (ზესტი იდენობით). ხოგიერთ მიკროკალონკურ ქრომატოგრაფიებში გამოყენებულია ტუმბოები მცირე დაბალი წნევით (10-20 ატმ).

ქრომატოგრაფიული კალონკები დამზადებულია უჟანგავი ფოლადისაგან (ან მინისაგან), რომელთა სიგრძეა 10-25 სმ, ხოლო შიდა დიამეტრი 0,3-0,8 სმ (უმეტესად 0,4-0,5 სმ). კალონკებს ავსებენ სორბენტით (რომლის სფერული და არასწორი ფორმის ნაწილაკების დიამეტრია 5-10 მკმ) სუსპენზირების მეთოდის მეშვეობით, რაც იძლევა კალონკაში სორბენტის ნაწილაკების უფრო ერთგვაროვანი და მკვრივად ჩალაგების საშუალებას. კალონკების მეკვლება ხდება ქრომატოგრაფიაში არსებული სამუშაო წნევაზე უფრო მაღალი წნევის პირობებში. მიკროკალონკურ ქრომატოგრაფიებში გამოიყენება უფრო მოკლე კალონკები, რომელთა შიდა დიამეტრი (0,1-0,2 სმ) შედარებით მცირეა.

სორბენტის ნაწილაკები არ უნდა დაიშალოს კალონკის მაღალი წნევის ქვეშ შევსებისას.

კალონკაში მცირე დიამეტრის (5-10 მკმ) სორბენტის ნაწილების მკვრივი დაფენა იძლევა ხარეგის კომპონენტების მაღალეფექტური ქრომატოგრაფიული დაყოფის საშუალებას. ქრომატოგრაფიულ კალონკაში ტემპერატურის მეკვეთება არ უნდა

აღემატებოდეს $\pm 0{,}1^0$, უმეტესად დაყოფას ატარებენ 20-50^0 ტემპერატურის ინტერვალში.

სითხოვან ქრომატოგრაფიაში იყენებენ სპექტროფოტომეტრულ დეტექტორს 190-900 ნმ ფარგლებში ან ფიქსირებულ (უმეტესად 254 ნმ-ზე) ტალღის სიგრძით, რეფრაქტომეტრულ ან ფლუორომეტრულ დეტექტორებს. შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დეტექტორებიც, მაგალითად იონიზაციური, ელექტროქიმიური, მას-სპექტრომეტრიული და სხვა.

ადსორბენტის სახით უმეტესად გამოიყენება სილიკაგელი ჰიდროქსილირებული ზედაპირით და სილიკაგელი, რომლის ზედაპირზე ფიქსირებულია სხვადასხვა ფუნქციური ჯგუფები: იშვიათად იყენებენ ალუმინის ჟანგს და პოლიმერულ ადსორბენტებს. პრაქტიკაში ძირითადად იყენებენ მზა კალონკებს.

სილიკაგელით შეკვებულ კალონკასთან მუშაობის დროს ელუენტის სახით იყენებენ ნახშირწყალბადებს, ზოგჯერ მცირედ ღენი სპირტის ან სხვა გამხსნელის დამატებით. უპირატესად გამოყენებულია წყლიანი ხსნარები, რომლებიც შეიცავენ დაბალმოლეკულურ სპირტებს ან აცეტონიტრილს. უმეტეს შემთხვევაში არ არის საჭირო გამხსნელების დამატებითი გასუფთავება. მაგრამ ზოგჯერ გასუფთავება აუცილებელია.

ორგანული ქათიონების ან ანიონების დასაყოფად იყენებენ იონცვლით სითხოვან ქრომატოგრაფიას. ამ შემთხვევაში დაყოფას ახორციელებენ ადსორბენტზე სულფო და კარბოქსილური ქათიონიტებით და სხვადასხვა ამინოჯგუფებით ჩანაცვლებული ანიონიტებით, ხოლო ელუენტის სახით გამოიყენება წყლიანი ბუფერული ხსნარები შესაბამისი pH-ით და იონური ძალით.

იმ ნივთიერებათა დასაყოფად, რომლებსაც აქვთ ქათიონების კომპლექსების წარმოქმნის უნარი, (როგორიცაა ამინომჟავების ოპტიკური იზომერები) გამოიყენება ლიგანდობცვლითი ქრომატოგრაფია, სადაც დაყოფა ეფუძნება საანალიზო ნივთიერებათა განსხვავებულ უნარს ლითონის კომპლექსწარმოქმნილი იონის არსებობისას წარმოქმნან კოორდინაციული ბმები. ამ შემთხვევაში იყენებენ ადსორბენტებს, რომელთა ზედაპირზე ფიქსირებულ ჯგუფებს უნარი აქვთ კომპლექსები წარმოქმნან ლითონთა იონებთან და ლასაყოფ ნივთიერებასთან.

მაღალმოლეკულური ნივთიერების (მოლეკულური მასა 10^3-ზე მეტია) დასახასიათებლად და დასაყოფად იყენებენ ექსკლუზიურ ია (საცრისებურ) ქრომატოგრაფიას, რომელიც უზრუნველყოფს სივთიერებათა დაყოფას მათი მოლეკულების ზომების შესაბამისად. ადსორბენტის სახით იყენებენ ჰიდროქსილირებულ სილიკაგელებს ფირების სხვადასხვა დიამეტრით ან ანალოგიურ სილიკაგელებს, რომელთაც გაანიაო დიოლური და სხვა ჯგუფები. ასევე სხვადასხვა გელებს.

კალონკაში ნივთიერებათა დაყოფის ხარისხი განისაზღვრება ორი მეზობელი პიკის მაქსიმუმებს შორის მანძილით და ქრომატოგრაფიული ზოლის სიგანით. მაქსიმუმებს შორის მანძილი დამოკიდებულია ადსორბენტის სელექციურობაზე დასაყოფი ნივთიერების მიმართ, ხოლო ზოლის სიგანე - კალონკის ეფექტურობაზე, რომელიც განისაზღვრება ადსორბენტის ნაწილაკების შეკანით, ელუენტის სიბლანტით და დიფუზიით.

მაღალეფექტურ კალონკას შეუძლია დაყოს ნივთიერება მაშინაც, როდესაც ადსორბენტის სელექციურობა დაბალია.

ნარევში თითოეული კომპონენტის შემცველობის განსაზღვრისათვის აუცილებელია ქრომატოგრამის რაოდენობრივი შეფასება ანალიტიკური დაკალიბრების მეთოდით და შენაგანი სტანდარტის მეთოდის გამოყენებით (იხ. „გაზური ქრომატოგრაფია“).

თუ მინარევები ადნაგობით მსგავსია, მაშინ თვისობრივად მათ შემცველობას აფასებენ ქრომატოგრამაზე პიკების შედარებით. თუ დეტექტორის მგრძნობელობა მინარევებთან დამოკიდებულებაში სხვადასხვაა, მაშინ ასეთი შეფასების გაკეთება არ შეიძლება.

სითხოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდი უზრუნველყოფს სარწმუნო მონაცემების მიღებას ნარევში შემავალი სანიტრესო კომპონენტის შესახებ. კომპონენტის კალონკიდან გამოსვლის დრო

ერთსა და იმავე პირობებში იქნება ყოველთვის მუდმივი და საფუძველია მოცემული კომპონენტის დახასიათებისათვის, ხოლო პიკის ფართობი - პროპორციულია სინჯში მოცემული კომპონენტის რაოდენობისა.

pH-ის განსაზღვრა

წყალბადის მაჩვენებელი (pH) ეწოდება წყალბად-იონების აქტივობის უარყოფით ლოგარითმს.

$$pH = -\lg a_{H} +$$

pH-ის განსაზღვრა ხდება საკვლევ ხსნარში ნაყურსული ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალის შედარებით იმავე ელექტროდის პოტენციალთან, მხოლოდ თუ ეს უკანასკნელი ნაყურსულია ცნობილი pH-ის მქონე სტანდარტულ ბუფერულ ხსნარში.

pH-მეტრების დაკალიბრებისას იყენებენ სტანდარტული ბუფერული ხსნარების მკალას.

ცხრილი №5. სტანდარტული ბუფერული ხსნარების მკალა

№	ხსნარის დასახელება	ხსნარის pH სხვადასხვა ტემპერატურაზე						ბუფერული ტევადობა
		0° C	10° C	20° C	25° C	30° C	40° C	
1	კალიუმის ტეტრაოქსალატი 0,05 მოლ/ლ	1,67	1,67	1,68	1,68	1,69	1,70	0,070
2	კალიუმის ჰიდროტარტრატი გაჯერებული 25° C -ზე	-	-	-	3,56	3,55	3,54	0,027
3	კალიუმის ჰიდროფტალატი 0,05 მოლ/ლ	4,01	4,00	4,00	4,01	4,01	4,03	0,016
4	ერთჩანაცვლებული კალიუმის ფოსფატი, ორჩანაცვლებული ნატრიუმის ფოსფატი 0,025 მოლ/ლ	6,98	6,92	6,88	6,86	6,84	6,84	0,029

5	ბორაქსი 0,01 მოლ/ლ	9,46	9,33	9,22	9,18	9,14	9,07	0,020
6	კალციუმის ჰიდროჟანგი, გაჯერებული 25° C -ზე	-	-	-	12,45	12,30	1,99	0,09

ცხრილში მოყვანილია ნივთიერებათა ხსნარები, რომლებიც გამოიყენება სტანდარტული ბუფერული ხსნარების სახით pH- მეტრების და pH-ის ტემპერატურაზე დამოკიდებულების შესამოწმებლად. სეთის სნარების მოსამზადებლად შეიძლება ფიქსონალის გამოყენებაც.

შენიშვნა 1. ბუფერულ ტევადობას (β) უწოდებენ გრამ ეკვივალენტებში გამოსახულ ძლიერი ფუძის რაოდენობას, რომლის დამატება 1ლ ბუფერულ ხსნარში იწვევს ამ ხსნარის pH-ის ერთით ერთეულით.

$$\left(\beta = \frac{dB}{dpH} \approx \frac{\Delta B}{\Delta pH} \right)$$

2. გამოხდილ წყალს, რომელიც გამოიყენება როგორც ბუფერული, ასევე საკონტროლო ხსნარების მომზადებისას, უნდა ჰქონდეს pH 5,8-7,0. გამოხდილი წყალი უნდა იყოს თავისუფალი სახიმიორორგანიზმებისაგან, რისთვისაც მას ადუღებენ გამოყენების წინ. თუ გამოხდილი წყლის pH დუღილის შემდეგ არ შეესაბამება მითითებულ ზღვარს, მაშინ საჭიროა მისი დამატებითი გასუფთავება, მაგალითად ორჯერადი კალორის მეშვეობით.

pH -ის გაზომვის პოტენციომეტრიული მეთოდი

pH-ის პოტენციომეტრიული განსაზღვრა მდგომარეობს ორი ელექტროდისაგან შემდგარი ელემენტის emf-ის გაზომვაში (ინდიკატორული, რომლის პოტენციალი დამოკიდებულია წყალბადის იონების აქტივობაზე და შესადარი ელექტროდის-სტანდარტული ელექტროდის ცნობილი სიდიდით).

pH-ის განსაზღვრისას ინდიკატორული ელექტროდის სახით პრაქტიკაში გამოიყენება მინის და ქინჰიდრონის ელექტროდები.

ცალკეულ შემთხვევებში ინდიკატორული ელექტროდის სახით შეიძლება წყალბადის ელექტროდის გამოყენებაც.

pH-ის განსაზღვრისათვის იყენებენ სხვადასხვა სისტემის პოტენციომეტრებს ან pH-მეტრებს, რომელთა შკალაც დაგრადუირებულია მილივოლტებში ან უშუალოდ pH-ერთეულებში.

pH მეტრის და ელექტრონული სისტემის მომზადება ხდება იმ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც მოყვება ხელსაწყოს.

pH მეტრების დაკალიბრება და შემოწმება ხორციელდება იმ სტანდარტული ბუფერული ხსნარების მიხედვით, რომლებიც მოყვანილია აქვე დართულ ცხრილებში.

ხელსაწყოს მაჩვენებელსა და ბუფერული ხსნარის pH-ის ნომინალურ მნიშვნელობას შორის სხვაობამ არ უნდა გადააჭარბოს 0,04 pH ერთეულს.

თუ საკონტროლო ხსნარის pH 1 ერთეულზე ნაკლებად განსხვავდება სტანდარტული ბუფერული ხსნარის pH-ისაგან, მაშინ ხელსაწყოს შემოწმება შეიძლება ერთი ბუფერული ხსნარის მიხედვით, რომლის pH-ის მნიშვნელობაც გაზომვის იმავე დიაპაზონშია, როგორშიცაა საკონტროლო ხსნარის pH. თუ საკონტროლო ხსნარის pH ფართო საზღვრებშია, მაშინ pH - მეტრის შემოწმება უნდა მოხდეს ორი სტანდარტული ბუფერული ხსნარის მიხედვით ინსტრუქციის შესაბამისად.

საკონტროლო ხსნარების pH-ის გაზომვისას მისი სიდიდის ათვლას ხელსაწყოს შკალაზე იწყებენ მას შემდეგ, რაც ხელსაწყოს მაჩვენებელს მიიწევენ სარწმუნოდ. მაჩვენებლის დაყენების დრო განისაზღვრება ბუფერული თავისებურებებით და ხსნარის ტემპერატურით (ძირითადად მაჩვენებლის დაყენების დრო არ აჭარბებს 2 წთ-ს).

pH -ის განსაზღვრას ახდენენ $25^0C \pm 2^0C$ – ზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი შესწორების შეტანა.

ძლიერი მჟავა ან ძლიერი ფუძე ხსნარების pH-ის გაზომვისას 0^0C-თან ახლოს ტემპერატურაზე ან ძალიან დაბალი ბუფერული

ტევადობის (მაგალითად, გამოხდილი წყალი) მქონე ხსნარების pH-ის გაზომვისას მაჩვენებლის დაყენების დროს შეიძლება მიაღწიოს რამდენიმე წუთს.

უწყლო და შერეულ გამხსნელებში, ასევე ზოგიერთ კოლოიდურ სისტემებში pH-ის გაზომვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ მიღებული pH-ის მნიშვნელობა არის პირობითი.

pH-ის გაზომვის კოლორიმეტრიული მეთოდი.

pH-ის განსაზღვრისას კოლორიმეტრიული მეთოდი ეფუძნება ინდიკატორთა თვისებას, შეიცვალოს შეფერილობა წყალბადის იონების აქტივობაზე დამოკიდებულების მიხედვით pH-ის განსაზღვრულ ინტერვალში. pH-ის კოლორიმეტრიულ განსაზღვრას ახორციელებენ ინდიკატორების (იხ.ცხრილი) და სტანდარტული ბუფერული ხსნარების მეშვეობით.

უპირველესად უნივერსალური ინდიკატორების მეშვეობით განსაზღვრავენ საკვლევი ხსნარის pH-ის მნიშვნელობას მიახლოებით (იხ. მოცულობითი განსაზღვრისას გამოყენებული „ინდიკატორები), რისთვისაც 2 მლ საკვლევ ხსნარს პატარა ჭიქაში შეურევენ 5 წვეთ უნივერსალურ ინდიკატორს და მიღებულ შეფერილობას ადარებენ ფერად შკალას.

საკვლევი ხსნარის pH-ის მიახლოებითი განსაზღვრის შემდეგ ირჩევენ 5-6 ბუფერულ ხსნარს, რომლებიც გამოსადეგია pH-ის მოცემულ არეში და უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთ-ერთ სინჯარაში ასხამენ 10 მლ საკვლევ ხსნარს, სხვებში კი ამორჩეულ ბუფერულ ხსნარებს. ყველას ამატებენ 2-3 წვ ინდიკატორულ ხსნარს და საკვლევი ხსნარის შეფერილობას ადარებენ ბუფერული ხსნარის შეფერილობასთან.

საკვლევი ხსნარის pH ტოლია ბუფერული ხსნარის pH-ის თუ მისი შეფერილობა ემთხვევა ბუფერული ხსნარის შეფერილობას.

ინდიკატორი უნდა შეირჩეს ისე, რომ pH-ის მიჩნეული მნიშვნელობა მოხვდეს ინდიკატორის შეფერილობის გადასვლის ინტერ-

ვალის ცენტრალურ ნაწილში. საკვლევ და ბუფერულ ხსნარებს ინდიკატორის კონცენტრაცია უნდა იყოს თანაბარი.

პოტენციომეტრულ მეთოდს კოლორიმეტრიულ მეთოდთან შედარებით აქვს დიდი უპირატესობა იმდენად, რამდენადაც ის უფრო ზუსტია და ამასთან აქვს ხსნარში დამჟანგველების არ აღმდგენელების არსებობასთან დაკავშირებული ნაკლები შეზღუდვები. პოტენციომეტრიული მეთოდი კოლორიმეტრიული მეთოდისგან განსხვავებით გამოიყენება pH-ის განსაზღვრისათვის შეფერილ, ამღვრეულ ან გელისმაგვარ ხსნარებში.

საწყისი ნივთიერების და ბუფერული ხსნარების მომზადება მოყვანილია ცხრილებში. ბუფერულ ხსნარებს, რომლებიც მოყვანილია ცხრილში ამზადებენ რეაქტივებისაგან კვალიფიკაციით „pH -მეტრისათვის".

ბუფერული ხსნარების მომზადებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე რეაქტივები კვალიფიკაციით „ქიმიურად სუფთა" და „საანალიზოდ სუფთა".

ქიმიურად სუფთა და საანალიზოდ სუფთა კვალიფიკაციის რეაქტივების გამოყენების შემთხვევაში იქმება იხე, როგორც მითითებულია ქვემით.

pH -ის არე 1,2-2,2

pH	1,2	1,4	1,6	1,8	2,0	2,2
KCl-ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ), მლ	50	50	50	50	50	50
HCl-ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	64,50	41,50	26,30	16,60	10,60	6,70

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 2,2-3,8

pH	2,2	2,4	2,6	2,8	3,0	3,2	3,4	3,6	3,8
კალიუმის ჰიდროფტალატის ხსნარი (0,2 მოლ/ლ) მლ	50	50	50	50	50	50	50	50	50
HCl -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	46,70	39,60	32,95	26,42	20,32	14,70	9,90	5,97	2,6
									2

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 4,0-5,0

pH	4,0	4,2	4,4	4,6	4,8	5,0
კალიუმის ჰიდროფტალატის ხსნარი (0,2მოლ/ლ)მლ	50	50	50	50	50	50
NaOH -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	0,40	3,70	7,50	12,15	17,70	23,85

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 5,2-6,2

pH	5,2	5,4	5,6,	5,8	6,0	6,2
კალიუმის ჰიდროფტალატის ხსნარი (0,2მოლ/ლ)მლ	50	50	50	50	50	50
NaOH -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	29,95	35,45	39,85	43,00	45,45	47,00

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 5,8-6,8

pH	5,8	6,0	6,2	6,4	6,6	6,8
ერთნანაცვლებული კალიუმის ფოსფატის ხსნარი (0,2 მოლ/ლ)მლ	50	50	50	50	50	50
NaOH -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	3,72	5,70	8,60	12,60	17,80	23,65

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 7,0-8,0

pH	7,0	7,2	7,4	7,6	7,8	8,0
ერთჩანაცვლებული კალიუმის ფოსფატის ხსნარი (0,2 მოლ/ლ)მლ	50	50	50	50	50	50
NaOH -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	29,63	35.00	39,50	42,80	45,20	46.80

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 7.8-8.8

pH	7,8	8,0	8,2	8,4	8,6	8.8
ბორის მჟავას ხსნარი (0,2 მოლ/ლ) მლ	50	50	50	50	50	50
NaOH -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	2,61	3,97	5,90	8,50	12.00	16,30

წყალი 200 მლ-მდე

pH -ის არე 9,0-10,0

pH	9,0	9,2	9,4	9,6	9,8	10,0
ბორის მჟავას ხსნარი (0,2 მოლ/ლ) მლ	50	50	50	50	50	50
NaOH -ის ხსნარი (0,2 მოლ/ლ),მლ	21,30	26,70	32,00	36,85	40,80	43,90

წყალი 200 მლ-მდე

pH-ის არე 10,0-11,4

pH	10,0	10,2	10,4	10,6	10,8	11,0	11,2	11,4
ბორმჟავის ხსნარი (0,2 მოლ/ლ) მლ	119,2	112,4	108,0	104.6	102,4	100,4	98,8	97,4
ხსნადობა: ცუდად იხსნება წყალში, იხსნება მდუღარე წყალში, ადვილად იხსნება სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, ბენზოლში. იხსნება ცხიმოვან ზეთებში.

იგივეობა: 0,02 გ პრეპარატს ხსნიან 1,5 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ტუტეში. მიღებულ ხსნარს უმატებენ 0,5 მლ რკინის III ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება მოვარდისფრო - ყვითელი შეფერილობა.

ლღობის ტემპერატურა: 122 – 124,5°C

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 1 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ ნატრიუმის კარბონატის ხსნარში. მიღებული ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

ქლორიდები: 1გ პრეპარატს ადუღებით ხსნიან 20 მლ წყალში, აცივებენ და ჩაფილტრავენ 25 მლ გამზომ კოლბაში. ნალექს ჩარეცხავენ წყლით. ფილტრატს შეაზავებენ ჭდემდე წყლით და შერჯღრევენ. მიღებული ხსნარის 10მლ არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,005% პრეპარატში)

სულფატები: 1,5გ პრეპარატს ხსნიან 15 მლ წყალში 1 წუთის განმავლობაში და ფილტრავენ. მიღებული ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,01%)

ფტალის მჟავა: 0,5 გ პრეპარატი უნდა გაიხსნას სრულად 10 მლ ბენზოლში, 5-10 წუთის განმავლობაში მორევით.

აღმდგენი ნივთიერებები: 100 მლ წყალი მაჟავებენ გოგირდმჟავას 1,5 მლ განზავებულ გოგირდმჟავას და წვეთობით 0,1 მოლ კალიუმის პერმანგანატს ვარდისფერი შეფერილობის მიღებამდე, რომელიც შენარჩუნდება 30 წამის განმავლობაში. მიღებულ ცხელ ხსნარში ხსნიან 1გ ბენზოეს მჟავას და ტიტრავენ 0,1 მოლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით ვარდისფერი შეფერილობის მიღებამდე, რომელიც მდგრადია 15 წუთის განმავლობაში.

ტიტრაციაზე უნდა დაიხარჯოს 0,1 მოლ კალიუმის პერმანგანატის არა უმეტეს 0.5 მლ.

აღვილად დანახშირებადი ნივთიერებები: 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში და აყოვნებენ 15 წუთი. ხსნარის შეფერილობა არ უნდა აღემატებოდეს № 5ა-5გ ეთალონის შეფერილობას (გვ.187-169)

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 0,5 გ პრეპარატის სულფატური ნაცარი უნდა იყოს უწონო და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს ნორმაზე მეტს (არა უმეტეს 0,001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0,2 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) ხსნიან 20 მლ ფენოლფთალეინის მიმართ განეიტრალებულ სპირტში და ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ვარდისფერ შეფერილობამდე (ინდიკატორი ფენოლფთალეინი).

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს შეესაბამება 0,01221გ $C_7H_6O_2$, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არა უმცირეს 99,5%.


შენახვა: კარგად თავდახურულ ჭურჭელში.

ანტისეპტიკური საშუალება

გლუკოზა

Glucosum

α – D – გლუკოპირანოზის მონოჰიდრატი



$C_6H_{12}O_6 \cdot H_2O$ მ.მ. 198,17

აღწერა: უფერო კრისტალებია ან თეთრი წვრილკრისტალური ფხვნილი. უსუნო, მოტკბო გემოთი.

ხსნადობა: იხსნება 1,5 ნაწილ წყალში, ძნელად იხსნება 96° სპირტში, პრაქტიკულად არ იხსნება ეთერში.

იგივეობა: 0,2 ობიექტს ხსნიან 5 მლ წყალში, უმატებენ 10 მლ ფელინგის რეაქტივს და აცხელებენ ადუღებამდე; გამოიყოფა აგურისფერ წითელი ფერის ნალექი.

$$2\,K\,Na\,[Cu\,(C_4H_4O_6)_2] + CH_2\,OH\text{-}(CH\,OH)_4\text{-}C\overset{O}{\underset{H}{\leqslant}} + 2\,KOH + 3\,NaOH \rightarrow$$

$$\rightarrow 2\,Cu\,OH\downarrow + CH_2\,OH\text{-}(CH\,OH)_4\,COO\,Na + 4\,KNa\,C_4H_4O_6 + 2H_2O$$

$$2Cu\,OH \rightarrow Cu_2O + H_2O$$

ხვედრითი ბრუნვა: 10% წყლიანი ხსნარის $+51.5^0$ – $+53^0$ პრეპარატს წინასწარ აშრობენ $100\text{-}105^0$-ზე მუდმივ წონამდე. ბრუნვის კუთხის განსაზღვრას ახდენენ პრეპარატის ხსნარზე წყეთი ამიაკის ხსნარის დამატების შემდეგ.

ხსნარის შეფერილობა და გამჭვირვალობა: 5 მლ ობიექტის ხსნიან 25 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში. მიღებული ხსნარი უნდა იყოს უფერო და გამჭვირვალე.

მჟავიანობა: მიღებულ ხსნარს ანზავებენ 100 მლ-მდე ახლადადუღებული და გაცივებული წყლით. ამ ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ რამდენიმე წვეთ ფენოლფტალეინს და 0,2 მლ 0,01 მოლ ნატრიუმის ტუტეს, უნდა წარმოიქმნას ვარდისფერი შეფერილობა.

ქლორიდები: 2 მლ იგივე ხსნარი, განზავებული 10 მლ-მდე წყლით, არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,02%).

სულფატები: იგივე ხსნარის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,02%).

კალციუმი: იგივე ხსნარის 10 მლ არ უნდა იძლეოდეს რეაქციას კალციუმის იონზე.

ბარიუმი: იგივე ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 0.5 მლ ქლორწყალბადმჟავას და 0,5 მლ განზავებულ გოგირდმჟავას. ხსნარი 15 წუთის განმავლობაში არ უნდა შეიმღვრეს.

დექსტრინები: 2 გ ობიექტს გაცხელებით ხსნიან 3 მლ წყალში. ამ ხსნარის 1 მლ-ზე 3 მლ სპირტის დამატებით, ხსნარი უნდა დარჩეს გამჭვირვალე.

წონაში დანაკარგი გამოშრობისას: 0,5 გ ობიექტს (ზუსტი წონა) $100\text{-}105^0$-ზე აშრობენ მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი 10% არ უნდა აღემატებოდეს.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 1 გ ობიექტის სულფატური ნაცარი 0,1%-ზე მეტი არ უნდა იყოს და არ უნდა იძლეოდეს რეაქციას მძიმე მეტალებზე (არა უმეტეს 0,0005%).

დარიშხანი: 0,5 გ ობიექტი არ უნდა იძლეოდეს რეაქციას დარიშხანზე.

გლუკოზის ხსნარი ინექციებისთვის 40%

Solutio Glucosi pro injectionibus 40%

შემადგენლობა:

გლუკოზა უწყლო	400გ
ქლორწყალბადმჟავას 0,1 მოლ. ხსნარი	pH 3,0-4.0-მდე
ნატრიუმის ქლორიდი	0.26გ
წყალი ინექციებისთვის	1ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ 0,22 მკმ დიამეტრის ფორების მქონე ფილტრში, ასხამენ 10 მლ ნმ-1 ან ნმ-3 მარკის ნეიტრალურ მინის ამპულებში და ასტერილებენ გამდინარე ორთქლით 60 წუთის განმავლობაში, ან ნაკლები ორთქლით 119-121°C ტემპერატურაზე 7წთ-ის განმავლობაში.

აღწერა: უფერო ან ოდნავ მოყვითალო გამჭვირვალე სითხე.

იგივეობა: 1 მლ პრეპარატს უმატებენ 5 მლ ფეხლინგის რეა ტივს და მაჰყავთ ადუღებამდე. წარმოიქმნება აგურისფერ-წითელი ნალექი.

შეფერილობა: პრეპარატის შეფერილობა არ უნდა იყოს ეთალონ 5-ზე ინტენსიური.

pH: 3.0-4.0 (პოტენციომეტრიულად).

ნიმინალური მოცულობა (გვ.323-326)

რაოდენობრივი განსაზღვრა: გამოსაკვლევ პრეპარატის ჭიქის გამოხდილი წყლით ათავსებენ 20° C ტემპერატურის 100 მლ წყლის აბაზანაში რეფრაქტომეტრის ახლოს და აყოვნებენ 30 წუთის განმავლობაში.

გაზომვამდე 30 წთ ადრე იწყებენ რეფრაქტომეტრში 20°C-ის წყლის გატარებას და ამ პროცესს აგრძელებენ გაზომვის პროცესით.

რეფრაქტომეტრის პრიზმაზე დააქვთ რამოდენიმე წვეთი გამოხდილი წყალი და შკალის მიხედვით პოულობენ გარდატეხის მაჩვენებელს. პრიზმას აშშრალებენ, დააქვთ მასზე რამოდენიმე წვეთი გამოსაკვლევი ხსნარი და პოულობენ გარდატეხის მაჩვენებელს, რომელსაც ხახლდრაფენ 3-4-ჯერ. გაანგარიშებისათვის იღებენ საშუალო მნიშვნელობას უცნობი განსაზღვრიდან.

გლუკოზის შემცველობის (X) 1 მლ პრეპარატში გამოითვლება ფორმულით:

$$X = \frac{n - n_0}{0.00142 \cdot 100}$$

სადაც: n - პრეპარატის გარდატეხის მაჩვენებელი.

n_0 - წყლის გარდატეხის მაჩვენებელი.

0,00142- გარდატეხის მაჩვენებლის ნამატი გლუკოზის კონცენტრაციის 1%-ით გადიდებისას.

გლუკოზის ($C_6H_{12}O_6$) შემცველობა 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,388-0,412 გ ფარგლებში.

გამოკვლევა პიროგენობაზე: უნდა იყოს აპირობენული.

გამოსაკვლევ ხსნარს აპირობენული წყლით ანზავებენ 5% კონცენტრაციამდე და შეჰყავთ ანგარიშით 10-10 მლ ცხოველის ყოველ კგ წონაზე. (სფ. ტ. 2 გვ. 106.)

სტერილურობა: პრეპარატი უნდა იყოს სტერილური (გვ323-326.)


მექანიკური მინარევები: პრეპარატი არ უნდა შეიცავდეს მექანიკურ მინარევებს. (გვ323-326.)

შენახვა: ოთახის ტემპერატურაზე.

გლუტამინის მჟავა

Acidum glutaminicum

ამინოგლუტარმჟავა



$C_5H_9NO_4$ მ.მ. 147,13

აღწერა: თეთრი კრისტალური ფხვნილია, ოდნავ შესამჩნევი სუნით, მჟავე გემოთი.

ხსნადობა: მცირედ იხსნება წყალში, იხსნება ცხელ წყალში, პრაქტიკულად უხსნადია 95% სპირტში და ეთერში.

იგივეობა. 0.02 გ ობიექტს ხსნიან გაცხელებით 1 მლ ახლადდაყუდებულ წყალში, უმატებენ 1 მლ ახლადმომზადებულ ნინჰიდრინის ხსნარს და აცხელებენ. წარმოიქმნება ლურჯ-ისფერი შეფერილობა.

2 მგ ობიექტს ურევენ 2 მგ რეზორცინს და 5 წვეთ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას. ნარევს აცხელებენ მთმწვანო-მოყავისფრო შეფერილობამდე, აცივებენ, უმატებენ 5 მლ წყალს და 5 მლ ამიაკის ხსნარს. წარმოიქმნება მოწითალო-მოიისფრო შეფერადება, რომელიც მწვანედ ფლუორესცირებს.

ლღობის ტემპერატურა: 190°-ზე არა ნაკლები (დაშლით).

ხვედრითი ბრუნვა: +30°-დან +34°-მდე (5% ხსნარი ქლორწყალბადმჟავაში).

*მჟავიანობა*1,5გ ობიექტს ხსნიან 30 მლ ცხელ ახ
ალკოგოლურ წყალში და გაიტიტვრის შემდეგ ფილტრავენ. ფილ
ტის pH 3,1-3,7 ფარგლებში უნდა იყოს.

ხსნა ამინომჟავებისათვის ფილტრატის 5 მლ-ს უმატებენ 5
ფენილის რეაქტივს და ალკოგოლურ 2 წუთი. არ უნდა წარმოიქ
მწვანე ან მწვანე შეფერადება.

უხსნადი ნაერთებისგ ობიექტს ხსნიან 4 მლ განზავებულ
აზოტმჟავის და 11 მლ წყლის ნარევში; ხსნარის სიმღვრივე
უნდა ალემატებოდეს №4 ეთალონს.

*ორგანული მინარევების*0,2გ ობიექტს ხსნიან 5 მლ ცხელ
ტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარი 15 წუთი
უნდა იყოს.

*ქლორიდების*0,1გ ობიექტს ანჯღრევენ 25 მლ წყალთან 5 წუთ
და ფილტრავენ. ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს
ქლორიდებს (არა უმეტეს 0.05%).

*წონაში დანაკარგი გამოშრობისას*0,5 გ პრეპარატს (ხუთი
წონა) 100-105°-ზე აშრობენ მუდმივ მასამდე. წონაში დანაკარგი
0,5% არ უნდა აღემატებოდეს.

*სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალების*0,5 გ ოთხჯერ
სულფატური ნაცარი 0.1% არ უნდა აღემატებოდეს და არ უნდა
შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0.05%).

დარიშხანი : 0,5გ ობიექტი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს
(არა უმეტეს 0,0001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 1) 0,1გ (ხუთი წონა) პრეპარატს
ათავსებენ 200 მლ ჩამჭიქობის კოლბის კოლბში და შეა
იქნევიან ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „აზოტის გან
ზღვრა ორგანულ ნაერთებში" (გვ. 193). საერთო აზოტის რაო
ნობა პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 9,4% და არა უმეტეს
9,55%.

2) დაახლოებით 0.3გ (ხუთი წონა) პრეპარატს ათავსებენ
მლ-იან ჩამჭიქობის კონუსურ კოლბში და გაიხსნებით ხსნარს
მლ ახლადადუღებულ წყალში. გაციებულ ხსნარს ტიტრავენ
წვეთ ბრომთიმოლ ლურჯის სპირტიან ხსნარს და ტიტრავენ

მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ყვითელი ფერის
მოწვანო-მოლურჯო შეფერადებამდე.

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი შეესაბამება
0,01471გ $C_5H_9NO_4$, რომელიც პრეპარატში 98,5%-ზე ნაკლები არ
უნდა იყოს.

გლუტამინის მჟავას 0,25 გ ან 1.0 გ ტაბლეტები გარსით დაფარული

Tabulettae Acidi glutaminici obductae 0, 25g aut 1.0g

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

გლუტამინის მჟავა	0,25 გ ან 1.0 გ
დამხმარე ნივთიერებები	საჭირო რაოდენობით

აღწერა : ცისფერი ტაბლეტები. გახეც ჭრილში თეთრი ფენა
ჩანს.

იგივეობა 0,5 გ გასრესილი ტაბლეტების ფხვნილი ადუღება
იგივეობის პირველ რეაქციას, რომელიც მითითებულია სტატიაში
„გლუტამინის მჟავა".

4 მგ გასრესილი ტაბლეტების ფხვნილს ურევენ 2 მლ რეზორ
ცინის და 5 წვეთ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას. აცხელებენ
მოწვანო-მოყავისფრი შეფერილობის მიღებამდე. გაცივების შემ
დეგ უმატებენ 5 მლ წყალს და 5 მლ ამიაკის ხსნარს; წარმო
იქმნება მოწითალო-ყავისფერი შეფერილობა.

ტაბლეტის საშუალო მასა და დაშლადობა(გვ.316-321)

რაოდენობითი განსაზღვრა: განსაზღვრას ახდენენ II
მეთოდით, რომელიც მითითებულია სტატიაში „გლუტამინის მჟავა".
(ინდიკატორი – ნეიტრალ-წითელი).


1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი შეესაბამება
0,01471 გ $C_5H_9NO_4$, რომელიც ერთ ტაბლეტში უნდა იყოს 0.238-
0,262გ ან 0.97-1.03გ

*შენახვა*ანათალისაგან დაცულ ადგილას.

დიბაზოლი

Dibazolum

2-ბენზილბენზიმიდაზოლის ჰიდროქლორიდი



$C_{14}H_{12}N_2 \cdot HCl$ მ.მ. 244,73

აღწერა : თეთრი, მოხაკრისფერი ან მოყვითალო ფხვნილი კრისტალური ფხვნილია, მომწარო-მლაშე გემოთი, ძაფრისებური

ხსნადობა ანელად ხსნადია წყალში და ქლოროფორმში, ადვილად ხსნადია სპირტში, მცირედ ხსნადია აცეტონში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში.

იგივეობა 0,02 გ ობიექტს ხსნიან 5 მლ წყალში, უმატებენ წვეთ ქლორწყალბადმჟავას, 2-3 წვეთ 0,1 მოლ ითდის ხსნარს, შეანჯღრევენ, წარმოიქმნება მოწითალო-ფერცხლისფერი სიმღვრივე.

0,02 გ ობიექტს ხსნიან 3 მლ წყალში, უმატებენ 1 მლ ამ ხსნარს, წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ. ფილტრატი იძლევა რეაქციას ქლორიდებზე.

ლღობის ტემპერატურა 182°-186°

ფენილენდიამინი 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში, აცხელებენ 90°-მდე, ამატებენ 0,5 მლ 1 მოლ ქლორწყალბადმჟავით, უმატებენ 1 წვეთ 1%-იან რკინის (III) ქლორიდს. არ უნდა წარმოიქმნას ვარდისფერი შეფერილობა.

წონაში დანაკარგი გაშრობისას : დაახლოებით 0,2 გ (ზუსტი წონა) ობიექტს აშრობენ 70-80°-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 1,5%.

ორგანული მინარევები : 0,3 გ ობიექტს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილობა არ უნდა იყოს ინტენსიური ვიდრე ეთალონი №5ა. ან Y (გვ.167-169)

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები 0,5 გ (ზუსტი წონა) პრეპარატის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1% და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა:1) უწყლო არეში ტიტრით:

0,15 გ ობიექტს (ზუსტი წონა), წინასწარ გამომშრალს 70-80° მუდმივ წონამდე, ხსნიან 10 მლ უწყლო ძმარმჟავაში, უმატებენ ყინულისწყლის აცეტატის ხსნარს და ტიტრავენ 0,1 მოლ ქლორმჟავას ხსნარით მოკვისფრო-მწვანე შეფერილობამდე (ინდიკატორი კრისტალ-იისფერი).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1მლ 0,1 მოლ ქლორმჟავა შეესაბამება 0,02447 გ $C_{14}H_{12}N_2 \cdot HCl$, რომელიც გამომშრალ ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,0%.

2) ალკალიმეტრულად : 0,3 პრეპარატს (ზუსტი წონა) ხსნიან 25 მლ ფენილფენალეინის მიმართ განეიტრალებულ სპირტში და ტიტრავენ 0,1 მოლ. ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ღია ვარდისფერ შეფერილობამდე (ინდიკატორი ფენოლფენალეინი)

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს შეესაბამება 0,02447 გ დიბაზოლს, რომელიც მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პრეპარატში არ უნდა იყოს 99,0%-ზე ნაკლები.

დიბაზოლის ტაბლეტები 0,02 გ

Tabulettae Dibazoli 0,02

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

დიბაზოლი	0,02 გ
დამხმარე ნივთიერებები	საკმარისი რაოდენობით

აღწერა : თეთრი ფერის ტაბლეტები. გარეგნული აღწერილობით უნდა შეესაბამებოდეს ს. ფ. მითითებებს (ს. ფ. ტ. II).

იგივეობა: 0,5 გ ტაბლეტის ფხვნილს ხსნიან 10 მლ წყალში და ფილტრავენ. ფილტრატი უნდა იძლეოდეს იგივეობის რეაქციებს, რომელიც მითითებულია სტატიაში „დიბაზოლი“.

საშუალო მასა, დაშლადობა და სხვა მოთხოვნები : [illegible] 321).

მიკრობიოლოგიური სიწმინდე : 1 გ პრეპარატში დაშვებულია არა უმეტეს 1000 ბაქტერიის და 100 ობის და საფუარის სავარაუდო არსებობა დაშვებულია Enterobacteriaeae. Pseudomona aeruginosa, Staphylococcus aureus ოჯახის ბაქტერიების შემცველობა აკრძალულია.

რაოდენობრივი განსაზღვრა :1) უწყლო არეში ტიტრირებით (ხუსტი წონა) ტაბლეტის ფხვნილს წვლილავენ ნამუშაკებით 10-15 მლ და 3-ჯერ 5 მლ ქლოროფორმით.

ქლოროფორმიან გამონაწვლილებს ფილტრავენ ბის კოლბაში, ქლოროფორმით შესველებულ ფილტრის ქაღალდს ქლოროფორმს გადადენიან 1 მლ-ის მოცულობის ნაშთის მიღებამდე. უმატებენ 10 მლ უწყლო ძმარმჟავას და შემდგომ განსაზღვრას ახდენენ როგორც ეს მითითებულია სტატიაში „დიბაზოლი".

1 მლ 0,1 მოლ ქლორმჟავას ხსნარი შეესაბამება 0,0 [illegible] $gC_{14}H_{12}N_2HCl$, რომელიც ერთი ტაბლეტის საშუალო წონა გადაანგარიშებით უნდა იყოს 0,018-0,022 გ.

2) ალკალიმეტრულად : 0,3 მოსრესილი ტაბლეტის ფხვნილა (ხუსტი წონა) ხსნიან 25 მლ ფუნთლფტალეინის მიმართ განეიტრალებულ სპირტში და ტიტრავენ 0,1 მოლ. ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ღია ვარდისფერ შეფერილობამდე (ინდიკატორი ფუნთლფტალეინი)

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს შეესაბამება 0,02447 გ დიბაზოლი, რომელიც ერთი ტაბლეტის საშუალო წონაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს 0,018-0,022 გ.

დიბაზოლის ხსნარი საინექციოდ 1,0 %
Solutio Dibazoli pro injectionibus 1,0%

შედგენილობა:

დიბაზოლი	10,0გ
ეთილის სპირტი	100,0მლ
გლიცერინი	100,0მლ
ქლორწყალბადმჟავა 0,1 მოლ	10,0მლ
წყალი საინექციო	1000,0მლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ 0,22 მკმ დიამეტრის ფორების მქონე ფილტრში, ასხამენ ნეიტრალური მინისაგან დამზადებულ,ნს-1 მარკის 10მლ, 2 მლ ან 5 მლ ამპულაში და ასტერილებენ ნაჯერი ორთქლით 100°C ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში.

აღწერა: უფერო, განჭვირვალე სითხე.

*იგივეობა:*10მლ ობიექტს ანზავებენ 5 მლ-მდე წყლით, უმატებენ 1 წვეთ ქლორწყალბადმჟავას, 2-3 წვეთ 0.1 მოლ იოდის ხსნარს და შერყევენ. წარმოქმნება მოწითალო-ვარდისფერი ნალექი.

1მლ ობიექტს ანზავებენ 3 მლ-მდე წყლით, უმატებენ 1 მლ ამიაკის ხსნარს, წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ. ფილტრატი იძლევა რეაქციას ქლორიდებზე.

რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მომზადებული პრეპარატის ხსნარის ულტრაიისფერ სპექტრში შთანთქმის მაქსიმუმი აღინიშნება 244±2ნმ, 275±2ნმ და 280±1ნმ; შთანთქმის მინიმუმი აღინიშნება 230±2ნმ, 259±2ნმ და 279±1ნმ.

pH: 2,8-3,3 (პოტენციომეტრიულად)

მექანიკური მინარევები, ნომინალური მოცულობა, სტერილურობა, პიროგენობა: (გვ.323-326).

რაოდენობრივი განსაზღვრა: პრეპარატის 2 მლ ათავსებენ 100მლ ჩამტევობის საზომ კოლბაში, მოცულობას 96% სპირტით შეავსებენ ჭდემდე და შერევენ. მიღებული ხსნარის 5 მლ გადააქვთ 50 მლ ჩამტევობის საზომ კოლბაში, უმატებენ 30 მლ 96 % სპირტს, 1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და მოცულობას 96% სპირტით შეავსებენ ჭდემდე. მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ სპექტროფოტომეტრით 244 ნმ სიგრძის ტალღაზე 10მმ ფენის სისქის კუვეტში. შესადარებლად იყენებენ 96% სპირტს.

პრეპარატის შემცველობას გრამებში (X) გამოთვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D_1 \cdot a}{D_0} \cdot \frac{22}{2} \cdot \frac{100}{100} \cdot \frac{50}{50} \cdot \frac{}{5} = \frac{D_1 \cdot a}{D_0 \cdot 5}$$

სადაც D_1- საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

D_0-სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

a- სტანდარტული ნიმუშის წონაგა;

პრეპარატის 1 მლ-ში უნდა იყოს 0.009-0.011 გ დიბაზოლი.

შენიშვნა: დიბაზოლის სტანდარტული ხსნარის [illegible] მომზადება:

0.05გ (ზ.წ) დიბაზოლს ათავსებენ 100 მლ სახიმ. კო[illegible] ხსნიან 96% სპირტში და შეურევენ მიღებული ხსნარის [illegible] გადააქვთ 50 მლ-იან სახიმ კოლბაში, ეზიდებენ 30 მლ 96% სპი[illegible] 1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და მიღებულ [illegible] 96% სპირტით შეავსებენ ჭდემდე.

სტანდარტული ხსნარის 1 მლ [illegible] ში უნდა იყოს 0,0045-0,005 გ დიბაზოლი.

შენახვა: ოთახის ტემპერატურაზე.

ჰიპოტენზიური საშუალება

ᲓᲘᲜᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ
Ungentum Propolisi

შედგენილობა:

დინდგელი	25,0გ
ფუტკრის სანთელი	5,0 გ
ვაზელინი	80.0 გ

ალწერამოცდათიათალი ფუთის არომატული სუნი მჭიდრო მალამო.

იგივეობა: მალამოს უმატებენ 10 მლ 95 % სპირტს, სა[illegible] ატუცებენ ადუღებამდე. შემდეგ ატუცებს ოთახის ტემპერატურა[illegible] და ფილტრავენ ქალალდის ფილტრით.

2მლ ფილტრატს უმატებენ 0.25 მლ ტყვიის ძმარმჟავა ტუტის ხსნარს, გამოიყოფა ყვითელი ნალექი (პოლიფენოლები).

2მლ ფილტრატს უმატებენ 0,05გ მაგნიუმის ფხვნილს. ეყვითებით 0,5 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას: ხსნა[illegible] იფერება მოყვითალო-ნარინჯისფერიდან წითლამდე (ფლავანოი[illegible] ბი).

ერთგვაროვნება და სხვა მოთხოვნები: (გვ.322-323)

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0.3 გ (ზუსტი წონა) მალა[illegible] ათავსებენ 50 მლ-იან ქიმიურ ჭიქაში, ეზიდებენ 30 მლ 95% სპი[illegible]

და შეურევენ. სარევს აცილებენ ფუთის გალღობამდე. შემდეგ აცივებენ და ჩაყუდრავენ ქალალდის სქელ ფილტრით 50 მლ [illegible] ბრტყობის სახიმ კოლბაში. ფილტრის ქალალდს იმავე კოლბაში [illegible] ურეცხავენ ორჯერ 5-5 მლ 95% სპირტით. კოლბის შიგთავსს იმა[illegible] სპირტით შეავსებენ ჭდემდე და შეურევენ.

მომზადებული ხსნარის 1 მლ გადააქვთ 25 მლ სამტეობის სახიმ კოლბაში და მარკირებას ჭდემდე შეავსებენ 95% სპირტით. ხაზგასმულობის სპექტროფოტომეტრით 290 ნმ [illegible] ტალღაზე 10 მმ ქარხნის სისქის კუვეტში. შესადარებლად იყენებენ 95% სპირტსაბალანსო ნალების პროცენტულ შემცველობას (X) გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D \cdot 25 \cdot 50}{510 \cdot a}$$

სადაც:

α- მალამოს წონაკი გ-ში;

D – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

510- ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის და დინდგელში პოლიფენოლების ჯამის კონცენტრაციის პროპორციულობის კოეფიციენტი.

მალამოში პოლიფენოლების ჯამის შემცველობა უნდა იყოს [illegible] 10%.

შენახვა: გრილ ადგილზე.

ანტისპტიკური, სადეზინფექციო საშუალება

ᲓᲘᲜᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲡᲞᲘᲠᲢᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲮᲡᲜᲐᲠᲘ
Solutio Propolisi spirituosa

შემადგენლობა:

დინდგელი	300გ
ეთილის სპირტი 95%	1ლ ხსნარის მისაღებად

ალწერა: ყავისფერი სითხე, თავისებური სუნით.

ხსნადობა: ხსნება სპირტში. წყალთან შერევისას წარმოიქმნება ემულსია.

იგივეობა: 1მლ ხსნარს უმატებენ 9 მლ ტყვიის ძმარმჟავა ტუტის ხსნარს. გამოიყოფა ყვითელი ნალექი (პოლიფენოლები).

5 მლ ხსნარს უმატებენ 0,2 გ მაგნიუმის ფხვნილს, წვეთობით 1 მლ კონცენტრირებულ ძმარმჟავას; ხსნარი იღებს მოყვითალო-ნარინჯისფრიდან წითელამდე (ფლავანთიდებში).

ცვლილი და უხსნადი მინარევები: 10 მლ ხსნარს ავხდით წყლის აბაზანაზე ადუღებამდე, აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე ხსნარში არ უნდა წარმოიქმნას ნალექი.

სიმკვრივე: 0,80-1,03

მშრალი ნაშთი: არანაკლებ 16 %

მძიმე ლითონები: არაუმეტეს 0.01%.

*რაოდენობრივი განსაზღვრა*0.1 გ ობიექტს (ზ.წ.) ათავსებენ ბიუქსში: სპირტის დახმარებით რაოდენობრივად გადააქვთ 50 მლ ნამტვრობის სახით კოლბში და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე 95% სპირტით. ამ ხსნარის 1მლ ათავსებენ 25 მლ ნამტვრობის ხსნარის კოლბში და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე 95% სპირტით. ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეს ზომავენ ფოტოელექტროკალორიმეტრზე 290 ნმ-ზე; 10 მმ სისქის მქონე კიუვეტში. შესადარებლად იყენებენ 95% ეთილის სპირტს.

დინდგელში პოლიფენოლების პროცენტულ შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$X = \frac{D \cdot 25 \cdot 50}{510 \cdot a}$$

სადაც: D – გამოსაკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

510 – პრეპარატიული კოეფიციენტია ხსნარის ოპტიკური სიმკვრივისა და დინდგელის პოლიფენოლების ჯამის კონცენტრაციისა 290 ნმ სიგრძის ტალღაზე.

a – ობიექტის წონაკი გრამებში.

პოლიფენოლების რაოდენობა არანაკლებ 25% შეესაბამება წონაზე გადაანგარიშებით.

შენახვა: ბნელ, გრილ ადგილას.

ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო საშუალება

დროტავერინის-ჰიდროქლორიდის ტაბლეტები (ნო-შპა)

Tabulettae Drotaverini hydrochloridi

Tabulettae No-Spa

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა :

დროტავერინის ჰიდროქლორიდი 40.0 მგ

დამხმარე ნივთიერებები საკმარისი რაოდენობით

აღწერა: ორმხრივამოზნექილი, მრგვალი, ყვითელი ფერის ტაბლეტები, მომწვანო ან ნარინჯისფერი ელფერით. უნდა შეესაბამებოდეს სახ. ფარმაკოპეა. ტ. 2, გვ. 84.

ტაბლეტის საშუალო მახასიათებლები: (გვ.316-321)

იგივეობა:) განსაზღვრას ახდენენ ნალექის წარმოქმნის მეშვეობით:3,0 მგ დროტავერინის ეკვივალენტური რაოდენობის ტაბლეტების ფხვნილს უმატებენ 10 მლ წყალს და შეანჯღრევენ, შემდეგ ფილტრავენ (ფილტრის ქაღალდში). 5 მლ ფილტრატს უმატებენ 2,0 მლ 2 მოლ ნატრიუმის ტუტის ხსნარს. წარმოქმნილ ნალექს აცრიალებენ ფილტრზე. რამდენჯერმე რეცხავენ წყლით.

მიღებული ფილტრატის 5,0 მლ შეამჟავებენ 2-3 წვეთი 2 მოლ ძმარმჟავით და უმატებენ 0,1 მლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს წარმოიქმნება თეთრი ფერის ნალექი, რომელიც იხსნება 10% ამონიუმის ჰიდროქსიდის ჭარბ ოდენობაში (ჰიდროქლორიდი)

ბ) ულტრაიისფერი სპექტრის შთანთქმის მეშვეობით სახლვრავენ დროტავერინის ჰიდროქლორიდის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მომზადებული ხსნარის შთანთქმის უნარს 1 სმ ფენის სისქის კიუვეტში. 241±2 ნმ, 302±2ნმ და 353±2 ნმ სიგრძის ტალღებზე ვლინდება შთანთქმის მაქსიმუმები (დროტავერინი).

*რაოდენობრივი განსაზღვრა*დროტავერინის ჰიდროქლორიდის რაოდენობრივ განსაზღვრას ახდენენ სპექტროფოტომეტრიული მეთოდით.

5 ტაბლეტს წონიან და აწვრილმანებენ.0,28გ (ზუსტი წონა) დაფხვნილ ტაბლეტს ათავსებენ 100 მლ ტევადობის კოლბში. უმატებენ 50 მლ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას. შენჯღრევით ხსნიან მოქმედ ნივთიერებას და შეავსებენ ჭდემდე 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით. ნარევს ფილტრავენ ფილტრის

ქალალდში. ფილტრატის პირველ ნაწილს გადაღვრიან. სუფთა ფილტრატისაგან იღებენ 2.0 მლ და შემდეგ განაზავებენ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით 100.0 მლ-მდე.

საზღვრავენ მიღებული ხსნარის შთანთქმის უნარს, 1 სმ სისქის კოუვეტში 353 ±2 ნმ სიგრძის ტალღაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს დაახლოებით 16 მკგ/მლ მოქმედ ნივთიერებას.

ამზადებენ სტანდარტული დროტავერინის 16 მკგ/მლ კონცენტრაციის ხსნარს, რისთვისაც სტანდარტული დროტავერინის ჰიდროქლორიდის 16 მგ-ს გადაიტანენ 100 მლ-იან გამზომ კოლბაში. შენჯღრევით გახსნიან 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარში და იმავე ხსნარით მოცულობას შეავსებენ ჭდემდე. მიღებული ხსნარის 1 მლ-ს შეავსებენ იგივე გამხსნელით 10 მლ-მდე და სახ. დვრავენ მის შთანთქმის უნარს ერთდროულად საკვლევ ხსნართან იგივე პირობებში. *შესადარებელი ხითხე:* 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარი.

მიღებული შედეგების მიხედვით გამოითანგარიშებენ მოქმედი ნივთიერების შემცველობას (X) ერთ ტაბლეტში, მგ-ში. შემდეგი ფორმულით:

$$X = \frac{D(a)\,x\,m(s)\,x\,1\,x\,100\,x\,100\,x\,MM}{D(s)\,x\,100\,x\,100\,x\,m(a)\,x\,2} = \frac{D(a)\,x\,m(s)\,x\,5\,MM}{D(s)\,x\,m(a)}$$

სადაც:

D (s)- სტანდარტული ნივთიერების ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

D (a)- საანალიზოდ აღებული პრეპარატის ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

m (a) - საანალიზოდ აღებული საკვლევი ობიექტის წონა გ-ში;

m (s) - სტანდარტული ნივთიერების წონა გ-ში;

MM - ტაბლეტის საშუალო წონა.

დროტავერინის ჰიდროქლორიდის შემცველობა ტაბლეტის საშუალო წონაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს 40,0მგ± 5%.

მიკრობიოლოგიური სისუფთავე(გვ.316-321)პრეპარატის 1 გ-ში დაშვებულია არა უმეტეს 1000 ბაქტერიის და 100 ობის და საფუარის სოკოს (შეჯამებული) არსებობა. დაუშვებელია Enterobacteriaceae, Pseudomonas aeruginoza, Escherichia coli და Staphylococcus aureus-ის ოჯახის ბაქტერიების არსებობა.

ეთილის სპირტი 95% (ღვინის სპირტი 95%)
Spiritus Aethylicus 95% (spiritus vini 95%)

Spiritus Vini 95%

C_2H_5OH მ.მ **46.07**

აღწერა: გამჭვირვალე, უფერო, მოძრავი, აქროლადი სითხე, სპირტის დამახასიათებელი სუნით და მწველი გემოთი. დუღს 78°C-ზე. ადვილად აალებადია. ეწყის ორგან მნათი, მოცისფერო ალით.

ხსნადობა: ნებისმიერი თანაფარდობით ერევა წყალს, ეთერს, ქლოროფორმს, აცეტონს და გლიცერინს.

*იგივეობა*2 მლ სპირტს ურევენ 0.5 მლ ქინულოვან ძმარმჟავას 1 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და აცხელებენ ადუღებამდე. წარმოიქმნება ეთილაცეტატის დამახასიათებელი სუნი.

0,5 მლ სპირტს ურევენ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, ტუტებენ 2 მლ 0,1 მოლ იოდის ხსნარს, წარმოიქმნება იოდოფორმის სუნი და გამოიყოფა იოდოფორმის ყვითელი ნალექი.

სიმკვრივე: 0,812-0,808, რაც შეესაბამება C_2H_5OH-ის 95-96% კონცენტრაციას.

წყალში უხსნადი ნივთიერებები: ეთილის სპირტისა და მოხდილი წყლის თანაბარი მოცულობების შერევისას ხსნარი მკვრივალე უნდა იყოს.

მჟავიანობა: 20მლ სპირტს უმატებენ 25 მლ ახალადმოხდილ გაცივებულ წყალს და 5 წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს. მიღებული ხსნარი 0,2 მლ 0,05 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის

ხსნარის მიმატებისას უნდა შეიფერთხოს ცარდისფრად და ყავ უნდა შენარჩუნდეს 30 წთ-ის განმავლობაში.

ორგანული ფუძეები: 10 მლ სპირტს შეამჟავებენ ორი წვეთ განზავებული გოგირდმჟავათი ხსნარით და აორთქლებენ წყლის აბაზანაზე. ნარჩენს ხსნიან რამდენიმე წვეთ წყალში და უმატებ 1 მლ ნარევით ჰიდროქსიდის ხსნარს. არ უნდა შეინიშნებოდეს ამიაკის და ორგანული ფუძეების დამახასიათებელი სუნი.

ქლორიდები, სულფატები, მძიმე მეტალები: 6 მლ სპირტს ანზავებენ წყლით 30 მლ-მდე. მიღებული ხსნარის 10-10 მლ-ს უნდა აძლეთდეს რეაქციის ქლორიდებზე, სულფატებზე და მძიმე მეტალებზე.

*ალდეჰიდები:*10 მლ სპირტის, 10 მლ წყლის და 1 მლ კონცენტრირებული ნიტრატის ხსნარის ნარევს წვეთობით უმატებენ ამონიუმის ხსნარს თავიდან წარმოქმნილი თეთრი ფერის ნალექი გახსნამდე ნარევი უფერო და გამჭვირვალე უნდა დარჩეს. 1 საათის განმავლობაში ბნელ ადგილზე დაყოვნებისას.

ალმდეგენი ნივთიერებები: მიღებისასთან ცილინდრში, რომელსაც გამოყენებული აქვს გამოსაკვლევი სპირტი, ხაჯის 50 მლ სპირტს და ათავსებენ 10 წთ-ის განმავლობაში 15 წყლის აბაზანაში, იმე რომ წყლის ფენა იდგეს ცილინდრში არსებული სპირტის ფენაზე მაღლა. 10 წთ-ის შემდეგ ცილინდრში უმატებენ 1 მლ 0,02%-იან კალიუმის პერმანგანატის ხსნარს, ცილინდრს ახურავენ საცობს, ხსნარს კვლავ დგამენ 15 წყალში და ანჯღრევენ. დაყოვნების შედეგად ნარევის მოწითალო ისამჩნევი თანდათანობით იკვლება და 20 წთ-ის განმავლობაში მან უნდა მიაღწიოს ეთალონის ფერს.

შენიშვნა: 1. მზის სხივების პირდაპირი მოქმედების თავი ასაცილებლად, ცდის წინ, სპირტს ათავსებენ ბიბნელეში 3-4 სთ განმავლობაში.

2. ეთალონის მომზადება: 100 მლ-იან ხაზთან კოლბ ათავსებენ 5მლ კობალტის ქლორიდის ხსნარს და უმატებენ ამონიუმის ნიტრატის 4%-იანხსნარს. მოცულობას წყლით შეავსე ჭდემდე.

რახის ზეთები: ფილტრის ქაღალდის ხოლს შეასველებენ ნარევით,რომელიც შეიცავს 10 მლ სპირტს, 5 მლ წყალს და 1 მლ გლიცერინს. სითხის აორთქლების შემდეგ არ უნდა იგრძნობოდეს უცხო სუნი.

რახის ზეთები და სხვა ორგანული ნივთიერებები: 10 მლ სპირტს ათავსებენ მცირე ზომის კოლბაში, რომელშიც წინასწარ გამოშვლებულია საანალიზო სპირტი. მკვდარი მორევის პირობებში, რამდენიმე წელიწად უმატებენ 9მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას, ნარევს აცხელებენ ქაფის ბუშტების წარმოქმნამდე და აცივებენ. ხსნარი უნდა დარჩეს უფერო.

*მთრიმლავი და ექსტრაქციული ნივთიერებები:*4 მლ სპირტს უმატებენ 0,8 მლ ამიაკის ხსნარს. ხსნარი არ უნდა შეიფერთხოს.

*არააქროლადი ნივთიერებები:*10 მლ სპირტს მთლიანად აორთქლებენ წყლის აბაზანაზე და აშრობენ 100-105°-ზე მკვდრ წონამდე. ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 0,01%-ს.

მეთილის სპირტი: პიპეტით აზომილ 0,5 მლ სპირტს ათავსებენ 50 მლ-იან კონუსურ კოლბაში. პიპეტითვე უმატებენ 4,5 მლ წყალს და ანჯღრევენ. 5 წთ-ის შემდეგ უმატებენ 2 მლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს ფოსფორმჟავაში. 10 წთ-ის შემდეგ წვეთ-წვეთობით უმატებენ ნატრიუმის ბისულფატის ნაჯერ ხსნარს გაუფერულებამდე და 1 მლ ახლადმომზადებულ 2%-იან ქრომოტროპის მჟავის დინატრიუმის მარილის ხსნარს. შემდეგ თანდათანობით (1 მლ/წთ) უმატებენ 10 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და ურევენ. არ უნდა წარმოქმნას თეთრი შეფერადება.

ფურფუროლი: მიღებისასთან ხაზთან ცილინდრში შეაქვთ 10 წვეთიახლადგამოხდილი ანილინი, 3 წვეთი კონცენტრირებული ქლორწყალბადმჟავა და უმატებენ საკმარ სპირტს 10 მლ მოცულობამდე. 10-წთ-ის განმავლობაში ხსნარი უნდა დარჩეს უფერო.

შენახვა: გრილ ადგილას, კარგად მოხუფულ ტარაში.

ანტისეპტიკური საშუალება

ეუფილინის ტაბლეტები 0,15 გ
Tabulettae Euphyllini 0,15

ერთი ტაბლეტის შედგენილობა:

ეუფილინი 0,15 გ

დამხმარე ნივთიერებები საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ფერის, ორმხრივამობურცული ტაბლეტები ნაჭდევის გარეშე. გარეგნულად უნდა შეესაბამებოდეს ხელოვნებას.

საშუალო მასა, დაშლადობა (გვ.316-321)

ფიზიკობა: ა) მოსრესილი ტაბლეტების 0,25 გ ხსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ 1 მლ ქლორწყალბადმჟავას 0,1 მოლ ხსნარს, ფილტრავენ-ფილტრატს ათავსებენ ფაიფურის ფიალაზე, აორთქლებენ 10 წუთი წყალბადის ზედაპირზე და წყლის აბაზანაზე ათორქლებენ მშრალი ნაშთის მიღებამდე. ნაშთზე 1-2 წვეთი ამონიუმის ამოქსიდის ხსნარის მიმატებით უნდა წარმოიქმნას მკვეთრი წითელი შეფერილობა.

ბ) მოსრესილი ტაბლეტების 0,15 გ ხსნიან 2 მლ წყალში, უმატებენ ჰიპოქლორიტის ხსნარს. მიიღება იისფერი ფერის ხსნარი.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 1) მოსრესილი ტაბლეტების 0,1000გ ხსნიან 20 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, ტიტრავენ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით; ინდიკატორი მეთილნარინჯი.



1 მლ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარი შეესაბამება 0,003005გ ეთილენდიამინს, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს 0,0283გ ტაბლეტის საშუალო მასაზე გადაანგარიშებით.

2) მოსრესილი ტაბლეტების 0.2 გ ათავსებენ 250 მლ კოლბაში და დუღებენ მაშრობ კარადაში 125-130°C1 საათის განმავლობაში. შემდეგ უმატებენ 100 მლ ახლადადუღებულ ცივ წყალს ანალიზურად სუფთა ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით.



$HNO_3 + NaOH$ ---> $NaNO_3 + H2O$

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი შეესაბამება 0,01802გუწყლო თეოფილინს, რომელიც 1 ტაბლეტში უნდა იყოს 0,114-0,1339გ.

1 და 2 განსაზღვრის შედეგების ჯამი (თეოფილინისა და ეთილენდიამინის ჯამი) უნდა შეადგენდეს 0.1425-0,1575 გ.

შენახვა: მშრალ ხისათლისაგან დაცულ ადგილზე, ოთახის ტემპერატურაზე.

სპაზმოლიზური საშუალება

ეუფილინის ხსნარი ინექციისთვის 2,4 %
Solutio Euphyllini pro injectionibus 2.4%

შემადგენლობა:

თეოფილინი (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) 19,2გ

ეთილენდიამინი (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით 4.8გ

წყალი ინექციისთვის საჭიროებისამებრ

ხსნარს ფილტრავენ 0,22 მკმ ფორებიან მემბრანულ ფილტრში, ჩამოასხამენ 5 მლ ან 10 მლ ნეიტრალური მინის (მარკა НС-3) ამპულებში, მორჩილავენ და ასტერილებენ გამდინარე ორთქლით 30 წუთის განმავლობაში.

აღწერა: გამჭვირვალე უფერო ან ოდნავ შეფერილი სითხე.

იგიეეობა: პრეპარატის 0,001% ხსნარს, 220-დან 320 ნმ-მდე უბანში, შთანთქმის მაქსიმუმი აღენიშნება 274±2 ნმ-ზე, მინიმუმი 244±4 ნმ-ზე.

პრეპარატის 1 მლ ათავსებენ ფაიფურის ფიალაში, უმატებენ 0,25 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას 0,5 მლ პერჰიდროლს და წყლის აბაზანაზე აორთქლებენ მშრალი ნაშთის მიღებამდე. ნაშთის შესვენებისას 0,1 მლ ამონიუმის პიდროქსიდის ხსნარი წარმოიქმნება ძოწისფერი – წითელი შეფერილობა.

პრეპარატის 3 მლ უმატებენ სპილენძის სულფატის ხსნარის 0,25 მლ წარმოიქმნება მკვეთრი - იისფერი შეფერილობა

შენიშვნა: ეფედრინის 0,001% ხსნარის მომზადებისას პრეპარატის 1 მლ ათავსებენ 200 მლ ჩამრეცობის გამოსაც კოლბაში მიცულებამდე წყლით შეავსებენ ჭდემდე და შეურევენ. მიღებული ხსნარის 10 მლ ათავსებენ 100 მლ ჩამრეცობის გამოსაც კოლბაში, მიცულებამდე წყლით შეავსებენ ჭდემდე და შეურევენ.

pH –9,0 – 9,7 (პოტენციომეტრიულად)

*შეფერილობა*პრეპარატი უნდა იყოს უფერო ან შეფერილი ალკალოიდებისდეს ეთანოლ №5 ა(გვ.167-169).

ნომინალური მოცულობის განსაზღვრა,მექანიკური მინარევები,სტერილურობა,*პიროგენობა*(გვ323-326)

*რაოდენობრივი განსაზღვრა*პრეპარატის 5 მლ უმატებენ 10 მლ ადუღებულ და გაცივებულ წყალს და ტიტრავენ ქლორწყალბადმჟავის 0,1 მოლ ხსნარით ყვითელ შეფერილობამდე (ინდიკატორი მეთილნარინჯი)1 მლ ქლორწყალბადმჟავის 0,1 მოლ ხსნარი შეესაბამება 0,003005გ $C_2H_8N_2$ (ეთილენდიამინი), რომელიც პრეპარატის 1 მლ-ში უნდა იყოს 0,0042-დან 0,0054 გ-მდე.

გატიტრულ ხსნარს უმატებენ ვერცხლის ნიტრატის 0,1 მოლ ხსნარის 10 მლ და ტიტრავენ ნატრიუმის პიდროქსიდის 0,1 მოლ ხსნარით მოყავისფრო შეფერილობამდე(ინდიკატორი ფენოლფტალეინი).

ნატრიუმის პიდროქსიდის 0,1 მოლ ხსნარის 1 მლ შეესაბამება 0,01802 გ $C_7H_8N_4O_2$ (უწყლო ეუფილინი), რომელიც პრეპარატის 1მლ-ში უნდა იყოს 0,0173-0,0211გ.

*შენახვა*ბინათლისაგან დაცულ ადგილას.

სპეციალური საშუალება

ვალიდოლის ტაბლეტები 0,06 გ
Tabulettae Validoli 0,06

ერთი ტაბლეტისშედგენილობა:

ვალიდოლი 0,06 გ

დამხმარე ნივთიერებები: საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ფერის ან რძისფერი ტაბლეტები, სპეციფიკური დამახასიათებელი სუნით, გამაგრილებელი გემოთი.

იგიეეობა: დაფქვილი ტაბლეტის 5 გ ამუშავებენ 20 მლ ეთერით დაფილტრავენ № 2 მინის ფილტრით. 5 მლ ეთერიან ფენიანაწვლილს აორთქლებენ წყლის აბაზანაზე 45°C ტემპერატურაზე 0,5-1 მლ-მდე. ნაშთს უმატებენ 1 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას, 1 მლ ვანილის ხსნარს გოგირდმჟავაში და ანზავებენ 1 მლ წყლით. მიიღება მიწითალო-ყოლისფერი შეფერილობა, რომელიც გადადის იისფერში (შენთოლი) და შეიგრძნობა არომატერიანიმჟავის სუნი.

5 მლ ფილტრატს აორთქლებენ წყლის აბაზანაზე 0,5-1,0 მლ-მდე, ნაშთს უმატებენ 1 მლ წყალს, 1 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და ატხელებენ წყლის აბაზანაზე 5 წუთის განმავლობაში. შეიგრძნობა არომატერიანმჟავას სუნი (არომატერიანმჟავა მენთოლის ეთერი).

საშუალო მასის, დაშლადობის განსაზღვრა და სხვა მოთხოვნები(გვ.316-321)

მიკრობიოლოგიური სისუფთავე: 1 გ პრეპარატში დასაშვებია ნაკლებად არა უმეტეს 1000 ბაქტერიისა და 100 ობის და საფუარის სოკოების არსებობა.დაშვებულია **Enterobacteriaceae, Pseudomonas aeruginosa** და **Staphylo-coccus aureus**ოჯახის ბაქტერიების არსებობა.(გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა: მოსრესილი ტაბლეტის დაახლოებით 15 გ (ზუსტი წონა) ათავსებენ 100 მლ ჩამჭეთების კოლბაში, უმატებენ 15-20 მლ პერტოლეინის ეთერს და შეანჯღრევენ 5 წუთის განმავლობაში,აცილებენ და დეკანტაციით ფრთხილად ჩაფილტრავენ ხსნარს № 2 მინის ფილტრით 50 მლ ხამჭეთების საზომ კოლბაში. ნალექს ხელახლა უმატებენ 6 მლ პეტროლეინის ეთერს და კოლბის შიგთავს შეურევენ 3 წუთის განმავლობაში დააყოვნებენ და ფილტრავენ იმავე კოლბაში.

გამოწვლილვას აწარმოებენ კიდევ სამჯერ, 10-10 მლ პეტროლეინის ეთერით. ფილტრატის მოცულობას ხაზამ კოლბაში მიიყვანენ ჭდემდე პეტროლეინის ეთერით.

ხსნარში ხანდრავენ პოლარიზაციის ხიბრტყის ბრუნვის კუთხეს. პოლარიმეტრის ჩვენებას აკვირდებიან ხუთჯერ და ღებულობენ ხუთი გაზომვიდან საშუალო სიდიდეს.

ერთ ტაბლეტში ვალიდოლის შემცველობას გრამებში (X) გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{L \cdot 50 \cdot 1{,}1 \cdot B}{1 \cdot 51{,}82 \cdot a} = \frac{L \cdot B \cdot 27{,}5}{1 \cdot a \cdot 25{,}91}$$

სადაც: **L** –პოლარიმეტრის შკალის ჩვენება

50 - ვალიდოლის საკვლევი ხსნარის მოცულობა მლ-ებში

1,1- პეტროლეინის ეთერში ვალიდოლის ხსნარისათვის შკალისსვენების შესწორების კოეფიციენტი (ემპირიული). 1-2% კონცენტრაციისსაზღვრებში;

l - პოლარიმეტრის მილის სიგრძე, დეციმეტრში.

51,82-1% - იანი ვალიდოლის ხსნარის სვედრითი ბრუნვა.

a -წონაკი გრამებში.

B – ტაბლეტების საშუალო წონა გრამებში.

ვალიდოლის შემცველობა 1 ტაბლეტის საშუალო წონაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს 0,054-დან 0,066 გ-მდე.

შენახვა: მშრალ, ცრილ ადგილას.

სპაზმოლიზური, სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალება

ვიკასოლის ხსნარი საინექციო 1%
Solutio Vicasoli pro injectionibus 1%

შედგენილობა:

ვიკასოლი	10 გ
ნატრიუმის მეტაბისულფიტი	1 გ
ან ნატრიუმის ბისულფიტი	2 გ
წყალი საინექციო	1-ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ 0.22 მკმ დიამეტრის ფორების მქონე ფილტრში, ჩამოასხამენ 1 მლ - იან ნეიტრალური მინის ჰერმეტებში და ასტერილებენ გამდინარე ორთქლით 100°C 15 წუთის განმავლობაში.

აღწერა: უფერო ან სუსტად შეფერილი გამჭვირვალე სითხე.

იგივეობა: პრეპარატის 5 მლ უმატებენ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის 1 მლ –ს. გამოიყოფა ყვითელი ფერის ფიფქისებური ნალექი.

შეფერვა: პრეპარატის შეფერილობის ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს ეთალონ 5ა-ს. (გგ.167-169)

pH: 2,5 – 3.5 (პოტენციომეტრიულად)

სტერილობა მექანიკური მინარევები(გგ.323-326)

რაოდენობრივი განსაზღვრა: პრეპარატის 10 მლ ათავსებენ შეფ ძაბრში, უმატებენ 10 მლ წყალს, ნატრიუმის ჰიდროქსიდის 0.1 მოლ ხსნარის 5 მლ და გამოწვლილავენ ქლოროფორმით (3-ჯერ 20 – 20 მლ). ქლოროფორმიან ექსტრაქტებს შეაერთებენ, რეცხავენ 10 მლ წყლით, ფილტრავენ ქლოროფორმით დასველებულ ქაღალდის ფილტრში, ფილტრს ჩარეცხავენ 5 მლ ქლოროფორმით, ითახის ტენპერატურაზე, ვაკუუმის ქვეშ და აცილებენ ქლოროფორმს მშრალ ნაშთამდე; ნაშთის ხსნიან 15 ცენტიგრადიან ძმარმჟავაში, უმატებენ 15 მლ განზავებულ სოდაწყალბადმჟავას, 3 გ თუთიის ფხვნილს და აყოვნებენ ბნელ ადგილას 30 წუთის განმავლობაში. შემდეგ კოლბის შიგთავსს ფრაფად ჩაფილტრავენ სხვა კოლბში ბამბით, ჩარეცხავენ წყლით (3-ჯერ 10-10მლ). მიღებულ ფილტრატს უმატებენ ო-ფენანტროლი-

ნის ხსნარის 2-3 წვეთს და ტიტრავენ ცერიუმის სულფატის 0,1 მოლ ხსნარით მწვანე შეფერილობის მიღებამდე.

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

ცერიუმის სულფატის 0,1 მოლ ხსნარის 1 მლ შეესაბამება 0,01652გ $C_{11}H_9NaO_4S3H_2O$ (ვიკასოლი), რომლის შემცველობა 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,0095-0,0105გ.

*შენახვა:*ხინათლისაგან დაცულ ადგილას.

კოაგულანტი

თიამინ ბრომიდის დრაჟე	0,0026გ
თიამინ ქლორიდის დრაჟე	0,002გ
Drages Thiamini bromidi	**0,0026g**
Drages Thiamini chloridi	**0,002g**

Vitamini B_1

ერთი დრაჟეს შემადგენლობა:

თიამინის ბრომიდი	0,0026გ
თიამინის ქლორიდი	0,002გ
დამხმარე ნივთიერებები	0,25 გ დრაჟესმისაღებად

ად წერა:თეთრი ფერის დრაჟეები.

*იგ ივეობა:*0,5გ მოსრესილი დრაჟეების ფხვნილს ანჯღრევენ 20 მლ წყალთან და ფილტრავენ. 5მლ ფილტრატს უმატებენ 1მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდს, 0,5მლ კალიუმისფეროციანიდს, 5მლ ბუთილის, იზობუთილის ან იზოამილის სპირტს. შეანჯღრევენ და აცლიან. სპირტიანი ფენა ფლუორესცირებს ლურჯად, რომელიც უცვლელდება ხსნარის შემჟავებით.(თიამინი)

10მლ ფილტრატს უმატებენ 1 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას, 1 მლ ქლორამინს, 1 მლ ქლოროფორმს და შეახჯრევენ. ქლოროფორმის ფენა იფერება მოყვითალო-ნარინჯისფრად. (ბრომ-იონი)

10 მლ ფილტრატს ამატებენ 1 მლ განზავებულ ამონიუმის და 1მლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს. წარმოიქმნება თეთრი ხაჭოსებური ნალექი (ქლორ-იონი)

საშუალო მასა, დაშლადობა: (გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0,25გ (ზუსტი წონა) მოსრესილი დრაჟეების ფხვნილს ხსნიან 100მლ გამოხდილ კოლბაში, უმატებენ 30 მლ 0,01 მოლ ქლორწყალბადმჟავას. მოცულობა წყლით აყავთ ნიშნამდე. შეურევენ და ფილტრავენ.

მომზადებული ხსნარის 5 მლ გადაიტანენ 100 მლ-იან გამოხდილ კოლბაში და მოცულობას ავსებენ 0,01 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით ჭდემდე. 1 მლ მიღებულ ხსნარს ათავსებენ 50 მლ ერლენმეიერის გამყოფ ძაბრში. მეორე გამყოფ ძაბრში შეაქვთ 1 მლ თიამინის ქლორიდის სტანდარტული ხსნარი. ორივეს უმატებენ 4-4 მლ კალიუმის ქლორიდის შემჟავებულ ხსნარს და 3-3 მლ თანმიანგავ ნარევს. შეანჯღრევენ და აცლიან 1 წუთი, უმატებენ 15-15 მლ იზობუთილის, ბუთილის ან იზოამილის სპირტს, ორი წუთის განმავლობაში ენერგიულად ურევენ. აცლიან ფენების გამოშრეკებამდე. წყლიან ფენას აცილებენ. სპირტიან ფენას ფილტრავენ ქაღალდის ფილტრში 1გ უწყლო ნატრიუმის სულფატთან ერთად.

სინჯრავენ ხსნარის ფლუორესცენციის ფლეერომეტრის კიუვეტებში, 436 ნმ სიგრძის ტალღაზე. ანალიზს აკეთებენ თიამინის ბრომიდის (ქლორიდის) სტანდარტული ხსნარის მიხედვით.

თიამინ B_1 შემცველობას ერთ დრაჟეში, (გ) გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{A_1 \cdot c \cdot 100 \cdot 100 \cdot b}{A_2 \cdot a \cdot 5 \cdot 1000} = \frac{A_1 \cdot c \cdot 2 \cdot b}{A_2 \cdot a}$$

სადაც,

A_1 – ფლუორომეტრის ჩვენება საკვლევი ხსნარისთვის;

A_2 – ფლუორომეტრის ჩვენება სტანდარტული ხსნარისთვის;

c – 1 მლ სტანდარტულ ხსნარში თიამინის ბრომიდის (ქლორიდის) შემცველობა, მლ;

100, 5, 100 – განზავებები;

a – წონაკი, გ;

b – დრაჟეს საშუალო მასა, გ;

1000 – გადაანგარიშება გრამებში.

თიამინის ქლორიდის ან თიამინის ბრომიდის რაოდენობა უნდა იყოს შესაბამისად 0,0018 – 0,0022 ან 0,00234 – 0,00286 გ ერთი დრაჟეს საშუალო მასაზე გადაანგარიშებით

შენიშვნა:

1.თუ პრეპარატი შეიცავს თიამინის ბრომიდს გადაანგარიშების დროს ფორმულის მნიშვნელს ამრავლებენ კოეფიციენტზე - 1,29

2. თიამინის ბრომიდის (ქლორიდის) სტანდარტული ხსნარის მომზადება:

წინასწარ გამომშრალ თიამინის ბრომიდს (ქლორიდს), (ორი საათის განმავლობაში 102,5±2,5C^0) ხსნიან წყალში 1 ლიტრი ტევადობის გამზომ კოლბაში, უმატებენ 10 წვეთ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას და მოცულობა წყლით აჰყავთ ჭდემდე (ძირითადი ხსნარი) შენახვის ვადა ერთი თვე. ხინათლისგან დაცულ, ბნელ, გრილ ადგილას. კარგად თავდახურულ ჭურჭელში.

ანალიზის წინ 1 მლ ძირითად ხსნარს ათავსებენ 100 მლ გამზომ კოლბაში და მოცულობას ავსებენ წყლით ჭდემდე.

1მლ სტანდარტული ხსნარი შეიცავს 0,001 მგ. თიამინის ბრომიდს (ქლორიდს). ვარგისია დამზადებიდან ერთი დღე.

3. დამუანგავი ნარევის მომზადება:

0,01 გ კალიუმის ფერიციანიდს ხსნიან 1 მლ წყალში მოცულობას ავსებენ 25 მლ-მდე 15%-იანი ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით. მზადდება უშუალოდ ხმარების წინ.

4. კალიუმისქლორიდის შემჟავებული ხსნარის მომზადება: 125 გ კალიუმის ქლორიდს ხსნიან 400 მლ წყალში 500 მლ-იან გამზომ კოლბაში, უმატებენ 4,5 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას და მოცულობა წყლით აყავთ ჭდემდე.

5. იზობუთილის სპირტს (დუღ. ტემპ. 107-108C^0) ან იზოამილის სპირტს (დუღ. ტემპ. 128-130C^0) ან ბუთილის სპირტს (დუღ. ტემპ. 117-118C^0)არ უნდა ახასიათებდეთ ფლუორესცენცია წინააღმდეგ შემთხვევაში 1ლ სპირტს უმატებენ 15-20 გ გააქტიურებულ ნახშირს, შეანჯღრევენ 30 წუთი, აყოვნებენ 24 სთ-ის განმავლობაში და გადადენიან ზემოთ აღნიშნული შესაბამისი ტემპერატურების ფარგლებში.

შენახვა მშრალ, ხინათლისგან დაცულ ადგილას.

ЙОДИС СПИРТОВАНО ХСНАРИ 5%
Solutio Iodi spirituosa 5%

შემადგენლობა:

იოდი	50,0 გ
კალიუმის იოდიდი	20,0 გ
წყალი და 95% სპირტი 1:1	1ლ ხსნარის მიღებამდე

აღწერა: გამჭვირვალე, მურა-წითელი ფერის სითხე, დამახასიათებელი სუნით.

იგივეობა: 1 წვეთ პრეპარატს ანზავებენ 10 მლ წყლით და უმატებენ 1მლ სახამებლის ხსნარს, წარმოიქმნება მოლისფრად-ლურჯი შეფერილობა

სპირტი: არანაკლებ 46% (გვ.33-37)

რაოდენობრივი განსაზღვრა: 200 მლ-იან მილეხილსაცობიანი კონუსურ კოლბაში ათავსებენ 2 მლ ობიექტის და ტიტრავენ 0,1 მოლ სარეაქტივის თიოსულფატის ხსნარით გაუფერულებამდე (ინდიკატორის გარეშე).

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარი შეესაბამება 0,01269გ I-ს, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს 4,9%-დან 5,25%-მდე. მიღებულ ხსნარს უმატებენ 25 მლ წყალს, 2 მლ განზავებულ ამონიუმის, 5 წვეთ ნატრიუმის აზოტინატს და ტიტრავენ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარით შეფერილობის ყვითლიდან ვარდისფერში გადასვლამდე.

ვერცხლის ნიტრატის ხსნარის მილილიტრების რაოდენობისა და ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარის მილილიტრების რაოდენობის სხვაობით გამოითვლიან კალიუმის იოდიდის რაოდენობას.

1 მლ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარი შეესაბამება 0.01660გ KI-ს. რომელიც პრეპარატში უნდა იყოს 1,9%-დან 2,15%-მდე.

შენახვა: სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ანტისეპტიკური საშუალება

კალიუმის იოდიდი
Kalii iodidum

KI მ.წ. 166,01

აღწერა: უფერო ან თეთრი კუბური ფორმის კრისტალები ან თეთრი წვრილკრისტალური ფხვნილი, უსუნო, მწარე-მარილიანი გემოთი.

ხსნადობა: ხსნება 0.75 ნაწილ წყალში, 12 ნაწილ სპირტში, 2,5 ნაწილ გლიცერინში.

იგივეობა: ობიექტის 2 მლ ხსნარს (1:10) უმატებენ 1 მლ ღვინის მჟავას ხსნარს, 1 მლ ნატრიუმის აცეტატის ხსნარს და შეანჯღრევენ. თანდათან გამოიყოფა თეთრი კრისტალური ნალექი, რომელიც იხსნება მინერალურ მჟავებში და ტუტეთა ხსნარებში (K⁺).

ობიექტი ფერი ალს აფერადებს იისფრად (K⁺).

ობიექტის 2 მლ ხსნარს (1:10) უმატებენ 0,2 მლ განზავებულ გოგირდმჟავას, 0,2 მლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარს ან რკინის (III) ქლორიდის ხსნარს და 2 მლ ქლოროფორმს. შეანჯღრევენ. ქლოროფორმის ფენა იფერება იისფრად (I^-).

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 1 გ კალიუმის იოდიდს ხსნიან 10 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში. ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და ფერადი.

ტუტიანობა: ამიღებულ ხსნარს უმატებენ 0,2 მლ 0,02 მოლ ქლორწყალბადმჟავას. ხსნარი არ უნდა შეიფეროს ვარდისფრად 1 წვეთი ფენოლფტალეინის დამატებით.

სულფატები: 3 გ კალიუმის იოდიდს ხსნიან 30 მლ წყალში. მიღებული ხსნარის 10 მლ-ს ამოწმებენ სულფატების შემცველობაზე (არა უმეტეს 0,01%).

ციანიდები: 5 მლ იგივე ხსნარს უმატებენ 5 წვეთ რკინის (II) სულფატის ხსნარს, 2 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს და 1 მლ ნატრიუმის ტუტის ხსნარს. აცხელებენ, შეამჟავებენ ქლორწყალბადმჟავით. ხსნარი არ უნდა შეიფეროს ლურჯად.

$$2\,KCN + FeSO_4 \rightarrow Fe(CN)_2 + K_2SO_4$$

$$Fe(CN)_2 + 4\,KCN \rightarrow K_4[Fe(CN)_6]$$

$$K_4[Fe(CN)_6] + FeCl_3 \rightarrow KFe[Fe(CN)_6] + 3\,KCl$$

ბარიუმის 5 მლ იგივე ხსნარს განაზავებენ წყლით 10 მლ-მდე, უმატებენ 1 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და 1 მლ განზავებულ გოგირდმჟავას. ხსნარი უნდა დარჩეს გამჭვირვალე 15 წუთის განმავლობაში.

$$Ba^{2+} + H_2SO_4 \rightarrow BaSO_4\downarrow + 2H^+$$

მძიმე მეტალების 5 მლ იგივე ხსნარს განაზავებენ წყლით 10 მლ-მდე და ამოწმებენ მძიმე მეტალების შემცველობაზე (არა უმეტეს 0,001%).

რკინის 3 გ კალიუმის იოდიდის ხსნარი 10 მლ წყალში არ უნდა შეიცავდეს რკინას (არა უმეტეს 0,001%).

იოდოვანმჟავა, თიოსულფატი, სულფიტი. 0,5 გ კალიუმის იოდიდს ხსნიან 10 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, უმატებენ რამდენიმე წვეთ სახამებლის ხსნარს და განზავებულ გოგირდმჟავას. ნახევარი წუთის განმავლობაში არ უნდა წარმოიქმნას ლურჯი შეფერილობა. აღნიშნული შეფერილობა უნდა წარმოიქმნას ხსნარზე არა უმეტეს 1 წვეთი 0,1 მოლ იოდის ხსნარის დამატებით.

$$I_2 + Na_2SO_3 + H_2O \rightarrow Na_2SO_4 + 2HI$$

$$I_2 + Na_2S_2O_3 \rightarrow 2NaI + Na_2S_4O_6$$

ნიტრატები: 1 გ კალიუმის იოდიდს უმატებენ 5 მლ ნატრიუმის ტუტის ხსნარს, 0,5 გ თუთიის ნაქლიბს და 0,5 გ რკინის ნაქლიბს, აცხელებენ. ხსნარის ორთქლში შეტანილი წითელი ლაკმუსის ქაღალდი არ უნდა გალურჯდეს.

$Zn + 2NaOH \rightarrow Na_2ZnO_2 + H_2\uparrow$

$4H_2 + NaNO_3 \rightarrow NH_3\uparrow + NaOH + 2H_2O$

წონაში დანაკარგი გამოშრობისას 1,0გ ობიექტს (ზუსტი წონა) აშრობენ 110^0-ზე 4 საათის განმავლობაში. წონაში დანაკარგი გამოშრობისას არ უნდა აღემატებოდეს 1%-ს.

დარიშხანი 1,0გ ობიექტში არა უმეტეს 0.0001%.


რაოდენობითი განსაზღვრა კალიუმის იოდიდს აშრობენ 110^0-ზე 4 საათის განმავლობაში. გამოშშრალი კალიუმის იოდიდის 0,1გ (ზუსტი წონა) ხსნიან 30 მლ წყალში, უმატებენ 1,5 გ განზავებულ ძმარმჟავას, 5 წვეთ 0,1%-იან ნატრიუმის ლაზის ხსნარს და ტიტრავენ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარით წარმოქმნილი ნალექის გარდისფერ შეფერილობამდე.

1 მლ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს შეესაბამება 0,01660გ კალიუმის იოდიდი, რომელიც გამოშშრალ ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,5%.

შენახვა: კარგად თავდახურულ, ნარინჯისფერ შუშის ჭურჭელში.

კალციუმის გლუკონატი

Calcii gluconas



$C_{12}H_{22}CaO_{14} \cdot H_2O$

448,4

ალწერა: თეთრი მარცვლოვანი ან კრისტალური ფხვნილი უსუნო და უგემო.

ხსნადობა: ხსნება 50 ნაწილ წყალში, ხსნება 5 ნაწილ მდუღარე წყალში. პრაქტიკულად უხსნადია სპირტში და ეთერში.

იგივეობა: ობიექტის (1:50) ხსნარი იძლევა რეაქციას კალციუმზე (გვ.129).

5 მლ იგივე ხსნარს უმატებენ 2 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. მიიღება ღია მწვანე ფერის ხსნარი.

ხსნარის გამჭვირვალობა: 0,1 გ ობიექტს ათავსებენ 50 მლ-იან კონუსურ კოლბაში, უმატებენ 10 მლ წყალს, ათბობენ წყლის აბაზანაზე 30^0-ზე და ამ ტემპერატურაზე ტოვებენ 30 წუთის, ხშირი შერევის ქვეშ. მიღებული ხსნარის სიმღვრივე არ უნდა აღემატებოდეს სიმღვრივის №3 ეთალონს.

მჟავიანობა და ტუტიანობა: 0.5 გ ობიექტს ხსნიან 25 მლ ახლადადუღებულ წყალში გაცხელებით; ხსნარი უნდა იყოს ნეიტრალური (ლაკმუსთან).

ქლორიდები: მიღებულ ხსნარს, თუ საჭიროა ფილტრავენ. ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0.01%).

სულფატები: იგივე ხსნარის ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0.05%).

მძიმე მეტალები: 0,5 გ ობიექტს ხსნიან გაცხელებით 2 მლ განზავებული ქლორწყალბადმჟავას და 8 მლ წყლის ნარევში. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0.001%).

დარიშხანი: 0,25 გ ობიექტი არ უნდა იძლეოდეს დადებით რეაქციას დარიშხანზე (არა უმეტეს 0,0002%).

დექსტრინები, საქაროზა: 0,5 გ ობიექტს გაცხელებით ხსნიან 2 მლ განზავებული ქლორწყალბადმჟავის და 10 მლ წყლის ნარევში და 2 წუთი ადუღებენ. გაცივებულ ხსნარს თანდათან უმატებენ 8 მლ ნატრიუმის კარბონატის ხსნარს და 5 წუთის შემდეგ ფილტრავენ. 5 მლ ფილტრატს ადუღებენ 2 მლ ფელინგის რეაქტივთან 1 წუთის განმავლობაში. არ უნდა წარმოიქმნას წითელი ნალექი.

რაოდენობითი განსაზღვრა: დაახლოებით 0,4 გ (ზუსტი წო ობიექტს გაეხსნებით ხსნიან 20 მლ წყალში. გაცივების შემდ უმატებენ 10 მლ ამიაკურ ბუფერს, 7 წვეთ მჟავე ქრომოგ ლურჯას და ტიტრავენ 0.05 მოლ ტრილონ B-ს ხსნარით მოლურ ჯო-იისფერ შეფერილობამდე (იხ. კომპლექსონომეტრია).

1 მლ 0,05 მოლ ტრილონ B ხსნარი შეესაბამება 0,0 გ $C_{12}H_{22}CaO_{14} \cdot H_2O$,რომელიც იბიექტში უნდა იყოს 99,5%-103,0%.

კალციუმის გლუკონატის ტაბლეტები 0,5 გ
Tabulettae Calcii gluconatis 0,5

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

კალციუმის გლუკონატი	0,5 გ
დამხმარე ნივთიერებები	საჭიროებისა რაოდენობა

აღწერა: თეთრი ფერის ტაბლეტები.

იდენტობა: 0,2 გ მოხერხილი ტაბლეტების ფხვნილს შეკ ჯღრევენ 10 მლ წყალთან და ფილტრავენ. ფილტრატი იძლევა იდენტობის მეორე რეაქციას, რომელიც მოცემულია სტატია "კალციუმის გლუკონატში" და რეაქციას კალციუმის იონზე.

ტაბლეტის საშუალო მასა, დაშლადობა (გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა დაახლოებით 2.4 გ (ზუსტი წონ გახერხილი ტაბლეტების ფხვნილს ათავსებენ 100 მლ ეკონომ კოლბაში, უმატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას 10 მლ წყალს და აცხელებენ 10 წუთი მდუღარე წყლის აბაზანა გაცივების შემდეგ მოცულობა წყლით ამყავთ ჭდემდე, ქიმ შეურევენ და ფილტრავენ. 20 მლ ფილტრატს ტიტრავენ 0,05 მო ტრილონ B-ს ხსნარით, ისე როგორც მითითებულია სტატია "კალციუმის გლუკონატში".

1 მლ 0,05 მოლ ტრილონ B-ს ხსნარი შეესაბამება 0,0 გ $C_{12}H_{22}CaO_{14} \cdot H_2O$,რომელიც პრეპარატში უნდა იყოს 0,475 0 გ ერთი ტაბლეტის საშუალო წონაზე გადაანგარიშებით.

კალციუმის გლუკონატის სანემძღვრე ხსნარი 10%-იანი
Solutio Calcii gluconatis 10% pro injectionibus

შემადგენლობა:

კალციუმის გლუკონატი	100 გ.
წყალი სანემძღვრე	1 ლ-მდე.

ხსნარს ფილტრავენ. 10-10 მლ-ს ასხამენ ამპულებში და ანტერილებენ 110°-ზე ავტოკლავში 1 საათი.

აღწერა: უფერო გამჭვირვალე სითხე.

შეფერილობა: უნდა იყოს უფერო. გამჭვირვალე (გვ.167-169).

ნომინალური მოცულობა, სტერილურობა, მექანიკური მინარევები: (გვ.323-326)


იდენტობა: მლ პრეპარატი, წყლით განზავებული 10 მლ-მდე, იძლევა იდენტობის მეორე რეაქციას, რომელიც მითითებულია სტატიაში "კალციუმის გლუკონატი", და დამახასიათებელ რეაქციას კალციუმზე.

pH. 6,0-7,5(პოტენციომეტრულად)

რაოდენობრივი განსაზღვრა. 20 მლ პრეპარატი გადააქვთ 100 მლ გამოხდის კოლბაში და მოცულობა წყლით ამყავთ ჭდემდე. მიღებული ხსნარის 20 მლ-ის განსახღვრას ახდენენ, როგორც მითითებულია სტატიაში "კალციუმის გლუკონატი".

1 მლ 0,05 მოლ ტრილონ B-ს ხსნარი შეესაბამება 0,02242 გ $C_{12}H_{22}CaO_{14} \cdot H_2O$,რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,097-0,103გ

კალციუმის ლაქტატი
Calcii lactas



$C_6H_{10}CaO_6 \cdot 5H_2O$ მ.მ. 308,30

აღწერა: თეთრი წვრილკრისტალური. თითქმის უსუ-ფხვნილია. ჰაერზე ქარწყლდება.

*ხსნადობა:*ხსნება წყალში (ნელა). აღვილად იხსნება ცხელ წყალში, ძალიან მცირედ სპირტში, ეთერში და ქლოროფორმში.

*იგივეობა:*ობიექტი უნდა იძლეოდეს დამახასიათებელ რეაქციას კალციუმის იონზე.

0,25გ ობიექტს ხსნიან 5 მლ წყალში. შეამჟავებენ ცოტა ოდენ გოგირდმჟავით. უმატებენ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს მოწითალო-ისფერ შეფერილობამდე და აცხელებენ. შეინიშნება აცეტალდეჰიდის სუნი.

$$5\,[CH_3CH(OH)COO]_2Ca + 4KMnO_4 + 11H_2SO_4 \rightarrow$$

$$\rightarrow 10\,CH_3COOH + 2\,K_2SO_4 + 4\,MnSO_4 + 10\,CO_2\uparrow + 5\,CaSO_4 + 16\,H_2O$$

*მჟავიანობა ან ტუტიანობა:*1 გ პრეპარატს ხსნიან 20 მლ ახლადადუღებულ წყალში და აცხელებენ. თითქმის ადუღებამდე გაცივებულ ხსნარს უმატებენ 2 წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს. ხსნარი უნდა დარჩეს ფერად. ვარდისფერი შეფერილობა უნდა წარმოიქმნას 0,02 მოლ ნატრიუმის ტუტის არა უმეტეს 0,6 მლ-ის დამატების შემდეგ.

*უხსნადი მინარევები:*1,5 გ პრეპარატს უმატებენ 50 მლ ახლად ადუღებულ წყალს. აცხელებენ ადუღებამდე. მიღებული ხსნარის სიმღვრივე არ უნდა აღემატებოდეს №3 ეთალონურ ხსნარს.

*ქლორიდები:*უხსნადი მინარევების განსაზღვრის შემდეგ ხსნარს ფილტრავენ. 25 მლ ფილტრატს ანზავებენ წყლით 75 მლ-მდე. 10 მლ მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,02%).

*სულფატები:*10 მლ იგივე ხსნარი არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,1%).

რკინა 0,4გ ობიექტს უმატებენ 0,5 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას და 10 მლ წყალს. აცხელებენ წყლის აბაზანაზე

გაცივებულ ხსნარს უმატებენ დაახლოებით 0,7 მლ ამიაკის კონცენტრირებულ ხსნარს. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს რკინის იონებს (არა უმეტეს 0,0075 %).

*მძიმე მეტალები*0.5 გ ობიექტს უმატებენ 2,0 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას, ხსნიან გაცხელებით წყლის აბაზანაზე და ანზავებენ წყლით 10 მლ-მდე. ხსნარს ანეიტრალებენ 0.5 მლ 30% ნატრიუმის ტუტით ძლიერი მორევის პირობებში ქვაში. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).

*წონაში დანაკარგი გამოშრობისას*დაახლოებით 0,5 გ ობიექტს (ზუსტი წონა) აშრობენ 120°-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი გამოშრობისას 30% არ უნდა აღემატებოდეს.

*დარიშხანი*0,5გ ობიექტში არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (არა უმეტეს 0,0001%).

*რაოდენობრივი განსაზღვრა*დაახლოებით 0,3 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) ხსნიან გაცხელებით 50 მლ წყალში. აცივებენ და უმატებენ 6 მლ ამიაკურ ბუფერს. 0.1 გ ინდიკატორულ ნარევს ან 7 წვეთ მეთილ ქრომოგენ ლურჯას და ტიტრავენ 0,05 მოლ ტრილონ ბ-ს ხსნარით მოლურჯო-ისფერ შეფერილობამდე (იხ. კომპლექსონომეტრია).

1 მლ 0,05 მოლ ტრილონ ბ-ს ხსნარი შეესაბამება 0,01091 გ $C_6H_{10}CaO_6$. რომელიც მაძრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 98,0%.

კალციუმის ლაქტატის ტაბლეტები 0,5 გ

Tabulettae Calcii lactatis

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

კალციუმის ლაქტატი	0,5 გ
დამხმარე ნივთიერებები	საკმარისი რაოდენობით

აღწერა : თეთრი ფერის ტაბლეტები.

იგივეობა 0,2 გ გასრესილი ტაბლეტების ფხვნილს ხსნიან 10 მლ წყალში და ფილტრავენ. ფილტრატი იძლევა იგივეობის მეორე

რეაქციას, რომელიც მითითებულია სტატიაში „კალციუმის ლაქტატი“ და დამახასიათებელ რეაქციას – კალციუმის იონზე.

ტაბლეტების საშუალო მასა, დაშლადობა: (ზგ.316-321).

მიკრობიოლოგიური სისუფთავე: სფ. რ. 2, ზგ. 119 შესაბამისად.

1გ ობიექტში დასაშვებია არა უმეტეს 1000 ბაქტერიისა და სხვების და საფუვრის სოკოს შემცველობა.

დაუშვებელია ენტერობაქტერიების, ფსევდომონას და ხორციელოკოკის ოქროსის ბაქტერიების შემცველობა (ზგ.316-321).

რაოდენობრივი განსაზღვრა დაახლოებით 0.2 გ (ზუსტი წონა მოსარგებლი ტაბლეტების ფხვნილის განსაზღვრას ახდენენ ისე როგორც მითითებულია სტატიაში „კალციუმის ლაქტატი“.

1მლ 0.05 მოლ ტრილონ ბ-ს ხსნარი შეესაბამება 0.01471 გ $C_6H_{10}CaO_6 \cdot 5H_2O$, რომელიც უნდა იყოს 0,475-0,525გ, ერთი ტაბლეტის საშუალო წონაზე გადაანგარიშებით.

კალციუმის ქლორიდი

Calcii chloridum

$CaCL_2 \cdot 6H_2O$ მ.მ. 219,08

აღწერა: უფერო, უსუნო კრისტალები, მწარე-მარილიანი გემოთი. ძლიერ ჰიგროსკოპიული, ჰაერზე თხევადდება.

ხსნადობა: ადვილად იხსნება წყალში (ცხარსხარ ხსნარი ძლიერად ცივდება), ადვილად იხსნება 95%-იან სპირტში.

იდენტობა: 1 მლ კალციუმის ქლორიდის ხსნარს (1:10) უმატებენ 1 მლ ამონიუმის ოქსალატის ხსნარს. წარმოიქმნება თეთრი ნალექი, რომელიც არ იხსნება ძმარმჟავაში და ამიაკის ხსნარში, იხსნება განზავებულ მინერალურ მჟავებში.

2 მლ კალციუმის ქლორიდის ხსნარს (1:10) უმატებენ 0.5 მლ განზავებულ აზოტმჟავას და 0,5 მლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს. წარმოიქმნება თეთრი ხაჭოსებური ნალექი, რომელიც იხსნება ამიაკის ხსნარში.

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 1 გ კალციუმის ქლორიდის ხსნარი 10 მლ წყალში უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო(ზგ.167-169).

95%-იან სპირტში უხსნადი ნივთიერებები 0.5 გ კალციუმის ქლორიდი ხრუსლად იხსნება 5 მლ 95%-იან სპირტში, წარმოქმნის გამჭვირვალე, უფერო ხსნარს.

მჟავიანობა ან ტუტიანობა: 1 გ კალციუმის ქლორიდს ხსნიან 20 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, უმატებენ 1 წვეთ მეთილწითელის ხსნარს. შეფერილობა უნდა შეიცვალოს 0.01 მოლ ხარისხის ჰიდროქსიდს ან ქლორწყალბადმჟავის არა უმეტეს 0.05 მლ-ის დამატებით.

სულფატები 4 გ კალციუმის ქლორიდს ხსნიან 20 მლ წყალში. მიღებული ხსნარის 10 მლ-ს ამოწმებენ სულფატების შემცველობაზე (არა უმეტეს 0.005%).

მძიმე მეტალები ასევე ხსნარის 5 მლ-ს განაზავებენ წყლით 10 მლ-მდე და ამოწმებენ მძიმე მეტალების შემცველობაზე (არა უმეტეს 0.0005%).

რკინა: 1გ ობიექტს ხსნიან 10 მლ წყალში და ამოწმებენ რკინის შემცველობაზე (არა უმეტეს 0,0002%).

ბარიუმი 2გ ობიექტს ხსნიან 40 მლ წყალში. მიღებული ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 5 მლ კალციუმის სულფატის ნაჯერ ხსნარს. 1 სთ-ის განმავლობაში არ უნდა წარმოიქმნას სიმღვრივე.

რკინა, ალუმინი, ფოსფატები ასევე ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 1 მლ ამონიუმის ქლორიდის ხსნარს, 1 წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს და ამიაკის ხსნარს ვარდისფერი შეფერილობის წარმოქმნამდე. მიღებულ ხსნარში, არც ოთახის ტემპერატურაზე და არც ადუღებისას არ უნდა წარმოიქმნას სიმღვრივე.

მაგნიუმის მარილები, ტუტე მეტალთა მარილები ასევე ხსნარის

20 მლ-ს აცხელებენ ადუღებამდე, ცხელ ხსნარს უმატებენ 0.5 გ ამონიუმის ქლორიდს, ამიაკის ხსნარს ტუტე რეაქციამდე და 20 მლ

ამონიუმის ოქსალატის ცხელ ხსნარს. გაცივების შემდეგ გამოყოფილ ნალექს გაფილტრავენ. ფილტრატის 20 მლ-ს უმატებენ 0 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და ამოაქროლებენ ამონიუმის მარილების სრულ მოცილებამდე. ნაშთს გამოაწრთობენ მუდმივ წონამდე. ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს.

თუთიას გ კალციუმის ქლორიდის ხსნარი 20 მლ წყალში ... უნდა იძლეოდეს დაღებით რეაქციას თუთიაზე (გვ. 131).

დარიშხანი 0,5 გ კალციუმის ქლორიდი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (არა უმეტეს 0,00001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა 0,8 გ კალციუმის ქლორიდს (ზუსტი წონა) გადაიტანენ 100 მლ-იან ტევადობის გამზომ კოლბაში, აახსნიან გამოხდილ წყალში და მოცულობას შეავსებენ ჭდემდე წყლით. კარგად შეურევენ.

მიღებული ხსნარის 25 მლ-ს უმატებენ 5 მლ ამიაკური ბუფერის ხსნარს, 0,1 გ ინდიკატორულ ნარევს ან 7 წვეთ მჟავა ქრომ მუქ-ლურჯას და ტიტრავენ 0,05 მოლ ტრილონ ბ-ს ხსნარით ლურჯ-იისფერ შეფერილობამდე (იხ. კომპლექსონომეტრია).

1 მლ 0,05 მოლ ტრილონ ბ-ს შეესაბამება 0,0109 გ $CaCl_2 \cdot 6H_2O$, რომელიც საკვლევ ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 98%.

შენახვა. კარგად თავდახურული მოპარაფინებული მინის ჭილებში, მშრალ ადგილას.

კალციუმის ქლორიდის 10%-იანი სანიმუშო ხსნარი
Solutio Calcii chloridi 10% pro injectionibus

შემადგენლობა:

კალციუმის ქლორიდი	100 გ.
წყალი სანიმუშო	1 ლ-მდე.

ხსნარს ფილტრავენ, ჩამოასხამენ ნეიტრალური მინის 5 ან 10 მლ-იან ამპულებში, ასტერილებენ ავტოკლავში 120°C-ზე 15-20 წთ-ის განმავლობაში ან გამდინარე ორთქლით 100°C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში.

ალწერა: უფერო, გამჭვირვალე სითხე.

იგივეობა: 1 მლ პრეპარატს განაზავებენ წყლით 10-ჯერ და ატარებენ რეაქციებს, რომლებიც აღწერილია სტატიაში „კალციუმის ქლორიდი".

pH: 5,5-7,0 (პოტენციომეტრულად).

ნომინალური მოცულობა, სტერილურობა, მექანიკური მინარევები: (გვ. 323-326).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 10 მლ პრეპარატს ათავსებენ 100 მლ-იან გამზომ კოლბაში და მოცულობას შეავსებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით.

მიღებული ხსნარის 10 მლ-ს გადაიტანენ კონუსურ კოლბაში, უმატებენ 15 მლ წყალს და განსაზღვრას აწარმოებენ ისე, როგორც აღწერილია სტატიაში „კალციუმის ქლორიდი".

1მლ 0,05 მოლ ტრილონ ბ-ს შეესაბამება 0,01095 გ $CaCl_2 \cdot 6H_2O$, რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,097-0,103 გ.

ვალერიანას ნაყენი
Tinctura Valerianae

შედგენილობა:

ვალერიანას დაქუცმაცებული ფესვები და ფესვურები	200გ
სპირტი 70%	1ლ ნაყენის მიღებამდე

ალწერა: გამჭვირვალე მუქი მოწითალო სითხე, დამახასიათებელი არომატული სუნით, მომწარო მეტკბო გემოთი.

მშრალი ნაშთი: ნაყენის 5 მლ ათავსებენ 5-7 სმ დიამეტრის მქონე აწონილ ბიუქსში, წყლის აბაზანაზე აშოაშრობენ 2 საათის განმავლობაში 102,5±2,5°C; აცივებენ ექსიკატორში და წონიან. მშრალი ნაშთი არ უნდა იყოს 3%-ზე ნაკლები.

სპირტი: არა უმცირეს 65% (გვ. 33-37).

მძიმე ლითონები: არა უმეტეს 0,001 %.

რაოდენობრივი განსაზღვრა: ნაყენის 10მლ უმატებენ 150 მლ გამოხდილ წყალს და ტიტრავენ 0,1 მოლ ნარეულმის ჰიდროქსიდის ხსნარით (ინდიკატორი-ფენოლფტალეინი - 10 წვეთი).

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი შეესაბამება 0,01021 გ ვალერიანმჟავას, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არა უმცირეს 0,2%.

შენახვა: გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

დამამშვიდებელი საშუალება

კორდიამინის წვეთები
Guttae Cordiamini

შემადგენლობა:

ნიკოტინმჟავას დიეთილამიდი	250,0 გ
წყალი საინიექციო	1 ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ და ჩაასხამენ ნარინჯისფერ მინის ჭილებში.

აღწერა: უფერო ან ოდნავ მოყვითალო ფერის სითხე დამახასიათებელი სუნით.

ოგიგეობა: პრეპარატის 2-3 წვეთს უმატებენ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის 3 მლ-ს, აცხელებენ და ადუღებენ. შეიგრძნობა დიეთილამიდის დამახასიათებელი სუნი.

პრეპარატის 5 მლ-ს უმატებენ 5 მლ სპილენძის სულფატს. მიიღება ლურჯი შეფერილობა,რომელიც გადადის კაშკაშა მწვანე ნალექში 3 მლ ამონიუმის როდანიდის დამატებით.

პრეპარატის 2-3 წვეთს უმატებენ 0,05გ 2,4-დინიტრო-ქლორბენზოლს და 3 მლ 95% სპირტს. ადუღებენ 1 წუთის განმავლობაში. ხსნარი შეიფერება ყვითლად, გაცივების შემდეგ უმატებენ 1 წვეთ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, წარმოიქმნება იისფერი შეფერილობა, რომელიც ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის წვეთების შემდგომი დამატებით თანდათან გადადის მურა-წითელ ფერში.

მჟავიანობა: პრეპარატის 2 მლ-ს უმატებენ 2 მლ წყალს და 1 წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს. ხსნარი უნდა დარჩეს უფერო

ვარდისფერი შეფერადება უნდა წარმოიქმნას არა უმეტეს 0,1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის მიმატებისას.

შეფერილობა: პრეპარატის შეფერილობა არ უნდა იყოს № 5ა ან № 5 გ ეთალონზე ინტენსიური (გვ.167-169).

რაოდენობრივი განსაზღვრა: პრეპარატს და ჭიქას გამოხდილი წყლითაავსებენ რეფრაქტომეტრის გვერდით 20° C ტემპერატურის მქონე წყლიანჭურჭელში 1 სთ განმავლობაში. რეფრაქტომეტრში, განსაზღვრის დაწყებამდე 1 სთ განმავლობაში. რეფრაქტომეტრის პრიზმაზე დააქვთ 20°C ტემპერატურის რამდენიმე წვეთი წყალი და ხაზღვრავენ გარდატეხის მაჩვენებელს. პრიზმას ამშრალებენ. ხელ ათავსებენ რამდენიმე წვეთ პრეპარატს და ხაზღვრავენ გარდატეხის მაჩვენებელს, ცდას იმეორებენ 3-4-ჯერ, პრეპარატის ახალი ულუფებით. ანგარიშისათვის იღებენ ყველა განსაზღვრის საშუალო მნიშვნელობას.

ნიკოტინის მჟავას დიეთილამიდის რაოდენობას 1 მლ პრეპარატში (X) გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{n - n_0}{0,002 \cdot 100}$$

სადაც:

n – პრეპარატის გარდატეხის მაჩვენებელი;

n_0 – წყლის გარდატეხის მაჩვენებელი;


0,002 – გარდატეხის მაჩვენებლის ზრდის სიდიდე ნიკოტინმჟავას დიეთილამიდის ხსნარის კონცენტრაციის 1%-ით გაზრდისას.

$C_{10}H_{14}N_2O$ შემცველობა 1მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,240 - 0,258 გ

შენახვა: სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორი, ანალეპტიკი

კოფეინ – ბენზოატ - ნატრიუმი
Coffeinum-natrii benzoas



აღწერა: თეთრი ფხვნილი, უსუნო.

ხსნადობა: კარგად იხსნება წყალში, ძნელად სპირტში.

*იგივეობა.*0,5 გ პრეპარატს ხსნიან 3 მლ წყალში. მიღებულ ხსნარს უმატებენ 1 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, 10 მლ ქლოროფორმს, შეანჯღრევენ 1-2 წუთის განმავლობაში და ფილტრავენ უწყლო ნატრიუმის სულფატიანი ფილტრით. ქლოროფორმს ამოაქროლებენ წყლის აბაზანაზე.

ა)მიღებულ ნაშთს გამოაშრობენ 80^0C-ზე მუდმივ წონამდე და ადგენენ მის ლღობის ტემპერატურას, რომელიც უნდა იყოს 234-237^{0}C (კოფეინი).

ბ) ნაშთს უმატებენ 10 წვეთ ქლორწყალბადმჟავას და 10 წვეთ პერჰიდროლს. ხსნარს ამოაქროლებენ წყლის აბაზანაზემიღებულ ნაშთს უმატებენ 1-2 წვეთ ამონიუმის ჰიდროქსიდს. მიიღება პურპურ-წითელი შეფერილობა(კოფეინი).

პრეპარატის ხსნარს (1:100) 2 მლ უმატებენ 0,2 მლ რკინის **(III)** ქლორიდის ხსნარს. გამოიყოფა მოყვითალო-ყარდისფერი ნალექი. (ბენზოატი)

პრეპარატი უფერო ალს აფერადებს ყვითლად (ნატრიუმი).

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში. მიღებული ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

მჟავიანობა და ტუტიანობა: 0,25 გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში უმატებენ რამდენიმე წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს. ხსნარი არ უნდა შეიფეროს ვარდისფრად. ვარდისფერი შეფერილობა უნდა წარმოიქმნას 0,01 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის არა უმეტეს 0,15 მლ-ის დამატებით.

ორგანული მინარევები: 0,3 გ პრეპარატს ხსნიან 3 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილობა არ უნდა აღემატებოდეს №5ა ეოსალონის შეფერილობას.

*ქლორიდები.*0,1 გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ წყალში, უმატებენ 5 მლ სპირტს. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,02%).

სულფატები: 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ წყალში, უმატებენ 5 მლ სპირტს. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,02%)

*ძნელი მეტალები.*0.5 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ძნელი მეტალებს (არა უმეტეს 0,001%)

წონაში დანაკარგი გამოშრობისას: 0,5 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) შრობენ 80^0C-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

ოპოდენობრივი განსაზღვრა: 0,3 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) ხსნიან 100 მლ გამზომ კოლბაში ხსნიან 30 მლ წყალში, უმატებენ 10 მლ გოგირდმჟავას, 50 მლ 0,1 მოლ იოდის ხსნარს, ათბობენ წყლით აბაზაო ჭიქამდე და კარგად შეანჯღრევენ. აცივებენ 15 წუთი, სწრაფად ჩაფილტრავენ ბამბით, ძაბრს აფარებენ საათის მინას. ფილტრატის პირველ 10-15 მლ-ს მოაცილებენ. ხსნარის 50 მლ-ს გადაიტანენ 250 მლ ტევადობის მიღესილსაცობიან კოლბაში და ჭარბ იოდს ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით. ტიტრის ბოლოს უმატებენ სახამებლის ხსნარს. (კოფეინი)

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0,1 მოლ იოდის ხსნარს შეესაბამება 0,004855 გ. $C_8H_{10}N_4O_2$, რომელიც მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პრეპარატში უნდა იყოს 38,0% - 40%.

1,5 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) გადაიტანენ 250 მლ ტევადობის მიღესილსაცობიან კოლბაში,ხსნიან 20 მლ წყალში, უმატებენ 45 მლ ეთერს, 3-4 წვეთ შერეულ ინდიკატორს (1 მლ მეთილნარინჯი

და 1 მლ მეთილენ ლურჯი) და ტიტრავენ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით წყლიანი ფენის იასამნისფერ შეფერილობამდე(ნატრიუმის ბენზოატი).

1 მლ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარს შეესაბამება 0,07205 გ $C_7H_5NaO_2$, რომელიც მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პრეპარატში უნდა იყოს 58,0%- 62,0%.

შენახვა: კარგად თავდახურულ ჭურჭელში.

კოფეინ – ბენზოატ – ნატრიუმის ტაბლეტები 0.1გ,0.2გ

Tabulettae Coffeini-natrii benzoatis 0.1 aut 0.2

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

კოფეინ – ბენზოატ - ნატრიუმი	0.1გ ან 0.2გ
დამხმარე ნივთიერებები	საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ფერის ტაბლეტები

იგივეობა: მოსრესილი ტაბლეტების 0.02 გ (ზუსტი წონა) ხსნიან 1 მლ წყალში. მიღებულ ხსნარს უმატებენ 1 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, 10 მლ ქლოროფორმს, შეანჯღრევენ 1-2 წუთის განმავლობაში და ფილტრავენ უწყლო ნატრიუმის სულფატიანი ფილტრით. ქლოროფორმს ამოაქროლებენ წყლის აბაზანაზე ნაშთს უმატებენ 10 წვეთ ქლორწყალბადმჟავას და 10 წვეთ პერიდრილს. ხსნარს ამოაქროლებენ წყლის აბაზანაზე მიღებულნაშთს უმატებენ 1-2 წვეთ ამონიუმის ჰიდროქსიდს. მიიღება პერპურწითელი შეფერილობა (კოფეინი).

მოსრესილი ტაბლეტების წყალხსნარის (1:100) 2 მლ უმატებენ 0,2 მლ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. გამოიყოფა მოყვითალო ყარდისფერი ნალექი. (ბენზოატი)

პრეპარატი უფერო ალს აფერადებს ყვითლად (ნატრიუმი).

ტაბლეტის საშუალო მასა, დაშლადობა: (გვ.316-321).

რაოდენობრივი განსაზღვრა: მოსრესილი ტაბლეტების0,2 გ (ზუსტი წონა) დაამუშავებენ 4-ჯერ 5-5 მლ ქლოროფორმით და ფილტრავენ 50 მლ გამზომ კოლბაში ქლოროფორმით შესველებული ფილტრის გამოყენებით. ქლოროფორმს ამოაქროლებენ. ნაშთს ხსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ 5 მლ ბოგორდმჟავას, 20 მლ 0.1 მოლ იოდის

ხსნარს დამოცულობის წყლით აშენებამდე. კარგად შეანჯღრევენ. აცოვნებენ 15 წუთი. სწრაფად ნაფილტრავენ ბამბით. ძაბრს აფარებენ საათის მინას. ფილტარტის პირველ 10-15 მლ-ს მოიცილებენ. ხსნარის შემდეგ 20 მლ-ს გადაიტანენ მშრალ, მილესილსაცობიან კოლბაში და ჭარბ იოდს ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით. ტიტრის ბოლოს უმატებენ სახამებლის ხსნარს. (კოფეინი).

არალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0,1 მოლ იოდის ხსნარს შეესაბამება 0,004855 გ. $C_8H_{10}N_4O_2$, რომელიც საშუალოდ ერთ ტაბლეტში უნდა იყოს შესაბამისად 0.036-0.038გ ან 0.072-0.076გ.

მოსრესილი ტაბლეტების0, 25 გ (ზუსტი წონა) გადაიტანენ 250 მლ ერლენმეიერის მილესილსაცობიან კოლბაში, ხსნიან 20 მლ წყალში, უმატებენ 30 მლ ეთერს, 3-4 წვეთ შერეულ ინდიკატორს (1 მლ მეთილწითელი და 1 მლ მეთილენ ლურჯი) და ტიტრავენ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით წყლიანი ფენის იასამნისფერ შეფერილობამდე (ნატრიუმის ბენზოატი).

1 მლ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარს შეესაბამება 0,01441 გ. $C_7H_5NaO_2$, რომელიც საშუალოდ ერთ ტაბლეტში უნდა იყოს შესაბამისად 0.055-0.062გ ან 0.110-0.121გ.

მაგნიუმის სულფატი

Magnesii sulfas

$MgSO_4 \cdot 7H_2O$

მ.მ. 246,48

აღწერა: უფერო, პრიზმული კრისტალები მწარე-მარილიანი გემოთი, ჰაერზე გამოქარწყლებადი.

ხსნადობა: იხსნება 1 ნაწილ წყალში, 0,3 ნაწილ მდუღარე წყალში, პრაქტიკულად უხსნადია 95% სპირტში.

იგივეობა: მაგნიუმის სულფატის ხსნარის (1:10) 1 მლ-ს უმატებენ 1მლ ამონიუმის ქლორიდის ხსნარს, 0,5 მლ ნატრიუმის ოქსიდროფოსფატის ხსნარს და 1 მლ ამიაკის ხსნარს. წარმოიქმ-

ნება თეთრი კრისტალური ნალექი, რომელიც იხსნება ძმარმჟავაში (Mg^{2+}).

მაგნიუმის სულფატის ხსნარის (1:10) 2 მლ-ს უმატებენ 0,5 მლ ბარიუმის ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება თეთრი ნალექი, რომელიც არ იხსნება განზავებულ მჟავაში (რეაქცია SO_4^{2-}).

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა 2 გ მაგნიუმის სულფატს ხსნიან 20 მლ წყალში, ადუღებენ 5 წთ. ხსნარი უნდა დარჩეს უფერო და გამჭვირვალე (გვ.167-169).

ტუტიანობა ან მჟავიანობა 5 მლ ზემოთ ხსნარს უმატებენ 5 მლ წყალს და 2 წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს. ხსნარი უნდა დარჩეს უფერო. ცარიელსინჯრი შეფერილობა უნდა წარმოიქმნას 0,01 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის არა უმეტეს 0,1 მლ-ის დამატებით.

ქლორიდებიც ზემოთ ხსნარის 5 მლ განზავებული წყლით 10 მლ-მდე არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,004%).

ძნელ მეტალებიც ზემოთ ხსნარის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს ძნელ მეტალებს (არა უმეტეს 0,0005%).

რკინა-1,5 გ მაგნიუმის სულფატს ხსნიან 10 მლ წყალში. ხსნარს ამოწმებენ რკინის შემცველობაზე (არა უმეტეს 0,002%).

მანგანუმი-1,25 გ მაგნიუმის სულფატს ხსნიან 5 მლ წყალში, უმატებენ 0,5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას, 5 წვეთ 0,1 მოლ კერძოს ნიტრატის ხსნარს და აცხელებენ ადუღებამდე. შემდეგ უმატებენ 5 მლ 20%-იან ამონიუმის პერსულფატის ხსნარს და ისევ აცხელებენ ადუღებამდე. პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას 5 მლ გამოხდილი წყლისა და იგივე რეაქტივების გამოყენებით. ორივე ხსნარს (გამოსაკვლევს და საკონტროლოს) აცივებენ და გადაიტანენ ერთნაირ სინჯარებში. საკონტროლო ხსნარიან სინჯარაში ამატებენ 0,01 მოლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს მიკრობიურეტიდან, ვიდრე ხსნარის შეფერილობა საკვლევი ხსნარის შეფერილობის ინტენსივობას არ გაუთანაბრდება. შედარებას ახდენენ თეთრი ქაღალდის ფონზე.

1 მლ 0,01 მოლ კალიუმის პერმანგანატს შეესაბამება 0,00011 გ მანგანუმი, რომელიც საკვლევ ობიექტში უნდა იყოს არა უმეტეს 0,004%.

წონაში დანაკარგი გამოშრობისას დაახლოებით 1 გ ობიექტს (ზუსტი წონა) აშრობენ 100-105°-ზე 2-2,5 საათის განმავლობაში. ცრუხილად გამოაწრთობენ წითელ ვარუარებამდე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი უნდა იყოს 48-52%.

დარიშხანი 0,25 გ ობიექტი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (არა უმეტეს 0,0002%).

რაოდენობრივი განსაზღვრა-0,15 გ მაგნიუმის სულფატის (ზუსტი წონა) ხსნიან 50 მლ წყალში, უმატებენ 5 მლ ამიაკის ბუფერულ ხსნარს და ტიტრავენ ენერგიული შერევით 0,05 მოლ ტრილონ „ბ"-ს ხსნარით ლურჯ შეფერილობამდე (ინდიკატორი – მწვანური ქრომ შავი სპეციალური) (იხ. კომპლექსონომეტრია).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას 1 მლ 0,05 მოლ ტრილონ ბ შეესაბამება 0,01232გ $MgSO_4 \cdot 7\,H_2O$, რომელიც საკვლევ ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,0% და არა უმეტეს 102,0%.

მაგნიუმის სულფატის 20%-იანი ან 25-%-იანი საინიექციო ხსნარი

Solutio Magnesii sulfatis 20% aut 25% pro injectionibus

შემადგენლობა:

მაგნიუმის სულფატი	200 გ ან 250 გ.
წყალი საინიექციო	1 ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ, ჩამოასხამენ ნეიტრალური მინის 5, 10, 20 ან 30 მლ-იან ამპულებში, ასტერილებენ გამდინარე ორთქლით 100°C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში.

აღწერა: უფერო, გამჭვირვალე სითხე.

ფიზიკოთერაპიული პრეპარატი იძლევა დამახასიათებელ რეაქციებს მაგნიუმის და სულფატ-იონებზე (იხ. მაგნიუმის სულფატი).

pH 6,2-8,0 (პოტენციომეტრიულად).

ნორმალური მოცულობა, სტერილურობა და სხვა: (გვ.323-326).

რაოდენობრივი განსაზღვრა 5 მლ პრეპარატს ათავსებენ 250 მლ ტევადობის გამზომ კოლბაში და მოცულობას შეავსებენ ხსნემდე გამოხდილი წყლით. მიღებული ხსნარის 50 მლ-ს


გადაიტანენ გასატიტრად კოლბაში და განსაზღვრას აწარმოებენ ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „Magnesii sulfas".

1 მლ 0,05 მოლ ტრილონ „ბ"-ს შეესაბამება $0,01232 გ MgSO_4 \cdot 7 H_2O$, რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს შესაბამისად 0,194 0,206გ ან 0,242-0,258 გ.

მენთოლი

Mentholum

L - 2 იზოპროპილ - 5 - მეთილციკლოჰექსანოლ - 1



$C_{10}H_{20}O$ მ.მ. 156,27

ალწერა: უფერო კრისტალებია, პიტნის ძლიერი სუნით და გამაცივებელი გემოთი. ნელა ცვლის ტემპერატურაზე ქრობადება და წყლის ორთქლით გადაიდენება. მენთოლის გასრესვით თანაბარი რაოდენობის ქაფურთან, ქლორალჰიდრატთან, ფენოლთან, რეზორცინთან ან თიმოლთან, წარმოიქმნება სითხე (ევტექტიკური ნარევი).

ხსნადობა: ალკოჰოლში მცირედ იხსნება წყალში, ადვილად იხსნება 95% სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, ადვილად იხსნება თხევად პარაფინში და ცხიმოვან ზეთებში.

იგივეობა: 0,01გ ობიექტს ხსნიან 1 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში და უმატებენ 1 მლ ახლადმომზადებული 1% ვანილინის ხსნარს კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში; წარმოიქმნება ყვითელი შეფერილობა, რომელიც 1 მლ წყლის დამატებისას გადადის ღოლოსფერ წითელ ფერში.

ლღობის ტემპერატურა 41-44^0

ხვედრითი ბრუნვა: 49^0--51^0 (10% ხსნარის 95% სპირტში).

მჟავიანობა: 0,5გ ობიექტს ხსნიან 5 მლ 95% სპირტში. მიღებული ხსნარი უნდა იყოს ნეიტრალური.

თიმოლი: ობიექტის რამდენიმე კრისტალს ხსნიან 1 მლ ყინულოვან ძმარმჟავაში, უმატებენ 3 წვეთ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და 1 წვეთ აზოტმჟავას; არ უნდა წარმოიქმნას მწვანე შეფერილობა.

ცხიმები: ობიექტის გასრესით თეთრ საწერ ქაღალდებს შორის, არ უნდა წარმოიქმნას ცხიმის ლაქა.

არააქროლადი ნაშთი: 1გ ობიექტის წყლის აბაზანაზე აორთქლებით წარმოიქმნება უფერო გამჭვირვალე სითხე, რომელიც შემდგომი აორთქლებით ქრობადება. ნაშთი, 100-105^0-ზე გამოშრობის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 0,05%.


რაოდენობრივი განსაზღვრა: 0,7 გ (ზუსტი წონა) ობიექტს ათავსებენ კოლბაში აცეტილირებისთვის, იქვე უმატებენ 10 მლ ძმარმჟავას ანჰიდრიდის ხსნარს უწყლო პირიდინში. სითხეს ზუსტად ადუღებენ 2 საათის განმავლობაში სილის აბაზანაზე შეშაცივარით. შემდეგ მაცივრიდან უმატებენ 25 მლ წყალს და აცივების შემდეგ ძმარმჟავას ტიტრავენ 0,5 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით (ინდიკატორი – ფენოლფტალეინი).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0,5 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის შეესაბამება 0,07814 გ $C_{10}H_{20}O$, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 99,0%.

მეზატონი

Mesatonum



1 (მეტა - ოქსიფენილ) -2-მეთილამინოეთანოლის ჰიდროქლორიდი.

$C_9H_{13}NO_2 \cdot HCl$ მ.მ. 203,76

ალწერა: თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხვნილი, უსუნო.

ხსნადობა: ადვილად იხსნება წყალში, 95%-იან სპირტში, განზავებულ მჟავებსა და ტუტეებში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში.

*იგივეობა*0.01 გ ფხვნილს ხსნიან 1 მლ წყალში, უმატებენ 2 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება იისფერი შეფერილობა.

0,01გ ობიექტს ხსნიან 1 მლ წყალში, უმატებენ 1 წვეთ ხა ლენძის სულფატის ხსნარს და 1 მლ ნატრიუმის ტუტის ხსნარს. წარმოიქმნება ლურჯ-იისფერი შეფერილობა. უმატებენ 1მლ ეთერს და შეანჯღრევენ. ეთერის ფენა დარჩება უფერო (ყვავილოვანისაგან განსხვავებით).

მეზატონი იძლევა დამახასიათებელ რეაქციას ქლორიდებზე (გვ.131).

*ლღობის ტემპერატურა*141-145^0.

*ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა*0,1 გ ობიექტის ხსნარი 10 მლ წყალში უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

*მჟავიანობა ან ტუტიანობა*0,1 გ ფხვნილს ხსნიან 5 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, უმატებენ 1 წვეთ მეთილწითელის ხსნარს. შეფერილობა უნდა შეიცვალოს 0,05 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ან ქლორწყალბადმჟავას ხსნარის არა უმეტეს 0,1 მლ-ის დამატებით.

*სულფატები*0,65გ ფხვნილს ხსნიან 10 მლ წყალში. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,015%).

*ამონიუმის მარილები*0.2 გ ფხვნილს ათავსებენ სინჯარაში, უმატებენ 2 მლ წყალს, 1 მლ ნატრიუმის ტუტის ხსნარს და აღუ დგებენ. არ უნდა წარმოიქმნას ამიაკი, რომელიც აღმოხნდება დამა ხასიათებელი სუნით ან წითელი ლაკმუსის ქაღალდის გალურ ჯებით.

წონაში დანაკარგი გამოშრობისას. 0,5გ ობიექტს (ზუსტი წონა) აშრობენ 100-105^0-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 0.5%-ს.


სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები 0.5 გ პრეპარატის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).

დარიშხანი 0.5 გ ფხვნილი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (ის გამოკვლევა დარიშხანზე (არა უმეტეს 0,0001%)).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0,1გ ობიექტს (ზუსტი წონა) ათავსებენ ბრომომრეცხისათვის განკუთვნილ კოლბაში, ხსნიან 20 მლ წყალში, უმატებენ 50 მლ 0,1 მოლ კალიუმის ბრომატის ხსნარს, 0,7 გ კალიუმის ბრომიდს და 5 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას. კარგად შეურევენ და ტოვებენ 1 სთ-ის განმავლობაში ბნელ ადგილზე, 20^{0}C-ზე. შემდეგ უმატებენ 10 მლ 20%-იან კალიუმის იოდიდის ხსნარს, კარგად შეურევენ და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით (ინდიკატორი – სახამებელი).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

$$KBrO_3+5KBr+3H_2SO_4 \rightarrow 3Br_2+3K_2SO_4+3H_2O$$




ან რაში $Br_2+2KI \rightarrow I_2+2KBr$

$$I_2+2Na_2S_2O_3 \rightarrow 2NaI+Na_2S_4O_6$$

1 მლ 0.1 მოლ კალიუმის ბრომატის ხსნარს შეესაბამება 0.003395 გ $C_9H_{13}NO_2 \cdot HCl$. რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 98.5%.

შენახვა: ნარინჯისფერ ბურჭელში, ხანათლისაგან დაცულ ადგილას.

ნატრიუმის ბენზოატი
Natrii benzoas



$C_7H_5NaO_2$ მ.მ 144,11

აღწერა: თეთრი წვრილკრისტალური ფხვნილი. უსუნო ან სუსტი სუნით. მოტკბო-მარილიანი გემოთი.

ხსნადობა: ადვილად იხსნება წყალში, ძნელად - სპირტში.

იგივეობა 0,02გ პრეპარატს ხსნიან 1,5 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ტუტეში. მიღებულ ხსნარს უმატებენ 0,5 მლ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება მოვარდისფრო - ყვითელი შეფერილობა.

პრეპარატის კრისტალები უფერო ალს აფერადებს ყვითლად (ნატრიუმის იონი).

0,25გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ წყალში, უმატებენ 1 მლ აზოტმჟავას. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ, ჩარეცხავენ წყლით და აშრობენ კონცენტრირებულ გოგირდმჟავიან ექსიკატორში მუდმივ მასამდე. მიღებული ბენზოეს მჟავას ლღობის ტემპერატურაა 120 $124,5^0$C

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 1 გ პრეპარატს ხსნიან 10მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში. მიღებული ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

მჟავიანობა ან ტუტიანობა: ზემოთ მიღებულ ხსნარს უმატებენ რამდენიმე წვეთ ფენოლფთალეინს. ხსნარი უნდა დარჩეს უფერო. ვარდისფერი შეფერილობა უნდა წარმოიქმნას 1,05 მოლ ნატრიუმის ტუტის არა უმეტეს 0,75 მლ-ის დამატებით.

ქლორიდები 0,15გ პრეპარატს ხსნიან 14 მლ წყალში, უმატებენ 1 მლ აზოტმჟავას და ფილტრავენ ფილტრატის 10მლ არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,02%)

სულფატები: 1,5გ პრეპარატს ხსნიან 25 მლ წყალში, უმატებენ 1 მლ ქლორწყალბადმჟავას და ფილტრავენ. მიღებული ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,02%).

სხვა მეტალებით მაგ. ფილტრატის 10 მლ და არ უნდა შეიცავდეს სხვა მეტალებს ნორმაზე მეტს (0,001%-ზე ნაკლებს)

წონაში დანაკარგი გამოშრობისას: 0.5 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) შრობენ 100-105^0 C-ზემუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 1,5გ პრეპარატს (ზუსტი წონა) ათავსებენ 250 მლ ტევადობის მილესხლსაცობიან კოლბაში და ხსნიან 20 მლ წყალში. უმატებენ 45 მლ ეთერს, 3-4 წვეთ შერეულ ინდიკატორს (1 მლ მეთილნარინჯი და 1 მლ მეთილენ ლურჯი) და ტიტრავენ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით წელის ფერის ისფერი შეფერილობის მიღებამდე.

1 მლ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარს შეესაბამება 0,07205გ $C_7H_5NaO_2$, რომელიც პრეპარატში მშრალ ნაშთზე გადაანგარიშების შემდეგ უნდა იყოს არა უმცირეს 99,0%.

შენახვა: კარგად თავსდახურულ ჭურჭელში.

ამოსახველებელი საშუალება

ნატრიუმის ბრომიდი
Natrii bromidum
NaBr

მ.მ 102,90

აღწერა: თეთრი კრისტალური ფხვნილი, უსუნო, მარილიანი გემოთი, ჰიგროსკოპული.

ხსნადობა: იხსნება 1,5 ნაწილ წყალში და 10 ნაწილ სპირტში.

იგივეობა ობიექტი უფერო ალს აფერადებს ყვითლად (Na^+).

ნატრიუმის ბრომიდის 1 მლ ხსნარს (1:10) უმატებენ 1 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას, 0.5 მლ ქლორამინის ხსნარს და

1 მლ ქლორიფორმს. შეანჯღრევენ, ქლორიფორმის ფენა იფერება ყვითლად (Br^-).

$$Cl_2 + 2NaBr \rightarrow Br_2 + 2NaCL$$

ნატრიუმის ბრომიდის 1 მლ ხსნარს (1:10) უმატებენ 0,5 მლ განზავებულ აზოტმჟავას და რამდენიმე წვეთ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს. წარმოიქმნება მოყვითალო ხაჭოსებური ნალექი, რომელიც ძნელად იხსნება ამიაკის ხსნარში (Br^-).

$$NaBr + AgNO_3 \rightarrow AgBr\downarrow + NaNO_3$$

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობანატრიუმის ბრომიდის ხსნარი (1:10) უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

ტუტიანობა: 1 გ ნატრიუმის ბრომიდს ხსნიან 10 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, უმატებენ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავის 0,1 მლ-ს. ხსნარი არ უნდა შეიფეროს ვარდისფრად 1 წვეთი ფენოლფტალეინის დამატებით.

სულფატები: 3 გ ნატრიუმის ბრომიდს ხსნიან 30 მლ წყალში. მიღებული ხსნარის 10 მლ-ს იკვლევენ სულფატების შემცველობაზე (არა უმეტეს 0,01%).

იოდიდები: იგივე ხსნარის 5 მლ-ს განაზავებენ წყლით 10 მლ-მდე. უმატებენ 3 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს და სახამებლის რამდენიმე წვეთს. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიფეროს ლურჯად 10 წთ-ის განმავლობაში.

ბარიუმი, კალციუმი, ბრომატები: იგივე ხსნარის 5 მლ-ს უმატებენ 1 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას. ხსნარი უნდა დარჩეს გამჭვირვალე და არ უნდა შეიფეროს ყვითლად 5 წთ-ის განმავლობაში.

$$Ba^{2+} + H_2SO_4 \rightarrow BaSO_4\downarrow + 2H^+$$

$$Ca^{2+} + H_2SO_4 \rightarrow CaSO_4\downarrow + 2H^+$$

$$5NaBr + KBrO_3 + 3H_2SO_4 \rightarrow 3Br_2 + 3K_2SO_4 + 3H_2O$$

მძიმე მეტალები: იგივე ხსნარის 5 მლ-ს განაზავებენ წყლით 10 მლ-მდე და ამოწმებენ მძიმე მეტალების შემცველობაზე (არა უმეტეს 0,001%).

რკინა: 3 გ ნატრიუმის ბრომიდს ხსნიან 10 მლ წყალში და ამოწმებენ რკინის შემცველობაზე (არა უმეტეს 0,006%).

დარიშხანი 0,5 გ ნატრიუმის ბრომიდი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (არა უმეტეს 0,0002%).

წონაში დანაკარგი გამოშრობისას 0,5 გ ნატრიუმის ბრომიდს (ზუსტი წონა) აშრობენ 100^0-ზე 4 სთ-ის განმავლობაში. დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 4%-ს.


რაოდენობრივი განსაზღვრა 0,2 გ ნატრიუმის ბრომიდს (ზუსტი წონა) წინასწარ აშრობენ 110^0-ზე 4 სთ-ის განმავლობაში, გახსნიან 20 მლ წყალში და ტიტრავენ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატით ნარინჯისფერ-ყვითელ შეფერილობამდე (ინდიკატორი – კალიუმის ქრომატი).

$$NaBr + AgNO_3 \rightarrow NaNO_3 + AgBr\downarrow$$

1 მლ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატი შეესაბამება 0,01029 გ NaBr, რომელიც გამომშრალ პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 99,0% და არა უმეტეს 100,6%.

ნატრიუმის სალიცილატი

Natrii salicylas



$C_7H_5NaO_3$ მ.მ 160,11

აღწერა: თეთრი წვრილკრისტალური ფხვნილი, უსუნო, მოტკბო-მარილიანი გემოთი.

ხსნადობა: ადვილიანკარგად იხსნება წყალში, კარგად იხსნება გლიცერინში, იხსნება სპირტში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში.

სუფთაობა: 0,05 გ პრეპარატს ხსნიან 40 მლ წყალში. მიღებული ხსნარის 2 მლ-ს უმატებენ 1 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება ლურჯ-იისფერი შეფერილობა.

0,5 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ 2 მლ გ
ვებელ აზოტმჟავას. ვარისაწმინდ ხალექს ფილტრავენ, ხარც
3-4 ჯერ 3-3 მლ წყლით, აშრობენ კონცენტრირებულ გოგირდ
მჟავიან ექსიკატორში 4 საათის განმავლობაში. ხარისხრავენ 1
ვილის მჟავას დადების ტემპერატურას 156-161° C-ზე.
პრეპარატის კრისტალები უფერო ალს აფერადებს ყვით
(ნატრიუმის იონი)
ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 2გ პრეპარატს ხს
50მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში. მიღებული ხ
რი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.
მჟავიანობა ან ტუტიანობა: ზემოთ მიღებულ ხსნარს ემატე
რამოდენიმე წვეთ ფენოლფთალეინს. ხსნარი უნდა დარჩეს უფე
ყარდასფერი შეფერილობა უნდა წარმოიქმნას 0,05 მილ ნატრ
ტუტის არა უმეტეს 0,4 მლ-ის ემატებოდეს.
ქლორიდები: 5 გ პრეპარატს ხსნიან 16 მლ წყალში, უმატებენ 3
აზოტმჟავას და ფილტრავენ ფილტრატის 10მლ არ
შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,004%).
სულფატები: 1.5 გ პრეპარატს ხსნიან 28 მლ წყალში, უმატებ
მლ ქლორწყალბადმჟავას და ფილტრავენ. მიღებული ფილტრა
10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,02%)
მძიმე მეტალები: იგივე ფილტრატის 10 მლ და არ უნდა შეიც
მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).
ორგანული მინარევები: 0,25 გ პრეპარატს ხსნიან 2 მლ კის
ტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილობა
უნდა აღემატებოდეს №5ა ქრომატომის შეფერილობას.
რაოდენობრივი განსაზღვრა: 1.5 გ პრეპარატი ცხუსში წ
გადააქვთ 250 მლ ტევადობის მიწასაღებიან კოლბაში,
ხსნიან 20 მლ წყალში. უმატებენ 45 მლ ეთერს, 3-4 წვეთ შრე
ინდიკატორს (1 მლ მეთილნარინჯი და 1 მლ მეთილენ ლურჯი

ტიტრავენ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავის ხსნარით წყლის ფენის
ისფერი შეფერილობის მიღებამდე.
1 მლ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარს შეესაბამება 0,08005გ
$C_3H_5NaO_3$. რომელიც პრეპარატში მშრალ ნაშთზე გადაანგარიშების
შემდეგ უნდა იყოს არა უმცირეს 99,5%.
შენახვა: კარგად თავდახურულ ჭურჭელში, სინათლისგან დაცულ
მშრალ ადგილას.
*ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი
საშუალება.*

ნატრიუმის ქლორიდი
Natrii chloridum
NaCl

მ.მ 58,44
აღწერა: თეთრი კუბური ფორმის კრისტალები ან თეთრი კრისტა-
ლური ფხვნილი, უსუნო, მარილიანი გემოთი.
ხსნადობა: იხსნება 3 ნაწილ წყალში, მცირედ იხსნება სპირტში.
*იონოფობა:*პრეპარატის კრისტალები ეფერი ალს აფერადებს
ყვითლად (Na^+)
0,2გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ 0.5 მლ
აზოტმჟავას და 0,5მლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს. მიიღება
თეთრი ხაჭოსებური ნალექი, რომელიც იხსნება ამიაკის ხსნარში.
(Cl^-)

$$Cl^- + AgNO_3 \longrightarrow AgCl\downarrow + NO_3^-$$

$$AgCl + 2NH_4OH \longrightarrow [Ag(NH_3)_2]Cl + 2\,H_2O$$

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 16გ პრეპარატს ხსნიან
160მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში. მიღებული
ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.
მჟავიანობა ან ტუტიანობა: ზემოთ მიღებულ ხსნარის 50-50 მლ
შესაბამისად უმატებენ 5-5 წვეთ ბრომთიმოლლურჯის ხსნარს.
შემდეგ, ერთს უმატებენ 0.1 მლ 0,02 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის
ხსნარს, მეორეს კი 0,1 მლ 0,02 მოლ ქლორწყალბადმჟავის ხსნა-

რს. პირველ შემთხვევაში უნდა წარმოიქმნას ლურჯი შეფერილობა, მეორეში - ყვითელი.

კალციუმის ყველა ხსნარის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს კალციუმს (არა უმეტეს 0,006% კოალინური ხსნარი 2:10).

მაგნიუმის ყველა ხსნარის 5 მლ-ს უმატებენ 0,5 მლ ამიაკის ხსნარს და ნატრიუმის დიჰიდროფოსფატის ხსნარს, არ უნდა წარმოიქმნას სიმღვრივე.

ბარიუმის ყველა ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 2მლ გოგირდმჟავას ხსნარი არ უნდა შეიმღვრეს 2 საათის განმავლობაში.

რკინა: ყველა ხსნარის 10 მლ-ს არ უნდა შეიცავდეს რკინას ეთალონური ხსნარი 1:10 (არა უმეტეს 0,0003%).

მძიმე მეტალების ყველა ხსნარის 10 მლ და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,0005%).

სულფატები: 2 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,005%).

დარიშხანი: 1გ პრეპარატი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (არა უმეტეს 0,00005%).

კალიუმი: 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ წყალში. უმატებენ ღვინის მჟავას. არ უნდა წარმოიქმნას სიმღვრივე.

ამონიუმის მარილები: 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ამონიუმის მარილებს (არა უმეტეს 0,004%).

წონაში დანაკარგი გამოშრობისას: 1 გ პრეპარატს (ხუსტი წონა) აშრობენ 110°C-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი გამოშრობის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 1 გ პრეპარატის (ხუსტი წონა) ხსნიან 50 მლ გამოხდილ კოლბაში და მიცულობა წყლით აჰყავთ ჭდემდე. მიღებული ხსნარის 5 მლ გადააქვთ 200 მლ ტევადობის კოლბაში, უმატებენ 40 მლ წყალს, რამოდენიმე წვეთ კალიუმის ქრომატს და ტიტრავენ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარით ნარინჯისფერ ყვითელ შეფერილობამდე.

1 მლ 0,1 მოლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს შეესაბამება 0,005844გ NaCl რომელიც პრეპარატში, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს არა უმცირეს 99,5%.

შენახვა: კარგად თავსახურველ ჭურჭელში.

ნატრიუმის ქლორიდის საინექციო ხსნარი 0,9%
Solutio Natrii chloridi pro injectionibius 0,9%

შემადგენლობა:

ნატრიუმის ქლორიდი	9.0 გ
წყალი საინექციო	1.0 ლ-მდე

აღწერა: გამჭვირვალე, უფერო, მარილისანი გემოს სითხე.

იდენტობა: პრეპარატის 5 მლ-ს ათრთქლებენ 1 მლ-მდე ნაშთი აძლევს დამახასიათებელ რეაქციას ნატრიუმზე.

პრეპარატის 2 მლ-ს ათრთქლებენ 1 მლ-მდე. ნაშთი იძლევა დამახასიათებელ რეაქციას ქლორიდებზე.

pH: 5,0-7,0 პოტენციომეტრიულად.

ნორმინალური მოცულობა, სტერილურობა, მექანიკური მინარევები: (ფსგ-323-326)

რაოდენობრივი განსაზღვრა: პრეპარატის 10 მლ-ს ტიტრავენ ვერცხლის ნიტრატის 0,1 მოლ ხსნარით ნარინჯისფერ-ყვითელ შეფერილობამდე (ინდიკატორი კალიუმის ქრომატი).

ვერცხლის ნიტრატის 0,1 მოლ ხსნარის 1 მლ შეესაბამება 0,005844გ ნატრიუმის ქლორიდს. რომელიც პრეპარატის 1 მლ-ში უნდა იყოს 0,0087-0,0093 გ

შენახვა: ჩვეულებრივ პირობებში.

სადეტოქსიკაციო საშუალება; გამხსნელი ზოგიერთი სამკურნალო საშუალებისათვის.

ნატრიუმის ჰიდროკარბონატი

Natrii hydrocarbonas

$NaHCO_3$ მ.წ. 84,01

აღწერა. თეთრი კრისტალური ფხვნილი. უსუნო, ტუტემარილიანი გემოთი. მდგრადია მშრალ პირობებში, ტენიან ჰაერზე არამდგრადია. წყალხსნარს აქვს ტუტე რეაქცია.

ხსნადობა. ხსნება წყალში, პრაქტიკულად უხსნადია 95%-იან სპირტში.

იდენტობა. ობიექტი ეფერი ალს აფერადებს ყვითლად (Na^+).

ობიექტის 2 მლ ხსნარს (1:10) უმატებენ 0,5 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას. გამოიყოფა ნახშირორჟანგის ბუშტუკები.

$NaHCO_3+HCl \rightarrow NaCl+H_2O+CO_2\uparrow$

ობიექტის 2 მლ ხსნარს (1:10) უმატებენ 5 წვეთ მაგნიუმის სულფატის ნაჯერ ხსნარს და აცხელებენ ადუღებამდე. წარმოთ ქმნება თეთრი ნალექი.

$2NaHCO_3+MgSO_4 \rightarrow Mg(HCO_3)_2+Na_2SO_4$

$Mg(HCO_3)_2 \rightarrow MgCO_3\downarrow +H_2O+CO_2\uparrow$

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა. 0,5 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარი 10 მლ წყალში უნდა იყოს ეფერო და სიმღვრივით არ უნდა აღემატებოდეს სიმღვრივის N-4 ეთალონს.

ქლორიდები. 2,5 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატს გახსნიან 50 მლ წყალში. მიღებული

ხსნარის 2მლ-ს განაზავებენ წყლით 10მლ-მდე. უმატებენ 0,5 მლ განზავებულ აზოტმჟავას და 0,5 მლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს. არ უნდა წარმოიქმნას თეთრი ფერის სიმღვრივე. ობიექტში ქლორიდების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,02%-ს.

სულფატები. ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 0,5 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და 0,5 მლ ბარიუმის ქლორიდის ხსნარს. არ უნდა წარმოიქმნას თეთრი სიმღვრივე. სულფატების შემცველობა ნატრიუმის ჰიდროკარბონატში არ უნდა აღემატებოდეს 0,02%-ს.

რკინა. ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას ნეიტრალურ რეაქციამდე, უმატებენ 2 მლ სულფოსალიცილის მჟავის ხსნარს და 1 მლ ამიაკის ხსნარს. არ უნდა წარმოიქმნას ყვითელი შეფერილობა.

მძიმე მეტალები. ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ განზავებულ ძმარმჟავას ნეიტრალურ რეაქციამდე, დაუმატებენ 1,2 წვეთ ნატრიუმის სულფიდის ხსნარს. არ უნდა წარმოიქმნას მუქი ნალექი ან სიმღვრივე.

კალციუმი. 0,6 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატს გახსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ განზავებულ ძმარმჟავას, ანჯღრევენ, ნახშირორჟანგის გამოყოფის შეწყვეტამდე. შემდეგ უმატებენ 1 მლ ამონიუმის ოქსალატის ხსნარს. არ უნდა წარმოიქმნას თეთრი ნალექი ან სიმღვრივე. ნატრიუმის ჰიდროკარბონატში კალციუმის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს.

ამონიუმის მარილები. 1 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატს გააცხელებენ 10 მლ ნატრიუმის ტუტესთან ერთად. წარმოქმნილმა ორთქლმა წითელი ლაკმუსის ქაღალდი არ უნდა გააალურჯოს.

დარიშხანი: 0,25 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს.

წონაში დანაკარგი გახურებისას. 1 გ ობიექტს ბრძმედში ახურებენ 280-300°-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი უნდა იყოს არანაკლებ 36,6% და არა უმეტეს 36,9%.

$2NaHCO_3 \rightarrow \downarrow Na_2CO_3 + CO_2\uparrow + H_2O$


რაოდენობრივი განსაზღვრა: 1 გ ობიექტს (ზუსტი წონა), ხსნიან 50 მლ ახლადდაყენებულ და გაცივებულ წყალში, ტიტრავენ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავით (ინდიკატორი მეთილნარინჯი)

$NaHCO_3 + HCl \rightarrow NaCL+CO_2+ H_2O$

1მლ 0,5 მოლ ქლორწყალბადმჟავა შეესაბამება 0,0420 გ $NaHCO_3$-ს, რომელიც ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99%.

ნიკოტინის მჟავა
Acidum nicotinicum

3 – პირიდინკარბონმჟავა




$C_6H_5NO_2$ მ.მ. 123,11

აღწერა: თეთრი კრისტალური ფხვნილი.

ხსნადობა: წყალში და 95% სპირტში. ხსნადია ცხელ წყალში, ძალიან მცირედ იხსნება ეთერში.

ოქიგეობა 0,1 გ ობიექტს აცხელებენ 0,1 გ უწყლო ნატრიუმის კარბონატთან. შეიგრძნობა პირიდინის სუნი.



ობიექტის (1:100) თბილი ხსნარის 3 მლ უმატებენ 1 მლ სპილენძის სულფატის ხსნარს. წარმოიქმნება ლურჯი ფერის ნალექი.

იგივე ხსნარის 10 მლ უმატებენ 0,5 მლ სპილენძის სულფატის ხსნარს და 2 მლ ამონიუმის როდანიდის ხსნარს. წარმოიქმნება მწვანე შეფერილობა.

ლღობის ტემპერატურა 234-238^0.

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა 0,2 გ ობიექტს ხსნიან 10 მლ წყალში გაცხელებით. ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

ქლორიდები 0,25გ ობიექტს ხსნიან 25 მლ წყალში. ამ ხსნარის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს დასაშვებ ნორმაზე მეტს (არა უმეტეს 0,02%).

სულფატები-ამავე ხსნარის 10 მლ არ უნდა იძლეოდეს რეაქციას სულფატებზე.


ნიტრატები 0,01 გ პრეპარატს უმატებენ 2 მლ დიფენილამინის ხსნარს, არ უნდა წარმოიქმნას ცისფერი შეფერადება.

2,6 – პირიდინდიკარბონმჟავა 0,1 გ ობიექტს ხსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ 0,5მლ ახლადმომზადებულ რკინის (II) სულფატის ხსნარს. ხსნარის შეფერილობა არ უნდა იყოს №5-ის კოალორზე ინტენსიური (გვ.167-169)

წონაში დანაკარგი გამოშრობისას 0,5გ ობიექტს (ზუსტი წონა) აშრობენ 100-105^0 მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 0,5%.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები 0,5 გ (ზუსტი წონა) ობიექტის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,01%. ის უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).


რაოდენობრივი განსაზღვრა 0,3 გ ობიექტს (ზუსტი წონა) ათავსებენ 100 მლ მოცულობის კონუსურ კოლბაში, ხსნიან 25 მლ ახლადადუღებულ ცხელ წყალში, გაცივების შემდეგ ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ყვარდისფერ შეფერილობამდე, რომელიც არ ქრება 1-2 წუთის განმავლობაში (ინდიკატორი – ფენოლფტალეინი).



1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდი შეესაბამება 0,01231 გ $C_6H_5NO_2$, რომელიც მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 99,5%.

ნოვოკაინი

Novocainum



პარა - ამინობენზოესმჟავას -β-დიეთილამინო ეთილის ეთერის ჰიდროქლორიდი.

$C_{13}H_{20}N_2O_2 \cdot HCl$ მ.წ. 272,78

აღწერა: უფერო კრისტალები ან თეთრი კრისტალური ფხვნილი, უსუნო, მწარე გემოთი. აბუქებს ენას.


ხსნადობა: ადვილად იხსნება წყალში, ადვილად იხსნება სპირტში, მცირედ – ქლოროფორმში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში.

იგივეობა: პრეპარატი იძლევა დამახასიათებელ რეაქციას პირველად არომატულ ამინებზე და ქლორიდებზე.

0,05გ ობიექტს ხსნიან 2 მლ წყალში, უმატებენ 3 წვეთ განზავებულ გოგირდმჟავას და 1 მლ 0,1 მოლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს. ვარდისფერი შეფერილობა მომენტალურად ქრება (ხდება ნისგან განსხვავებით).

0,2 გ ობიექტს ხსნიან 2 მლ წყალში, ემატებენ 0,5 მლ ნატრიუმის ტუტის ხსნარს. გამოიყოფა უფერო, ზეთისებრი ნალექი.

ლღობის ტემპერატურა: 154-156°.



ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 0,5 გ ობიექტის ხსნარი 5 მლ ახლადდაყენებულ და გაცივებულ წყალში უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

მჟავიანობა: ზემოთ ხსნარზე 1 წვეთი მეთილწითელის დამატებით წარმოიქმნება ვარდისფერი შეფერილობა, რომელიც უნდა გადავიდეს ყვითელში 0,05 მოლ ნატრიუმის ტუტის არა უმეტეს 0,15 მლ-ის დამატებით.

ორგანული მინარევები: 0,2 გ ობიექტის ხსნარი 2 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში უნდა იყოს უფერო.

0,5გ ობიექტის ხსნარი 5 მლ აზოტმჟავაში უნდა იყოს უფერო.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 0,5 გ ობიექტის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს და არ უნდა იძლეოდეს რეაქციას მძიმე მეტალებზე.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0,3 გ ობიექტს (ზუსტი წონა) ხსნიან 10 მლ წყალში და 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავაში. შემდეგ იქცევიან ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „ნიტრიტომეტრია". ინდიკატორი – ნეიტრალ წითელი ან ტროპეოლინ 00-ის ნარევი მეთილენის ლურჯთან.

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტს შეესაბამება 0,02728 გ $C_{13}H_{20}N_2O_2 \cdot HCl$, რომელიც ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,5%.

ნოვოკაინის (პროკაინის) საინექციო ხსნარი 0.25%, 0.5%, 1% ან 2%

Solutio Novocaini (Procaini) 0.25%, 0.5%, 1% aut 2% pro injectionibus

შემადგენლობა:

პროკაინი (ნოვოკაინი) 2.5გ;	5გ; 10გ ან 20გ
ქლორწყალბადმჟავას 0.1 მოლხსნარი	pH – 3.8-4.5 მდე
წყალი საინექციო	1ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ, ჩამოასხამენ ნეიტრალური მინის ამპულებში 1მლ, 2მლ, 5მლ ან 10მლ-ს და ასტერილებენ 100°C ტემპერატურაზე გამდინარე ორთქლით 30 წუთის განმავლობაში.

აღწერა: უფერო, გამჭვირვალე სითხე.

იგივეობა: 2მლ პრეპარატი იძლევა დამახასიათებელ რეაქციას პირველადად არომატულ ამინებზე.

პრეპარატის 2 მლ უმატებენ 3 წვეთ განზავებულ გოგირდმჟავას და კალიუმის პერმანგანატის 0.1 მოლ ხსნარის 1 მლ; იისფერი შეფერილობა მყისიერად ქრება (სოვკაინისაგან განსხვავებით)

pH: 3.8 – 4,5 (პოტენციომეტრულად).

ნომინალური მოცულობა,მექანიკური მინარევები და სხვ მოთხოვნები: (გვ.323-326)

რაოდენობრივი განსაზღვრა: 25 მლ 0.25 % ან 0.5%, 10მლ 1% ან 5მლ 2% ხსნარს უმატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და შემდეგ მოქმედებენ ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „ნიტრიტომეტრია" (გვ.191)

შინაგანი ინდიკატორის გამოყენების შემთხვევაში იყენებენ ნეიტრალ წითელს ან ტროპეოლინ 00 ნარევს მწითლის ლურჯად ხ


1მლ 0.05 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარი შეესაბამება 0.01364გ $C_{13}H_{20}N_2O_2HCl$.რომელიც პრეპარატის 1 მლ-ში უნდა იყ 0.00242-0.00258გ, 0.00485-0.00515გ, 0.0097-0.0103გ ან 0.0194-0.0206გ.

შენახვა: ხინათლისაგან დაცულ ადგილას.

ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება

ნორსულფაზოლი

Norsulfazolum



2 (პარა-ამინობენზოლსულფამიდო) - თიაზოლი

$C_9H_9N_3O_2S_2$ მ.მ. 255,32

ალწერა: თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხვნილი, უსუნო.

ხსნადობა: ალკოჰოლში მცირედ იხსნება წყალში, მცირედ იხსნება სპირტში, ძნელად იხსნება აცეტონში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში, იხსნება განზავებულ მინერალურ მჟავეებში და ტუტეთა ხსნარებში.

იგივეობა: ნორსულფაზოლი იძლევა პირველადი არომატული ამინებისათვის დამახასიათებელ რეაქციას.

0,1 გ ობიექტს ანჯღრევენ 3 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ტუტის ხსნართან 1-2 წთ-ის განმავლობაში და ფილტრავენ. ფილტრატს უმატებენ 1 მლ სპილენძის სულფატის ხსნარს. წარმოიქმნება მურა-იისფერი ნალექი (განსხვავებით სხვა სულფამიდებისაგან).

0,05 გ ფხვნილს გაახურებენ მშრალ სინჯარაში ხანათურის ალზე. წარმოიქმნება მურა ლაქა და შეიგრძნობა გოგირდწყალბადის სუნი (სხვა სულფამიდური პრეპარატებიდან იგივე რეაქციას იძლევა მხოლოდ ფთალაზოლი).

*ლღობის ტემპერატურა:*198-203^0 (დაშლით).

*მჟავიანობა:*გ ობიექტს შეანჯღრევენ 50 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალთან და აცხელებენ წყლის აბაზანაზე. 70^0-ზე 5 წთ-ის განმავლობაში. სწრაფად აცივებენ და ფილტრავენ. ფილტრატის 25 მლ-ს უმატებენ 2 წვეთ ბრომთიმოლის ლურჯის სპირტიან ხსნარს. წარმოიქმნება ყვითელი შეფერილობა, რომელიც უნდა გადავიდეს ცისფერში 0,05 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის არა უმეტეს 1 მლ-ის დამატებით.

*ქლორიდები:*გ ფხვნილს აცხელებენ 20 მლ წყალთან ადუღებამდე. სწრაფად აცივებენ და ფილტრავენ. ფილტრატის 4 მლ-ს განაზავებენ წყლით 10 მლ-მდე. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,001%).

სულფატები: იგივე ხსნარის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,002%).

*ორგანული მინარევები*0,3 გ ობიექტს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილობა არ უნდა იყოს №5ა ეთალონზე ინტენსიური.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 0,5გ ფხვნილის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).


რაოდენობრივი განსაზღვრა: 0.3 ობიექტს (ზუსტი წონა) ხსნიან 10 მლ წყლის და 20 მლ განზავებული ქლორწყალბადმჟავის

ნარევში. შემდეგ იქცევიან ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „ნიტრიტომეტრია" (გვ.191). ინდიკატორი – ტროპეოლინ 00.

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტი შეესაბამება 0,02 გ $C_9H_9N_3O_2S_2$, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 99%.

პაპავერინის ჰიდროქლორიდი
Papaverini hydrochloridum

6,7 დიმეთოქსი 1- (3',4'დიმეთოქსიბენზილ) - იზოქინოლინის ჰიდროქლორიდი



$C_{20}H_{21}NO_4 \cdot HCl$ მ.წ. 375,86

აღწერა: თეთრი კრისტალური ფხვნილია, უსუნო, იღებს მომწარო გემოსი.

ხსნადობა: ნელა იხსნება 40 წილ წყალში, მცირედ ხსნადია 95% სპირტში, ხსნადია ქლოროფორმში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში.

იდენტობა 0,05 გ ობიექტს ათავსებენ ფაიფურის ფიალაში და ასველებენ კონცენტრირებულ აზოტმჟავას 2 წვეთით; წარმოქმნილ ყვითელი შეფერილობა, რომელიც წყლის აბაზანაზე გაცხელებისას გადადის ნარინჯისფერში.

0,1გ ობიექტს უმატებენ 1 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას. წარმოქმნება იასფერი შეფერილობა.

ობიექტის 0,2გ ხსნიან 10 მლ წყალში გაცხელებით ოთახის ტემპერატურამდე, უმატებენ 3 მლ ნატრიუმის აცეტატს, ალექრებენ ფუძე პაპავერინის კრისტალების გამოყოფამდე, ნარეცხავენ წყლით, აშრობენ 60°C ტემპერატურაზე 1.5 საათის განმავლობაში. ამრიგად ფილი ფუძე პაპავერინის ლღობისტემპერატურა უნდა იყოს 146-147°C ფარგლებში.

ფილტრატი იძლევა დამახასიათებელ რეაქციას ქლორიდებზე

მჟავიანობა: 2%-იანი ხსნარისpH 3,0-4,5 (პოტენციომეტრიულად).

ორგანული მინარევები: 0,05გ ობიექტს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში, რომელიც წინასწარ გაცივებულია ყინულიან წყალში. ხსნარის შეფერილობა არ უნდა აღემატებოდეს ეთალონური ხსნარის შეფერილობას, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: 2 მლ „B" ხსნარს ანზავებენ წყლით 5 მლ-მდე (იხ. ხსნარების შეფერილობის განსაზღვრა).

შედარება უნდა მოხდეს ცდის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 წუთის განმავლობაში.

სულფატური ნაცარი ობიექტის 0,5 გ (ზუსტი წონა) მიღებული სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0.1%.

რაოდენობრივი განსაზღვრა:

I) უწყლო არეში ტიტრირება ობიექტის დაახლოებით 0,3 გ (ზუსტი წონა) ხსნიან უწყლო ძმარმჟავაში. წყლის აბაზანაზე სუსტი გაცხელებით გაცივების შემდეგ უმატებენ 5 მლ ხინდიყის აცეტატს და ტიტრავენ ქლორმჟავით მწვანე შეფერილობამდე (ინდიკატორი – კრისტალიისფერი).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0,1 მოლ ქლორმჟავას ხსნარი შეესაბამება 0,03759 გ $C_{20}H_{21}NO_4 \cdot HCl$. რომელიც ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,0%.

II) ალკალიმეტრულად: 0.5 პრეპარატს (ზუსტი წონა) ხსნიან 50 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, უმატებენ 25 მლ ფენოლფტალეინის მიმართ განეიტრალებულ სპირტს და ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ღია ვარდისფერ შეფერილობამდე (ინდიკატორი ფენოლფთალეინი)

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს შეესაბამება 0.03759გ პაპავერინის ჰიდროქლორიდი, რომელიც მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პრეპარატში არ უნდა იყოს 99,0%-ზე ნაკლები.

პაპავერინის ჰიდროქლორიდის საინექციო ხსნარი 2%
Solutio Papaverini hydrochloridi pro injectionibus 2%

შემადგენლობა:

პაპავერინის ჰიდროქლორიდი	20გ
ეთილენდიამინტეტრაძმარმჟავას დინატრიუმის მარილი	0.05გ
მეთიონინი	0.1გ
წყალი საინექციო	1ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ 0.22 მკმ დიამეტრის ფორების მქონე ფილტრში, ჩამოასხამენ 1მლ ნმ-2 ან ნმ-3 მარკის ნეიტრალური მინის ამპულებში და მიარჩილავენ ინერტული აირის ნაკადში. ასტერილებენ 120^{0}C ტემპერატურაზე 8-10 წუთის განმავლობაში.

აღწერა: გამჭვირვალე, სუსტი მოყვითალო ფერის სითხე.

იგივეობა: პრეპარატის 1 მლ ათავსებენ ფაიფურის ფიალაში, მდუღარე წყლის აბაზანაზე აორთქლებენ ამოშრობამდე, აცივებენ, უმატებენ 2 წვეთ კონცენტრირებულ აზოტმჟავას. წარმოიქმნება ყვითელი შეფერილობა, რომელიც წყლის აბაზანაზე გაცხელებისას გადადის ნარინჯისფერში (პაპავერინი).

პრეპარატის 2 მლ ათავსებენ 100 მლ მოცულობის საზომ კოლბაში და ქლორწყალბადმჟავას 0.1 მოლ ხსნარით მოცულობამდე მიჰყავთ ჭდემდე. მიღებული ხსნარის 5 მლ ათავსებენ 100 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში და ქლორწყალბადმჟავას 0.1 მოლ ხსნარით მოცულობა მიჰყავთ ჭდემდე.

მომზადებული ხსნარის ულტრაიისფერ სპექტრს აქვს შთანთქმის 2 მაქსიმუმი 284 ± 2 ნმ და 309 ± 2 ნმ სიგრძის ტალღებზე.

პრეპარატის 4 მლ ათავსებენ ფაიფურის ფიალაში, უმატებენ 0.005 გ ნინჰიდრინს, მოურევენ და აცხელებენ მდუღარე წყლის აბაზანაზე 5 წთ განმავლობაში. წარმოიქმნება იისფერ-ლურჯი შეფერილობა (მეთიონინი).

პრეპარატს უმატებენ რკინის სულფატის 0.01% ხსნარის 1 მლ-ს, 3 წვეთ ქსილენოლ ნარინჯისფერს: პრეპარატის იისფერ-წითელი შეფერილობა გადადის ყვითელში (ეთილენდიამინტეტრაძმარმჟავას დინატრიუმის მარილი).

pH. (პოტენციომეტრიულად) 3.0-4.0

ხსნარის შეფერილობაარ უნდა აღემატებოდეს 5ბ ეთალონს (გვ.167-169).

ნომინალური მოცულობა,მექანიკური მინარევები და სხვა მოთხოვნები: (გვ.323-326)

გარეშე მინარევები: სილუფოლ UF-254 მარკის, 150X150მმ ზომის ქრომატოგრაფიული ფირფიტის სტარტის ხაზზე, მიკროპიპეტით ან მიკროშპრიცით დააქვთ: მარცხნიდან 0.005მლ (100მკგ) ნიმუშის ხსნარი, ხოლო მარჯვნიდან სტანდარტული მოწმე სიყოთერების 0.005 მლ (100მკგ). ფირფიტას აშრობენ 5 წთ და ატარებენ ქრომატოგრაფირებას აღმავალი მეთოდით გამხსნელთა სისტემაში – ქლოროფორმი –აცეტონი – ამიაკის 25% ხსნარი (75:25:1). როდესაც გამხსნელის ფრონტი მიაღწევს ფირფიტის ბოლომდე, კამერიდან ამოიღებენ და აშრობენ ჰაერზე 10წთ; შემდეგ აკვირდებიან ულტრაიისფერ სინათლეზე 254 ნმ სიგრძის ტალღაზე.

სტანდარტული ნიმუშის ლაქის დონეზე უნდა ნანდეს ინტენსიური, ცისფრად ფლუორესცირებადი ზონა.

გამოსაკვლევი სინჯის ფლუორესცენციის ზონაში არ დაიშვება ფლუორესცენციის არც პაპავერინის ქრომატოგრაფიულ ზონაზე მაღლა (პაპავერალდინი). დაიშვება დამატებითი არეები უფრო დაბლა.

შემდეგ ფირფიტას შეარიალებენ 90^0 ისე, რომ პაპავერინის ლაქა მოხვდეს სტარტის ხაზზე, მარცხნიდან დააქვთ 0.005 მლ (100მკგ) სტანდარტული ნიმუშის ხსნარი და ათავსებენ კამერაში გამხსნელთა სისტემაში: ჰექსანი-ქლოროფორმი-დიეთილამინი (50:40:10). როდესაც გამხსნელის ფრონტი მიაღწევს ფირფიტის ბოლოს, ამოიღებენ კამერიდან და აშრობენ ჰაერზე 10წთ. აკვირდებიან ულტრაიისფერ სინათლეზე 254 ნმ სიგრძის ტალღაზე.

ფირფიტაზე უნდა იყოს მხოლოდ სტანდარტული ნიმუშის შესაბამისი ადსორბციის ზონა, არ დაიშვება ადსორბციის დამატებითი ზონების არსებობა (პაპავერინთან).

შენიშვნა: 1. სტანდარტული ნიმუშის 1% ხსნარის მომზადება: პაპავერინის ჰიდროქლორიდის დაახლოებით 0.2გ (ზუსტი წონა) ათავსებენ 100მლ ჩამჭერობის საზომ კოლბაში და მოცულობას წყლით მიჰყავთ ჭდემდე. იყენებენ ახალმომზადებულ ხსნარს.

2. გამხსნელთა სისტემა: ქლოროფორმი-აცეტონი-ამიაკის 25% ხსნარი, არ უნდა შეიცავდეს წყალს, ამიტომ მას გამოყენების წინ ფილტრავენ უწყლო ნატრიუმის სულფატში.

რაოდენობრივი განსაზღვრა: პრეპარატის 2 მლ ათავსებენ 100 მლ ჩამჭერობის საზომ კოლბაში, ქლორწყალბადმჟავას 0.1 მოლ ხსნარით მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე და შეურევენ.

მიღებული ხსნარის 5მლ ათავსებენ 100 მლ ჩამჭერობის ყუთ ზომ კოლბაში, ქლორწყალბადმჟავის 0.1 მოლ ხსნარით მოცულობას მიჰყავთ ჭდემდე. შეურევენ და ახდენენ მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს სპექტროფოტომეტრით 309ნმ სიგრძის ტალღაზე, 10 მმ ფენის სისქის კუვეტში.

პარალელურად ახდენენ პაპავერინის ჰიდროქლორიდის სამუშაო სტანდარტული ნიმუშის (სსნ) ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეს. განსაზღვრას ახდენენ ქლორწყალბადმჟავას 0.1 მოლ ხსნარის მიმართ.

პაპავერინის ჰიდროქლორიდის შემცველობას გრამებში (X) ხსნარში გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D_1 \cdot C \cdot 100 \cdot 100 \cdot 10}{D_0 \cdot 5{,}0 \cdot 2{,}0 \cdot 250 \cdot 100} = 0{,}4\,C\frac{D_1}{D_0}$$

სადაც D_1 – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

D_0 – სსნ ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

C – პაპავერინის ჰიდროქლორიდის სსნ წონა გრამებში.

250,100 – განზავება

პაპავერინის ჰიდროქლორიდის $C_{20}H_{21}NO_4HCL$ შემცველობა 1მლ პრეპარატში უნდა იყოს 0.019-0.021 გ ფარგლებში.

შენიშვნა: პაპავერინის ჰიდროქლორიდის სსნ ხსნარის მომზადება:

პაპავერინის ჰიდროქლორიდის 0.05 გ (ზუსტი წონა) ათავსებენ 250 მლ ჩამჭერობის საზომ კოლბაში, ხსნიან 200 მლ 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარში და იმავე ხსნარით მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე. მიღებული ხსნარის 10 მლ გადააქვთ 100 მლ ჩამჭერობის გამზომ კოლბაში და ქლორწყალბადმჟავას 0.1 მოლ ხსნარით მოცულობა მიჰყავთ ჭდემდე.

სსნ ხსნარის 1 მლ შეიცავს დაახლოებით 0.00002გ პაპავერინის ჰიდროქლორიდს.

ხსნარი გარგისია 1 თვე.


შენახვა: სინათლისაგან დაცულ ადგილას.

სპეციალიზური საშუალება

პარაცეტამოლი

Paracetamolum

პარა - აცეტამინოფენოლი




$C_8H_9NO_2$ მ.მ. 151,17

აღწერა: თეთრი ან ვარდისფერი კრისტალური ფხვნილი, უსუნო.


ხსნადობა: ძნელად იხსნება წყალში, ადვილად – 95%-იან სპირტში, იხსნება აცეტონში და მწვავე ტუტეთა ხსნარებში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში.

იდენტობა: 0.1 გ შეანჯღრევენ 10 მლ წყალთან და უმატებენ რკინის (III) ქლორიდის ხსნარის რამდენიმე წვეთს. წარმოიქმნება ლურჯ-იისფერი შეფერილობა.

ობიექტის 0,05 გ ადუღებენ 2 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავასთან 1 წთ-ის განმავლობაში, უმატებენ 10 მლ წყალს, აცივებენ და უმატებენ 1 წვეთ კალიუმის ბიქრომატის ხსნარს. წარმოიქმნება იისფერი შეფერილობა, რომელიც არ გადადის წითელში (ფენაცეტინისგან განსხვავებით).



0,1გ ობიექტს ადუღებენ ფრთხილად 2 მლ განზავებულ გოგირდმჟავასთან 2 წთ-ის განმავლობაში, ცრცელდება ძმარმჟავას სუნი.



დნობის ტემპერატურა:168-172^0.

მჟავიანობა:0,5 გ ობიექტს შეანჯღრევენ 10 მლ ახლადდისტილირებულ და გაცივებულ წყალთან 2 წთ-ის განმავლობაში და ფილტრავენ. ფილტრატს უმატებენ ერთ წვეთ მეთილწითელას ხსნარს. წარმოიქმნება ვარდისფერი შეფერილობა, რომელიც შეიძლება გადავიდეს ყვითელში 0,05 მოლ ნატრიუმის ტუტის არა უმეტეს 0,05 მლ-ის დამატებით.

ქლორიდები:0,5გ ობიექტს შეანჯღრევენ 25 მლ წყალთან ერთად 2 წთ-ის განმავლობაში და ფილტრავენ. ფილტრატის 10 მლ-ში არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,001%).

სულფატებით:აგრეთვე ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,005%)..

პ-ამინოფენოლი: 2გ ობიექტს შეანჯღრევენ ყინულში გაცივებულ 20მლ 0,5მოლ ქლორწყალბადმჟავასთან ერთად 2 წთ-ის განმავლობაში. სწრაფად ფილტრავენ მრავალნაკეციან ფილტრში, უმატებენ 0,1 გ კალიუმის ბრომიდს და ტიტრავენ 0,05 მოლ ნატრიუმის ნიტრიტით, ვიდრე იისფერი ქაღალდზე

წარმოიქმნება ლურჯი ლაქა (ტიტრის პროცესში აცივებენ ყინულში).


პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

ტიტრაციაზე უნდა დაიხარჯოს 0,05 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის არა უმეტეს 0,05 მლ.

წონაში დანაკარგი გამოშრობისას 0,5 გ ობიექტს (ზუსტი წონა) აშრობენ 100-105^0-ზე მუდმივ წონამდე. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 0,5გ ობიექტის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა:ობიექტის 0,25 გ (ზუსტი წონა) ათავსებენ 100 მლ ჩამტეობის კონუსურ კოლბაში, უმატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას, კოლბას უერთებენ უკუმაცივარს და ადუღებენ 1 საათის განმავლობაში. შემდეგ, კოლბის შიგთავსს რაოდენობრივად გადაიტანენ ჭიქაში დიაზოტირებისათვის. კოლბას გამორეცხავენ 30 მლ წყლით და გამონარეცხს ამატებენ იგივე ჭიქაში. უმატებენ 1გ კალიუმის ბრომიდს, შეურევენ კარგად და მყისმივი მორევით ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარით (გატიტვრის პირობები იხ. სტატიაში „ნიტრიტომეტრია“). ტიტრის დამთავრებას დაადგენენ პოტენციომეტრულად ან ოდნავ ამობურცული ქაღალდით, დაყოვნება 3 წუთი



1 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარს შეესაბამება 0.01 გ $C_8H_9NO_2$. რომელიც ობიექტში უნდა იყოს არა ნაკლებ 98,5%.

პარაცეტამოლის ტაბლეტები 0.5 გ
Tabulettae Paracetamoli 0.5

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

პარაცეტამოლი	0.5გ
დამხმარე ნივთიერებები	საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ან კრემისფერი ბრტყელცილინდრული ფორმის ტაბლეტები. გარეგნული აღწერილობით უნდა შეესაბამებოდეს I ცხრილის მოთხოვნებს.

იდენტობა: დაფხვნილი ტაბლეტის 0.1 გ შეანჯღრევენ 10 მლ წყალთან და უმატებენ სამქლორრკინის ხსნარის რამდენიმე წვეთს. წარმოიქმნება მოლურჯო-იისფერი შეფერილობა.

ტაბლეტის ფხვნილის 0.15 გ შეანჯღრევენ 30 მლ უწყლო აცეტონთან, ფილტრავენ და ფილტრატს აორთქლებენ მშრალ ნაშთის მიღებამდე. მშრალ ნაშთს უმატებენ 2 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას. აღულებენ ერთი წუთის განმავლობაში, უმატებენ 10 მლ წყალს, აცივებენ და უმატებენ ერთ წვეთ კალიუმის ბიქრომატის ხსნარს: წარმოიქმნება იისფერი შეფერილობა, რომელიც არ უნდა გადაიდეს წითელში (ფენაცეტინისაგან და სხვაგვარად).

ტაბლეტის ფხვნილის 0.15გ შეანჯღრევენ 30 მლ უწყლო აცეტონთან, ფილტრავენ და ფილტრატს აორთქლებენ მშრალ ნაშთის მიღებამდე. მშრალ ნაშთს ფრთხილად აცხელებენ 2მლ გოგირდმჟავასთან ერთად 2 წუთის განმავლობაში. შეიფერება ძმარმჟავას სუნი.

საშუალო მასის, დაშლადობა, და სხვა მოთხოვნებით (გვ.316-317).

ხსნადობა: განსაზღვრას აწარმოებენ 545-R-AK-ტიპის ხელსაწყოზე „მძრუნავი კალათა“, ს.ფ. ტომი 2, გვ. 90 შესაბამისად.

არე -200 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი, მოცულობა 500 მლ, კალათის ბრუნვის სიჩქარე 100 ბრ/წთ.

1 ტაბლეტს ათავსებენ კალათაში, ჩატვირთავენ არეაქ ჭურჭელში და მოჰყავთ ბრუნვით მოძრაობაში. სინჯს იღებენ 45 წუთის შემდეგ, ფილტრავენ, აცივებენ 20°C ტემპერატურამდე. ფილტრატის 0.2 მლ გადააქვთ 100 მლ ჩამჭიმობის საზომ კოლბაში, უმატებენ 10 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, შეურევენ და ხსნარის მოცულობას წყლით მიიყვანენ ჭდემდე.

ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ სპექტროფოტომეტრით (შთანთქმის კოეფიციენტის ძირითადი აბსოლუტური ცდომილება 1%) 257 ნმ სიგრძის ტალღაზე, 10 მმ ფენის სისქის კუვეტით. შესადარებლად იყენებენ წყალს.

პარალელურად ზომავენ პარაცეტამოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს.

გახსნილი პარაცეტამოლის რაოდენობას პროცენტებში (X) ვიანგარიშებთ ფორმულით:

$$X = \frac{D_1}{D_0} \cdot 100$$

სადაც, D_1 – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

D_0 – პარაცეტამოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის (სნხ) ოპტიკური სიმკვრივეა.

45 წუთში გახსნილი პარაცეტამოლის რაოდენობა უნდა იყოს ერთ ტაბლეტში მისი შემცველობის არა უმცირეს 75%.

შენიშვნა. პარაცეტამოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარს ამზადებენ ისე, როგორც მითითებულია „რაოდენობრივ განსაზღვრაში“.

მიკრობიოლოგიური სიწმინდე განსაზღვრას აწარმოებენ ს.ფ. ტომი 2, გვ. 119 მიხედვით.

1გ პრეპარატში დასაშვებია ჯამურად არა უმეტეს 1000 ბაქტერიის და 100 ობის და საფუარის სოკოების არსებობა.

დაუშვებელია Enterobacteriaceae, Pseudomonas aeruginosa და Staphylococcus aureus-ის ოჯახის ბაქტერიების არსებობა.

რაოდენობრივი განსაზღვრა:

I. 0.25 გ მოსრესილი ტაბლეტების ფხვნილს (ზუსტი წონა) ათავსებენ 50 მლ ტევადობის კოლბაში,ამატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და ადუღებენ უკუმაცივრის გამოყენებით.30 წუთის განმავლობაში.შემდეგ,მაცივარს გამორეცხავენ 30 მლ წყლით და გამონარეცხს ამატებენ კოლბის შიგთავსს. ამატებენ 1 გ კალიუმის ბრომიდსდა ტიტრავენ 0.1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარით.(იხ.ნიტრიტომეტრია).

1 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარს შეესაბამება 0.01512გ $C_6H_9NO_2$, რომელიც სასუალოდ,ერთ ტაბლეტში უნდა იყოს 0.475-0.525გ

2.ტაბლეტის ფხვნილის დაახლოებით 0.17 გ (ზუსტი წონა) ათავსებენ 200 მლ ჩამტეობის ბაზომ კოლბაში, უმატებენ 100 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, შეანჯღრევენ 10 წუთის განმავლობაში, ხსნარის მოცულობა წყლით მიჰყავთ ჭდემდე და ფილტრავენ, ფილტრატის 1 მლ ათავსებენ 100 მლ ჩამტეობის გამზომ კოლბაში, უმატებენ 10 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს. შეურევენ და ხსნარის მოცულობა მიჰყავთ ჭდემდე წყლით.

მომზადებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ბაზლვრავენ სპექტროფოტომეტრით 257 ნმ ტალღაზე 10 მმ ფენის სისქის კიუვეტში.

პარალელურად ბაზლვრავენ პარაცეტამოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს. შესადარებლად იყენებენ წყალს.

პარაცეტამოლის შემცველობას ერთ ტაბლეტში გრამებში (X) გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D_1 \cdot 0.100 \cdot B}{D_0 \cdot A}$$

სადაც, D_1 – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

D_0 – პარაცეტამოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

A – პრეპარატის წონა გრამებში;

B – ტაბლეტის საშუალო წონა, გრამებში.

$C_8H_9NO_2$ (პარაცეტამოლი) შემცველობა ერთ ტაბლეტში უნდა იყოს 0.475გ-დან 0.525გ-მდე. ერთი ტაბლეტის საშუალო მასაზე გადაანგარიშებით.

შენიშვნა: პარაცეტამოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის მომზადება:

0.1გ (ზუსტი წონა) პარაცეტამოლს (სტანდარტული ნიმუში) ათავსებენ 200 მლ ჩამტეობის გამზომ კოლბაში, უმატებენ 100 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, შეანჯღრევენ 10 წუთის განმავლობაში და ხსნარის მოცულობას წყლით მიიყვანენ ჭდემდე. მიღებული ხსნარის 1 მლ ათავსებენ 100 მლ ჩამტეობის ბაზომ კოლბაში. უმატებენ 10 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს, შეურევენ და ხსნარის მოცულობა წყლით მიჰყავთ ჭდემდე. პარაცეტამოლის ხსნარის 1 მლ შეიცავს დაახლოებით 0.000005გ პარაცეტამოლს.

ხსნარი გამოიყენება ახლადმომზადებული.

შენახვა: მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება

პლატიფილინის ჰიდროტარტრატის საინექციო ხსნარი 0.2%

Sol. Platyphillini hydrotartratis pro injectionibus 0.2%

შემადგენლობა:

პლატიფილინის ჰიდროტარტრატი	2გ
წყალი საინექციო	1ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ 22 მკმ დიამეტრის ფორების მქონე ფილტრში, ბაზოსხამენ 1მლ-ში ნეიტრალური მინის ნმ 1 ან ნმ 3

ტიპის ამპულებში და ასტერილებენ გამდინარე ორთქლით 100° ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში.

ალწერა: გამჭვირვალე უფერო სითხე.

იგივეობა: პრეპარატის 1მლ უმატებენ 2-3 წვეთ მაიერის რეაქტივს. გამოიყოფა თეთრი ნალექი.

პრეპარატის 1 მლ აორთქლებენ ფაიფურის ფიალაზე. მშრალ ნაშთს ხსნიან 10 წვეთ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში, უმატებენ რამდენიმე კრისტალ *β* ნაფტოლს და აცხელებენ წყლის აბაზანაზე. წარმოიქმნება მწვანე შეფერილობა.

პრეპარატის 1 მლ აორთქლებენ ფაიფურის ფიალაზე, მშრალ ნაშთს უმატებენ 4 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას, რამდენიმე კრისტალ რეზორცინს და აცხელებენ წყლის აბაზანაზე. წარმოიქმნება მინდისფერი შეფერილობა (დამახასიათებელი რეაქტივ არტრატებზე).

pH 3.6 – 4.0 (პოტენციომეტრიულად).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 1 მლ პრეპარატი შეაქვთ 20 მლ მოცულობის გამყოფ ძაბრში. უმატებენ 1.5 მლ წყალს, ტროპეოლინ 000-II-ის 1% ხსნარის 0.2 მლ-ს, 3 წვეთ 0.5 მოლ ქლორწყალმჟავას, 10 მლ ქლოროფორმს და ანჯღრევენ 1 წუთის განმავლობაში. ქლოროფორმის შრე გადააქვთ 50 მლ ჩამტენობის სახშობ კოლბაში. ექსტრაქციას იმეორებენ კიდევ სამჯერ 10-10 მლ ქლოროფორმით. ქლოროფორმიანი ექსტრაქტები გადააქვთ იმავე სახშობ კოლბაში, შემდეგ მოცულობას ქლოროფორმით შეავსებენ ჰელემდე.

ფოტოელექტროკოლორიმეტრზე, სინათლის ლურჯი ფილტრის გამოყენებით, ზომავენ მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს, 5 მმ ფენის სისქის კუვეტში.

შესადარებლად იყენებენ ქლოროფორმს.

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას პლატიფილინის ჰიდროტარტრატის ხსნარის სტანდარტული ნიმუშის გამოყენებით.

პლატიფილინის ჰიდროტარტრატის შემცველობას გრამებში (X) 1 მლ პრეპარატში გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D_1 \cdot 0{,}002}{D_0}$$

სადაც D_1 – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

D_0 - სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

0.002 – პლატიფილინის ჰიდროტარტრატის შემცველობა გრამებში სტანდარტული ნიმუშის 1 მლ ხსნარში.

პლატიფილინის ჰიდროტარტრატის შემცველობა 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0.0018 -0.0022 გ ფარგლებში.

შენიშვნა: პლატიფილინის ჰიდროტარტრატის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის მომზადება:

0.1000გ პლატიფილინის ჰიდროტარტრატს (ზუსტი წონა) ხსნიან წყალში 50 მლ მოცულობის საზომ კოლბაში და მოცულობა წყლით მიჰყავთ ჰელემდე.


1 მლ ხსნარი შეიცავს 0.002გ პლატიფილინის ჰიდროტარტრატს. *ნომინალური მოცულობა, სტერილობა. მექანიკური მინარევები:* (გვ.323-326)

შენახვა: სინათლისაგან დაცულ ადგილას

სპაზმოლიზური საშუალება

რეზორცინი
Resorcinum

მეტა – დიოქსიბენზოლი




$C_6H_6O_2$ მ.მ. 110,11

ალწერა: თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხვნილი, დამახასიათებელი სუსტი სუნით, სინათლის და ჰაერის ზეგავლენით თანდათანობით იფერება ვარდისფრად.

ხსნადობა: ძალიან ადვილად იხსნება წყალში და 95%-იან სპირტში, ადვილად იხსნება ეთერში, ძალიან მცირედ ქლოროფორმში, იხსნება გლიცერინსა და ცხიმოვან ზეთებში.

იგივეობა: ობიექტის (1:200) ხსნარს 10 მლ უმატებენ 3 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება ლურჯ-იისფერი შეფერილობა, რომელიც ამიაკის ხსნარის დამატებით გადადის მურა-ყვითელში.

ობიექტის რამდენიმე კრისტალს ათავსებენ ფაიფურის ფიალაში, უმატებენ ჭარბად ფტალის ანჰიდრიდს და შეალღობენ მიიღება მოყვითალო-წითელი ფერის ნაღდობი, რომელიც ნატრიუმის ტუტის ხსნარში გახსნით ფლუორესცირებს მწვანედ.



ლღობის ტემპერატურა: 109-112^0.

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: ობიექტის 1 გ ხსნიან 20 მლ ახლადადუღებულ და გაცივებულ წყალში, ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და შეფერილობის ინტენსიურობით არ უნდა აღემატებოდეს №5ა ან №5ბ ეთალონს.

მჟავიანობა ან ტუტიანობა: იგივე ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 1 წვეთ ბრომფენოლლურჯას ხსნარს. შეფერილობა არ უნდა შეიცვალოს 0,02 მოლ ნატრიუმის ტუტის ან ქლორწყალბადმჟავას ხსნარის არა უმეტეს 0,1 მლ-ის დამატებით.


პიროკატეხინი: ოდნავ ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 0,5 მლ ტყვიის აცეტატის ხსნარს. 2 წთ-ის განმავლობაში არ უნდა წარმოიქმნას ნალექი ან სიმღვრივე.

ფენოლი: 1გ ობიექტს აცხელებენ 2მლ წყალთან ერთად წყლის აბაზანაზე (აბაზანის ტემპერატურა 40-50^0) არ უნდა შეიგრძნობოდეს ფენოლის სუნი.

სულფატური ნაცარი: 0.5გ ობიექტის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0.1%-ს.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0.2გ ობიექტს (ზუსტი წონა) ათავსებენ 100 მლ-იან გაშრობილ კოლბაში, უმატებენ 20 მლ წყალს, გახსნიან და შემდეგ მოცულობას შეავსებენ წყლით ჭდემდე. მიღებული ხსნარის 20 მლ-ს ბრომირებისათვის გადაიტანენ 250 მლ ჩამქრეობის მილესილსაცობიან კოლბაში, უმატებენ 40 მლ 0,1 მოლ კალიუმის ბრომატის ხსნარს, 10 მლ კალიუმის ბრომიდის ხსნარს, 10 მლ 50%-იან გოგირდმჟავას. შეურევენ კარგად და ტოვებენ 15 წთ-ით. შემდეგ უმატებენ 20 მლ კალიუმის იოდიდის ხსნარს. შეანჯღრევენ ძლიერად და ათოვნებენ 10 წთ-ით ბნელ ადგილზე. შემდეგ ნარევს უმატებენ 2-3 მლ ქლოროფორმს და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ ნატრიუმის თიოსულფატის 0,1 მოლ ხსნარით. პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

$$KBrO_3+5KBr+6HCl\rightarrow 3Br_2+6KCl+3H_2O$$



$$Br_2+2KI\rightarrow I_2+2KBr$$

$$I_2+2Na_2S_2O_3\rightarrow 2NaI+Na_2S_4O_6$$

1მლ 0,1მოლ კალიუმის ბრომატის ხსნარს შეესაბამება 0,001835გ $C_6H_6O_2$, რომელიც ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,0%.

რიბოქსინის ტაბლეტები 0.2
Tabulettae Riboxini 0.2

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

რიბოქსინი 0.2გ

დამხმარე ნივთიერებები: საკმარისი რაოდენობით

აღწერა: ყვითელი ფერის გარსიანი ტაბლეტები, გარეთ ჭრილზე ნანს ორმაგი ფენა. გარეგნულად უნდა შეესაბამებოდეს ს.ფ.ს. 2. გვ. 84-90 მოთხოვნებს.

ოგიეობა: საკვლევ ხსნარს, რომელიც მომზადებულია რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, ულტრაიისფერ არეში, 210 ნმ დან 285 ნმ-მდე უნდა ჰქონდეს შთანთქმის მაქსიმუმი 249 ± 1ნმ.

ოპტიკურ სიმკვრივეს ვზომავთ სპექტროფოტომეტრულად 10 მმ ფენის სისქის კუვეტში. გამსხნელად გამოყენებულია წყალი 249 ± 1ნმ და 260 ± 1ნმ სიგრძის ტალღებზე.

მოსრესილი ტაბლეტების 0.2გ ფხვნილს ვათავსებთ 50 მლ ტევადობის კოლბაში, შევანჯღრევთ 20 მლ წყალთან და ფილტრავთ ქაღალდის ფილტრში. მიღებული ხსნარის 2 მლ ვმატებთ 5 მლ 0.1% რკინის ვანგის ქლორიდის ხსნარის 0.5 მლ 10% ორჩინის ხსნარს. მიღებულ სისტემას ვათავსებთ მდუღარე წყლის აბაზანაზე 20 წუთის განმავლობაში. წარმოიქმნება მწვანე შეფერილობის (რიბოზა).

შენიშვნა: 1. 0.1% რკინის ვანგის ქლორიდის ხსნარის მომზადება. 0.1 გ რკინის ვანგის ქლორიდს ვათავსებთ 100 მლ ხარისხიან გამხმარ კოლბაში და ხსნიან კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავაში. მოცულობა ვჰყავთ ზედმიწევნით და შეურევენ. ხსნარი ვარგისია – 1 თვე.

2. 10% ორჩინის ხსნარის მომზადება. 10 გ ორჩინს ვათავსებთ 100 მლ მოცულობის საზომ კოლბაში, ხსნიან 50 მლ 95%

სპირტში. მოცულობას ამავე სპირტით შეავსებენ ზედმიწევნით. ხსნარი ვარგისია – 1 თვე.

საშუალო მასის, დაშლადობა, და სხვა მოთხოვნები(გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა: 3 ტაბლეტის მოხრესილი ფხვნილი 200 მლ წყლის მეშვეობით რაოდენობრივად გადაქვთ 250 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ანჯღრევენ 15 წთ, ხსნარის მოცულობა წყლით ავსებთ ზედმიწევნით. კარგად შეურევენ და ფილტრავენ ქაღალდის ფილტრში. ფილტრატის პირველ 15 მლ გადაღვრიან.

ფილტრატის 1 მლ ათავსებენ 250 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნარის მოცულობა წყლით ავსებთ ზედმიწევნით და კარგად შეურევენ. მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ვზომავთ 249 ± 1 ნმ სიგრძის ტალღაზე 10 მმ ფენის სისქის კუვეტში. შესადარებლად ვიყენებთ წყალს.

პარალელურად ვზომავთ რიბოქსინის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს.

1 ტაბლეტში რიბოქსინის შემცველობას (X) გრამებში გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D_1 \cdot m_0 \cdot 250 \cdot 250}{D_0 \cdot n \cdot 100 \cdot 100} = \frac{D_1 \cdot m_0 \cdot 625}{D_0 \cdot n \cdot 100}$$

სადაც: D_1 - საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

D_0 – სტანდარტული ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეა;

m_0 – რიბოქსინის სტანდარტული ნიმუშის წონა გრამებში;

n – რაოდენობრივი განსაზღვრისათვის აღებული ტაბლეტების რაოდენობა.

რიბოქსინის ($C_{10}H_{12}N_4O_5$) შემცველობა ერთ ტაბლეტში უნდა იყოს 0.19-0.21გ.

შენიშვნა: რიბოქსინის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის მომზადება: 0.1 გ (ზ.წ.) რიბოქსინის სტანდარტულ ნიმუშს ვათავსებთ 100 მლ ტევადობის საზომ კოლბაში, ვმატებთ 80 მლ წყალს, ანჯღრევენ 10 წთ-ის განმავლობაში. მოცულობა წყლით ავსებთ ზედმიწევნით და კარგად ვურევთ. მიღებული ხსნარის 1 მლ


ათავსებენ 100 მლ ტევადობის სახხომ კოლბაში, შეიცავს მოცულობას წყლით ჭდემდე და შეურევენ. ხსნარი ვარგისი 1 დღე ღამე.

შენახვა: გრილად, სინათლისაგან მიფრთხილებით.

ანაბოლური საშუალება

სალიცილის მჟავა
Acidum salicylicum

ორთო-ოქსიბენზოეს მჟავა



$C_7H_6O_3$ მ.მ 138,12

აღწერა. თეთრი, წვრილი ნემსისებური კრისტალური ფხვნილი, უსუნო, ქრისტლდება წყლის ორთქლით.

ხსნადობა: ცხელ წყალში, ეთანოლში, ეთერში, ძნელად ქლოროფორმში

იდენტობა: 0.01 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ წყალში. მიღებულ ხსნარს უმატებენ 1 წვეთ რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება ლურჯ-იისფერი შეფერილობა, რომელიც ქრება რამდენიმე წვეთი ქლორწყალბად-დმეთის დამატების შემდეგ და აღდგება განზავებული ძმარმჟავით.

0,1 გ პრეპარატს აცხელებენ 0,3 გ. ნატრიუმის ციტრატთან. ვლინდება ფენოლის სუნი.

1გ პრეპარატს აცხელებენ 2 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან. გამოყოფილ აირს ატარებენ კირიან წყალში. ეს იწვევს კნელი შემიდვრევა.

პრეპარატის წყლიან ხსნარს აქვს მჟავა არე.

ლღობის ტემპერატურა : 158 - 161^0 C

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა: 0.5 გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ სპირტში. მიღებული ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

ქლორიდები:1.5 გ პრეპარატს შეანჯღრევენ 30 მლ წყალთან 1 - 2 წუთი და ფილტრავენ. ფილტრატის 10მლ არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0.04% პრეპარატში)

სულფატები: იგივე ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,02%)

ორგანული მინარევები: 0,5 გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილობა არ უნდა აღემატებოდეს №5ა ეთალონის შეფერილობას.

ფენოლი და მლებავი ნივთიერებები:0.5 გ პრეპარატს ხსნიან 3 -5 მლ 95%-იან სპირტში. სპირტს აორთქლებენ ოთახის ტემპერატურაზე. მიღებული ნალექი უნდა იყოს თეთრი ფერის.

ოქსიდიფენილი: 0.5გ პრეპარატს ხსნიან 10 მლ. ნატრიუმის კარბონატში. ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე. მიღებულ ხსნარს შეანჯღრევენ თანაბარ რაოდენობა ეთერთან. წყლიან ფენას ცალკე ილებენ. ეთერის ფენას ნარეცხა-ვენ 10 მლ წყლით. ეთერს აშორებენ, ნაშთს გამოაშრობენ 50 - 60^0 C -ზე. ნაშთი არ უნდა იყოს 0.1%-ზე მეტი.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები0.5 გ პრეპარატის სულფატური ნაცარი უნდა იყოს უწყლო და არ უნდა შეიცავდეს მსხვილ მეტალებს ნორმაზე მეტს (არა უმეტეს 0,001%)

რკინა:0.5 გ პრეპარატის სულფატური ნაცარი არ უნდა იძლეოდეს ფიფებით რეაქციას რკინაზე.

რაოდენობრივი განსაზღვრა0.25 გ პრეპარატს (ზუსტი წონა) ხსნიან 15 მლ ფენოლფთალეინის მიმართ განეიტრალებულ სპირტში და ტიტრავენ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ვარდისფერ შეფერილობამდე (ინდიკატორი ფენოლფთალეინი).

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს შეესაბამება 0,01381 გ. $C_6H_8O_3$, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არა უმცირეს 99,5%-ისა.

შენახვა: კარგად თავდახურულ,სინათლისგან დაცულ ჭურჭელში.

ანტისეპტიკური საშუალება

სიბაზონის (დიაზეპამის) ტაბლეტები 0.005
Tabulettae Sibazoni (Diazepam) 0.005

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

დიაზეპამი (სიბაზონი)	0.005გ
დამხმარე ნივთიერებები	საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ან მოყვითალო ფერის ტაბლეტები, გარკვეული ალწერილობით უნდა შეესაბამებოდეს ს.ფ. მოთხოვნებს.

ოფუკობა: დაფხვნილი ტაბლეტის 0.4 გ უმატებენ 2 მლ 95% სპირტს, შეანჯღრევენ 3 წუთის განმავლობაში და ფილტრავენ ფილტრატს უმატებენ 0.05გ ნატრიუმის ალუმინის ბრომიდს, ალუღებენ წყლის აბაზანაზე 5 წუთის განმავლობაში და აცივებენ.

მიღებულ ხსნარს უმატებენ 1 მლ 95% სპირტს და 2 წვეთ 1% სპილენძის სულფატის ხსნარს. წარმოიქმნება ნარინჯისფერი შეფერილობა.

რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მომზადებული ხსნარი ულტრაიისფერ სპექტრს 220 ნმ-დან 400 ნმ-მდე აქვს შთანთქმის სამი მაქსიმუმი 240 ± 2 ნმ, 284 ± 2 ნმ და 360 ± 2 ნმ.

საშუალო მასა, დაშლადობა და სხვა მოთხოვნები (ზოგადი სტატია).

რაოდენობრივი განსაზღვრა: დაფხვნილი ტაბლეტის 0.1 (ზუსტი წონა) ათავსებენ 50 მლ ჩამწეობის გაზომილ კოლბაში, ხსნიან 30 მლ 95% სპირტში, შეანჯღრევენ 10 წუთის განმავლობაში და ხსნარის მოცულობას ჯერმდე შეავსებენ სპირტით, შეურევენ და ფილტრავენ. პირველ 15 მლ-ს გადაღვრიან.

50 მლ ჩამწეობის ხაზომ კოლბაში ათავსებენ ფილტრატს 2 მლ, უმატებენ 20 მლ 95% სპირტს, ხსნარის მოცულობას ჯერმდე მიჰყავთ 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავით და შეანჯღრევენ. ამ ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტომეტრით 284ნმ სიგრძის ტალღაზე 10 მმ ფენის სისქის კიუვეტში.

შესადარებლად იყენებენ 95% სპირტისა და 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავის ხსნარის 1:1 ნარევს.

პარალელურად ზომავენ სიბაზონის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს.

ერთ ტაბლეტში დიაზეპამის (სიბაზონის) შემცველობას გრამებში (X) გამოითვლიან ფორმულით:

$$X = \frac{D_1 \cdot 0.00001 \cdot B \cdot 50 \cdot 50}{D_0 \cdot a \cdot 5} = \frac{D_1 \cdot 0.005 \cdot B}{D_0 \cdot a}$$

სადაც, D_1 – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

D_0 – სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

a – პრეპარატის წონაკი გრამებში;

B – ერთი ტაბლეტის საშუალო წონა გრამებში.

დიაზეპამის (სიბაზონის) ($C_{16}H_{13}ClN_2O$) შემცველობა ერთ ტაბლეტში უნდა იყოს 0.0045გ-დან 0.0055 გ-მდე.

შენიშვნა: დიაზეპამის (სიბაზონის) სტანდარტული ხსნარის მომზადება: 100მლ ჩამწეობის ხაზომ კოლბაში ათავსებენ დაახლოებით 0.0500გ (ზუსტი წონა) დიაზეპამის (სიბაზონის) ფხვნილს, უმატებენ 30 მლ 95% სპირტს, შეურევენ გახსნამდე და ამავე სპირტით შეავსებენ ჯერმდე (ხსნარი ა).


მიღებული ხსნარის 1 მლ გადააქვთ 50 მლ ჩამწეობის ხაზომ კოლბაში, უმატებენ 20მლ 95% სპირტს, ხსნარის მოცულობას ჯერმდე შეავსებენ 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავით და შეურევენ (ხსნარი ბ).

ბ ხსნარის 1მლ შეიცავს 0.00001გ სიბაზონს. ა ხსნარის შენახვის ვადაა 6 დღე, ბ ხსნარის – 1 საათი.

შენახვა: სინათლისგან დაცულ ადგილას.

ტრანკვილიზატორი

სტრეპტოციდი
Streptocidum



პარა - ამინობენზოლსულფამიდი

$C_6H_8N_2O_2S$ მ.მ. 172.21

აღწერა: თეთრი კრისტალური ფხვნილი, უსუნო.

ხსნადობა: მცირედ იხსნება წყალში, აცეტონში – მდუღარე წყალში, განზავებულ ქლორწყალბადმჟავაში, მწვავე ტუტეთა ხსნარებში და აცეტონში, ძნელად იხსნება სპირტში, პრაქტიკულად უხსნადია ეთერში და ქლოროფორმში.

იგივეობა: პრეპარატი იძლევა დამახასიათებელ რეაქციას პირველად არომატულ ამინებზე.

0,1 გ ობიექტს ახურებენ მშრალ სინჯარაში, სპირტნათურის ალზე. წარმოიქმნება იისფერ-ლურჯი შეფერილობის ნალღობი თან შეიგრძნობა ამიაკის და ანილინის სუნი(სხვა სულფანილამიდებისგან განსხვავებით).

ლღობის ტემპერატურა: 164-167^0.

მჟავიანობა: 0,8გ ობიექტს შეანჯღრევენ 40 მლ ახლად ადულებულ და გაცივებულ წყალთან, აცხელებენ წყლის აბაზანაზე 70^0-ზე 5 წთ-ის განმავლობაში. სწრაფად გააცივებენ და ფილტრავენ. ფილტრატის 25 მლ-ს უმატებენ 2 წვეთ ბრომთიმოლლურჯას სპირტიან ხსნარს. წარმოქმნილი ყვითელი შეფერილობის უნდა გადაეიღოს ცისფერში 0,05 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის არა უმეტეს 0,05 მლ-ის დამატებით.

ქლორიდები: 0,5 გ ობიექტს შეანჯღრევენ 20 მლ წყალთან 1 წთ-ის განმავლობაში და ფილტრავენ. ფილტრატის 4 მლ განაზავებენ წყლით 10მლ-მდე. მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს(არა უმეტეს 0.02%)..

სულფატები: ასევე ფილტრატის 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0,04%).

ორგანული მინარევები: 0,3გ პრეპარატს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილობა არ უნდა იყოს №5ა ეთალონზე ინტენსიური.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 0,5 გ ობიექტის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0.1%-ს და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0.001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0.25 გ ობიექტს (ზუსტი წონა) ხსნიან 10 მლ წყალსა და 10 მლ მარილმჟავაში. შემდეგ იქცევიან ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „ნიტრიტომეტრია". ინდიკატორი – ტროპეოლინ 00-ის ნარევი მეთილენის ლურჯთან.

1 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის შეესაბამება 0.01722 გ $C_6H_8N_2O_2S$, რომელიც ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 99,%.

ანტიმიკრობული

სტრეპტოციდის ტაბლეტები 0.3 გ ან 0.5 გ
Tabulettae Streptocidi 0.3 aut 0.5

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

სტრეპტოციდი 0.3გ ან 0.5გ

დამხმარე ნივთიერებები საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ფერის ტაბლეტები. გარეგნული აღწერილობა უნდა შეესაბამებოდეს ს.ფ. მოთხოვნებს.

იგივეობა: ტაბლეტის ფხვნილის 0.3 გ შეანჯღრევენ 10 მლ აცეტონთან, ფილტრავენ და აორთქლებენ მშრალი ნაშთის მიღებამდე. ნაშთი იძლევა პირველადი არომატული ამინებისათვის დამახასიათებელ რეაქციას.

ტაბლეტის ფხვნილის 0.1გ აცხელებენ სპირტქურის ალზე სინჯარაში,მიიღება ლურჯ-იისფერი ნალღობი და შეიგრძნობა ამიაკისა და ანილინის სუნი (სხვა სულფანილამიდებისგან განსხვავებით)

საშუალო მასა, დაშლადობა და სხვა მოთხოვნები (გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა: დაფხვნილი ტაბლეტის დაახლოებით 0.25გ (ზუსტი წონა) რაოდენობრივად ხსნიან 10 მლ

განზავებულ ქლორწყალბადმჟავაში, უმატებენ წყალს 80 მლ მოცულობამდე, 1გ კალიუმის ბრომიდს და მუდმივი მორევის პირობებში ტიტრავენ ნატრიუმის ნიტრიტის 0.1 მოლ ხსნარით. შინაგან ინდიკატორად იყენებენ ტროპეოლინ 00-ის ნარევს მეთილენის ლურჯთან.

1 მლ 0.1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარი შეესაბამება 0.01722გ $C_6H_8N_2O_2S$, რომელიც ტაბლეტის საშუალო წონაში გადაანგარიშებით უნდა იყოს 0.285–0.315გ ან 0.475-0.525 გ.

სტრეპტოციდის მალამო 5% და 10%
Unguentum Streptocidi 5%aut 10%

შემადგენლობა:

სტრეპტოციდი	5.0გ	ან	10.0გ
ვაზელინი	95.0გ	ან	90.0გ

აღწერა: თეთრი ფერის მალამო.

ოგიეობა: 1. კონუსურ კოლბაში ათავსებენ მალამოს 2 გ, უმატებენ 10მლ წყალს, ათავსებენ მდუღარე წყლის აბაზანაში, მუდმივი მორევის ქვეშ 10-15 წუთის განმავლობაში, აცივებენ, ფილტრავენ.

ა) ფილტრატის 1 მლ უმატებენ 1 მლ წყალს, შეამჟავებენ. წვეთი ქლორწყალბადმჟავით, უმატებენ 3 წვეთ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარს და შეანჯღრევენ. მიღებულ ხსნარს უმატებენ 3 მლ β-ნაფტოლის ტუტიან ხსნარს. წარმოიქმნება ალებასვე-წითელი შეფერილობა ან ნარინჯისფერ-წითელი ნალექი (პირველადი არომატული ამინი);

ბ) ფილტრატის 5 მლ ათავსებენ ფაიფურის ფიალაში, აორთქლებენ მშრალი ნაშთის მიღებამდე. ნაშთს აცხელებენ სანაოურის ალზე. წარმოიქმნება ისატყარ-ლურჯი ნაღლობი, შეიგრძნობა ამიაკისა და ანილინის სუნი (სტრეპტოციდი).

ერთგვაროვნება, სტერილურობა და სხვა მოთხოვნებისგან 325)

რაოდენობრივი განსაზღვრა: დაახლოებით 1გ 5% ან 0.5გ 10% მალამოს (ზუსტი წონა) ათავსებენ 100 მლ ჩამტვირთავ კონუსურ კოლბაში, უმატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას, 15 მლ წყალს და აცხელებენ წყლის აბაზანაზე ხშირი შენჯღრევით 10 წუთის განმავლობაში.

გაცივების შემდეგ ხსნარს ნაყოლტრავენ 100 მლ ჩამტვირთავ საზომ კოლბაში. ამ პროცედურას იმეორებენ პირველად არომატულ ამინებზე უარყოფით რეაქციამდე. მიღებულ ფილტრატებს აგროვებენ იმავე საზომ კოლბაში და ხსნარის მოცულობას წყლით შეავსებენ ჭდემდე.

მომზადებული ხსნარის 25 მლ გადააქვთ კონუსურ კოლბაში, უმატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და შემდეგ იქცევიან ისე, როგორც მითითებულია სტატიაში („ნიტრიტრომეტრია"). ინდიკატორ: ტროპეოლინ 00 –ს ნარევი მეთილენის ლურჯთან.

ნატრიუმის ნიტრიტის 0.1 მოლ ხსნარის 1 მლ შეესაბამება 0.01722გ სტრეპტოციდს, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს შესაბამისად 4.75 - 5.25% ან 9.5 – 10.5%.

შენახვა: გრილად, სინათლისაგან მოფრთხილებით.

ანტიმიკრობული

სულფოკამფოკაინის 10%-იანი საინიექციო ხსნარი
Solutio Sulfocamphocaini 10% pro injectionibus

შემადგენლობა

სულფოქამფურის მჟავა (უწყლო ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)	49,6 გ
ფუძე ნოვოკაინი	50,4 გ
საინიექციო წყალი	1 ლ-მდე

აღწერა: გამჭვირვალე, უფერო ან მოყვითალო ფერის სითხე.

ოგიეობა: პრეპარატის 4 მლ უმატებენ 2 მლ 1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს. წარმოიქმნება ზეთისებური ნალექი. მიღებული ნარევი გადააქვთ გაჩეჩვ ძაბრში და გამოწვლილავენ 10 მლ ქლოროფორმით. ფენების გაშრეცების შემდეგ ქლოროფორმიან

ფენას ჩაფილტრავენ მშრალ კოლბაში უწყლო ნატრიუმის სულფატიანი ფილტრის გამოყენებით. ქლოროფორმს ამოაორთქლებენ წყლის აბაზანაზე გამწოვ კარადაში. ნაშთს გახსნიან 10 მლ 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავაში. მიღებული ხსნარის 2 მლ-ს გადაიტანენ სინჯარაში და ატარებენ რეაქციას პირველად არომატულ ამინებზე (ნოვოკაინი).

5 მლ პრეპარატს ათავსებენ ბრტყელძირა, უმატებენ 0,05 გ ნატრიუმის ნიტრატს და 2 გ ნატრიუმის კარბონატს. ბრტყელ დადგამენ წყლის აბაზანაზე და ამოაშრობენ ნარევს. ნაშთს დაწვავენ და გამოაწრთობენ წითელ ვარვარებამდე. გააცივებენ და უმატებენ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას, ვიდრე ქაფურის სუნის გაქრობა შეწყდება. ამოაქრთელებენ ამოშრობამდე. ნაშთს უმატებენ 50 მლ წყალს და გაფილტრავენ. ფილტრატს შეავსებენ წყლით 100 მლ-მდე. შეამჟავებენ 5 მლ კონცენტრირებული ქლორწყალბადმჟავით და აცხელებენ ადუღებამდე. მდუღარე ხსნარს უმატებენ 5 მლ 5%-იან ბარიუმის ქლორიდის ხსნარს, ორ-ს ურევენ. წარმოიქმნება თეთრი ფხვრის წვრილკრისტალური ნალექი (სულფატ-გუფი).

გამჭვირვალობა: პრეპარატი უნდა იყოს გამჭვირვალე შედარებას ახდენენ სათანადო წყალთან.

pH: 4,2 - 5,8

ნომინალური მოცულობა, სტერილობა, მექანიკური მინარევები: (გვ.323-326)

რაოდენობრივი განსაზღვრა. 5მლ პრეპარატს უმატებენ 10 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და შეავსებენ წყლით 80 მლ-მდე. შემდეგ იქცევიან ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „ნიტრიტომეტრია". ინდიკატორი – ტროპეოლინ 00-ის ნარევი მეთილენ ლურჯთან.

1მლ 0,05 მოლ ნატრიუმის ნიტრიტს შეესაბამება 0,0113 გ $C_{13}H_{20}N_2O_2$ (ფუძე ნოვოკაინი), რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,0479-0,0529 გ.

5მლ პრეპარატს უმატებენ 5 მლ წყალს და ფენოლფტალეინის მიმართ განეიტრალებულ ნარევს, რომელიც შედგება 20 მლ

ეთილის სპირტის და 10მლ ქლოროფორმისაგან. ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით წყლიან ფენის სუსტ ვარდისფერ შეფერილობამდე. ინდიკატორი – ფენოლფტალეინი. ტიტრაციის ბოლოს უმატებენ კიდევ 1-2 წვეთ ინდიკატორს.

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდი შეესაბამება 0,02323 გ $C_{10}H_{18}O_4S$ (სულფოქაფურის მჟავა), რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,0471-0,052გ.

ტაუფონის ხსნარი 4%
Solutio Tauphoni 4%

შემადგენლობა:

ტაუფონი	40.0გ
ნიპაგინი	1.0გ
წყალი საინექციო	1 ლ-მდე

აღწერა: უფერო, გამჭვირვალე სითხე.

იგივეობა: 1 მლ პრეპარატს ამატებენ 1 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის 0.1 მოლ ხსნარს და 3 წვეთ ფენოლფტალეინის ხსნარს. წარმოიქმნება ჟოლოსფერი შეფერილობა, რომელიც ქრება ფენოლფტალეინის მიმართ განეიტრალებული 1 მლ ფორმალინის დამატებით (ტაუფონი).

1 მლ პრეპარატს ათავსებენ ტიგელში, აორთქლებენ მშრალ ნაშთამდე, ამატებენ 1 მლ დამეანგავ ხსნარს და წვავენ თავდაპირველად აირების გამოყოფის შეწყვეტამდე, ხოლო შემდეგ კი მუფელის ღუმელში თეთრი ნაშთის მიღებამდე. ნაშთს ამატებენ 2 მლ წყალს, ტიგელის შიგთავსი გადააქვთ სინჯარაში, ამატებენ 0.5 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და 0.5 მლ ბარიუმის ქლორიდს; წარმოიქმნება თეთრი ნალექი.

შენიშვნა: დამეანგავი ხსნარის მომზადება. 0.5გ კალიუმს ნიტრატს ხსნიან 25 მლ კონცენტრირებულ აზოტმჟავაში. ხსნარი ვარგისია 1 თვე.

pH: 5.0-დან 6.5-მდე, პოტენციომეტრიულად (ს.ფ. ტ. 1 მიხედვით).

*უცხო მინარევები:*მლ პრეპარატს ათავსებენ გამზომ სინჯარაში, ანზავებენ წყლით 8 მლ-მდე და შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარის 0.01 მლ (50 მკგ) მიკროპიპეტით შეაქვთ 5X15 სმ ზომის სილუფოლის ფირფიტის სტარტის ხაზზე. მოწმის სახით შეაქვთ 0.01 მლ (50 მკგ) ტაუტომის სტანდარტული ნიმუშის 0.5%-იანი ხსნარი.

ფირფიტას შეტანილი სინჯებით აშრობენ ჰაერზე 10 წუთის განმავლობაში. ათავსებენ გამხსნელთა სისტემაში 95% ეთილის სპირტი – ქლოროფორმი – ამიაკის კონცენტრირებული ხსნარი თანაფარდობით – 3:1:2 და ქრომატოგრაფირებას ახდენენ აღმავალი მეთოდით. როდესაც გამხსნელთა ფრონტი გაივლის 10 სმ-ს ფირფიტას სისტემიდან იღებენ და აშრობენ ჰაერზე 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ ასხურებენ ნინჰიდრინის 0.2%-იან ხსნარს 90%-იან სპირტში და აყოვნებენ 105-110^{0}C ტემპერატურაზე 1 წუთის განმავლობაში.

საკვლევი ხსნარის ქრომატოგრამაზე უნდა გამოჩნდეს მხოლოდ ერთი იისფერი ლაქა მოწმის ლაქის დონეზე. დასაშვებია ლაქა სტარტის ხაზთან.

შენიშვნა: 1. ტაუტომის სტანდარტული ნიმუშის 0.5%-იანი ხსნარის მომზადება. 0.5გ (ზ.წ.) ტაუტომის ათავსებენ 100 მლ ჩამჭიდების გამზომ კოლბაში, ხსნარის მოცულობა წყლით ანიშნულ ჭდემდე და შეურევენ.

2. 95% ეთილის სპირტში ნინჰიდრინის 0.2%-იანი ხსნარის მომზადება.

0.2გ ნინჰიდრინს ხსნიან 100 მლ 95% ეთილის სპირტში.

ხსნარი ვარგისია 1 თვე.

ნომინალური მოცულობა, სტერილობა, მექანიკური მინარევები(გვ.323-326)

რაოდენობითი განსაზღვრა: 5 მლ პრეპარატს ათავსებენ 100 მლ ჩამჭიდების გამზომ კოლბაში, უმატებენ 30 მლ წყალს, 5 წვეთ ფენოლფტალეინს, შეურევენ და ტიტრავენ ნატრიუმის ჰიდროქსიდის 0.1 მოლ ხსნარით სუსტი ვარდისფერი შეფერილობის მიღებამდე, ინდიკატორი ფენოლფტალეინი.

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

ნატრიუმის ჰიდროქსიდის 0.1 მოლ ხსნარის 1 მლ შეესაბამება 0.01252გ $C_2H_2NO_3S$(ტაუტომს), რომელიც პრეპარატის 1 მლ-ში უნდა იყოს 0.0380გ-დან 0.0420გ-მდე.


შენახვა: სინათლისაგან დაცულ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

კატარაქტის სამკურნალო საშუალება

ტემპინჰიდრატი

Terpinum hydratum

პარა - მენთანდიოლ - 1,8



$C_{10}H_{20}O_2 \cdot H_2O$ მ.მ. 190.28

აღწერა: უფერო გამჭვირვალე კრისტალებია ან თეთრი კრისტალური ფხვნილია, უსუნო, მომწარო გემოთი. ფრთხილად გაცხელებისას 100^0-ზე ქრობდება და წარმოიქმნება ნემსისებრი კრისტალები. მშრალ თბილ ჰაერზე ქარწყლდება, კარგავს საკრისტალიზაციო წყალს და ლღობის ტემპერატურა დაბლდება.

*ხსნადობა:*ცივ წყალში, ქლოროფორმში, ეთერში და სკიპიდარში. ძნელად იხსნება მდუღარე წყალში, იხსნება 95% სპირტში, ადვილად იხსნება მდუღარე 95% სპირტში.

იდენტობა(1:50) ობიექტის 5 მლ ცხელ ხსნარს რამდენიმე წვეთი კონცენტრირებული გოგირდმჟავას დამატებით სითხე იმლვევა და ტემპინჰიდროლის არომატული სუნი ერცვლდება.

0,01 გ ობიექტს ათავსებენ ფაიფურის ფიალაში, უმატებენ 5 წვეთ 3% რკინის (III) ქლორიდის სპირტიან ხსნარს და ფრთხილად ამოაორთქლებენ. ერთდროულად ფიალის სხვადასხვა ადგილებში მიიღება წითელი, იისფერი, მწვანე ლაქები. გაცივებულ ნაშთზე ბენზოლის დამატებით. ლურჯი შეფერილობა წარმოიქმნება.

*ლღობის ტემპერატურა:*115-117^0.

შენიშვნა. ლღობის ტემპერატურის განსაზღვრისათვის ტუჩა დებულია ხელსაწყო გაცხელდეს 110°-მდე და კაპილარის შეტანის შემდეგ გაცხელებას აგრძელებენ ისე, რომ წუთში ტემპერატურის მატება ხდებოდეს 4-5°-მდე.

*ხსნარის შეფერილობა და გამჭვირვალობა*0.3 გ ობიექტი მთლიანად უნდა იხსნებოდეს 3 მლ 95% მდუღარე სპირტში. წარმოქმნილი ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

*მჟავიანობა და ტუტიანობა*0.4 გ ობიექტს ათავსებენ 100 მლ ნამტვრევების კონუსურ კოლბაში, უმატებენ 40 მლ წყალს და ხანგრძლივად გაანხნამდე. გაცივებულ ხსნარს უმატებენ 1 წვეთ ბრომთიმოლ ლურჯის ხსნარს. წარმოქმნება მწვანე შეფერილება. რომელიც; იცვლება არა უმეტეს 0,1 მლ 0,05 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ან ქლორწყალბადმჟავას დამატებით.

*სულფატური ნაცარი*0.5 გ ობიექტის სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს და არ უნდა აძლევდეს რეაქციას მძიმე მეტალებზე (არა უმეტეს 0,001%).

ტერპინჰიდრატის ტაბლეტები 0,25 გ ან 0,5 გ
Tabulettae Terpini hydrati 0,25 aut 0,5

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

ტერპინჰიდრატი 0,25 გ ან 0,5 გ

დამხმარე ნივთიერებები საკმარისი რაოდენობა

აღწერა: თეთრი ფერის ტაბლეტები.

*იდენტობა*0.2 გ მთლიანი ტაბლეტების ფხვნილს ატრიალებენ 10 მლ წყალთან. მიღებული ხსნარი აძლევს იდენტობის შემდეგ რეაქციას, რომელიც მითითებულია სტატიაში „ტერპინჰიდრატი".

0,1 გ მთლიანი ტაბლეტების ფხვნილს ხსნიან 5 მლ [illegible]ში და ფილტრავენ. ფილტრატი აძლევს იდენტობის მეორე რეაქციას, რომელიც მოცემულია სტატიაში „ტერპინჰიდრატი".

ტაბლეტის საშუალო მასა და დაშლადობა(გვ.316-321)

რაოდენობითი განსაზღვრა 0.3 გ (ზუსტი წონა) ფხვნილ ტაბლეტების ფხვნილს ანჯღრევენ 20 მლ 95% სპირტში და ფილტრავენ. 10 მლ მიღებული ფილტრატი გადააქვთ ბიუქსში, [illegible]

ამოაორთქლებენ წყლის აბაზანაზე (წყლის ტემპერატურა 60°-მდე). ნაშთს აშრობენ ექსიკატორში მუდმივ წონამდე და წონიან. $C_{10}H_{20}O_2 \cdot H_2O$ შემცველობა შესაბამისად უნდა იყოს 0,238-0,262 გან 0,475-0,525გ ეროი ტაბლეტის საშუალო წონაზე გადაანგარიშებით.

ფენოლების ზოგადი და სპეციფიკური რეაქციები

ადნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნება ფენოლები და მათი სამკურნალო ნივთიერებები: ფენოლი, თიმოლი, რეზორცინი და არასტეროიდული სტრუქტურის ესტროგენების სინთეზური ანალოგები: სინესტროლი, დიეთილსტილბესტროლი, ოქტესტროლი და სხვ.

1) ფენოლების მჟავურობა და ფენოლატების წარმოქმნა

ფენოლები სუსტი მჟავური თვისებებით ხასიათდება, ისინი ნახშირმჟავასა და კარბონმჟავებზე სუსტი მჟავებია. კარგად იხსნება ტუტეთა წყალხსნარებში და ტუტე მეტალთა კარბონატებში ფენოლატების წარმოქმნით.

ფენოლები ურთიერთქმედებენ რკინის (III) ქლორიდთან და წარმოქმნიან იისფერ, ლურჯ ან მწვანე შეფერილობის რკინის კომპლექსურ ფენოლატებს.


მეთოდი: 0,01 გ ფენოლს ან რეზორცინს ხსნიან 1 მლ წყალში (სინესტროლს ხსნიან სპირტში), უმატებენ 1-2 წვეთ სამფალენტიანი რკინის (III) ქლორიდის ხსნარს. წარმოიქმნება შეფერილი კომპლექსნაერთი. ფენოლი და რეზორცინი იძლევა იისფერ შეფერილობას, სინესტროლი - მწვანეს.

ეს რეაქცია გამოიყენება აგრეთვე ფენოლის მინარევის აღმოსაჩენად თიმოლში, ვინაიდან თიმოლი ფენოლთან შედარებით უფრო სუსტი მჟავური თვისებებით ხასიათდება სტრუქტურაში ორი ალკილის ჯგუფის შემცველობის და წყალში უხსნადობის გამო, რკინის (III) ქლორიდთან შეფერილ კომპლექსნაერთს არ იძლევა.

2) მარტივი და რთული ეთერების წარმოქმნის რეაქციები. ფენოლები წარმოქმნიან მარტივ და რთულ ეთერებს, რომელთა იდენტიფიკაციას ახლენენ ლღობის ტემპერატურის მახვედრით. ეთერიფიკაციის რეაქციები შეიძლება გამოყენებული იქნეს რაოდენობრივი განსაზღვრისთვისაც.


3) არომატული ბირთვისათვის დამახასიათებელი რეაქციები. არომატულ ბირთვთან დაკავშირებული ჰიდროქსილი ტუტის ხსნარში ამჟღავნებს ორთო-პარა ორიენტაციას. ამიტომ ფენოლურ ახასიათებს ელექტროფილური ჩანაცვლების რეაქციები: ნიტრირება (ლიბერმანის რეაქცია), ნიტრირება, ბრომირება, დიაზო საღებავების წარმოქმნა.

3.1. ნიტროზირების რეაქცია (ლიბერმანის რეაქცია)



პარა - ნიტროზოფენოლი პარა - ქინონოქსიმი

ქინონოქსიმი ერთიერთოქმედებს სარეაქციო არეში არსებულ ფენოლთან და წარმოქმნის ინდოფენოლს:



ნიტროზირების რეაქცია ინდოფენოლური რეაქციის ხასიათია

ცხრილი № 24 ნიტროზირების რეაქციის პროდუქტების – ინდოფენოლების შეფერილობა


სამკურნალო ნივთიერებები	შეფერილობა	
	ტუტის დამატების გარეშე	ტუტის დამატების შემდეგ
ფენოლი	მუქი მწვანე	ალუბლისფერ-წითელი
თიმოლი	ლურჯ-მწვანე	იისფერი
რეზორცინი	იისფერ-შავი	იისფერი
სინესტროლი	მოწითალო-იისფერი	ალუბლისფერი

მეთოდი: 0,01 გ სამკურნალო ნივთიერებას უმატებენ 2-3 წვეთ 1%-იან ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარს კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. წარმოიქმნება დამახასიათებელი შეფერილობა, რომელიც იცვლება ტუტის დამატებით (იხ. ცხრილი).

3.2. ნიტრირების რეაქცია

ნიტრირება მიმდინარეობს განსაკუთრებული აზოტმჟავის დამატებით ოთახის ტემპერატურაზე. წარმოიქმნება ორთო და პარა ნიტროფენოლები. ხსნარზე ტუტის დამატებით შეფერილობა ძლიერდება კარგად დისოცირებული მარილის წარმოქმნის გამო.


მეთოდი: 0,01 გ სამკურნალო ნივთიერებას ხსნიან 2 მლ წყალში (სინესტროლს ხსნიან სპირტში) უმატებენ 1-2 მლ განზავებულ აზოტმჟავას და აცხელებენ წყლის აბაზანაზე. თანდათან წარმოიქმნება ყვითელი შეფერილობა.



3.3. ბრომირების რეაქცია.

ბრომიანი წყლის მოქმედებით წარმოიქმნება 2, 4, 6 ტრიბრომფენოლის თეთრი ნალექი.

მეთოდი: 0,01 გ სამკურნალო ნივთიერებას ხსნიან 2 მლ წყალში (სინესტროლს სპირტში) უმატებენ წვეთობით ბრომიან წყალს. გამოიყოფა ნალექი.



3.4. დიაზონაერთების წარმოქმნის რეაქცია


ფენოლების ურთიერთქმედებით დიაზონიუმის მარილებთან წარმოიქმნება აზოსაღებავი. მიერთება ხდება ორთო და პარა მდგომარეობაში ფენოლური ჰიდროქსილის მიმართ ტუტე არეში. ნეიტრალურ არეში წარმოიქმნება წითელი ფერის აზოსაღებავი. ტუტე არეში (pH-10) რეაქცია არ მიდის ვინაიდან დიაზონიუმის მარილი გარდაიქმნება დიაზოჰიდრატად (დიაზოტატად).

მეთოდი: 0,05 გ ობიექტს ხსნიან 5 მლ წყალში (სინესტროლს ხსნიან სპირტში) უმატებენ 2 მლ ამიაკის ხსნარს და 1 მლ დიაზორეაქტივს – წარმოიქმნება წითელი ან ნარინჯისფერ-წითელი შეფერილობა.

დიაზორეაქტივის მომზადება: 0,1 გ სტრეპტოციდს ხსნიან გაცხელებით 8 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავაში და გაციების შემდეგ უმატებენ 2 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარს. წარმოიქმნება წითელი შეფერილობა.

4. დაჟანგვის რეაქციები.

ფენოლები იჟანგება ადვილად და ძიდება სხვადასხვა შეფერილობის ჟანგვის პროდუქტი. ჟანგვის რეაქციის მაგალითია ინდოფენოლური სინჯი.ინდოფენოლური სინჯი მიმდინარეობს ამიაკის ხსნარში დამყანგველების: ქლორიანი კირის, ქლორამინის, ბრომამინის წყლის მოქმედებით.




ცხრილი №25 ინდოფენოლების შეფერილობა

სამკურნალო ნივთიერებები	შეფერილობა	
	მჟავის დამატების გარეშე	მჟავის დამატების შემდეგ
ფენოლი	ლურჯ-მწვანე	წითელი
თიმოლი	სუსტი ვარდისფერი	ყვითელი
რეზორცინი	მერა ყვითელი	წითელი

*მეთოდი*0,05 გ ობიექტს ხსნიან 0.5 მლ ამიაკის ხსნარში და უმატებენ 3-4 წვეთ ქლორამინის ხსნარს. ნარევს აცხელებენ მდუღარე წყლის აბაზანაზე. წარმოიქმნება შეფერილობა, რომელიც იცვლება მჟავის დამატებით (იხ. ცხრილი).

5. რეაქცია ფორმალდეჰიდთან და კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან (მარკის რეაქტივი)

ფენოლების ურთიერთქმედებით მარკის რეაქტივთან წარმოიქმნება შეფერილი არილმეთანური სალებავი.



მეთოდი: 10 მგ ობიექტს ათავსებენ საათის მინაზე და უმატებენ 3 წვეთ მარკის რეაქტივს. თანდათან წარმოიქმნება წითელი ან ალუბლისფერ-წითელი შეფერილობა. სინესტროლთან რეაქციის შედეგად მიღებული პროდუქტი გამოითვლილება ქლოროფორმით და ქლოროფორმის ფენა იფერება ალუბლისფერ-წითლად.

5. ფენოლების იდენტიფიკაციისთვის, აგრეთვე კვითლხარისხოვნების დადგენისა და რაოდენობრივი განსაზღვრისთვის ფართოდ გამოიყენება სპექტროფოტომეტრია ულტრაიისფერ უბანში და ქრომატოგრაფია. თუ პრეპარატის მოლეკულებში არის ასიმეტრიული ნახშირბადი, ინფორმატულია პოლარიმეტრიული მეთოდიც. ფენოლური ნაწარმების ერთმანეთისგან განსხვავება შესაძლებელია აღნიშნული მეთოდებით, სათანადო კონსტანტებით.

ფურაცილინი
Furacilinum




Nitrofuralum
$C_6H_6N_4O_4$

მ.მ. 198,4

აღწერა. ყვითელი, ან მომწვანო-ყვითელი ფერის წვრილკრისტალური ფხვნილია, უსუნო, მწარე გემოსი.

ხსნადობა. ძლიერ მცირედ იხსნება წყალში, მცირედ ხსნადი 95% სპირტში. პრაქტიკულად უხსნადია ეთერში. იხსნება ტუტეებში.

იგივეობა. 0.01 გ ობიექტს ხსნიან 5 მლ წყლისა და 5 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის ნარევში. წარმოიქმნება ნარინჯისფერ-წითელი შეფერილობა.



შეფერადებული ანიონი

იგივე ხსნარის გაცხელებისას გამოიყოფა ამიაკი, რომელიც შეიგრძნობა სუნით ან მდუღარე სითხის ორთქლში შეტანილი წითელი ლაკმუსის ქაღალდის გალურჯებით.

ლღობის ტემპერატურა. 230-236^0 (დაშლით).

ქლორიდები 2გ ობიექტს უმატებენ 40 მლ წყალს და ანჯღრევენ, ფილტრავენ გამჭვირვალე ფილტრატის მიღებამდე. 10 მლ მიღებული ფილტრატის არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,004%).

სულფატები ქლორიდებზე გამოსაკვლევად მომზადებული ხსნარის ფილტრატს 10 მლ არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0.02%).

სემიკარბაზიდი ფილტრატის 10 მლ აცხელებენ და უმატებენ 2მლ ფელინგის რეაქტივს, რომელიც წინასწარ გაცხელებული იყო ადულებამდე. ხსნარის შეფერადება თანდათანობით გადადის ყვითლიდან მუქ მწვანეში. ერთი საათის განმავლობაში არ უნდა წარმოიქმნას სპილენძის (I) ოქსიდის წითელი ნალექი.

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები. 0.5 გ პრეპარატიდან მიღებული სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1% და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს (არა უმეტეს 0,001%).

დარიშხანი 0.5 გ პრეპარატი არ უნდა შეიცავდეს დარიშხანს (არა უმეტეს 0,0001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა დაახლოებით 0.1 გ ობიექტს (ზუსტი წონა) ათავსებენ 500 მლ-ის მოცულობის გამზომ კოლბაში, უმატებენ 4 გ ნატრიუმის ქლორიდს, 300 მლ წყალს და ხსნიან გაცხელებით 70-80^0 წყლის აბაზანაზე. 5 მლ 0.01 მოლ იოდის ხსნარს ათავსებენ 50 მლ-იან გამზომ კოლბაში, უმატებენ 0,1 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და 5 მლ საკვლევ ხსნარს. 1-2 წუთის შემდეგ ხსნარს უმატებენ 2 მლ განზავებულ გოგირდმჟავას და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ მიკრობიურეტიდან 0,01 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით (ინდიკატორი – სახამებელი).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას. 1 მლ 0,01 მოლ იოდის ხსნარი შეესაბამება 0,0004954 გ $C_6H_6N_4O_4$, რომელიც ობიექტში უნდა იყოს არანაკლებ 97,5%.

შენახვა: მუქი ფერის ჭურჭელში.

ფურაცილინის ტაბლეტები 0,1 გ
Tabulettae Furacilini 0,1

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

ფურაცილინი	0,1 გ
დამხმარე ნივთიერებები	საკმარისი რაოდენობით

აღწერა. ყვითელი ან მომწვანო-ყვითელი ფერის ტაბლეტები.

იგივეობა. 0,03 გ მოსრესილი ტაბლეტების ფხვნილი იძლევა იგივეობის რეაქციებს, რომელიც აღწერილია სტატიაში „ფურაცილინი".

საშუალო მასა, დაშლადობა და სხვა მოთხოვნები (გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა. მოსრესილი ტაბლეტის ფხვნილს დაახლოებით 0,06 (ზუსტი წონა) ათავსებენ 20-25 მლ მოცულობის ჭიქაში, უმატებენ 1,5 მლ ფურაცილინის წყლიან ნაჯერ ხსნარს, ურევენ მინის წკირით და ფილტრავენ. ნამის ჭიქაში რეცხავენ 1 მლ ფურაცილინის წყლიანი ნაჯერი ხსნარით. ფილტრს ხალვათად ათავსებენ 100 მლ-იან გაზომილ კოლბაში, აქვე რეცხავენ ხალვატს თბილი წყლით, რომელიც დარსენილია ჭიქაში. უმატებენ 0,8 გ ნატრიუმის ქლორიდს, 70 მლ წყალს და ხსნიან გაცხელებით 70 80^0 წყლის აბაზანაში. გაცივებული ხსნარის მოცულობა წყლით აჰყავთ ჭდემდე, ურევენ და შემდგომ აწარმოებენ რაოდენობრივ განსაზღვრას, როგორც ეს აღწერილია სტატიაში „ფურაცილინი".

1 მლ 0,01 მოლ იოდის ხსნარი შეესაბამება 0,0004954 გ $C_6H_6N_4O_4$, რომელიც 1 ტაბლეტის საშუალო წონაზე გაანგარიშებით უნდა იყოს 0,095-0,105 გ.

შენიშვნა: ფურაცილინით წყლის გაჯერებისათვის, 0,1 გ ფურაცილინს უმატებენ 500 მლ წყალს, კარგად ანჯღრევენ და 30 წუთის შემდეგ ხსნარს ფილტრავენ მშრალ ფილტრში.

ფურაცილინის ხსნარი 0.02%
Solutio Furacillini 0.02%

შემადგენლობა:

ფურაცილინი	0.2გ
გამოხდილი წყალი	1 ლ

აღწერა. ყვითელი ან მომწვანო-ყვითელი ფერის, უსუნო, მწარე გემოს სითხე.

იგივეობა: ხსნარის 5.0 მლ უმატებენ 0.5 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს. წარმოიქმნება მონარინჯისფრო-წითელი შეფერილობა; მიღებული ხსნარის გაცხელებით გამოიყოფა ამიაკი.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 50 მლ ტევადობის კოლბაში ათავსებენ 0.01 მოლ იოდის ხსნარის 5 მლ, ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის 0.1 მლ და საკვლევი ხსნარის 5 მლ; 1-2 წუთის შემდეგ უმატებენ 2 მლ განზავებულ გოგირდმჟავას და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ მიკრობიურეტიდან 0.01 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით გაუფერულებამდე (ინდიკატორი სახამებელი).


პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0.01 მოლ იოდის ხსნარი შეესაბამება 0.0004954 გ ფურაცილინს, რომელიც ხსნარის 1 მლ-ში უნდა იყოს 0.00019-0.000210გ.

შენახვა: პირველისაგან დაცულ ადგილას.

ანტისეპტიკური საშუალება

ჯაფური
Camphora



$C_{10}H_{16}O$ მ.მ. 152.24

მარჯვნივ მბრუნავი ბუნებრივი ქაფურა, რომელსაც ღებულობენ ქაფურის ხისგან –Cinnamonium camphora (2) Nees et Eberm, ასევე მარცხნივ მბრუნავი, რომელიც მიიღება სოჭის ეთეროვანი ზეთიდან.

აღწერა. უფერო კრისტალური ფხვნილია ან თეთრი ნატეხები. აქვს ძლიერი დამახასიათებელი სუნი და სახიამოვნო მომწარო, მომჟანავი გემო. ფქნილთან, მენთოლთან, თიმოლთან ან ქლორალ-ჰიდრატთან გასრესით წარმოქმნის სქელ გამჭვირვალე სითხეს. ადვილად ქროლდება ნელებრივ ტემპერატურაზედაც და ჭურჭელში, სადაც ინახება, მის ზედა ნაწილში წარმოქმნის კრისტალურ ანაჭრილს. ფრთხილად გაცხელებით ქროლდება, ისე რომ არ ნახშირდება.

ხსნადობა მცირედ იხსნება წყალში, ადვილად იხსნება 95% სპირტში, ძალიან ადვილად იხსნება ეთერში და ქლოროფორმში. ადვილად იხსნება პეტროლეინის ეთერში, ცხიმებში, ეთეროვან ზეთებში.

ლღობის ტემპერატურა 174-180^0 (წინასწარი გამოშრობის გარეშე).

ხვედრითი ბრუნვა მარჯვნივ მბრუნავი ქაფურის +41^0-დან +44^0-მდე, მარცხნივ მბრუნავის -39^0-დან -44^0-მდე (10% სპირტიანი ხსნარი).

ხსნარის გამჭვირვალობა და შეფერილობა 1 გ პრეპარატის ხსნარი 4 მლ სპირტში უნდა იყოს გამჭვირვალე და უფერო.

წყალი 1გ პრეპარატის გახსნისას 10 მლ პეტროლეინის ეთერში არ უნდა წარმოიქმნას სიმღვრივე.

ზეთი თეთრი საწერი ქალალდის ფურცლებს შორის პრეპარატის გასრესისას არ უნდა წარმოიქმნას ცხიმის დაქება.

არააქროლადი ნაშთი 2გ ობიექტს აცხელებენ 100-105^0 მიმდინარე აქროლებამდე. ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 0,05%.

ორგანული მინარევები 0,5გ ობიექტს ხსნიან 5 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. მიღებული ხსნარის შეფერილება არ უნდა იყოს ეთალონური ხსნარის ინტენსიური.

ეთალონური ხსნარის მომზადება: 1 მლ 5 % კალიუმის ბიქრომატის ხსნარს ანზავებენ წყლით 150 მლ-მდე.

შენახვა: კარგად თავდახურულ ჭურჭელში, გრილ ადგილას.

ქაფურის 20%-იანი ზეთიანი ხსნარი ინექციისთვის
Solutio Camphorae oleosa 20% pro injectionibus

შემადგენლობა:

ქაფურა	200 გ
ატმის ზეთი	1 ლიტრამდე

ხსნარს ფილტრავენ, ხამთასხამენ ამპულებში და ასტერილებენ 100^0-ზე 1 საათის განმავლობაში გამდინარე ორთქლით.

სიმკვრივე 0.923-0.926.

რაოდენობრივი განსაზღვრა 1,5გ (ზუსტი წონა) პრეპარატს ათავსებენ წინასწარ აწონილ ბოუქსში წყლის აბაზანაზე ქაფურის სუნის მოცილებამდე. ბოუქსს აცივებენ ექსიკატორში და წონიან, ქაფურის შემცველობის გამოსაანგარიშებლად 1 მლ პრეპარატში წონაში დანაკარგს ამრავლებენ პრეპარატის სიმკვრივეზე და ეიღებენ წონაკს:

$X = m * d/a$

სადაც, m - წონაში დანაკარგი, გ

d – სიმკვრივე, გ/სმ^3

a – პრეპარატის ზუსტი წონა, გ

1მლ პრეპარატში ქაფურის შემცველობა უნდა იყოს 0,19-0,21გ ფარგლებში.

ქლორამინი - ბ
Chloraminum - B



N - ქლორბენხოლსულფამიდ – ნატრიუმის ტრიჰიდრატი
$C_6H_5O_2NClSNa \cdot 3H_2O$ მ.წ. 26°C

აღწერა: თეთრი ან ოდნავ მოყვითალო კრისტალები, ან კრისტალური ფხვნილი, ქლორის სუსტი სუნით. იხსნება წყალში, უფრო ადვილად – ცხელ წყალში. იხსნება სპირტში მდგრად ხსნარის წარმოქმნით, ძალიან მცირედ იხსნება ეთერში ან ქლოროფორმში.

იგივეობა: ობიექტის წყალხსნარი წითელი ლაკმუსის ქაღალდს ჯერ ალურჯებს (ტუტე რეაქცია) და შემდეგ აუფერულებს (ქლორი).


ობიექტის წყალხსნარს უმატებენ თანაბარი მოცულობის კალიუმის იოდიდის ხსნარს, 2-3 მლ ქლოროფორმს და შეანჯღრევენ, ქლოროფორმის ფენა შეიფერება იისფრად.

$$Cl_2+2KI\rightarrow I_2+2KCL$$

0,2 გ ფხვნილს გაახურებენ ფაიფურის ტიგელში. ქლორამინი იშლება აფეთქებით. დარჩენილი ნაშთი გამოწრთობის შემდეგ უფერო ალს შეაფერადებს ყვითლად(Na^+)და იძლევა რეაქციას სულფატ-იონზე.

გამოკვლევა სისუფთავეზე: 1 გ ობიექტს ხსნიან 50 მლ ახლადდაკლებულ და გაცივებულ წყალში, უმატებენ 5 წვეთ ფენილფტალეინის ხსნარს. ნეიტრალიზაციაზე უნდა დაიხარჯოს 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავის არა უმეტეს 0.4 მლ (ტუტიანობის ზღვარი).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 1,5 გ ქლორამინს (ზუსტი წონა) გადაიტანენ 100 მლ-იან გამზომ კოლბაში, გახსნიან 50 მლ წყალში და მოცულობას შეავსებენ ჭდემდე წყლით. მიღებული ხსნარის 25 მლ გადააქვთ 250 მლ ტევადობის მიღესახელსაცობიან კონუსურ კოლბაში, უმატებენ 10 მლ კალიუმის იოდიდის ხსნარს, 10 მლ განზავებულ



ქლორწყალბადმჟავას და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ ნატრიუმის თიოსულფატის 0,1 მოლ ხსნარით, ინდიკატორი - სახამებელი.

$$Cl_2+2KI\rightarrow I_2+2KCL$$

$$I_2-2Na_2S_2O_3\rightarrow Na_2S_4O_6+2NaI$$


1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის თიოსულფატს შეესაბამება 0,003546 გ აქტიური ქლორი, რომელიც ქლორამინში უნდა იყოს 25%-29%.

შენახვა: კარგად თავდახურულ ჭურჭელში, მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, განცალკევებით.

ქლორამფენიკოლი (ლევომიცეტინი)

Chloramphenicolum

D (–)-ტრეო 1 - პ - ნიტროფენილ 2 - დიქლორაცეტილ ამინოპროპანდიოლ - 1,3



$C_{11}H_{12}CL_2N_2O_5$ მ.მ. 323,13

აღწერა: თეთრი, ან ოდნავ მოყვითალო-მომწვანო ელფერის კრისტალური ფხვნილია, უსუნო, მწარე გემოსი.

ხსნადობა: მცირედ იხსნება წყალში, ადვილად 95% ეთილის სპირტში, ხსნადია ეთილაცეტატში, პრაქტიკულად უხსნადია ქლოროფორმში.

იგივეობა: 0,1 გ ობიექტს უმატებენ 5მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და აცხელებენ, წარმოიქმნება ყვითელი შეფერილობა, რომელიც გაცხელებისას გადადის წითელ-ნარინჯისფერში. ამ ხსნარის ადუღებისას ხსნარის შეფერილობა ძლიერდება და შეიგრძნობა ამიაკის სუნი.

ტუტე ხსნარის ფილტრატი აზოტმჟავით შემჟავების შემდეგ იძლევა დამახასიათებელ რეაქციას ქლორიდებზე.

ლღობის ტემპერატურა: 149-153^{0}C.

ხვედრითი ბრუნვა: $+18^0$ - $+21^0$ (5% ხსნარი 95% ეთანოლში).

შთანთქმის ხვედრითი მაჩვენებელი ($E^{1\%}_{1სმ}$) 290-305, 278 ნმ სიგრძის ტალღაზე (0,002% ხსნარი).

მკვიანობა: 1,0 გ ობიექტს უმატებენ ფენოლფტალეინით განეიტრალებულ ეთილის სპირტს, კარგად შეურევენ ხსნარს 1 წუთის განმავლობაში და ფილტრავენ. ფილტრატი, რომელსაც დამატებული აქვს ფენოლფტალეინის 2 წვეთი და 0,05 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი უნდა შეიფეროს ვარდისფრად, რომელიც არ ქრება 3 წუთის განმავლობაში.

ქლორიდები: 0,3 გ ობიექტს ანჯღრევენ 15 მლ წყალთან 1 წუთის განმავლობაში და ფილტრავენ.

10 მლ ფილტრატი არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს დასაშვებ ნორმაზე მეტს (არა უმეტეს 0,01%).

სულფატური ნაცარი და მძიმე მეტალები: 0,5 გ (ზუსტი წონა) პრეპარატიდან მიღებული სულფატური ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 0,1% და არ უნდა შეიცავდეს მძიმე მეტალებს დასაშვებ ნორმაზე მეტს (არა უმეტეს 0,001%).

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0,5 გ ობიექტს (ზუსტი წონა) ათავსებენ 200-250 მლ მოცულობის კონუსურ კოლბაში, უმატებენ 20 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას (ფრთხილად) და 5 გ თუთიის ფხვნილს მცირე ულუფებით. შემდეგ ისევ ამატებენ 10 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას კოლბის კედლების ჩასარეცხად. თუთიის ფხვნილის მთლიანად გახსნის შემდეგ, შეიძლება გაცხელებაც.

ხსნარი რაოდენობრივად გადააქვთ ჭიქაში დიახოტირებისათვის, რომელსაც აცივებენ ყინულით. უმატებენ 3 გ კალიუმის ბრომიდს და ნელა ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარით. ტიტრაცია ითვლება დამთავრებულად, როდესაც ტიტრანი ხსნარის მიმატებიდან 3 წუთის განმავლობაში არ იცვლის ფერს. ტიტრანტის ხსნარიდან აღებული 1 წვეთი იწვევს იოდსახამებლიანი ქაღალდის მყისიერ გალურჯებას (იხ. ნიტრიტომეტრია).

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ნიტრიტი შეესაბამება 0,03231 გ $C_{11}H_{12}Cl_2N_2O_5$, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 98,5%.

ქლორამფენიკოლის (ლევომიცეტინის) ტაბლეტები 0.1გ; 0.25გ და 0.5გ

Tabulettae Chloramphenicoli (Laevomycetini) 0.1; 0.25 aut 0.5

ერთი ტაბლეტის შემადგენლობა:

ქლორამფენიკოლი 0.1გ; 0.25გ ან 0.5გ

დამხმარე ნივთიერებები საკმარისი რაოდენობით

აღწერა: თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ფერის ტაბლეტები, ბრტყელი ცილინდრული, გარეკნული აღწერილობით უნდა შეესაბამებოდეს ს.ფ. მოთხოვნებს.

იდენტობა: რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მომზადებული ხსნარის შთანთქმის მაქსიმუმი ულტრაიისფერ სპექტრში 230 ნმ-დან 350 ნმ-მდე დიაპაზონში უნდა აღინიშნებოდეს 278 ± 2 ნმ სიგრძის ტალღაზე.

ტაბლეტის ფხვნილის 0.1გ უმატებენ 5 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და აცხელებენ; წარმოიქმნება ყვითელი შეფერილობა, რომელიც შემდგომი გაცხელებით გადადის მოწითალო-ნარინჯისფერში. ამ ხსნარის დულილის დროს შეფერილობა ინტენსიური ხდება, გამოიყოფა აგურისფერ-წითელი ნალექი (ქლორამფენიკოლი) და გაერცელდება ამიაკის სუნი.

მიღებულ ხსნარს ნალექთან ერთად აცივებენ და ფილტრავენ, ფილტრატი აზოტმჟავით შემჟავების შემდეგ იძლევა ქლორიდებისათვის დამახასიათებელ რეაქციას.

საშუალო მასის, დაშლადობის, ტალკის განსაზღვრა და სხვამოთხოვნები (გვ.316-321)

რაოდენობრივი განსაზღვრა: ტაბლეტის ფხვნილის დაახლოებით 0.06გ (ზუსტი წონა) ათავსებენ 100 მლ ჩამქნობის საზომ კოლბაში, უმატებენ 5 მლ 95%-იან სპირტს. შეანჯღრევენ 5 წუთის განმავლობაში, ხსნარის მოცულობა წყლით მიჰყავთ ჭდემდე.

შეურევენ და ფილტრავენ. ფილტრატის პირველ 15 მლ-ს გადაღვრიან. 2 მლ ფილტრატი გადააქვთ 100 მლ ჩამტვირთველ კოლბაში. ხსნარის მოცულობას წყლით შეავსებენ ჭდემდე და შეურევენ.

მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ სპექტროფოტომეტრით, 278 ნმ სიგრძის ტალღაზე, 10 მმ ფენის სისქის კიუვეტში. შესადარებლად იყენებენ წყალს.

პარალელურად ზომავენ ქლორამფენიკოლის სამუშაო სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს.

ერთ ტაბლეტში ქლორამფენიკოლის რაოდენობას გრამებში (X) გამოითვლიან ფორმულით:

$$x_1 = \frac{D_1 \cdot C \cdot 100 \cdot 100 \cdot 2 \cdot \delta}{D_0 \cdot a \cdot 2 \cdot 100 \cdot 100} = \frac{D_1 \cdot C \cdot \delta}{D_0 \cdot a}$$

სადაც D_1 – საკვლევი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე.

D_0 – სტანდარტული ნიმუშის ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე

a – პრეპარატის წონა გრამებში.

δ– ტაბლეტის საშუალო წონა, გრამებში.

C – ქლორამფენიკოლის სტანდარტული ნიმუშის წონა, გ.

$C_{11}H_{12}Cl_2N_2O_5$ (ქლორამფენიკოლი) შემცველობა უნდა იყოს 0.095გ-0.105გ, 0.238-0.262გ ან 0.475გ-0.525გ-მდე, ეროი ტაბლეტის საშუალო მახასიათებლებით.

შენიშვნა: ქლორამფენიკოლის სტანდარტული ნიმუშის ხსნარის მომზადება:

დაახლოებით 0.05გ (ზუსტი წონა) ქლორამფენიკოლს (საერთაშორისო სტანდარტი) ათავსებენ 100 მლ ჩამტვირთველ კოლბაში, უმატებენ 5 მლ 95% სპირტს, შეანჯღრევენ 5 წუთის განმავლობაში და ხსნარის მოცულობა წყლით მიჰყავთ ჭდემდე (ხსნარი „ა").

ხსნარი „ა" ვარგისია 14 დღე-ღამე.

მიღებული ხსნარის 2 მლ ათავსებენ 100 მლ ჩამტვირთველ კოლბაში და ხსნარის მოცულობა წყლით მიჰყავთ ჭდემდე. (ხსნარი „ბ").ხსნარი „ბ" უნდა იყოს ახლადმომზადებული.

შენახვა: სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ანტიბიოტიკი

ქლოროფორმი
Chloroformium
ტრიქლორმეთანი

$CHCL_3$ მ.მ. 119,38

აღწერა: უფერო, გამჭვირვალე მძიმე მოძრავი აქროლადი სითხე, დამახასიათებელი სუნით და მოტკბო მომწველი გემოთი. ქლოროფორმის ორთქლი არაადალებადია.

კონსერვაციისთვის ემატება 0,6-1% უწყლო ეთანოლი.

ხსნადობა: ცუდად იხსნება წყალში, კარგად შეიზარდებით ერევა უწყლო ეთილის სპირტს, ეთერს, ბენზინს, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს. არ ერევა გლიცერინს.

დუღილის ტემპერატურა. 59,5-62^0 (გადამდენ კოლბაში ნაშთს ინახავენ არააქროლადი ნაშთის განსაზღვრისათვის).

*სიმკვრივე:*1.474-1.483.

უცხო სუნი: 20 მლ ობიექტს ასხამენ სუფთა, უსუნო, ოთახად გაკეცილ ფილტრის ქაღალდზე, რომელიც მოთავსებულია პეტრის ფინჯანზე და გაცხელებულია წყლის აბაზანაზე 50^0-მდე (ამწოვ კარადაში). ქლოროფორმის ამოორთქლების შემდეგ ქაღალდს არ უნდა ქონდეს უცხო სუნი.

მჟავიანობა, ქლორიდები, თავისუფალი ქლორი: 15 მლ ობიექტს ანჯღრევენ 40 მლ წყალთან და წყლიან ფენას აცილებენ.

10 მლ წყლიანი ფენა 4 წვეთი ბრომფენოლლურჯას დამატების შემდეგ უნდა შეიფერის იისფერ-ლურჯად.

5 მლ წყლიანი ფენა განზავებული წყლით 10 მლ-მდე არ უნდა იძლეოდეს რეაქციას ქლორიდებზე.

10 მლ წყლიანი ფენა არ უნდა შეიფეროს ლურჯად 0.5 მლ კალიუმის იოდიდის ხსნარის და 0.5მლ სახამებლის ხსნარის დამატების შემდეგ.

ორგანული მინარევები: 15მლ ობიექტს 15-20 წუთით ანჯღრევენ 10 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან მილესილსაცობიან კოლბაში, რომელსაც წინასწარ 2-ჯერ გამოვლებული აქვს საკვლევი ქლოროფორმი და 2-ჯერ კონცენტრირებული გოგირდმჟავა. 1 საათი ბნელ ადგილას 15^0-ზე დაყოვნების შემდეგ გოგირდმჟავას ფენა არ უნდა შეიფეროს.

წყალი: 10 მლ ობიექტს გაცივებისას -3^0-დან -4^0-მდე არ უნდა შეიმჩნეოდეს სიმღვრივე.

არააქროლადი ნაშთი: დუღილის ტემპერატურის განსაზღვრის შემდეგ გადამდენ კოლბაში დარჩენილი ნაშთი გადააქვთ წინასწარ აწონილ ბიუქსში 10 მლ გადადენილი ქლოროფორმით. წყლის აბაზანაზე ამოაორთქლებენ ქლოროფორმს. ნაშთი 100^0-ზე გამოშრობის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 0,002%.

*ეთანოლი*300-500 მლ ნამჭეობის მილესილსაცობიან კოლბაში ათავსებენ 25 მლ 0,1 მოლ კალიუმის ბიქრომატს, 25 მლ კონცენტრირებულ აზოტმჟავას და აცივებენ ყინულის აბაზანაზე. შემდეგ უმატებენ 1 მლ პრეპარატს.ტოვებენ 5 წუთის განმავლობაში და პერიოდულად ურევენ.შემდეგ უმატებენ 100 მლ წყალს, 5 მლ კალიუმის იოდიდის ხსნარს, ტოვებენ ბნელ ადგილას 5 წუთით და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით (ინდიკატორი – სახამებელი).

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0,1 მოლ კალიუმის ბიქრომატის ხსნარს შეესაბამება 0,00115 გ C_2H_5OH, რომლის რაოდენობა 0,6-1% ფარგლებში უნდა იყოს.

შენახვა: კარგად თავდახურულ ნარინჯისფერ მინის ჭურჭელში, გრილ ადგილას.

წყალბადის ზეჟანგი განზავებული
Solutio Hydrogenii peroxydi diluta

H_2O_2 მ.მ 34.01


შემადგენლობა:

პერჰიდროლი	10,0 გ
ანტიფებრინი	0,05 გ
წყალი	100 მლ-მდე.

*მომზადება*წყლის ერთ ნაწილში განაზავებენ პერჰიდროლს, მეორეში კი გაცხელებით ეახსნით ანტიფებრინს. ანტიფებრინის ხსნარს, გაცივების შემდეგ შეურევენ პერჰიდროლის განზავებულ ხსნარში და კარგად შეურევენ.

აღწერა: უფერო, გამჭვირვალე სითხეა, უსუნო, ან სუსტი, თავისებური სუნით, სუსტი მჟავა რეაქციით. აღვილად იშლება სინათლეზე, გაცხელებით, აგრეთვე დამუანგავებთან, აღმდგენ ნივთიერებებთან, ტუტეებთან, ზოგიერთ მეტალთან (რკინა, სპილენძი, მანგანუმი და სხვ.) შესებით, გამოიყოფა ჟანგბადი.

იდენტობა: 1მლ ობიექტს უმატებენ 0,2 მლ განზავებულ გოგირდმჟავას, 2 მლ ეთერს, 0,2 მლ კალიუმის ბიქრომატის ხსნარს და შეანჯღრევენ. ეთერის ფენა იფერება ლურჯად.



ორქრომმჟავა *ზექრომმჟავა (ლურჯი ფერის)*

მშრალ ნაშთს, რომელიც მიღებულია 30 მლ ობიექტის აქროლებით, უმატებენ 2-3 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას და ადულებენ 3 წუთი. გაცივების შემდეგ ხსნარი იძლევა პირველადი არომატული ამინებისთვის დამახასიათებელ რეაქციას (ანტიფებრინი).

მჟავიანობა: 25მლ ობიექტის გასანეიტრალებლად უნდა დაიხარჯოს 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის არა უმეტეს 1,5 მლ (ინდიკატორი – მეთილწარინჯა).

*მშრალი ნაშთი*30 მლ ობიექტს ამოაქროლებენ წინასწარ აწონილ ფაიფურის ფიალაზე და აცხელებენ 100-105°C-ზე 1 სთ-ს განმავლობაში.ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 10 მლ ობიექტს ათავსებენ 100 მლ-იან გამზომ კოლბაში და მოცულობას შეავსებენ ჭდემდე გამოხ. დისტ. წყლით. მიღებული ხსნარის 10 მლ გადააქვთ კოლბაში, უმატებენ 5 მლ განზავებულ გოგირდმჟავას და ტიტრავენ 0,1 მოლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით სუსტ ვარდისფერ შეფერილობამდე.

$$2KMnO_4+5H_2O_2+3H_2SO_4 \rightarrow 2MnSO_4+K_2SO_4+8H_2O+5O_2$$

1 მლ 0,1 მოლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს შეესაბამება 0,001701 გ H_2O_2.რომელიც პრეპარატში უნდა იყოს 2,7-3,3%.

შენახვა: კარგად თავდახურულ ჭურჭელში, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

წყალი გამოხდილი
Aqua destillata

აღწერა: უფერო, უსუნო, უგემო გამჭვირვალე სითხე.

pH: 5.0-6.8 (100 მლ წყალს უმატებენ 0.3 მლ კალიუმის ქლორიდის ნაჯერ ხსნარს და pH-ს ზომავენ პოტენციომეტრიულად (ს.ფ. მიხედვით).

მშრალი ნაშთი: 100 მლ წყალს ამოაორთქლებენ წყლის აბაზანაზე მშრალი ნაშთის მიღებამდე (100-105)°C მუდმივ მასამდე. ნაშთი არ უნდა იყოს 0.001%-ზე მეტი.

აღმდგენი ნივთიერებები: 100 მლ წყალი მიჰყავთ ადუღებამდე, უმატებენ კალიუმის პერმანგანატის 0.01 მოლ ხსნარის 1 მლ, განზავებული გოგირდმჟავის 2 მლ და ადუღებენ 10 წუთის განმავლობაში: ვარდისფერი შეფერილობა უნდა შენარჩუნდეს.

ნახშირორჟანგი: წყლის შეანჯღრევით თანაბარი რაოდენობის კირიან წყალთან, ბოლომდე შევსებულ და კარგად თავდახურულ ჭურჭელში, ერთი საათის განმავლობაში არ უნდა წარმოიქმნას სიმღვრივე.

ნიტრატები და ნიტრიტები: 5 მლ წყალს ფრთხილად უმატებენ ახლადმომზადებულ დიფენილამინის ხსნარს; არ უნდა წარმოიქმნას ცისფერი შეფერილობა.

*ამიაკი:*10 მლ წყალს უმატებენ 0.2 მლ ნესლერის რეაქტივს, შეურევენ და 5 წუთის შემდეგ ადარებენ 10 მლ 0.0002% ამიაკის ხსნარისა და იმავე რაოდენობა რეაქტივისაგან მომზადებულ ეთალონს. საკვლევი ნიმუშის შეფერილობის ინტენსიობა არ უნდა აღემატებოდეს ეთალონის შეფერილობას.

გამოხდილი წყალი არ უნდა შეიცავდეს: ქლორიდებს, სულფატებს,კალციუმს, მძიმე მეტალებს.

ქლორიდები: 10 მლ წყალს უმატებენ 1 მლ აზოტმჟავას. მიღებულ ხსნარს გაყოფენ ორ ნაწილად. ერთს უმატებენ 0.5 მლ ვერცხლის ნიტრატის ხსნარს, შეურევენ და 5 წუთის შემდეგ ადარებენ ერთმანეთს. ხსნარებს შორის არ უნდა იყოს შესამჩნევი განსხვავება.

სულფატები: 10 მლ წყალს უმატებენ 1 მლ განზავებულ ქლორწყალბადმჟავას. მიღებულ ხსნარს გაყოფენ ორ ნაწილად. ერთს უმატებენ 1 მლ ბარიუმის ქლორიდის ხსნარს, შეურევენ და 5 წუთის შემდეგ ადარებენ ერთმანეთს. ხსნარებს შორის არ უნდა იყოს შესამჩნევი განსხვავება.

კალციუმი: 10 მლ წყალს უმატებენ ამონიუმის ქლორიდის ხსნარის 1 მლ და ამიაკის ხსნარის 1 მლ. მიღებულ ხსნარს გაყოფენ ორ ნაწილად. ერთს უმატებენ ამონიუმის ოქსალატის ხსნარის 1 მლ, შეურევენ და 5 წუთის შემდეგ ადარებენ ერთმანეთს. ხსნარებს შორის არ უნდა იყოს შესამჩნევი განსხვავება.

მძიმე ლითონები: 10 მლ წყალს უმატებენ 1 მლ განზავებულ ძმარმჟავას. მიღებულ ხსნარს გაყოფენ ორ ნაწილად. ერთს უმატებენ ნატრიუმის სულფიდის ხსნარის 1 მლ, შეურევენ და 5 წუთის შემდეგ ადარებენ ერთმანეთს. ხსნარებს შორის არ უნდა

იყოს შესამჩნევი განსხვავება. გამოსაკვლევ წყალში დასაშვებია მხოლოდ ნატრიუმის სულფიდიდან გამოყოფილი გოგირდის სუსტი opალესცენცია.


მიკრობიოლოგიური საწმინდე: უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნებს სასმელი წყლის მიმართ (არა უმეტეს 100 მიკროორგანიზმი 1 მლ-ში). დაუშვებელია ნიმუშში Enterobacteriaceae, Pseudomonas aeruginosa და Staphylococcus aureus-is ოჯახის ბაქტერიების არსებობა.

გამოყენება და შენახვა: გამოიყენება ახლადგამოხდილი წყალი ან ისახება კარგად თავდასურულ, ისეთი მასალის ჭურჭელში, რომელიც არ ცვლის წყლის თვისებებს. იცავს შეცხო ნაწილაკებისა და მიკრობიოლოგიური დაბინძურებისაგან.

შენიშვნა: ასეპტიკურ პირობებში მოსამზადებელი, სტერილური ხსნარების სამკურნალებების მოსამზადებლად. გამოხდილ წყალს აუცილებლად ასტერილებენ და იყენებენ პიროგენობაზე.

ᲰᲔᲥᲡᲐᲛᲔᲗᲘᲚᲔᲜᲢᲔᲢᲠᲐᲛᲘᲜᲘ

Hexamethylentetraminum



Urotropinum, Methenaminum

უროტროპინი, მეთენამინი

$C_6H_{12}N_4$ მ.მ. 140,19

აღწერა: უფერო კრისტალებია ან თეთრი კრისტალური ფხვნილი, უსუნო. ჯერ ტკბილი, შემდეგ კი მომწარო გემოსი. გაცხელებით ქრისტლება, არ დნება.

ხსნადობა: აღვილად იხსნება წყალში და სპირტში, იხსნება ქლოროფორმში. მცირედ იხსნება ეთერში.

იგივეობა: ბიქტის ხსნარს (1:10) 2მლ აცხელებენ 2 მლ განზავებულ გოგირდმჟავასთან. შეიგრძნობა ფორმალდეჰიდის სუსი შემდეგ უმატებენ 2 მლ 30% ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს და ისევ აცხელებენ, შეიგრძნობა ამიაკის სუნი.

$$(CH_2)_6N_4+2H_2SO_4+6H_2O \rightarrow + \text{ აცე} \leqslant^{O}_{H} 2(NH_4)_2SO_4$$

$$(NH_4)_2SO_4+2NaOH \rightarrow 2NH_3\uparrow +Na_2SO_4+2H_2O$$

მჟავიანობა ან ტუტიანობა: 4გ იბიექტს ხსნიან 10 მლ წყალში. ხსნარი უნდა იყოს ბუნი რეაქციის დაკმუხის მიხედვით და არ უნდა იწვნევდეს ბუნი რეაქციის ფენოლფტალეინთან.

ამონიუმის მარილები და პარაფორმი: იბიექტს 10 მლ ახლადმომზადებულ ხსნარს (1:20) უმატებენ 5 წვეთ ნესლერის რეაქტივს და აცხელებენ წყლის აბაზანაზე 50°-ზე 5 წუთი. არ უნდა წარმოიქმნას არც ნალექი და არც შემღვრეულა.

ორგანული მინარევები: ხანჯარაში, რომელსაც ეხახსწარ გამოვლებული აქვს კონცენტრირებული გოგირდმჟავა, ათავსებენ 2 მლ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას, თანდათან ეროვნ 0,1 გ იბიექტს და ანჯღრევენ. ხსნარი არ უნდა შეიფეროს.

ქლორიდები: 1,5გ იბიექტს ხსნიან 30 მლ წყალში. 10 მლ მიღებული ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ქლორიდებს (არა უმეტეს 0,004%).

სულფატები: 10მლ იგივე ხსნარი არ უნდა შეიცავდეს სულფატებს (არა უმეტეს 0.02%).

ძირძე მეტალები: 2გ იბიექტს ხსნიან 10 მლ წყალში. ხსნარი არ უნდა შეიცავდეს ძირძე მეტალებს (არა უმეტეს 0.00025%).

სულფატური ნაცარი: 0.5გ იბიექტს ათავსებენ ეხახსწარ ალონიდ ბრძმედში და ფრთხილად წვავენ. ბრძმედის გაცივების შემდეგ ნაშთს 0,5 მლ კონცენტრირებული გოგირდმჟავით შეასველებენ, აცხელებენ და გამოაწრთობენ მუდმივ წონამდე. სულფატური ნაცარი უწონო უნდა იყოს.

რაოდენობრივი განსაზღვრა: 0.12 გ (ხუთი წონა) იბიექტს ათავსებენ კონუსურ კოლბაში, ხსნიან 10 მლ წყალში, უმატებენ 50 მლ 0.1 მილ გოგირდმჟავას და ნელ ცეცხლზე ადუღებენ 30 წუთი.

ნარევს აცივებენ, უმატებენ 2 წვეთ მჟაუთ წითელს და ჭარბ გოგირდმჟავას ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ყვითელ შეფერილობამდე.

პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას.

1 მლ 0,1 მოლ გოგირდმჟავას ხსნარი შეესაბამება 0,003505 გ $C_6H_{12}N_4$, რომელიც პრეპარატში უნდა იყოს არანაკლებ 99,0%.

ᲰᲔᲥᲡᲐᲛᲔᲗᲘᲚᲔᲜᲢᲔᲢᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡ 40% ᲮᲡᲜᲐᲠᲘ ᲘᲜᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Solutio Hexamethylentetramini 40% pro injectionibus

შემადგენლობა:

ჰექსამეთილენტეტრამინი 400 გ

წყალი ინექციებისთვის . 1 ლ-მდე

ხსნარს ფილტრავენ, ჩამოასხამენ 5 ან 10 მლ ამპულებში ასეპტიკურ პირობებში.

აღწერა: გამჭვირვალე უფერო სითხე.

იგივეობა: პრეპარატი იძლევა იოდოფორმის რეაქციას, რომელიც მოცემულია სტატიაში „ჰექსამეთილენტეტრამინი".

ამონიუმის მარილები და პარაფორმი: 1 მლ პრეპარატს უმატებენ 9 მლ ახლადდაყენებულ და გაცივებულ წყალს, 5 წვეთ ნესლერის რეაქტივს. არ უნდა წარმოიქმნას ყვითელი შეფერადება და სიმღვრივე.

ნომინალური მოცულობა, სტერილობა, მექანიკური მინარევები (გვ.323-326)

pH. 7,8-8,2.

რაოდენობითი განსაზღვრა. 5 მლ პრეპარატს ათავსებენ 100 მლ გამზომ კოლბაში და წყლით მოცულობა ამღვრევამდე მიიყვანენ. მიღებული ხსნარის 5 მლ-ის განსაზღვრას ახდენენ ისე, როგორც მითითებულია სტატიაში „Hexamethylentetraminum".

1 მლ 0,1 მოლ გოგირდმჟავას ხსნარს შეესაბამება 0,003505 გ $C_6H_{12}N_4$, რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0,388-0,412 გ.

შენახვა. არა უმეტეს 20° ტემპერატურაზე.

ᲗᲘᲗᲚᲘᲡ ᲕᲐᲪᲘᲗᲘᲡ ᲛᲫᲘᲡᲐᲠᲔᲡ-ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

ᲗᲣᲗᲘᲘᲡ ᲡᲣᲚᲤᲐᲢᲘᲡ ᲮᲡᲜᲐᲠᲘ 0,25%, 0,33%, 0,5%

Solutio Zinci sulfatis 0,25%, 0,33%, 0,5%

$ZnSO_4$ $7H_2O$

მ.მ 287,54

იგივეობა: საკვლევი ხსნარის 1-2 წვეთს უმატებენ 0,5 მლ კალიუმის ჰექსაციანოფერატის (II) ხსნარს. გამოიყოფა თეთრი ნალექი. (Zn^{2+})

საკვლევი ხსნარის 1-2 წვეთს შეამჟავებენ ქლორწყალბადმჟავით, უმატებენ 0,5 მლ ბარიუმის ქლორიდის ხსნარს. გამოიყოფა თეთრი ნალექი, რომელიც არ ისხნება მინერალურ მჟავებში (SO_4^{2-}).

რაოდენობრივი განსაზღვრა. საკვლევი ხსნარის 2 მლ უმატებენ 6 წვეთ 5% ბარიუმის ქლორიდს, 5 წვეთ ფენოლფტალეინისა და 6 წვეთი თიმოლ ლურჯის ნარევს. ტიტრავენ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ლურჯი შეფერილობის მიღებამდე.

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდს შეესაბამება 0,014384 გ $ZnSO_4 \cdot 7H_2O$, რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს შესაბამისად 0,0023 – 0,0027 გ, 0,00304 – 0,00356 გ, 0,0046 – 0,004გ

ᲐᲢᲠᲝᲞᲘᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲤᲐᲢᲘᲡ ᲮᲡᲜᲐᲠᲘ 1%

SolutioAtropini sulfatis 1%

$(C_{17}H_{23}NO_3)_2 \cdot H_2SO_4 \cdot H_2O$ მ.მ 694,8

იგივეობა: საკვლევი ხსნარის 2-3 მლ გადაიტანენ ფაიფურის ფიალაზე, ამოაქრობლებენ წყლის აბაზანაზე. მიღებულ ნაშთს უმატებენ 7-10 წვეთ 33% აზოტმჟავას და კვლავ ამოაქრობლებენ. გაცივების შემდეგ მიღებულ ნაშთს უმატებენ 0,5 მლ აცეტონს და

2-3 წვეთი 0,5 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის წარმოექმნება ისფერი შეფერილობა.

საკვლევი ხსნარის 2-3 წვეთს ამოაქრობენ ფილტრატის ფიალაზე. ნაშთს უმატებენ 2-3 წვეთ დიმეთილამინობენზალდეჰიდის ხსნარს, 1-2 წვეთ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და ათბობენ წყლის აბაზანაზე. მიიღება წითელი შეფერილობა.

რაოდენობრივი განსაზღვრა: ხსნარის 1 მლ უმატებენ 4 მლ ქლოროფორმს, 6-7 წვეთ ფენოლფტალეინს და ტიტრავენ 0.02 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით წყლიანი ფენის ვარდისფერ შეფერილობამდე.

1 მლ 0.02 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარს შეესაბამება 0,006948 გ $(C_{13}H_{23}NO_5)_2 \cdot H_2SO_4 \cdot H2O$, რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს 0.0092-0.0108 გ

სულფაცილ – ნატრიუმის (ალბუციდი) ხსნარი 30% ან 20%
Solutio Sulfacyli – natrii (Albucidum) 30% aut 20%

$C_8H_9N_2NaO_3S \cdot H_2O$ მ.მ 254,24

იგივეობა: საკვლევი ხსნარის 1 მლ-ს ემატებენ რამოდენიმე წვეთ 10%-იან სპილენძის სულფატის ხსნარს. მიიღება დია მწვანე შეფერილობის ხსნარი.

საკვლევი ხსნარის 1 მლ-ს უმატებენ რამდენიმე წვეთ 10%-იან კობალტის ქლორიდს. მიიღება მურა - მწვანე შეფერილობის ხსნარი.

რაოდენობრივი განსაზღვრა: საკვლევი ხსნარის 1 მლ-ს ანზავებენ წყლით 10 მლ-ის გამოხმ კოლბაში. მიღებული ხსნარის 1 მლ გადააქვთ 50 მლ ტევადობის კოლბაში. უმატებენ მეთილ ნარინჯის და მეთილენ ლურჯის თითო-თითო წვეთს. ტიტრავენ 0.1 მოლ ქლორწყალბადმჟავით დია ისფერ შეფერილობამდე.

1 მლ 0,1 მოლ ქლორწყალბადმჟავას შეესაბამება 0,025424 გ $C_8H_9N_2NaO_3S \cdot H2O$, რომელიც 1 მლ პრეპარატში უნდა იყოს სესაბამისად 0,291 – 0,309გ, 0.194 – 0.206გ

ბორმჟავას ხსნარი 2%
Solutio Acidi borici 2%

H_3BO_3

მ.მ 61,83

იგივეობა: საკვლევი ხსნარში შესვლებული მიხის წყარო ალს აფერადებს მწვანედ.

საკვლევ ხსნარში შესვლებული კურკუმის ქაღალდი იფერება ყავისფრად.

რაოდენობრივი განსაზღვრა: საკვლევი ხსნარის 2 მლ-ს ანზავებენ 10 მლ-მდე. მიღებული ხსნარის 2 მლ-ს უმატებენ 3-4 მლ გლიცერინს, 3-4 წვეთ ფენოლფტალეინს და ტიტრავენ 0.1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით ვარდისფერ შეფერილობამდე.

1 მლ 0,1 მოლ ნატრიუმის ჰიდროქსიდს შეესაბამება 0.006184 გ H_3BO_3, რომელიც ხსნარის 1 მლ-ში უნდა იყოს 0.019 – 0.021 გ.

სამკურნალო საშუალებათა სინთეზი

პარაცეტამოლის სინთეზი

სინთეზისთვის საჭირო ნივთიერებები:


პარა-ამინოფენოლი;

ძმრის ანჰიდრიდი.

სინთეზისთვის საჭირო ჭურჭელი:

კოლბა (200-250 მლ მოცულობის).

კოლბაში ათავსებენ 10,9 გ პ-ამინოფენოლს და უმატებენ 25 მლ წყალს. ნარევს ცნობილად შეურევენ და უმატებენ 11გ ძმრის ანჰიდრიდს. სარეაქციო ნარევს, გაცხელის შემდეგ, აცივებენ გამდინარე წყლით და ტოვებენ 5-6 საათით. წარმოიქმნება პ-აცეტამინოფენოლის ყავისფერი კრისტალები, რომელსაც ფილტრავენ ბიუხნერის ფილტრში. ვაკუუმის ქვეშ. ნალექს რეცხავენ წყლით ძმარმჟავის სუნის მოცილებამდე. პარაცეტამოლის კრისტალებს გადააკრისტალებენ ცხელი წყლით, ან 70^0 სპირტით



იანგარიშეთ პრეპარატის თეორიული და პრაქტიკული გამოსავალი.

ასეტილსალიცილმჟავას სინთეზი

სინთეზისთვის საჭირო ნივთიერებები:

სალიცილის მჟავა;

ძმრის ანჰიდრიდი;

ბენზოლი.

სინთეზისთვის საჭირო ჭურჭელი:


მრგვალძირიანი კოლბა (100-200 მლ მოცულობის);

უკუმაცივარი;

წყლის აბაზანა

მრგვალძირიან, მშრალ კოლბას უერთებენ უკუმაცივარს, მასში ათავსებენ 4 გ სალიცილმჟავას, 6 მლ ძმრის ანჰიდრიდს და 14 მლ ბენზოლს. სარეაქციო ნარევს აცხელებენ მდუღარე წყლის აბაზანაზე 1 სთ-ის განმავლობაში. დუღილი უნდა მიმდინარეობდეს სუსტად. ასეტილსალიცილმჟავას კრისტალების გამოყოფის შემდეგ ნალექი გადააქვთ ბიუხნერის ძაბრში და რეცხავენ მცირე მოცულობა ბენზოლით. კრისტალებს აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე ძმარმჟავის სუნის მოცილებამდე. შემდეგ კი აშრობენ მაშრობ კარადაში 35-40°-ზე. გამოსავალი 90%.

პრეპარატის ხარისხის შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალი სალიცილის მჟავის არსებობას.



138,12 180,16

იანგარიშეთ თეორიული გამოსავალი

$$\begin{cases} 138,12 _ 180,16 \\ 4,0 _ X \end{cases} \Big/ X = \frac{4x\,180,16}{138,12} = 5,21_{\text{გ}}$$

იანგარიშეთ პრაქტიკული გამოსავალი

ბენზოის მჟავის სინთეზი

სინთეზისთვის საჭირო ნივთიერებები:

ტოლუოლი

კალიუმის პერმანგანატი

25% ქლორწყალბადმჟავა (pH=1,19)

სინთეზისთვის საჭირო ჭურჭელი:

ფარითუჯლიანი და მრგვალძირიანი კოლბა

(300-500 მლ მოცულობის);

მაცივარი, მექანიკური შემრევი.

მრგვალძირიან კოლბაზე ამაგრებენ ბურთულებიან მაცივარს და მექანიკურ სარეველას. კოლბას ათავსებენ მდუღარე წყლის აბაზანაზე. კოლბაში ათავსებენ 4,0 გ ტოლუოლს (ფრთხილად, ტოლუოლი შხამია) 12,4 გ მოხრეშილ კალიუმის პერმანგანატს, ფხვნილს და 200 მლ წყალს.


კოლბას ათავსებენ მდუღარე წყლის აბაზანაზე. პერმანგანატი მორეცით, 3 საათის განმავლობაში. რეაქციის დამთავრების შემდეგ ხსნარი თუ დარჩა შეფერილი, გაუფერულების მიზნით უმატებენ 1 მლ სპირტს, ან 0.5 გ შაქრუნმჟავას.

ცხელ ხსნარს ფილტრავენ მრავალნაკეციან ფილტრში. ფილტრზე დარჩენილ ნალექს ორჯერ რეცხავენ ცხელი წყლით. ფილტრატს აგროვებენ ფაიფურის ჭიქაში 50-60 მლ-მდე. ხსნარს ფილტრავენ მანგანუმის მოსაცილებლად, ნალექს რეცხავენ ცხელი წყლით. შეამჟავებენ 25% ქლორწყალბადმჟავით (pH 3,0) ბენზოეს მჟავის კრისტალები. ხსნარი გადააქვთ ბაქალეის ძაბრში

კრისტალებს რეცხავენ ცივი წყლის მცირე რაოდენობით, აშრობენ ჯერ ფილტრის ქაღალდებს შორის, შემდეგ კი ექსიკატორში.

ბენზოეს მჟავას ასუფთავებენ წყლიდან, ან სპირტიდან გადაკრისტალებით (1 გ ნივთიერებაზე 12 მლ მდუღარე წყალი ან 1 გ ნივთიერებაზე 0.7 მლ 90% სპირტი), ან აქროლებით.

გამოსავალია 75% (5.0 გ).



იანგარიშეთ თეორიული და პრაქტიკული გამოსავალი.

ბენზოეს მჟავის ხასუფთავის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფტალის მჟავის მინარევის აღმოჩენას, რომელსაც არ უნდა შეიცავდეს პრეპარატი.

ჰექსამეთილენტეტრამინის სინთეზი

სინთეზისთვის საჭირო ნივთიერებები:

ფორმალინის 40% ხსნარი

ამიაკის 25% ხსნარი.

სინთეზისთვის საჭირო ჭურჭელი:

კონუსური კოლბა (250 მლ მოცულობის);

ასაორთქლებელი ფიალა (250 მლ მოცულობის).

კონუსურ კოლბაში ათავსებენ 50 მლ ფორმალინის და დაუმატებენ ყინულიან წყალში მცირე ულუფებით უმატებენ 25% ამიაკის ხსნარის 100 მლ-ს. კოლბას ახურავენ საცობს და ტოვებენ რამდენიმე საათით, ამიაკის სუნის გაქრობამდე. ამის შემდეგ ხსნარს

ამოაორთქლებენ წყლის აბაზანაზე. ამ წონ კარადაში. მნიშვნელოვანი რაოდენობის კრისტალების მიღებამდე. ხსნარს ფილტრავენ, კრისტალებს აშრობენ ფილტრის ქაღალდებს შორის, შემდეგ გადაკრისტალებენ (1 გ ნივთიერებაზე 1 მლ სპირტით. ნივთიერების გამოსავალია 70%.

ჰექსამეთილენტეტრამინის ხარისხის შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქტის მჟავიანობას ან ტუტიანობას, ამონიუმის მარილების, პარაფორმის და ორგანული მინარევების შემცველობას.

$$6\,HCHO + 4\,NH_3 \rightarrow (CH_2)_6N_4 + 6\,H_2O$$

$$180\ \text{გ} \quad 68\ \text{გ} \quad 140\ \text{გ}$$

იანგარიშეთ პრეპარატის თეორიული და პრაქტიკული გამოსავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაკურაძე ა., მიქაია გ., ქურდიანი ნ., ცაგარეიშვილი ნ., წურწუმია ი., ბაკურაძე ლ. „მზა წამალთფორმების ტექნოლოგია" (პრაქტიკული კურსი). თბილისი 2017წ.
2. საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეა ტომი I -1998წ.
3. საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეა ტომი II- 2003წ
4. ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმის სახელმძღვანელო. თბილისი 2008წ. (ბაკურაძის რედაქციით);
5. გუმბერიძე ბ., გუმბერიძე თ., ნიკოლაძე თ. „სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაცია და ხარისხის მენეჯმენტი". თბილისი 2011წ.
6. გუმბერიძე ბ. „ფარმაცევტული ქიმია" . თბილისი 2009წ
7. Беликов В.Г. Фармацевтическая химия. В 2 ч. Учеб. /Для вузов. Пятигорск, 2008. – 720 с.
8. ГОСТ Р ИСО 5725-1-2001. Точность (правильность и прецизионность) методов и результатов измерений. Часть 1. Основные положения и определения;
9. Государственная фармакопея РФ. XIII издание. Москва 2015 г
10. Государственная Фармакопея Союза СССР IX издания. Москва 1961
11. Государственная Фармакопея Союза СССР X издания. Москва 1968
12. Руководство к лабораторным занятиям по фармацевтической химии Учеб. пособие . Аксёнова Э.Н., Андрианова О.П., Арзамасцев А.П. и др. Под ред. А.П. Арзамасцева. – 3-е изд., перераб. И доп.. – М: Медицина, 2001. – 384 с.
13. Analytical Procedures and Methods Validation for Drugs and Biologics. Guidance for Industry. U.S. Department of Health and Human Services Food and Drug Administration July 2015.ძებნება განხორციელდა https://www.fda.gov/downloads/drugs/guidances/ucm386366.pdf
14. BP (British pharmacopoeia) -2013.2015

15. CPMP/ICH/381/95. Note for guidance on validation of analytical procedures: text and methodology. – London, June 1995;
16. David G. Watson. Pharmaceutical Analysis: A Textbook for Pharmacy Students and Pharmaceutical Chemists.London, Elsevier Health Sciences. 2016
17. (EUP)European pharmacopoeia. 2007 - 2014
18. USP (USA pharmacopoeia) 2007-2016

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა ---- 3
ფარმაკოლოგიის სტატისტიკის საგანმანლების ისტორია ---- 4
სტანდარტული ნიმუშები ---- 6
გამზომი ჭურჭელი ---- 7
პიპეტების და ბიურეტების შევსება და დაცლა ---- 7
გამზომი ჭურჭლის დაკალიბრება ---- 9
გამზომი ჭურჭლის გასუფთავება ---- 11
სამკურნალო საშუალებათა საანალიზო ნიმუშების აღება ---- 12
ფარმაკოლოგიური ძიების ლაბორატორიაში მოქმედების ისტორია ---- 15
ფარმაკოლოგიაში გამოყენებული ხსნარები ერთეულები და შემოკლებები ---- 20
ანალიზის ფიზიკური მეთოდები ---- 21
ლღობის ტემპერატურის განსაზღვრა ---- 21
დუღილის ტემპერატურის განსაზღვრა ---- 26
სიმკვრივის განსაზღვრა ---- 31
ეთილის სპირტის რაოდენობრივი განსაზღვრა პრეპარატებში ---- 33
ანალიზის ოპტიკური მეთოდები ---- 38
გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრა (რეფრაქტომეტრია) ---- 38
ოპტიკური აქტიურობის განსაზღვრა (პოლარიმეტრია) ---- 39
ფოტოელექტრული მეთოდები ---- 42
სპექტროფოტომეტრია ---- 44
სპექტროფოტომეტრია ულტრაიისფერ და ხილულ უბანში ---- 44
სპექტროფოტომეტრია ინფრაწითელ უბანში ---- 49
კოლორიმეტრია ---- 52
ფოტოკოლორიმეტრია ---- 53
ემისიური ატომურ - აბსორბციული და ალიანი სპექტრომეტრია ---- 55
ფლეიორიმეტრია ---- 60
ბირთვული – მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპია ---- 62
რადიოაქტივობა ---- 64
ფხვნილის სიმსხოს ხარისხის განსაზღვრა ---- 72
ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდები ---- 76
აბსორბციული ქრომატოგრაფია ---- 76
განაწილებითი ქრომატოგრაფია ---- 77
იონცვლითი ქრომატოგრაფია ---- 77
ქრომატოგრაფიული დაყოფის მეთოდები ---- 78
კალთინური ქრომატოგრაფია ---- 78
ქრომატოგრაფია ქაღალდზე ---- 80
თხელფენოვანი ქრომატოგრაფია ---- 84
გაზური ქრომატოგრაფია ---- 88

მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფია ---- 94
pH-ის განსაზღვრა ---- 98
ტიტრის ელექტრომეტრული მეთოდები ---- 107
პოტენციომეტრიული ტიტრა ---- 107
ტიტრა უწყვეტ გამსხნელში ---- 111
პოლაროგრაფია ---- 115
შესავალი ხსნადობა ---- 121
ანალიზის ძირითადი მეთოდები ---- 126
იდენტობის ზოგადი რეაქციები ---- 126
ორგანული სამკურნალო ნივთიერებების ანალიზი ფუნქციონალური ჯგუფების მიხედვით ---- 137
გამოკვლევა სიწმინდეზე და მისარეცხების დასაშვები ზღვრები ---- 149
გამოკვლევა ქლორიდებზე ---- 150
გამოკვლევა სულფატებზე ---- 151
გამოკვლევა ამონიუმის მარილებზე ---- 152
გამოკვლევა კალციუმის მარილებზე ---- 154
გამოკვლევა რკინის მარილებზე ---- 155
გამოკვლევა თუთიის მარილებზე ---- 157
გამოკვლევა მძიმე მეტალთა მარილებზე ---- 158
გამოკვლევა დარიშხანზე ---- 160
ხსნადობა ---- 164
ნივთიერების შეუხორცებლობის განსაზღვრა ---- 165
ნივთიერების გამკვირვალებისა და სიფერის განსაზღვრა ---- 171
აქროლადი ნივთიერებების და წყლის განსაზღვრა ---- 173
გამოშრობის მეთოდი ---- 173
ა. ფიშერის რეაქციით ტიტრის მეთოდი ---- 174
ქანგბადის არეში დაწვის მეთოდი ---- 177
რაოდენობრივი ანალიზის ძირითადი მეთოდები ---- 178
მჟავიანობა და ტუტიანობის ტიტრა (ნეიტრალიზაცია) ---- 178
დალექვითი ტიტრა ---- 180
ქანგვა-აღდგენითი მეთოდები ---- 183
კომპლექსონომეტრული ტიტრა ---- 187
ნიტრიტომეტრია ---- 193
აზოტის განსაზღვრა ორგანულ ნაერთებში ---- 195
ნაცრის განსაზღვრა ---- 197
ინდიკატორები ---- 198
ტიტრიანი ხსნარები ---- 215

რეაქტივები ---- 243
ავტორისეული რეაქტივები ---- 279
ჟიმენეზის მეზანიზმენტის შესწავლის სტატისტიკური დამუშავება ---- 283
წამლის ფორმების ხარისხის კონტროლი ---- 315
სამკურნალო პრეპარატების ხარისხის კონტროლის ფიზიკური მეთოდების ვალიდაცია (ფ.ძ.ძ. ძიებანი გარამიძის) ---- 325
შარმაცევტული სუბსტანციების და წამლის ფორმების სახელმწიფო სტანდარტები ---- 334
ალოეს თხევადი ექსტრაქტი საინექციო ---- 334
ამბიცილინის ტრიჰიდრატი ---- 336
ანალგინი ---- 341
ანალგინის ტაბლეტები ---- 343
ანალგინის საინექციო ხსნარი ---- 344
ანგსთუზინი ---- 345
ასკორბინის მჟავა ---- 347
ასკორბინის მჟავის ტაბლეტები ---- 348
ასკორბინის მჟავას დრაჟე ---- 349
ასკორბინის მჟავას საინექციო ხსნარი ---- 350
ასკოფენი ტაბლეტები ---- 351
აცეტილსალიცილის მჟავა (ასპირინი) ---- 353
აცეტილსალიცილის მჟავის ტაბლეტები ---- 356
აციკლოვირის კაფსულები ---- 358
ბარბიტალ-ნატრიუმი ---- 359
ბარიუმის სულფატი რენტგენოსკოპიისათვის ---- 362
ბენზილპენიცილინ-კალიუმი ---- 364
ბენზოეს მჟავა ---- 366
გლუკოზა ---- 368
გლუკოზის ხსნარი საინექციო ---- 369
გლუტამინის მჟავა ---- 371
გლუტამინის მჟავის ტაბლეტები ---- 373
დიბაზოლი ---- 374
დიბაზოლის ტაბლეტები ---- 375
დიბაზოლის ხსნარი საინექციო ---- 376
დინდგელის მალამო ---- 378
დინდგელის სპირტიანი ხსნარი ---- 379
დრიტავერინის ჰიდროქლორიდის (ნო-შპა) ტაბლეტები ---- 381

ეთილის სპირტი ---- 9[illegible]
ეუფილინის ტაბლეტები ---- 10[illegible]
ეუფილინის ხსნარი საინექციო ---- 10[illegible]
ვალიდოლის ტაბლეტები ---- 389
ვიკასოლის ხსნარი საინექციო ---- 391
თიამინის ბრომიდი (ქლორიდი) ---- 393
იოდის სპირტიანი ხსნარი ---- 395
კალიუმის იოდიდი ---- 396
კალციუმის გლუკონატი ---- 398
კალციუმის გლუკონატის ტაბლეტები ---- 400
კალციუმის გლუკონატის საინექციო ხსნარი ---- 401
კალციუმის ლაქტატი ---- 401
კალციუმის ლაქტატის ტაბლეტები ---- 403
კალციუმის ქლორიდი ---- 404
კალციუმის ქლორიდის საინექციო ხსნარი ---- 406
კატაბალახის ნაყენი ---- 407
კორდიამინის წვეთები ---- 408
კოფეინ-ნატრიუმ-ბენზოატი ---- 410
კოფეინ-ნატრიუმ-ბენზოატის ტაბლეტები ---- 412
მაგნიუმის სულფატი ---- 413
მაგნიუმის სულფატის საინექციო ხსნარი ---- 415
მენთოლი ---- 416
მეზატონი ---- 417
ნატრიუმის ბენზოატი ---- 420
ნატრიუმის ბრომიდი ---- 421
ნატრიუმის სალიცილატი ---- 423
ნატრიუმის ქლორიდი ---- 425
ნატრიუმის ქლორიდის საინექციო ხსნარი ---- 427
ნატრიუმის ჰიდროკარბონატი ---- 428
ნიკოტინის მჟავა ---- 430
ნოვოკაინი ---- 432
ნოვოკაინის საინექციო ხსნარი ---- 433
ნორსულფაზოლი ---- 434
პაპავერინის ჰიდროქლორიდი ---- 436
პაპავერინის ჰიდროქლორიდის საინექციო ხსნარი ---- 438
პარაცეტამოლი ---- 441

ბარაქტარიდების ტომები 444
ალეკოფელების პიდრომეტეორების ხატიშქილი სხვა 447
რეზერვები 449
რიბოქსიხის ტომები 452
ხალიჩების მწყე 454
ხიბისხის ტომები 456
სტრეპტოცეი 458
სტრეპტოცეების ტომები 459
სტრეპტოცეების მიდიძი 460
ხელფოკამფოკიხის ხატიშქილი სხვარი 461
ტაეტიხის სხვარი 463
ტერმიხიდეფია 465
ტერმიხიდეების ტომები 466
ფენილების ზიფიდი და სპექტიტური რეაქტივი 467
ფერიცილინი 472
ფერიცილინის ტომები 474
ფერიცილინის სხვარი 475
ქოლერი 478
ქოლერის 20%-იანი ზეთიხი სხვარი ინექციისთვის 479
ქლორამფენიკოლი 479
ქლორამფენიკოლი (ლეკარსტინი) 479
ქლორამფენიკოლის ტომები 481
ქლორიფერიდი 483
ჩეხლბადის ზეხეხი განსაკუთრებული 485
ჩეხლი გამოსახული 486
ჰიდროქლორენტერიდი 488
ჰიდროქლორენტერიდის სხვარი ხატიშქილი 490
ციანოზის ჯვეობის ძმიერი-ანალიზი 491
თეთრის ხელფაღის სხვარი 491
ანტიზანის ხელფიტის სხვარი 491
ხელფატ-ნიტრატმეხიდროქლორიდის სხვარი 492
ბორმეტის სხვარი 493
ხიმიერიალი საშუალებანი ციანოზის 493
ჯორეტიკების ხატიშქი 493
ალკოლოიდების მწყის ხატიშქი 494
ბენზოის მწყის ხატიშქი 495

ჰიდროქლორენტერიდის ხატიშქი 496
ჩასუნთქვის ლობერატორია 498
ხაზინა 500